

80 000 კილომეტრი წყალქვეშ

ფრანგულიდან თარგმნა
ნიკო კურდლელაშვილმა

(ახალი რედაქცია)

ნაწილი პირველი

თავი I

ის შემაძრწუნებელი ამბავი, 1866 წელს რომ დატრიალდა, დიდხანს ახსოვდა ზღვისპირა ქვეყნებს. ვისაც კი რაიმე კავშირი ჰქონდა ზღვაოსნობასთან, საშინელ საგონებელს მისცემოდა. შეფიქრიანდნენ საზღვაო თუ სამხედრო გემების უფროსები და მეზღვაურები. გემის პატრონები და უცხო ქვეყნებთან მოვაჭრე სოვდაგარები ალიაქოთს მოეცვა. მრავალი სახელმწიფო მთავრობა დააფიქრა ამ ამბავმა.

იმ სამახსოვრო წელს ნაოსნობიდან დაბრუნებულ გემებს მეტად უცნაური, ამაფორიაქებელი ამბები მოჰქონდათ ნავსადგურებში, - პიდარპირ გასაოცარი და დაუჯერებელი. ეჭვის შეტანა შეუძლებელი იყო, რადგან ნათქვამის დამადასტურებელი საბუთებიც მოიპოვებოდა.

საქმე ის იყო, რომ ზღვაზე ხან ერთ, ხან მეორე ადგილას გემებს ხვდებოდა უზარმაზარი, თითისტარის მოყვანილობის სწრაფად მოძრავი საგანი თუ ცხოველი, რომელიც ღამის სიბრელეში დროდადრო შუქს გამოსცემდა.

1866 წლის 20 ივლისს, ავსტრალიის სანაპიროდან ხუთი მილის მოშორებით, ამ საოცრებად გემი "ჰოვერნორ ჰენრი" წააწყდა.

გემის კაპატნს - ბეკერს ეგონა, წყალქვეშა კლდეს წავადექითო. ამ კლდიდან მოულოდნელად საშინელი ძალით, ორ ტოტად ამოვარდა წყლის შადრევანი. ერთი შეხედვით იგი ან კლდიდან ამოხეთქილი გეიზერი იყო, ან რომელიმე უცნობი ძლიერი ცხოველის ნესტოებიდან ამოსროლილი წყლის ჭავლი.

იმავე წელს, 23 ივლისს, წყნარ ოკეანეში სწორედ ასეთივე შემთხვევას გადააწყდა გემი "ქრისტეფორე კოლუმბი". მაშასადამე, უცნობ სხეულს სამ დღეში 700 მილი უნდა გაევლო, ე.ი. მანძილი პირველსა და მეორე გემს შორის. აქედან ცხადი გახდა, რომ მართლაც გასაოცარი სისწრაფით მოძრაობდა.

ამგვარივე ამბის მომსწრენი გახდნენ "პერიერა" და "ეტნა", საფრანგეთის სამხედრო გემი "ნორმანდია", ინგლისის "ლორდ კლეიდი" და მრავალი სხვა.

პატარა ქვეყნებში ეს ამბავი სასაცილოდ არ ჰყოფნიდათ, დიდ და პრაქტიკულ ქვეყნებში კი, მაგალითად ინგლისში, ყველა შეშფოთებული იყო. ამ შემთხვევის გარშემო მეცნიერთა შორის დიდი კამათი ატყდა. უცნაურ ცხოველზე ლპარაკობდნენ ქუჩაში, თეატრში, წერდნენ გაზეთებში.

1867 წლის დამდეგს უცნობ სხეულზე მითქმა-მოთქმა თითქმის მიწნარდა: ახალი ცნობები აღარსაიდან მოსულა და შიშიც მინელდა. სულაც დაივიწყებდნენ ამ ამბავს, კვლავ რომ არ დარხეულიყო ხმა.

ეს კი სახუმარო ამბავი აღარ იყო.

1867 წლის 13 აპრილს, ეს საშინელი ცხოველი ატლანტის ოკეანეში შეეფეთა სამგზავრო გემ "შოტლანდიას", რომელიც ცნობილ გემების მეპატრონეს, კიუნარს ეკუთვნოდა.

ეს კი ამგვარად მოხდა: წყნარი ამინდი იდგა, ზღვა გარინდულიყო. "შოტლანდია" საათში ცამეტი ვერსის სიჩქარით მისრიალებდა. მოსალამოვდა. მგზავრები კაიუტაში სასადილო მადგიდას შემოუსხდნენ. უცებ გემი რაღაცას დაეჯახა, რყევა ყველამ იგრძნო.

შეიძლება ამ ამბისათვის ყურადღება არავის მიექცია, ტრიმიდან გემბანზე ამოცვენილი მეთაურების ყვირილი რომ არ გაეგონათ:

- ვიძირებით! .. ვიღუპებით!

სინამდვილეში "შოტლანდია" სახიფათოდ არ დაზიანებულა, რადგან მას შვიდმაგი კედელი ჰქონდა. დაჯახებისას კი მხოლოდ მკერდის წყალქვეშა ნაწილის გარეთა კედელი შენგრეოდა. საბედნიეროდ, საორთქლე ქვაბები იმ ნაწილში არ ყოფილა მოთავსებული. კაპიტანმა ანდერსენმა მგზავრები დაამშვიდა. "შოტლანდიამ" სამი დღის დაგვიანებით, როგორც იქნა მიაღწია ლივერპულის ნავსადგურს. ამ ამბავმა მთელი ქალაქი ფეხზე დააყენა.

კიუნარის გემის დაგვიანბა დიდი მითქმა-მოთქმის საბაბს იძლეოდა.

"შოტლანდია" გემების ხიდზე შეაგორეს. ხუროები ათვალიერებდნენ... თვალს არ უჯერებდნენ.

წყალხაზიდან ორ-ნახევარი მეტრის ქვემოთ, გემს მკერდი ერთი საჟენისოდენა ტოლფერდა სამკუთხედად ჰქონდა შენგრეული.

გოჯნახევარი რკინის კედელი ისეთი სიზუსტით იყო გაჭრილი, თითქოს საგანგებოდ გამოუჭრიათო. ამ გარემოებამ აფიქრებინათ, რომ საშინელ ცხოველს ძალზე მაგარი და უშველუბერი სარქენი ან ეშვი უნდა ჰქონოდა. ადვილი წამოსადგენია, როგორ შეაშფოთებდა ეს ამბავი ხალხს.

თავი II

მითქმა-მოთქმა

ეს ამბავი იმ დროს მოხდა, როდესაც ვბრუნდებოდით ექსპედიციიდან, რომელიც ამერიკის შეერთებული შატტებმა მოაწყო ნებრასკას შეუსწავლელ ოლქში. საფრანგეთის მთავრობამ ამ ექსპედიციაში მიმავლინა, როგორც ბუნებისმეტყველებისა და ისტორიის მუზეუმის პროფესორი. ნებრასკაში ექვსი თქვე დავყავი. შევაგროვე ძვირფასი კოლექციები და მარტის ბოლოს უკვე ნიუ-იორკში გახლდით.

აქაც ყევლას იმ უჩვეულო ცხოველის ამბავი ეკერა პირზე. საიდუმლოებით მოცული ხმები მეც მიღვიძედა ცნობისმოყვარეობას. ყველა ჟურნალ-გაზეთი გადავიკითხე. ბევრი ვიმტვრიე თავი, მაგრამ ეს მოვლენა მაინც გამოუცნობი დარჩა ჩემთვის.

საზოგადოებაში ათასნაირი აზრი ტრიალებდა, მაგრამ ამათგან ორი თითქოს ახლო იყო სინამდვილესთან: ეს უნდა ყოფილიყო ან საგანგებოდ აღჭურვილი წყალქვეშა ნავი, ან ზღვის რომელიმე საშიში, შეუსწავლელი ცხოველი.

პიველი მოსაზრება უფრო ნაკლებსარწმუნო იყო. აბა, ვინ იფიქრებდა რომ ასეთ სრულყოფილ ხომალდს კერძო პირი ააგებდა. თუნდაც აეგო, საიდუმლოდ მაინც როგორდა მოახერხებდა? შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ასეთი წყალქვეშა ნავი ერთ-ერთმა სახელმწიფომ ააგო, მაგრამ ეს მოსაზრება არ დადასტურდა. ყველა სახელმწიფო აცხადებდა, ამ საქმის შესახებ არაფერი ვიცითო.

ესეც არ იყოს, იგი ხომ არც ერთი სახელმწიფოს გემს არ ინდობდა, ყვლას ერთნაირად ღუპავდა.

მეორე მოსაზრება პრესამ გააშარება, მაგრამ უნდა გვეფიქრა, რომ ის მართლაც ზღვის რომელიმე უცნობი, საშიში ცხოველი იყო.

იმ ხანებში გამოიცა ჩემი ნაშრომი - "ზღვის უფსკრულების საიდუმლოებანი", რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს მეცნიერმა ბუნებისმეტყველებმა. ამიტომაც "წიუ-იორკ ჰერალდის" რედაქციამ, როგორც ამ წიგნის ავტორს, წერილით მომმართა, - ამ საიდუმლოებით მოცული უცნაური მოვლენის შესახებ თქვენი აზრი გამოთქვითო. ადრეც მოუმართავთ ჩემთვის ასეთი წინადადებით, მაგრამ პასუხს ყოველთვის თავს ვარიდებდი. ახლა კი, როგორც იტყვიან, გასაქანი აღარ მქონდა და ძალაუნებურად, ხმა უნდა ამომელო.

მეც ავდექი და იმავე გაზეთის 30 აპრილის ნომერში მოვათავსე წერილი, სადაც ვამბობდი: "ყველა არსებული მოსაზრება ავწონ-დავწონე და ვფიქრობ, რომ შესაძლებელია, მართლაც არსებობდეს წარმოუდგენლად ღონიერი ზღვის ცხოველი. ოეკანის ღრმა უფსკრულებს ნაკლებად ვიცნობთ; არ ვიცით, მაგალითად, რა ცხოველები ბინადრობენ თორმეტი-თხუთმეტი მილის სიღრმეში, სადამდეც ჯერჯერობით არც ერთ ლოტს არ ჩაუღწევია.

ამიტომ ადვილი შესაძლებელია, ჯერ არ ვიცნობდეთ ყველა იმ ცხოველს, რომლებიც ჩვენს პლანეტაზე არიან.

თუკი გავითვალისწინებთ, რომ ამქვეყნად არაერთი უცნობი ცხოველია, რატომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ სადღაც ბინადრობს უზარმაზარი ცალკბილა, რომელიც ოკეანის უღრმეს უფსკრულებს ეტანება. დროდადრო კი რაიმე მიზეზის გამო წყლის ზედა ფენებსაც ესტურება ხოლმე.

ჩვეულებრივი ცალკბილა სიგრძით 60 ფუტს აღწევს და შიეარაღებულია ხმლისმაგვარი ძვლის სარქენით, რომელიც სიმკვრივით ფოლადს არ ჩამოუვარდება. ერთი ასეთი ეშვი დღესაც ინახება პარიზის მუზეუმში, მისი სიგრძე 2 მეტრი და 25 სანტიმეტრია, სიგანე კი, ეშვის ძირში 48 სანტიმეტრს შეადგენს.

წარმოვიდგინოთ ათჯერ ამაზე დიდი ცალკბილა, რომელიც საათში 20 მილის სიჩქარით მოძრაობს! მისი სიდიდე მოძრაობის სიჩქარეზე რომ გავამრავლოთ, ისეთ მძლავრ ძალას მივიღებთ, რომელიც გემისთვის საბედისწერო გახდება.

მაშასადამე, რადგანაც ხელთ არა გვქვს უფრო დაწვრილებითი ცნობები, წარმოვიდგინოთ, რომ ეს საშინელი ცხოველი არის ბუმბერაზი ცალკბილა!

მხოლოდ ამგვარად თუ შეიძლება აიხსნას ეს საიდუმლო მოვლენა, თუკი მთელი ეს ამბავი მსუბუქი ფანტაზიის ნაყოფი არ არის!"

ეს უკანასკნელი სიტყვები იმისთვის ჩავურთე, რომ საჭიროების შემთხვევაში თავის დაძვრენის საშუალება მქონოდა. გულში კი დარწმუნებული ვიყავი, რომ "საშინელი ცხოველი" ნამდვილად არსებობდა, თანაც მინდოდა ჩემი როგორც მეცნირის ღირსება დამეცვა და ამერიკელთა დასაცინი არ გავმხდარიყავი.

წერილმა დიდი შთაბეჭდილბა მოახდინა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ზღვის "საშინელი ცხოველი" მართლაც არსებობდა. საზოგადოეამ მთავრობას მოსთხოვა ამ ცხოველის განადგურება. რადგანაც საზღვაო მიმოსვლა სახიფათო გახდა.

საზოგადოებრივ აზრს ყველაზე ადრე შეერთებული შტატები გამოეხმაურა და ცალკბილას გასანადგურებლად ექსპედიციის სამზადისს შეუდგა. ამ მიზნით გაამზადეს სწრაფმავალი ფრეგატი "აბრამ ლინკოლნი". კაპიტნად დანიშნეს გამოცდილი მეზღვაური - ფარაგუტი. გემი მზად იყო ზღვაში გასასვლელად. მხოლოდ ახალ ცნობას ელოდა საშინელი ცხოველის შესახებ. ცნობაც მაღე მოვიდა: 20 ივნისს იტყობინებოდნენ - ეს ცხოველი სამი კვირის წინათ შეემჩნიათ ერთ გემს, წყნარი ოკეანის ჩრდილო ნაწილში.

სწორედ იმ დღეს, როდესაც სამი საათი იყო დარჩენილი "აბრამ ლინკოლნის" ზღვაში გასვლამდე, შეერთებული შტატების მთავრობისაგან შემდეგი შინაარსის დპეშა მივიღე:

ბატონ არონაკესს!

პრიზის მუზეუმის დირექტორს, სასტუმრო "მეხუთე ავენიუ" ნიუ-იორკი.

მოწყალეო ხელმწიფევ!

თუ თქვენ მოისურვებთ შეუერთდეთ "აბრამ ლინკოლნის" ექსპედიციას, შეერთებული შთატების მთავრობა სიამოვნებით შეხვდება ამ ამბავს და ჩათვლის, რომ საფრანგეთი თქვენი სახით მონაწილეობს ამ ღონისძიებაში. კაპიტანი ფარაგუტი თქვენს განკარგულებაში გამოყოფს ცალკე კაიუტას.

გულითადი პატივისცემით, საზღვარო მინისტრი ჟ. ბ. ჰობსონი.

თავი III

ჩემი მხსნელი

მოგზაურობით მოქანცულს მართალია ძალიან მენატრებოდა მშობლებისა და მეგობრების ნახვა, მაგრამ არც კი დავფიქრებულვარ, ისე გადავწყვიტე გავყოლოდი ექსპედიციას.

ვინ იცის, იქნებ ის ცალკბილა, ევროპის წყლებში ჩავიგდოთ ხელში, - ვფიქრობდი მე, - მაშინ ხომ პარიზის ზოოლოგიურ მუზეუმს ჩავუტან მისი სარქენის ნაჭრს, ნახევარ მეტრს მაინც.

- კონსეი! - გავძახე მოუთმენლად.

კონსეი ჩემი მსახური იყო, კარგა ხანია ჩემთან ცხოვრობდა და ყოველი მოგზაურობისას თან დამყავდა. ამ ნამდვილ ფლამინდიელს, ბუნებით ფლეგმატიკოსს და დინჯს, ვერაფრით გააკვირვებდი. არ უყვარდა რჩევის მიცემა, არფერს გეტყოდათ მაშინაც კი, როდესაც დაეკითხებოდით. ამ მხრივ, დიდად არ განირჩეოდა სხვა მსახურებისაგან, მაგრამ ამვე დროს, მოხერხებული, შორიმისმოყვარე და საზრიანი ახალგაზრდ გახლდათ.

იგი მუდამ ბოტანიკური ბაღის მეცნიერთა შორის ტრიალებდა. ბევრი რამ ისწავლა მათგან. ცხოველთა კლასიფიკაციის ნამდვილი სპეციალისტიც გახდა. მთელი მთელ თავისუფალ დროს ცხოველთა კლასებად დანაწილებას ახმარდა, თუმცა სინამდვილეში რომ ენახა, ვეშაპს კაშალოტისგან ვერ გაარჩევდა.

- კონსეი! - გავძახე ისევ და საჩქაროს შევუდექი ბარგის ჩალაგებას.

კონსერვი შემოვიდა. არც კი მითქვამს, საით ვაპირებდით გამგზავრებას, რადგანაც ვიცოდი, რომ ქვეყნის ერების დასასულამდე უსიტყვოდ გამომყებოდა.

- კონსერ, სწრაფად მოემზადე გასამგზავრებლად! ორი საათის შემდეგ გავდივართ.

- თუკი ეს აუცილებელი გახლავთ!

- ჩანთებში ჩაალაგე ჩემი სამგზავრო ნივთები, ტანისამოსი, თეთრეული... ოღონდ რაც შეიძლება სწრაფად!

- მერე კოლექციები?

- კოლექციები ჯერჯერობით აქ დარჩება, სასტუმროში. მერე გადაგზავნიან პარიზში.

- მაშ, პარიზში არ მიბრძანდებით?

- არა! თუმცა მცირე ხნის შემდეგ პარიზში ვიქებით, ახლა კი "აბრამ ლინკოლნს" გავყვებით განთქმული ცალკბილას საძებნელად.

- თუკი ეს აუცილებელი გახლავთ! - მორჩილად მიპასუხა კონსერმ.

თხუთმეტი წუთის შემდეგ ბარგი ჩალაგებული გვქონდა. სასტუმროს მეპატრონეს ანგარიში გავუსწორე და განკარგულება დავუტოვე, ჩემი კოლექციები პარიზში გადაეგზავნათ. ვთხოვე აგრეთვე, განსაკუთრებით კარგად მოევლოთ ინდოეთის ზღვის ბაჭიებისათვის. ამის შემდეგ მე და კონსერ კარტერში ჩავსხედით.

თავი IV

"აბრამ ლინკოლნი"

ნახევარ საათში ნავსადგურს მივადექითიდა "აბრამ ლინკოლნზე" ავედით. გემის ბაქანზე კაპიტანი ფარაგუტი ვიკითხე. ერთი მეზღვაური გამიძღვა. მოხდენილი, სანდომიანი სახის ახალგაზრდა კაცი შემომეგება, რომელმაც ხელი გამომიწოდა და მკითხა:

- პროფესორი არნოკასი ბრძანდებით?

- გახლავართ, - ვუპასუხე, - კაპიტანი ფარაგუტი?

- დიახ. კეთილი იყოს თქვენი მობრძანება. დიდად მოხარული ვარ. თქვენთვის კაიუტა მზად გახლავთ.

თავის დაკვრით გამოვეთხოვე. არ მინდოდა მომცდინა და ჩემი კაიუტისაკენ გავეშურე. კაიუტით კმაყოფილი დავრჩი. კონსერ ჩვენი ბარგის მილა-მოლაგებას შეუდგა. მე კი გემბანზე გამოვედი და სიამოვნებით ვუცქერდი გამგზავრების სამზადისს.

ორთქლის ქვაბები უკვე აემუშავებინათ. კაპიტანმა განკარგულება გასცა, გემი დაძრულიყო. ბაგირები ახსნეს, "აბრამ ლინკოლნი" მედიდურად დაიძრა, უკან ხალხით გაჭედილი იალქნიანი სამხედრო ნავები მოსდევდა. სანაპიროს ციხესიმაგრეები ზარბაზნების სალუტი გვაცილებდნენ. სანაპირო ცნობისმოყვარე ხალხით გაჭედილიყო და ყიუინით ეთხოვებოდნენ გემს.

"აბრამ ლინკოლნმა" სამჯერ დაუშვა და კვლავ აღმართა ამერიკული დროშა, რომელზედაც ოცდაათი ოქროს ვარსკვლავი ბრწყინავდა. გემმა სვლას უმატა და საღამოს 8 საათზე ატლანტის ოკეანის კუპრივით შავ ტალღებს მისცა თავი.

კაპიტანი ფარაგუტი ჩინებული მეზღვაური გამოდგა - ღრსი მშვენიერი ფრეგატისა, რომელსაც ასევე ჩინებულად მეთაურობდა. მას ახლა მთელი თავისი არსებით, უყოფმანოდ სწამდა საშინელი ცხოველის არსებობის, ფიცი დაედო, რომ

უსათუოდ მოსპობდა ამ ცხოველს და ხშირად იმეორებდა - ან მე მოვსპობ ცალკილას, ან ის მომსპობსო.

გემის ეკიპაჟიც კაპიტნის აზრს იზიარებდა და ყველა გაფაციცებით ზვერავდა ზღვას.

კაპიტანმა ფარაგუტმა 2000 დოლარი აღუთქა მას, ვინც პირველი შეამჩნევდა ცხოველს. ადვილი წარმოსადგენლია, თუ რა გულმოდგინებით ავარჯიშებდნენ მხედველობას მეზღვაურები.

სხვებს არც მე ჩამოვრჩებოდი და გულმოდგინებას არ ვაკლებდი - ყოველდღირად ვზვერავდი გარემოს. "აბრამ ლინკოლნი" ახლა შეიძლებოდა "ასთვალა არგუსად" მოგვენათლა. მხოლოდ კონსეი ეკიდებოდა გულგრილად ჩვენს გატაცებას და საერთო შემართებას არ იზიარებდა.

თავი V

ნედ ლენდი

ჩვენს გემზე იყო მებარჯეების მეფე - ნედ ლენდი. ამ კანადელს არაჩვეულებრივად მარჯვე ხელი ჰქოდა და თავის სახიფათო ხელობაში ბადალი არ ჰყავდა. მისი სიმარჯვე და გულგრილობა, გამბედაობა და მოხერხებულობა ყოველთვის უმაღლეს წერტილს აღწევდა. ძალიან გაქნილი ვაშაპი უნდა ყოფილიყო ან მეტისმეტად ცბიერი კაშალოტი, რომ მის ნატყორცნ ბარჯს გაქცეოდა.

ნედ ლენდი ორმოცი წლისა იქნებოდა. მაღალი, პირქუში, გულჩახვეული და მორიდებული კაცი იყო, მაგრამ ზოგჯერ გაშმაგებაც იცოდა. ეს მაშინ, თუ ვინმე უმართებულოდ შეუბრუნედა სიტყვას. მოთმინებას კარგავდა და დიდ აურზაურსაც ატეხდა ხოლმე. ჩემი ყურადღება მისმა ახოვანმა გარებრივად მიიპყრო.

ჩემი აზრით, კაპიტან ფარაგუტს გონივრული გადაწყვეტილება მიეღო მისი გემბაზზე მოწვევით. მებარჯის მკლავის სიმარჯვე და მახვილი თავლი მთელი ეკიპაჟად ღირდა. ნამდვილ ტელესკოპს ხომ არაფრით ჩამოუვარდებოდა და ამავე დროს, ზარბაზნის მაგივრობის გაწევაც შეეძლო, ნებისმიერ სასურველ წუთს!

ნედი წარმოშობით კანადელი ფრანგი იყო და თავისი ძველი ფრანგულით მხიბლავდა. თვითონ ძალზე მიუკარებელი მეჩვენება, თუმცა თანდათან ამოიდგა ენა და დავმეგობრდით კიდეც.

სიამოვნებით ვისმენდი მის თავგადასავალს, რომელიც პოლარულ ზღვაში გადახდომია. მარტივად და გაუზვიადებლად მიყვებოდა მებადურებისა და ვეშაპებზე მონადირეთა ამბებს. ერთმანეთთან ჩვენ იმ მეგობრობამ დაგვაახლოვა, რომელიც იბადება და მტკიცდება საშინელი და მძიმე განსაცდელის დროს.

მამაცო ნედ, ნეტავ ასი წლის სიცოცხლე მომცა, რომ სულ შენზე ვიფიქრო და გიგონებდე.

რას ფიქრობდა ნედ ლედი საშიშ ცხოველზე? უნდა გითხრათ, რომ ნაკლებად სჯეროდა მისი არსებობის. ამ თემაზე ლაპარაკსაც კი გაურბოდა. ეს მაშინ შევამჩნიე, როდესაც მისი აზრის გაგება ვცადე.

20 ივნისის მშვენიერი საღამო იდგა. უკვე სამი კვირა იყო, რაც ნიუი-იორკიდან გამოვედით. გემი ბლანკოს კონცხის მახლობლად მიცურავდა, პატაგონიის

ნაპირებიდან 30 მილის მოშორებით. თვალწინ გადაგვეშალა მაგელანის სრუტე. "აბრამ ლინკოლნს" ერთი კვირის შემდეგ წყნარ ოკეანეში უნდა შეეცურა.

მე და ნედ ლენდი გემბანის კიჩოზე ვისხედით და ვსაუბრობდით, თან გავცემოდით საიდუმლოებით მოცულ ზღვის სივრცეს, რომლის სიღრმე ადამიანისათვის დღესაც მიუწვდომელია. სიტყვა უჩვეულო ცხოველზე ჩამოვაგდე. ვლაპარაკობდით ჩვენი მოგზაურობის შესახებ. შევატყე, რომ ნედ ლენდი მე მალაპარაკებდა, თვითონ დუმდა. მაშინ პირდაპირ ვკითხე:

- რას ფიქრობთ, ლენდ? ამ ცხოველის არსებობისა არ გჯერათ? იქნებ რაიმე საფუძველი გაქვთ?

- ნედ ლენდმა ერთხანს უსიტყვოდ მიცირა, მერე ჩვეულებისამებრ შუბლზე იტკიცა ხელი, ცალი თვალი მოჭუა, თითქოს იგონებსო რამესო და მიპასუხა:

- იქნებ, მქონდეს კიდეც, პროფესორო.

- მაგრამ, ნედ, თქვენ ხომ მებარჯე ხართ, ხომ გინახავთ ზღვის უზარმაზარი ძუძუმწოვარა ცხოველები? განა თქვენთვის უფრო ადვილი წარმოსადგენი და დასაჯერებელი არ უნდა იყოს ვეშაპისმაგვარი ბუმბერაზი ცოველის არსებობა?

- აი, მაგაში კი ცდებით, პროფესორო, - მიპასუხ ნედმა, - უბირ ხალხს რომ სჯეროდეს არსებობა რაღაც ავისმომასწავებელი კომეტებისა და წარღვნამდელი საშინელი ცხოველებისა, რომლებიც ვითომაც მიწის შუაგულში ბინადრობენ, ეს მათ ეპატიებათ, მაგრამ სწავლულეს ხომ სასაცილოდ მიაჩნიათ ეს არაკები. ჩემს სიცოცხლეში არა ერთსა და ორ ზღვის ცხოველზე მინადირია, ბევრი განმიგმირავს ბარჯით, ბევრიც დამიხოცავს, მაგრამ არასოდეს მინახავს ისეთი კუდიანი და ეშვებიანი ცხოველი, რომელსაც შეეძლოს რკინაგადაკრული გემის გახვრეტა...

- მაგრამ, ჩემო კეთილო ნედ, ნამდილად ირწმუნებიან, ცალკბილა კედელს ხვრეტსო!

- ფიცრული გემის კედელი რომ იყოს, კიდევ შეიძლება, - მიპასუხა კანადელმა, მაგრამ მე ამის მსგავსიც არ შემხვედრია და სანამ ჩემი თვალით არ ვნახავ, მუდამ ვიტყვი, რომ ასეთი ეშვებიანი ცხოველები ზღვაში კი არა, ზღაპრებში ბინადრობენ.

- მომისმინეთ, ნედ...

- რა უნდა მოგისმინოთ, პროფესორო? მოსასმენი არაფერია! ტყუილად ირჯებით! უმჯობესია, სხვა რამე დაასახელოთ, ოღონდ ცალკბილა არა.. აი, თუ გნებავთ, რვაფეხა, სპრუტი. სპრუტი რაც უნდა იყოს...

- სპრუტი როგორ შეიძლება, ნედ?! ის ხომ უძვლო ცხოველია, ლოკოვინას ჯიშისა... სპრუტი ან რვაფეხა, ხუთასი ფუტის სიგრძისაც რომ იყოს, ვერაფერს ავნებს ისეთ გემს, როგორიც არის "შოტლანდია" ან თუნდაც "აბრამ ლინკოლნი". აი, ნამდვილი ზღაპრი, თუ გნებავთ, სწორედ ეგ არის.

- და თქვენ მართლა დაიჯერეთ, რომ ზღვაშია მოკალათებული ასე დუდეარი ვეშაპი?! - ცოტა არ იყოს, დაცინვით მითხრა ნადმა.

- დიახ, ნედ, მჯერა! ფაქტებს ვეყრდნობი და მჯერა, რომ არსებობს არაჩვეულებრივი ღონის ძუძუმწოვარა ცხოველი, რომელიც ეკუთვნის ვეშაპის, კაშალოტის, ზღვის ღორის, სელაპის ან სხვა ჯიშს, თანაც შეიარაღებულია მკვიდრი სარქენით. ისეთი სარქენით, რომ...

- ჰმ! - ჩაიფრუტუნა ნედმა ისეთი ადამიანივით, რომელსაც ვერაფრით დააჯერებ.

მე მაინც განვაგრძე:

- მხედველობაში მიიღეთ, ნედ, რომ თუკი ასეთი ცხოველი არსებობს, თუკი ის ოკეანის ფსკერზე ბინადრობს და იმვიათად წყლის ზედა ფენებსაც ეწვევა, მისი ორგანიზმი ისეთი ღონიერი და მძლავრი იქნება, რომ ბადალი არ ეყოლება...

- მერე რისთვის სჭირდბა ასეთი ორგანიზმი? - შემეცითხა კანადელი.

- იმისთვის, რომ უსაზღვრო ძალ-ღონე საჭირო ოკეანის სიღრმეში გსაძლებლად, ზედა ფენების წნევის ასატნად.

- მართლა? - წარმოთქვა ნედმა და მომაჩერდა.

- მართლა! ადვილად შემიძლია ციფრებით დაგარწმუნოთ! - ვუპასუხე მე.

- ო, ეგ ციფრები, - მიპასუხა ნედმა, - ციფრებს საითაც გნებავთ, იქით მიატრიალებთ.

- ეგ, შეიძლება აღებ-მიცემობაში იყოს ასე, ნედ, მაგრამ მათემატიკაში კი არა. აი, მომისმინეთ: წარმოვიდგინოთ ერთი ატმოსფეროს წნევა 34-ფუტიანი წყლის სვეტის სახით. თუმცა წყლის სვეტი შეიძლება ამაზე დაბალიც კი ავიღოთ, რადგანაც აქ საქმე გვაქვს ზღვის წყალთან, რომელიც სასმელ წყალზე უფრო მკვრივია. როდესაც ზღვაში ჩაყვინთვისას ზემოდან გაწვებათ 34 ფუტის სიმაღლის წყალი, თქენი სხეული უძლებს ერთი ატმოსფეროს წნევას. აქედან უნდ დავასკვნათ, რომ 340 ფუტის სიღრმეზე წნევა იქნება 10 ატმოსფროს ტოლი, ხოლო 3400 ფუტის სიღრმეზე - 100 ატმოსფეროსი. მაშასადამე, თქვენ რომ ოკეანის ასეთ სიღრმემდე მიაღწიოთ, მაშინ თქვენ სხეულის თითოეულ კვადრატულ სანტიმეტრს 1000 კილოგრამის სიმძიმე დააწვებოდა. მერე, იცით, მეგობარო, რამდენ კვადრტულ სანტიმეტრს შეიცავს თქვენი სხეულის ზედაპირი?

- წარმოდგენაც არა მაქვს, პოფესორო.

- ჩვიდმეტი ათასამდე.

- მართლა?!

- და რადგანაც ატმოსფერული წნევა ჩვეულებრივ თითო სანტიმეტრზე ერთ კილოგრამს ჭარბობს, ამის გამო თქვენი 17 000 კვადრატული სანტიმეტრი, აი, ამ წუთსაც, 17 570 კილოგრამის წნევას უძლებს.

- მე კი აინუნშიაც არ მომდის და!...

- თქვენ აინუნშიაც არ მოგივათ! მთელიეს სიმძიმე ტაბაკივით არ გაბრტყელებთ, რადგანაც თქენი სხეული გაჟღენთილია ჰაერით, რომელიც შიგნიდანაც ასეთივე ძალით აწვება. აქედან წარმოდგება თანაფარდობა გარეგანი და შინაგანი წნევისა, რომელიც ერთიმეორეს აბათილებს და თქვენ სასუალება გეძლევათ, გაუძლოთ ამ წნევას, მაგრამ წყალსი სულ სხვაა...

ციფრებმა, ცოტა არ იყოს, შეაფიქრიანა კანადელი, მაგრამ მაინც არ ტყდებოდა.

- აბა, ნედ, დარწმუნდით თუ არა?

- პროფესორო, თქვენ მხოლოდ იმაში დამაჯერეთ, რომ თუ ზღვის ჯულრმულებში მსგავსი ცხოველი ბუდობს, მართლაც ასეთი ღონიერი იქნება, როგორც თქვენ ბრძანეთ.

- მერე, თუკი ასეთი ცხოველი არ არსებობს, რით უნდა ავხსნათ "შოტლანდიის" შემთხვევა, ჯიუტო კაცო?

- იქნებ... - გაუბედავად დაიწყო ნედმა.

- აბა, თქვით, თქვით, ნედ!

- იმით, რომ... ეგ ამბავი მართალი არ არის! - მიპასუხა ნედმა.

მაგრამ ეს პასუხი მხოლოდ მის სიჯიუტეს ამტკიცებდა და სხვა არაფერს.

იმ დღეს არ ჩავციებივარ.

თავი VI

ალალბედზე

"აბრამ ლინკოლნს" ერთხანს არაფერი გადახდენია თავს. ნედ ლენდს მხოლოდ ერთხელ მიეცა თავისი სიმარჯვისა და ოსტატობის გამოჩენის შემთხვევა.

30 ივნისს მალვინის კუნძულების მახლობლად ჩვენს ფრეგატზე გზად შემოეყარა ვეშაპზე მონადირე ამერიკული გემი "მონროე". მაშინვე იმ ცხოველის ამბავი ვკითხეთ. თვალი არსად დაგვიკრავსო, - გვიპასუხეს.

"მონროეს" კაპიტანს სცოდნია თურმე, "აბრამ ლინკოლნზე" რომ ნედ ლენდი იმყოფებოდა და კაპიტან ფარაგუტს სთხოვა:

- აქ ახლოს ვეშაპი გვეგულება და იქნებ დაგვეხმაროთ...
- ბრძანეთ, თუკი შევძლებ...
- ნება დართეთ ნედ ლენდს, ერთი საათით მოგვეხმაროს ნადირობაში.

კაპიტანი, რა თქმა უნდა, დათანხმდა. თვითონაც უნდოდა ენახა მებარჯის სტატობა.

მაშინ ნედ ლენდმა ისე ისახელა თავი, რომ ერთის მაგივრად ორი ვეშაპი განგმირა ბარჯით - ერთს პირდაპირ გულში გაუყარა, მეორეს კი ზურგიდან წამოეწია.

- თუ ის ცხოველი ჩვენს გემს მოაწყდა, თავდებად ვერ დავუდგები, რომ ნედ ლენდის ბარჯს დაუსლტეს, - გავიფიქრე.

ჩვენმა გემმა სწრაფად ჩაუარა ამერიკის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაპირებს.

3 ივლისს, მაგელანის სრუტის შესასვლელს მივაღწიეთ დევას კონცხის მახლობლად, მაგრამ კაპიტანმა არ მოინდომა ამ ვიწრო და მიხვეულ-მოხვეული გზით წასვლა და ჰორნის კონცხს გარს შემოუარა. ეს გადაწყვეტილება ეკიპაჟსაც მოეწონა. იმასაც ამბობდნენ, ასეთი ვიწრო სრუტეში ის უზარმაზარი ცხოველი ვერც გაეტევაო.

6 ივლისს, ნაშუაღამევს 3 საათზე, "აბრამ ლინკოლნმა" სამხრეთიდან თხუთმეტ კილომეტრზე შემოუარა ჰორნის კონცხს. ეს სახელი მას ჰორნიდიელმა მეზღვაურებმა დაარქვეს.

აქედან გეზი შევიცვალეთ და ჩრდილო-დასავლეთისკენ ვიბრუნეთ პირი.

მეორე დღეს ჩვენი გემი უკვე წყნარ ოკეანეში მისრიალებდა.

- ფხიზლად იყავით! - ამხევებდნენ ერთმანეთს მეზღვაურები.

სიმართლე უნდა ითქვას, არავის ჩასთვლემია, არავინ გაჩერებულა უსაქმურად. ყველა გაფაციცებით ზვერავდა და აკვირდებოდა ზღვის სივრცეს. რა თქმა უნდა, ჯილდოდ დაწესებულ 2000 დოლარსაც თავისი მომხიბლაობა ჰქონდა. მეზღვაურები წამითაც არ ასვენებდნენ არც თვალს, არც დურბინდებს. დღისით თუ ღამით ყველა ოკეანეს მისჩერებოდა. ბეცებსაც ფასი დაედო, ჯანსაღი მხედველობის პატრონთ შურდათ კიდეც მათი, რადგანაც ღამის სიბნელეში უკეთესად ხედავენ. მაშასადამე, შეიძლებოდა ჯილდო უფრო ადვილად მიეღოთ.

თუმცა ფულის დარდი არ მქონდა, მაგრამ გულმოდგინედ ზვერვაში არავის ჩამოვრჩებოდი: ხელდახელ ვსადილობდი, ზეზეურად თუ წავთვლემდი ცალი თვალით. ჩემთვის არც პაპანაქება იყო, არც თავსხმა, - გემბანს არ ვცილდებოდი.

რამდენი ტყუილუბრალო გულხეთქება გამოვიარეთ! სადმე თავის მოშავო ზურჯს ამოატივტივებდა ვეშაპი და ყველას ნერვიული ციებ-ცხელება აგვიტყდებოდა. ერთ წუთში მთელი გემბანი გაივსებოდა, ქვედა კაიუტებიდან

გრიგალივით ამოცვივდებოდნენ ოფიცრები და მეზღვაურები და ყველა ერთ წერტილს მიაჩერდებოდა. თვალთ გვიბნელდებოდა. გული აჩქარებით გვიცემდა, სუნთქვა გვეხუთებოდა. მე თურმე ისე ვაბრიალებდი თვალებს, რომ უშფოთველი კონსეიმაც კი აღელვებით მითხრა:

- პროფესორო, თვალებს ასე რომ არ ძაბავდეთ, მაშინ უფრო შორსაც დაინახავდით და გარკვევითაც.

ჩვენი გულხეთქება ფუჭი გამოდგებოდა ხოლმე. "აბრამ ლინკოლნი" ცხოველისკენ გაექანებოდა და უცებ ჩვენ თვალწინ ზღვის სირღმეში ჩაყვინთავდა ჩვეულებრივი ვეშაპი, რომელსაც ჩვენი წყრომა და შეჩვენება მისდევდა.

მშვენიერი ამინდი იდგა. მშვიდად მივცურავდით. სამხრეთის სფეროზე ივლისი ხომ ევროპის იანვარს უდრის. ზღვა გარინდულიყო და ირგვლივ არაჩვეულებრივი სანახაობა იშლებოდა.

ნედ ლენდი მაინც ჯიუტად ადგა თავის აზრს. თუ სადმე ვეშაპი არ ჩანდა, გემბანზეც არ ამოდიოდა. ზღვის დანახვაც კი ეზარებოდა. მისი საოცრად მახვილი თვალი კი დიდად გამოსადეგი იყო. ეს ჯიუტი კანდელი დღეში თორმეტი საათიდან რვა საათს კაიუტაში ატარებდა - ან ეძინა, ან კითხულობდა. ათასჯერ მაინც ვუსაყვედურე ასეთუ გულგრილობისათვის, მაგრამ ასე მპასუხობდა ხოლმე:

- თუ ასეთი ცხოველი ნამდვილად არსებობს, ძნელი დასაჯერებელია, რომ ჩვენ მას მივაგნოთ. ან როგორ მივაგნებთ? ჩვენ ხომ ალალბედზე მივცურავთ. ამბობენ, ის მხეცი წყნარ ოკეანეში უნახავთო. კეთილი და პატიოსანი, ვთქვათ, უნახავთ კიდც. მას შემდეგ ხომ ორი თვეა გასული: მერედა, ის მხეცი აქვე ზის სადმე და გველის? როგორც მისი "ონავრობის" ამბებიდან ჩანს, ერთ ადგილას გაჩერება არ ჰყავარებია, თვითონ არა ბრძანეთ, - არაჩვეულებრივად სწარაფად მოძრაობსო?! ჩემზე უკეთ მოგეხსენებათ, რომ ვისაც რაიმე ნიჭი აქვს მომადლებული, ტყუილუბრალოდ არა აქვს, ალბათ საქმეში გამოსაყენებლად სჭირდება. მაშასადამე, თუკი ცალკბილა სადმე ნამდვილად არსებობს, ჩვენ მის კვალსაც ვერ მივაგნებთ.

აღარ ვიცოდი, რა მეპასუხა. ჩვენ მართლაც ბრმებივით დავცურავდით ალალბედზე, მაგრამ სხვა გზა არ გვქონდა. ცხადია, შეუძლებელი იყო იმის მტკიცება, რომ ცალკბილას უსათუოდ წავაწყდებოდით სადმე, მაგრამ ჩვენს შორისმაინც არ მოიძებნებოდა მეზღვაური, რომელიც არ დადებდა სანაძლეოს, ცალკბილას ვერ მივაგნებთო. '

20 ივლისს თხის რქის ტროპიკს გავცილდით გრძედის 105"-ზე, ხოლო 27 ივლისს 110 მერიდიანზე ეკვატორი გადავჭრით.

აქედან გემი დასავლეთისაკენ გაბრუნდა და წყნარი ოკეანის შიდაზღვებში შეცურადა. კაპიტანი ფიქრობდა, და სამართლიანადაც - უმჯობესი იქნბოდა, ღრმა ადგილებში გვევლო, ხმელეთი და კულმულები შორს დაგვეტოვებინა, რადგან ეტყობა "მხეცი" ერიდებოდა ასეთ ადგილებს, - ალბათ იმისთვის, რომ თავთხელ წყალში ვერ იმართება! - განმარტა ბოცმანმა.

ჩვენმა გემმა შორიდან ჩაუარა პომოტი, მარკიზის და სანდვიჩის კუნძულებს, კირჩხიბის ტროპიკი გრძედის 132"-ზე გადასერა და ჩინეთის ზღვებისაკენ იბრუნა პირი.

ბოლოს იმ ადგილადე მივაღწიეთ, სადაც ცალკბილას "ონავრობა" ჩაუდენია. ცოდვა გამხელილი სჯობს, ყველანი ცოცხალ-მკვდრებს დავემსგავსეთ, გული გამალებით გვიცემდა და საშინელების მოლოდინში ადამიანებს აღარ ვგავდით. მე ვერც შევძლებ იმის აღწერას, თუ როგორ ნერვიულობდა მთელი ეკიპაჟი. არც ჭამა გვახსოვდა, არც ძილი. საშინელ გულისხეთქვასა და წამებას განვიცდიდით დღეში

ოცჯერ მაინც: ან თვალი მოატყუებდა ვინმეს, ან რომელიმე მეზღვაური უცაბედად ამოიოხრებდა, ან დაიყვირებდა რამეს... ასეთი განუწყვეტილი დაძაბულობა ნერვებს გვიშლიდა, ჯანს გვილევდა და მოქანცულობის სენით გვაავადებდა.

ასეც დაგვემართა. უკვე სამი თვე იყო (ყოველი თვე საუკუნედ იქცა ჩვენთვის), რაც "აბრამ ლინკოლნი" წყნარი ოკეანის წყლებში აქეთ-იქით აწყდებოდა, დაძრწოდა: ყოველი მიმართულებით გადასერა ეს სივრცე ცალკბილას დევნაში, ხან ერთი მხრიდან მეორისკენ იზამდა პირს, ხან მიტრიალდებოდა, მოულოდნელად შეჩერდებოდა, ისევ მიუხვევდა, გეზს იცვლიდა. ხან უმატებდა სვლას, ხან უკლებდა; ამგვარი ხეტიალით შეიძლება ისედაც საფრთხეში აღმოვჩენილიყავით.

იაპონიის ნაპირებიდან ამერიკამდე მთელი ოკეანის სივრცეც დაწვრილებით გამოვივლიეთ, მაგრამ ამაოდ. არაფერი გვინახავს თვალუწვდენელი, უსაზღვრო ზღვის გარდა. ვერსად ვნახეთ რაიმე ნიშანწყალი ცალკბილას მსგავსისა, არ წყალქვეშა კლდე, არც გემის ნამსხვრევები, არც მცურავი კუნძული ან ბორცვი.

ერთი სიტყვით, არაჩვეულებრივი და ზებუნებრივი არაფერი ჩანდა.

ყელას მოწყენილობა დაეტყო, ეჭვმა დაიბუდა გულში. "აბრამ ლინკოლნზე" სასოწარკვეთამ მოიკიდა ფეხი. ერთმანეთში არეულიყო სირცხვილისა და სიბრაზის გრძნობა. რცხვენოდათ, რომ ასე გაწბილდნენ, ჭორებს აჰყვნენ. აუტანელი იყო ეს გრძნობა, მაგრამ უფრო ძნელი ასატანი გახლდათ იმედის გაცრუება.

ადამიანი მუდამ დაუდევარია, ცვალებადი, ერთი უკიდურესობიდან მეორში ადვილად ვარდება. ახლაც ასე მოხდა. ექსპედიციის ყველაზე უფრო გულმურვალე და მგზნებარე მომხრენი ახლა მისი წინაღმდეგნი გახდებიან. ასეთი სულისკვეთება მოედო გემის ერდოებს, მეღუმელეთა სკამებს, ოფიცერთა კაიუტებს.

კაპიტან ფარაგუტს ჯიუტი ხასიათი რომ არ ჰქონოდა, გემი უსათუოდ სამხრეთისაკენ იბრუნებდა პირს.

მაგრამ ბოლოს და ბოლოს, კაპიტნის სიჯიუტეც გატყდა. "აბრამ ლინკოლნის" ეკიპაჟი თავის თავს ვერაფერში დასდებდა ბრალს. ან კი რაში უნდა დადო ბრალი, რაც შესაძლებელი იყო, ყველაფერი შეასრულეს. ასეთი მოთმიენბა და გულმოდგინება ამერიკული ფლოტის მეზღვაურებს არასოდეს ახსოვთ. მაგრამ თუ ყოველივე ცდამ უნაყოფოდ ჩაიარა, რა იმათი ბრალია? მათ პირნათლად შეასრულეს თავიანთი მოვალეობა. ამაზე მეტის გაკეთება შეუძლებელი იყო. მაშასადამე, ერთიღა დარჩენოდათ - შინ დაბრუნება.

სწორედ ასე მოახსენეს კაპიტანს. კაპიტანმა ფარაგუტმა კი ეს ამბავი ძალიან შორს დაიჭირა. იგი თავის აზრზე მტკიცედ და ჯიუტად იდგა. მეზღვაურებს არ მოსწონდათ კაპიტნის ასეთი სიჯიუტე, უკმაყოფილეას აღარ ფარავდნენ და ნაძალადევად მუშაობდნენ.

მართალია, გემზე აშკარა ამბოხება არ მომხდარა, მაგრამ კაპიტანს რომ კეთილგონიერება არ გამოუჩენია და ზომიერების ფარლგებს გასცილებოდა, მაშინ ვინ იცის, რა მოხდებოდა. ბოლოს სამი დღის ვადა ითხოვა, როგორ თავის დროზე, ქრისტეფორე კოლუმბმა. თუ ამ სამ დღეში "მხეცი" არსად გამოჩნდა, მაშინ მესაჭე სამჯერ მიატრიელებს საჭეს და "აბრამ ლინკოლნი" პირს ევროპის ზღვებისკენ იბრუნებსო.

დაპირება 2 ნოემბერს გამოცხადდა. ამ ამბავმა ერთაშად გამოაცოცხლა და გაახალისა გემის ეკიპაჟი. ისევ გულმოდგინედ დაიწყეს ზღვის ზღვერვა. ისევ გაშმაგებით ეცნენ დურბინდებს. ეს იყო უკანასკნელი გამოწვევა "მხეცისა".

ორმა დღემგანვლო. "აბრამ ლინკოლნი" ნელი სვლით მიცურავდა და ათასგვარი საშუალებით ცდილობდა გაეღვიძებინა, აემოძრავებინა "მხეცი", თუკი მახლობლად

იმყოფებოდა სადლმე.დიდრონ ქონის ნაჭრებს გრძელი თოვით უშვებდნენ ზღვაში. ქონს კი სიამოვნებით სანსლავდნენ ზღვის ღორეი. მეზღვაურები ნავებით მოედნვნე. ყველა მხარეს "მხეცის" საძებნელად.

4 ნოემბრის საღამოც მოახლოვდა, მაგრამ ზღვის საიდუმლოება ისევ ამოუხსნელი რჩებოდა. დაპირებული ვადა მეორე დღეს თავდებოდა. 5 ნოემბერს, სწორედ შუადღის 12 საათზე, კაპიტანს თავისი სიტყვა უნდა შეესრულებინა: გაუსწორდებოდა საათის ისრები 12-ს თუ არა, გემს სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ უნდა ექნა პირი და წყნარი ოკეანე მიეტოვებინა.

მაშინ ჩვენი გემი იმყოფებოდა ჩრდილოეთ განედის $31^{\circ}15'$ -სა და აღმოსავლეთ გრძედის $136^{\circ}42'$ -ზე. იაპონიის კუნძულებს 200 მილით ვიქენებოდით დაშორებული.

ღამდებოდა, საათის 8 საათი იყო. მთვარეს სქელი ნისლი ფარავდა. ზღვა წყნარად და მშვიდად ირწეოდა.

გემბანის კიჩოზე ვიდექი. კონსეი გვერდით მედგა, სივრცეს გასცეროდა. გემის ეკიპაჟი კვლავ გულმოდგინედ აკვირდებოდა ჰორიზონტს, რომელიც თანდათან შავდებოდა და ვიწროვდებოდა. ოფიცრებს ღამის დურბინდები მოემარჯვებინათ. როდესაც მთვარე ღრუბლებში გამოაპარებდა სხივებს. ჩაკუპრული ოკეანე დროდადრო გაბრწყინდებოდა და ისევ წყვდიადში იკარგებოდა.

კონსეის გადავხედე. მომეჩვენა, თითქოს ისიც ამ ბოლო დროს გამოცოცხლებულიყო. ვინ იცის, იქნებ სიცოცხლეში პირველად გაიღვიძა მასში ცნობმისმოყვარეობამ.

- აბა, კონსეი, დღეს უკანასკნელი შანსია 2000 დოლარის მიღებისა.

- თუ პროფესორი ნებას მიბომებს, მოვახსენებდი, რომ თავის დღეში არ მიფიქრია ამ ჯილდოს მიღებაზე და ამერიკის მთავრობას ორი ათასი კი არ ასი ათასი დოლარიც რომ დაენიშნა ჯილდოდ, ჩემგან არ იზარალებდა.

- მართალი ხარ, კონსეი! სისულელეა და ჩვენც ტყუილუბრალოდ წინდაუხედავად ჩავებით ამ საქმეში. რამდენი ძვირფასი დრო დავკარგეთ უაზროდ! რამდენი ნერვიულობა და მღელვარება გამოვიარეთ! აქამდე ხომ საფრანგეთში ექვსი თვის მისულები ვიქენებოდით...

- ბატონი პროფესორის ბინაში, - სიტყვა ჩამომართვა კონსიემ, - პარიზის მუზეუმში! ზღვის ბაჭიაც გალიაში გვეყოლებოდა ბოტანიკურ ბაღში, ცნობისმოყვარები მოაწყდებოდნენ სანახავად.

- მართალი ხარ, კონსეი, მართალი! ახლა კი, სხვა უსიამოვნების გარდა, დაგვცინებენ კიდეც.

- მართლაც, მე მგონია, პროფესორი იმას მოიმკის, რაც დათესა...

- ნუთუ მართლა?

- რა თქმა უნდა! მეცნიერ ადამიანს, ისიც პროფესორს, არ შეშვენის ასეთი ამჩატ...

კონსეის სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ საერთო სიჩუმეში მოულოდნელად გაისმა ნედ ლენდის ყვირილი:

- არიქა! ცხოველი გამოჩნდა ჩემ პირდაპირ!

თავი VII

ძლიერს

ამ ყვირილზე მთელი ეკიპაჟი ნედ ლენდისკენ გაექანა: კაპიტანი, ოფიცრები, მეზღვაურები, იუნგები, ცეცხლფარებიც კი გემბანზე გაჩდნენ. კაპიტანმა ბრძანა,

გემი გაეჩერებინათ. ირგვლივ სრული სიბნელე ჩამოწოლილიყო. გაოცებული ვიყავი, ამ უკუნეთში, თუნდაც თავისი გამჭრიახი თვალით როგორ გაარჩია რაიმე კანადელმა... ან სახელდობრ რა დაინახა?

გული ისე მიცემდა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას ლამობსო.

"აბრამ ლინკოლნიდან" ორი კაბელტოვის მოშორებით, ზღვას თითქოს წყლის სიღრმიდან ეფინებოდა სინათლე. ეს შუქი ფოსფორულ სინათლეს არ ჰგავდა.

"მხეცი" თანდათანობით ზევით იწევდა და რამდენიმე ტუაზის სიღრმეზე იქნებოდა ზღვის ზედაპირიდან. სწორედ ის გამოსცემდა ისეთ შუქს, რომელსაც თავიანთ მოხსენებებში აღნიშნავდნენ გემის კაპიტენები.

დიდი რამ იყო ეს სხივთაფენა! თითქოს მას საოცარი მანათობელი ძალა გამოსცემდა. ამ შუქის გასწვრივ ზღვის ზედაპირზე მოგრძო წრე ისახებოდა.

- ეს ხომ ფოსფორესცირებული ორგანიზმების გროვაა, - განმარტა ერთმა ოფიცერმა.

- არა! - შევეპასუხე ღრმად დარწმუნებულმა, - ეს არის ელექტრონული თვისების სინათლე... უცქირეთ... უცქირეთ კარგად, ადგილს ინაცვლებს, ჩვენსკენ გამოექანა!

გემზესაერთო შეკივლება გაისმა.

- სმენა! - გასცა ბრძანება კაპიტანმა ფარაგულმა, - მესაჭევ!

ყველანი თავ-თავიანთ საქმეს ეცნენ: მესაჭენი - საჭეს, მემანქანენი - მანქანებს, ცეცხლფარესები - საორთქლე ქვაბებს....

გემმა სვლას უკლო და ნახევრი რკალი შემოხაზა.

კაპიტანმა დაიძახა:

- საჭე მარჯვნივ!... წინ!.. - გემი მანათობელ საგანს გაერიდა. არასწორად ვერ გამოვთქვი: ჩვენი გემი ცდილობდა სწრაფად გარიდებოდა ცხოველს, მაგრამ ეს უცნაური მხეცი უფრო მეტი სისწრაფით დაედევნა მას... საცაა წამოეწეოდა კიდეც.

ცოცხალ-მკვდრებს დავესმგავსეთ. შიშისა და განციფრებისაგან ერთ ადგილზე მუნჯებივით გაქვავებულები დავრჩით... ცხოველი კი ლაღი სრიალით გვიახლოვდებოდა.. ჩვენს გემს გარს შემოუარა, თუმცა "აბრამ ლინკოლნი" საათში თოთხმეტი კვანძის სისწრაფით მიქროდა. ცხოველმა თავისი ელექტრონული სხივების შუქში გაგვხვია, მერე ერთბაშად გაგვერიდა სამიოდე მილის მანძილზე. უკან გაბრუნებული გზადაგზა ტოვებდა ბლუჯა-ბლუჯა ორთქლის ქულას, თითქოს ჩქარი მატარებლის ორთქლმავალიაო...

მაგრამ ცხოველი კვლავ ამოძრავდა და ჩვენსკენ საშინელი სისწრაფით გამოექანა... რამდენიმე წუთის შემდეგ, ოციოდე ფუტის მოშორებით, უცებ შედგა და მერე ერთბაშად ჩაქრა. მაგრამ ტალღებში როდი ჩამალულა, რადგანაც მისი შუქი თანდათანობით კი არა, ერთბაშად ჩაქრა, თითქოს სინათლის ჯადოსნური სათავე დაეხმოო.

ცხოველი ახლა თურმე მეორე მხრიდან მოგვექცა, ალბათ გარს შემოგვიარა, ან გემის ქვეშ გაცურა.

წუთი წუთზე მოსალოდნელი იყო შეტაკება, რომელიც ჩვენვის საბედისწერო იქნებოდა. "აბრამ ლინკოლნის" მოძრაობა და მანევრები უკვე მაოცებდა. ისე გამოდიოდა, თითქოს მას მისდევდნენ მაშინ, როცა თვითონ უნდა გამოსდევნებოდა.

ჩემი აზრი კაპიტანს გავუზიარე.

ჩვეულებრივად უშფოთველი მისი სახე ამჟამად უსაზღვრო განციფრებას გამოხატავდა და მიპასუხა:

- პროფესორო არონაკს, ვერ გამიგია, რომელ არაჩვეულებრივ ურჩხულთან გვაქვს საქმე. ამ სიბნელეში არ მინდა გავიმეტო ან შევუტიო მას, რომლის შესახებაც არავითარი წარმოდგენა არა მაქვს. ურჩხულმა რომ შემოგვიტიოს, არც ის ვიცი, როგორ მოვიგერიო. სჯობს დავიცადოთ, განთიადს დაველოდოთ... მერე კი ჩვენი როლები შეიცვლება!

- აღარ ეჭვობთ, რომ ეს მძლავრი ცხოველია?
- არა!... ყველა ნიშანზე ეტყობა, რომ ეს უნდა იყოს ბუმბერაზი ცალკბილა ურჩხული, ამავე დროს, ელექტრონულიც!
- იქნებ ახლოსაც არ მიგვიკაროს, როგორც ელექტრონულმა?
- ვინ იცის, შესაძლოა, - მიპასუხა კაპიტანმა, - მით უმეტეს, თუ მას შეუძლია მეხის გამოწვევა. უნდა გამოგიტყდეთ, რომ ცალკბილა თუ ურჩხული უსაშინლესი ცხოველი ყოფილა მთელი დედამიწის ზურგზე... ამიტომაც დიდი სიფრთხილე გვმართებს.

მთელი ღამე თვალი არავის მოუხუჭავს, ან კი ძილი ვიღას ახსოვდა. რაკი "აბრამ ლინკოლნი" დარწმუნდა, რომ სიჩქარით საშინელი ურჩხულს ვერ გაუტოლდებოდა, სვლას უკლო და ნელა მიცურავდა. თითქოს ცალკბილაც ბაძავსო, არხეინად ქანაობდა ტალღებზე. ეტყობოდა, არც ფიქრობდა ბრძოლის ველის დატოებას.

შუალამისას ურჩხული სადღაც გაგრა, ან უფრო სწორად რომ ვთქვათ, "ჩაქრა", როგორც უზარმაზარი ციცინათელა.

ნუთუ გაგვერიდა, თავს უშველა?
ესეც საფიქრებელი იყო.

მაგრამ პირველ საათს შვიდი წუთი რომ აკლდა, მოულოდნელად ისეთი გამაყრუებელი სტვენა და შეუილი შემოგვესმა, თითქოს უჩვეულო სიმძლავრით წყლის შადრევანმა ამოხეთქაო.

ამ დროს გემბაზზე ვიდექით; კაპიტანი ფარაგუტი, ნედ ლენდი და მე. გაფაციცებით გავყურებდით ირგვლივ ჩამოწოლილ უკუნეთს.

- ნედ ლენდ, ხშირად გინახავთ, ვეშაპი რომ შადრევანივით წყალს უშვებდეს? - დაეკითხა კაპიტანი.

- ძალიან ხშირად, კაპიტანო, მაგრამ ისეთი ვეშაპი, რომლის ერთი დანახვაც ორი ათას დოლარს იძლევა, ჩემს დღეში არ მინახავს.

- დიახ, მართალი ხართ, მართალი! ჯილდო თქვენია! მითხარით, გეთაყვა, როდესაც ჩვეულებრივი ვეშაპი ნესტოებიდან შადრევანს აფრქვევეს, ასეთ ხმას გამოსცემს?

- დიახ, სწორედ ასეთს. თუმცა, ეს შხეფი უფრო მძლავრია, ღონიერი, ახლა ეჭვი აღარაა, რომ ჩვენ შემოგვიერთდა "ვეშაპის მსგავსი ცხოველი", როგორც პროფესორი ბრძანებს ხოლმე, ნამდვილად სერიოზული საქმეა! კაპიტანო, თუ ნებას მომცემთ, განთიადისას გამოველაპარაკები მაგ "ვეშაპს".

- რა თქმა უნდა, ნედ, თუ ვეშაპის მსგავსმაც მოისურვა თქვენი მოსმენა, - ჩავურთე მე.

- ჩემი ბარჯით თუ მივეპარე, მეტი რა გზა აქვს, რომ არ მომისმინოს! - მიპასუხა კანადელმა.

- მერე, როგორ მიეპარებით? ალბათ საჭირო ინქება ვეშაპზე სანადირო ნავის ჩაშვება? - დაეკითხა ფარაგუტი.

- რა თქმა უნდა!

- მაშასადამე, საფრთხეში ჩააგდებთ მეზღვაურების სიცოცხლეს?

- მარტო მათს კი არა, ჩემს სიცოცხლესაც!... - ისე იოლად თქვა კანადელმა, თითქოს ჩვეულებრივ ამბავზე ლაპარაკობსო.

ღამის ორი საათი იქნებოდა, როცა მანათობელი წერტილი კვლავ გამოჩნდა. ისეთივე კაშაშა სინათლეს ჰყენდა, როგორც პირელად. "აბრამ ლინკოლნიდან" ხუთიოდე მიღის მანძილზე დახურავდა. პირქარი იყო. ქარის ზუზუნსადა ზღვის ბორგვაში, მანძილის მიუხედაად, გარკვევით ისმოდა მისი მოქნეული ბოლოს ტალღებზე თხლაშუნი, აჩქარებული ქშენაც კი. ზღვის ზედაპირზე ჰაერის ჩასასუნთქად ამოტივტივდებული ცხოველის ფილტვებში ისეთი ხრიალით შედიოდა ჰაერი, როგორც უზარმაზარ მანქანის ცილინდრში ორთქლი. გათენებამდე თვალი არავის მოუხუჭავს, მიყურადებული ვიყავით. ყოველ წუთს მოველოდით ბრძოლის დაწყებას. რაც კი რამ სამებადურო ხელსაწყო და იარაღი გვქონდა, გემბანზე მოვათავსეთ. გატენეს ბარჯმტყორცნი, რომელიც ბარჯს ერთ მილზე ისროდა. გრძელი თოფის ისეთი მსკდომარე ტყვიებით დატენეს, რომლებიც ყველაზე ღონიერ ცხოველებსაც კი სულს გააფრთხობინებენ.

ბარჯმომარჯვებული ნედ ლენდი გემბანზე იდგა. მის ხელში ბაჯი სხვა ბევრად უფრო ძლიერ მომაკვდინებელ იარაღს არ ჩამოუვარდებოდა.

ექვს საათზე ირიურავა. განთიადის პირველ სხივებზე ერთბაშად ჩაქრა ცალკბილას ელექტრონული სინათლე. შვიდ საათზე თითქმის გათენდა. მაგრამ დილის ნისლი გადაჰკვროდა ჰორიზონტს და თვით საუკეთესო დურბინდითაც ვერაფერს გაარჩევდა ადამიანის თვალი.

ყველანი წყევლას უთვლიდნენ ჩამოწოლილ ნისლს.

ერთ-ერთ ანძაზე ავფოფხდი. ზოგიერთი ოფიცერი უკვე ანძების კენწეროებს მოჰქცეოდა.

რვა საათზე ნისლი ზღვის ტალღებს შეერია და ნელ-ნელა დაძირა ზევით... ცის კაბადონი თანდათან ფართოვდებოდა და ბოლოს მთლიანად მოიწმინდა.

უცებ გუშინდელივით შემოგვესმა ნედ ლენდის ყვირილი:

- არიქა! ... გამოჩნდა მხეცი! გემის მარცხნივ!...

ყველამ იქით გაიხედა.

დაახლოებით ერთი მიღის მანძილზე მოცურავდა გრძელი, მოშავო სხეული... ისეთი ძალით ატყლაშუნებდა კუდს ტალღებზე, რომ ზღვის ზედაპირი თეთრად ქაფდებოდა... ცხოველის კვალი თვალისმომჭრელ უზარმაზარ მოთეთრო ზოლად ეფინებოდა ზღვას და მის ზედაპირზე მოგრძო სხეულის კონტური ისახებოდა.

ჩვენი გემი ცხოველს უახლოვდებოდა. გაფაციცებით შევყურებდი. ოდნავ გაზვიადებულადაც მომეჩვენა ადრინდელ მოხსენებაში აღწერილი ამ ცხოველის სიდიდე. ჩემი დაკვირვებით, 250 ფუტზე მეტი არ იქნებოდა, სიგანე ზუსტად ვერ დავადგინე. ეს ცხოველი საოცრად სიმეტრიული მოყვანილობის ჩანდა.

სანამ მის თვალიერებაში ვიყავი, ნესტოებიდან ორ ტოტად ამოუშვა ორთქლი და წყალი, რომელიც შადრევანივით სცემდა 40 მეტრის სიმაღლეზე. მაშინ მივხვდი, თუ როგორ სუნთქავდა და დავასკვენი, რომ იგი ეკუთვნოდა ხერხემლიანთა გვარს.. ძუძუმწოვართა კლასს... ორპარკუჭიანთა ქვეკლასს... ვეშაპის მსგავსთა წყებას...

ეკიპაჟი მოუთმენლად ელოდა კაპიტნის ბრძანებას. კაპიტანი დიდხანს გულდასმით აკვირდებოდა ცხოველს და შემდეგ მექანიკოსს ჩასმახა!

- ორთქლი გაჩაღებულია?

- არის!

- კეთილი, ცეცხლს უმატეთ! მთელი სისწრაფით წავალთ!

თავი VIII

დევნა

ამ განკარგულებაზე სამჯერ შესძახეს "ვაშა". ორიოდე წუთის შემდეგ, "აბრამ ლინკოლნის" საკვამლე მიღებიდან ბღუჯა-ბღუჯა შავი ბოლი ამოვიდა დ გემბანზე ზანზარი დაიწყო.

"აბრამ ლინკოლნი" მხეცისკენ დაიძრა.

მან კი გულდამშვიდებით მიგვიახლოვა ნახევარი კაბელტოვის მანძილზე. შემდეგ კი აუჩქარებლად, წყალში ჩაუყვინთავად გაგვერიდა. "აბრამ ლინკოლნი" სწრაფად დაედევნა.

თითქმის საათი უშედეგოდ სდია: ცხადზე ცხადი იყო, მთელი საუკუნეც რომ გვედევნა, მაინც ვერ დავეწეოდით.

კაპიტანი ფარაგუტი სიბრაზისაგან ხშირ წვერს იგრეხდა.

- ნედ ლენდ! - დაიმახა კაპიტანმა. - რას იტყვით? ნავების ჩაშვების დრო არ არის?
- არა კაპიტანო, ვერ გირჩევთ! როგორც ვატყობ, მისი ხელში მოგდება მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ თვითონაც მოისურვებს.
- მაშ, როგორ მოვიქცეთ?
- სვლას ვუმატოთ, რაც შეიძლება. მე კი, თუ ნებას დამრთავთ, რომ წამოვეწევით ბარჯს ვტყორცნი.

-წადით, ნედ, სადარაჯოზე დადექით, - უპასუხა კაპიტანმა და განკარგულება გასცა, უდიდესი სიჩქარით წაეყვანათ გემი.

ნედ ლენდი სადარაჯოზე დადგა. ცეცხლი გააძლირეს. ორთქლს უმატეს. ბორბალი ახლა წუთში ორმოცდასამჯერ ბრუნავდა. ორთქლი მიღის ხუფს შხუილით ეხეთქეოდა. ზღვაში გადაისროლეს სვლის საზომი ლანგი. აღმოჩნდა, რომ გემი საათში თვრამეტ-ნახევარი მიღის სიჩქარით მიდიოდა.

მაგრამ ის წყეული ცხოველიც ასეთივე სისწრაფით მისრიალედა ჩვენ წინ!

კიდევ ერთი საათი ვდიეთ, მაგრამ ჩვენ შორის მანძილი ერთი მეტრითაც ვერ შევამცირეთ.

ამერიკული ფლოტის საუკეთესო სწრაფმავალი სამხედრო გემი როგორ აიტანდა ასეთ დამცირებას! ეკიპაჟი გაშმაგდა, მეზღვაურები წყევლა-კრულვას უთვლიდნენ ცხოველს.

კაპიტანი ახლა კი აღარ იგრეხდა წვერს, არამედ იკვნეტდა.

მექანიკოსს ჩასძახა:

- ორთქლი მთლიანადაა მიშვებული?
- არის!
- ატმოსფერო რამდენია?
- ექვს-ნახევარი.
- ათამდე ავიდეს!

ეს ნამდვილი ამერიკული განკარგულება იყო!

გვერდით კონსეი მედგა და ჩაილაპარაკა:

- იცი, მეგობარო, ყოველ წუთს აფეთქება გველის.
- რა გაეწყობა! - მიპასუხა მან.

გულწრფელად მოგახსენებთ, რომ სრულიადაც არ მანაღვლებს ეს მდგომრეობა: ამგვარი საბედისწერო ნაბიჯი ჩემს ხასიათს სავსებით შეეფერებოდა.

ორთქლი მძლავრად მიუშვეს. ღუმელები ქვანახშირით გამოეტენათ. ვენტილატორებიდან ჰაერი ნიაღვარივით ეცა გავარვარებულ ნახშირს. "აბრამ ლინკოლნმა" სვლას უმატა, ანძის ძირიც კი ზანზრებდა. საკვამლე მილები მოზღვავებული კვამლის ბლუჭა გორგალს ძლივსლა იტევდა.

- რა სიჩქარეა? - იკითხა კაპიტანმა.
- ცხრამეტი მთელი და სამი მეათედი მილი, კაპიტანო!
- უფრო სწრაფად!

მექანიკოსმა მორჩილად შეასრულა ბრძანება, მაგრამ ალბათ ცხოველმა "უმატა ორთქლს" და ისიც ასეთივე სისწრაფით გარბოდა.

დიდებული სანახავი იყო ეს დევნა!

ჩემს მღელვარებას ვერ აგიწერთ!

ბარჯმომარჯვებული ნედ ლენდი სადარაჯოზე იდგა.

ცხოველმა რამდენჯერმე მიგვიშვა ახლოს.

- არიქა, წამოვეწიეთ! ... დავეწიეთ!... - ყვიროდა კანადელი, მაგრამ რაწამს ბარჯის ტყორცნას დაუპირებდა, ცხოველი ელვასავით მიიწევდა წინ საათში ოცაადი მილის სისწრაფით.

ერთხელ კი ასეთი გამწარებული დევნის დროს, ჩვენ გარშემო ისეთი წრე შემოავლო, თითქოს მასხარად გვიგდებსო და ისევ წინ გასრიალდა.

სიბრაზის ყვირლი აღმოხდა ყველას. შუადღისას ჩვენი გემი იმავე მანძილით იყო ცხოველისგან დაშორებული, როგორც დილის რვა საათზე.

კაპიტანმა სხვა ხერხს მიმარტა.

- ეგ წყეული "აბრამ ლინკოლნზე" სწრაფად მიცურავს. არ გაეწყობა! აბა, ვნახოთ, როგორ წაუვა ჩვენს ძაბრა ყუმბარებს! - თქვა და ბრძანა:

- გაიტენოს წინა ზარბაზანი!

ზარბაზანი თავლის დახამხამებაში გატენეს, ცხოველი ნიშანში ამიღეს, გაისროლეს. ყუმბარა რამდენიმე ფუტის სიმაღლეზე თავს გადაევლო ცხოველს, რომელიც ახლა ნახევარი მილის მანძილზე იქნებოდა ჩვენგან.

- სხვამ გატენოს! უფრო მარჯვე! - ბრძანა კაპიტანმა და დაამატა: - ხუთასი დოლარი იმას, ვინც განგმირავს ამ წყეულს!

ცივი, მშვიდი სახის ჭაღარაშერეული მეზარბაზნე ზარბაზანს მიუახლოვდა - მისი სახე ახლაც თვალწინ მიდგას - გატენა, დიდხანს უმიზნა, ზარბაზანმა იჭექა, მის ჭექას შეუერთდა მეზღვაურების წყევლა-კრულვაც!

ყუმბარა მარჯვედ იყო ნასროლი. მოხვდა კიდეც მიზანში, მაგრამ ცხოველის ზურგიდან ასხლტა და ორიოდე მილის მოშორებით ზღვაში ჩავარდა.

ძველ მეზარბაზნეს სიბრაზისაგან სახე შეეშალა.

- ჭირმა გაგხეთქოს! - ჩაილაპარაკა თავისთვის, - ეს წყეული ჯავშნიანი თუა... ჯავშანი ექვს დუიმზე ნაკლები არ უნდა ჰქონდეს.

- შევენებული!... - შეჰყვირა კაპიტანმა, -წინ! მთელი სიჩქარით.

იერიში დაიწყო.

კაპიტანი ჩემკენ გადმოიხარა და ჩამჩურჩულა:

- იქამდე ვდევ, სანამ გემი არ გასკდება!

- ასეც უნდა! მართალი ხართ! ასე უნდა მოიქცეთ, - ვუპასუხე.

საფიქრებელი იყო, რომ ცხოველი მოიქანცებოდა და დაღლილობას ვერ გაუძლებდა, რა თქმა უნდა, გემთან შედარებით, მაგრამ ამაოდ. საათი საათს მისდევდა, ცხოველს კი დაღლილობისა არაფერი ეტყობოდა.

"აბრამ ლინკოლნის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ წარმოუდგენელი შეუპოვრობით იბრძოდა. ჩემი აზრით, იმ უბედო დღეს, 6 ნოემბერს, "აბრამ ლინკოლნი" 500 ვერსს მაინც გაივლიდა.

მაგრამ დამემ მოგვისწრო, ოკანეს ბნელი ზეწარი გადაეფარა.

- ეპე, - გავიფიქრე გულში, - ახლა კი დასრულდა ჩვენი ექსპედიცია! ამ ცხოველს თვალითაც ვეღარსად დავინახავთ... მაგრამ მოვტყუვდი.

ღამის 10 საათსა და 50 წუთზე ისევ გამოჩნდა ელექტრონის შუქი სამი მილის მოშორებით, ისეთივე სუფთა და ძლიერი, როგორიც ჩინა ღამეს...

ცხოველი არც კი ინძრეოდა. ვინ იცის, იქნებ დღევანდელი სირბილით ქანცგამოლეული ტალღებზე ირწეოდა და თვლემდა.

ამ შემთხვევამ იმედი მოგვცა. კაპიტანმა გადაწყვიტა კიდევ ერთხელ ეცადა ბედი. შესაფერისი განკრგულებანი გაიცა. "აბრამ ლინკოლნი" ნელი სვლით, ფრთხილად უახლოვდებოდა ცხოველს. ხშირად მომხდარა, რომ გულისძილში მყოფ ვეშაპს ადვილად მიჰპრვიან მებადურები. ნელ ლენდს რამდენიმე ასეთი მძინარე ვეშაპი გაუგმირავს თავის ბარჯით.

მებარჯე სადარაჯოზე იდგა.

გემი უხმაუროდ მიცურავდა, ცხოველს ორი კაბელტოვის მანძილზე მიუახლოვდა.

ყველას შეუჩერდა გულის ცემა, სუნთქვა შეეკრათ.

გემბანზე საშინელი სიჩუმე ჩამოვარდა. ასიოდე ფუტის მანძილზე ვიყავით ელექტრონული შუქისმფენი ცხოველისაგან.

შუქი თანდათან ძლიერდებოდა და თვალს გვჭრიდა. გემბანიდან გადავცექეროდი ნედ ლენდს, რომელსაც ბარჯი სასროლად აღემარტა.

ოციოდე ფუტილა აშორებდა გემს ცხოველისაგან.

ნედ ლენდმა უცბად ხელი წინ გაჰკრა და ბარჯი სრიალით გაფრინდა.

გავიგონე როგორი ჟღარუნით დაეძერა ბარჯი ცხოველს, თითქოს რაიმე ლითონის სხეულს დაეჯახაო. ელქტრონი მყისე ჩაქრა. ცხოველმა ორი უშველებელი წყლის ჭავლი ნიაღვარივით გადმოისროლა ჩვენს გემბანზე.

გემის საშინელ რყევაზე დავბარბაცდი, თავი ვეღარ შევიმაგრე და ნიაღვარმაც ზღვაში გადამტყორცნა.

საბედნიეროდ, კარგად ვცურავ, მოულოდნელმა ჩაყვინთვამ გამაშეშა, მაგრამ გონება არ დამიკარგავს.

რყევის ძალამ ოციოდე ფუტის სიღრმეზე ჩამაქანა. როგორც მოგახსენეთ, კარგი მოცურავე ვარ, არ დავიბენი, ფეხები ავამუშავე და ზედაპირზე ამოვცურე.

ჩემი პირევლი ფიქრი ის იყო, გემს დავინახავდი თუ არა. შემდგომ კი ერთმანეთს მიეჯარა კითხვები: შეიტყვეს თუ ვერა ჩემი გადმოვარდნა? ჩემკენ შემობრუნდა თუ არა "აბრამ ლინკოლნი"? კაპიტანმა ნავები ჩამოაშვებინა თუ არა? გადარჩენის იმედი უნდა ვიქონიო თუ არა?

გარშემო წყვდიადი სუფევდა.... ბურუსში ბუნდოვნად გავარჩიე სქლად ჩაშვებული მოძრავი საგანი, რომელიც აღმოსალეთისკენ იკარგებოდა.

ის იყო ჩვენი გემი.

მაშ, დავღუპულარ!

-მიშველეთ! მიშველეთ! - და "აბრამ ლინკოლნის" კვალს ცურვით გავედევნე. ტანისამოსი ისე მიმეკრა სხეულზე, რომ ხელ-ფეხი შემეკრა.

ვიძირები, სუნთქვა მეკვრის...

- მიშველეთ!

ეს იყო ჩემი უკანასკნელი ამოძახილი. პირი წყლით ამევსო. ვიბრძვი, მაგრამ უფსკრული მითორევს.

უცებ თანსაცმელზე მძლავრად მომკიდეს ხელი და ზედაპირზე ამათრიეს.

ვიცანი კონსეი იყო.

- შენ ხარ?! შენ?!

- მე გახლავართ! - მიპასუხა კონსეიმ, - მზადვარ, გემსახუროთ!

- მაშ, შენც, ზღვაში გადმოგისრიალა ტალღამ?

- არაფერს არ გადმოვუსროლივარ. თქვენ რომ გადმოვარდით, მეც მაშინვე გადმოვეშვი. თქვენ განსაცდელში იმყოფებოდით და მეც თქვენთან უნდა ვყოფილიყავი!...

ამას ისე ამბობდა კონსეი, თითქოს ჩვეულებრივი ამბავი მომხდარიყოს.

- გემი?!

- გემი?! უმჯობესია, მისი იმედი აღარ ვიქონიოთ. სწორედ იმწუთას, ზღვაში რომ ვხტებოდი, ყვირილი ისმოდა: "საჭე გატყდა!", "ჭახრაკი გატყდა!"

- საჭეც? ჭახრაკიც?

- დიახ! ცხოველმა კბილებიტ დაღრნა! "აბრამ ლინკოლნს" სხვა არაფერი დაზიანებია: ეგ არის, რომ თავისუფლად აღარ შეუძლია მოძრაობა, თავისი სურვილის მიხედვით, მაშასადამე ჩვენზეც ვერ იზრუნებს.

'- მაშ, ვიღუპებით! ვიღუპებით, არა?

- იქნებ, დავიღუპოთ კიდეც, - დინჯად მიპასუხა კონსეიმ, - თუმცა, ჯერ რამდენიმე საათი კიდევ არის ჩვენს განკრგულებაში.. რამდენიმე საათში კი ზოგჯერ ბევრ რამეს მოასწრებს ადამიანი.

კონსიეს უშფოთველი სიდინჯე და გულგრილობა მე გადმომედო, მხნეობა მომემატ. მივცურავდი, მაგრამ ცურვა თანდათან მიძნელდბოდა, რადგანაც სხეულზე მიკრული ტანისამოსი ბარწუხებივით მბორკავდა. წყლის ზედაპირზე თვს ძლივძლივობით ვიმაგრებდი.

კონსიემ შეამჩნია ეს.

- ნება მიბოძეთ, ზურგის მხარეს ჩავჭრა! - მითხრა და ზურგზე ფრთხილად ჩამიტარა დანა; ტანისამოსი ბოლომდე ჩაფხრიწა და გამხადა. შემდგომ იგივე სამსახური მასვე გავუწიე.

ორივე მხარულით მივცურავთ. აუტანელი მდგომარეობაა. გადარჩენის იმედი არ ჩანს. ერთადერთი ნუგესი ისლაა, თუ დროზე შეამჩნიეს ჩვენი იქ არყოფნა და ნავი ჩამოუსვეს გემიდან.

კონსიე ყველაფერს გულდამსვიდებით ზომავდა.

გასაოცარი ადამიანია, ამ თვალუწვდენელი ოკეანის ტალღებში ისეთივე აუღელვებლად იქცეოდა, თითქოს შინ იყო.

- ძალ-ღონე უნდა დავზოგოთ, კონსიე, - ვუთხარი მე, - იცი, რა ვქნათ? ერთი ჩვენგანი გულაღმა დაწვეს, ხელები გულზე დაიკრიფოს, მეორემ ხელის კვრით გააცუროს. შემდეგ მეორე შეენაცვლოს. ასე თუ გავაკეთებთ შეიზლება დილამდე შეგვრჩეს ძალ-ღონე.

დილამდე გაძლების იმედი ტყუილი იყო, მაგრამ ადამიანის ბუნება ასე ყოფილა - არასოდეს იმედს არ კარგავს. არც მე ვკარგავდი იმედს. თანაც ორნი ვიყავით და ესეც გვიმაგრებდა გულს. ერთი სიტყვით, იმედიანად გახლდით. ჩემს თავს კი გულში ვეუბნებოდი: არაფრის იმედი აღარ არისს! ... მიუხედავად ამისა, მაინც იმედიანად ვიყავი.

"აბრამ ლინკოლნი" ღამის 11 საათზე შეეტაკა ცხოველს. მაშასადამე, გათენებამდე კიდევ 8 საათი უნდა გვეცურა... მე კი მაინც იმედიანად ვიყავი!

- იცი, რა? 8 საათს გავძლებთ, თუ ერთიმეორეს შევენაცვლებით, - ვუთხარი კონსეის.

- შეიძლება, იქნებ გავძლოთ კიდეც...

ზღვა წყნარად ქანაობდა და ნაკლებად გვღლიდა. დროდადრო გავხედავდით უკუნ სიბნელეს, რომელსაც ჩვენს მოძრაობაზე ფოსფორული შუქი ეფინებოდა.

დავცქეროდი სინათლიან ტალღებს, ჩვენი მკლავების ქვეშ რომ ისერებოდა: ალევარებული ზედაპირი მკრთალი და ტყვიისფერი ლაქებით დაჩითულიყო, თითქოვერცხლისწყლის ზღვაზე მივცურავდით.

შუაღამე გადასული იყო, უცებ აუტანელი დაღლილობა ვიგრძენი. გაბუჟება და კრუნჩხვა მტანჯავდა. კონსიეს უნდა ვჭეროდი და ორივეს მაგივრად, ახლა მას დააწვა ჩვენი გადარჩენის ბედი.

შევატყე, რომ ისიც სუსტდებოდა, ქშენას უმატა... ვატყობდი, ძალას კარგავდა.

- დამტოვე მე! დამტოვე! - ვეუბნებოდი ერთგულ მეგობარს.

- მიგატოვოთ თქვენ?! არასოდეს! - მიპასუხა, მე იმედ მაქვს, ერთად დავიღუპებით, პროფსორო!

ამ დროს ღრუბლებიდან მთვარემ გამოიხედა, ზღვის ზედაპირი ააელვარა. ამ მადლიანმა შუქმა თითქოს მხნეობა შეგვმატა. თავი ავწიე და მივიხედ-მოვიხედე.

თვალი მოვკარი გემს. ღამის სიბნელეში შავ მთასავით ბუნდოვნად ჩანდა.

ნავები კი არსად იყო, არც ერთი ნავი!

ვცადე, დამეყვირა, ან კი რა მაყვირებდა?!

განა ჩემს ხმას ვინმე გაიგონებდა ასეთ მანძილზე? მაგრამ დაყვირებაც ვერ მოვახერხე: გასივებული ტუჩები ერთმანეთს შესწებებოდადა ხმას არ უშვებდა.

კონსეიმ მოახარხა რამდენიმესიტყვის თქმა. გავიგონე რომ მან რამდენიმეჯერ გაიმეორა:

- გვიშველეთ! გვიშველეთ!

ერთ წამს შევჩერდით, ყური მივუგდეთ.

- ეს რა ამბავია? ყურები მიწივის სისხლის მიწოლისაგან თუ ბოდვას ვიწყებ? - ვფიქრობ ჩემთვის, - რა არის, რა?

ისე მომეჩვენა, თითქოს კონსეის ყვირილზე ყვირილითვე უპასუხეს.

- გაიგონე? - ვეკითხები კონსიეს, - გაიგონე?

- დიახ... დიახ!

ეს რა ხმა იყო? ვისი? საიდან? იქნებ ისიც, უბედური შემთხვევის მსხვერპლია "აბრამ ლინკოლნიდან"?

იქნებ ნავებიდან გვპასუხობენ, იმ ნავებიდან, ჩვენს მოსაშველებლად რომ ჩამოუსვეს ზღვაში?

კონსიემ უკანასკნელი ძალ-ღონე მოიკრიბა, მხარზე დამებჯინა და წელამდე აიწია წყალს ზევით, მერე ქანცგამოლეული ტალღებს დაენარცხა.

- დაინახე რამე?

- დავინახე... - წაილულლურა მან, - დავინახე... მაგრამ საჭიროა ძალღონე გამოვიზოგოთ.

ნეტავ რა დაინახა კონსეიმ?

იმ წამს, არ ვიცი რატომ, მაგრამ თავში გამირბინა აზრმა, ცხოველის შესახებ...

მაგრამ ადამიანის ხმაც რომ შემომესმა?!

კონსეი წინ მიმაცურებს. დროდადრო თავს ასწევს და შეჰქივლებს. მის კივილზე თითქოს ვიღაც გვეპასუხება.

ყურები მიბუბუნებს, ქანცი გამიჩყდა, ძალა აღარ მომდევს, ზღვის მლაშე წყალი თავზე გადამდის დ ცივი უფსკრულისაკენ მეზიდება... უკანასკნელად ერთიც ამოვყავ თავი და უფსკრულისაკენ წავედი...

ერთბაშად რაღაც მაგარს დავეჯახე, ჩავებლაუჭე, ვგრძნობდი, სადღაც ზევით მიმათრევდნენ... გონება დავკარგე...

თავი IX

უცნაური ცხოველის ზურგზე

გონზე მალე მოვედი. მთელი სხეული გახეხილ-დაღარული მქონდა. თვალი რომ გავახილე, წავილაპარავე:

- კონსეი... კონსეი...

- აქ გახლავართ, პროფესორო!...

მთვარის წუთიერ გამონაშუქზე გავარჩიე მეორე სხეულის მოხაზულობაც, რომელიც ჩემკენ გადმოხრილიყო. დავაკვირდი და ვიცანი.

- ნედ! - შევმახე გახარებულმა, - ნედ, თქვენც შეჯახების დროს გადმოვარდით?

- დიახ, პროფესორო, მაგრამ მე უფრო გამიღიმა ბედმა. იმ წუთსვე ამოვბობდი ამ მცურავ კულძულზე.

- მცურავ კუნძულზე?

- დიახ, პროფესორო, ან უკეთ რომ ვთქვათ, ამ "ცალკბილა ბუბერაზ ცხოველზე", როგორც თქვენ უწოდებთ ხოლმე.

- გამაგებინე, ნედ! არაფერი მესმის! ამიხსენით ხეირიანად გამაგებინე!

- ახლა კი მივხვდი, რატომ ვერ განგმირა ჩემმა ბარჯმა ეს წყეული!

- რატომ, ნედ, რატომ?

- იმიტომ, პროფესორო, რომ ეს ცხოველი წმინდა ფოლადისაა.

კანადელის სიტყვებმა თავში დამკრა, შემაზრიალა, თავბრუ დამესხა... ცოტა რომ მოვსულიერდი, მის ქეჩოზე ავფოფხდი, ფეხით ვსინჯავდი. რაღაც უცნაური, მაგარი სხეული ჰქონდა, ზღვის რომელიმე ძუძუმწოვარა ცხოველის რბილ კანს არ ჰგავდა.

მაგარი სხეული! ვინ იცის, იქნებ ძვლის ჯავარია, როგორიც წარღვნამდე არსებლ ცხოველებს ჰქონდათ?

მაგრამ არა! ის მოშავო ზურგი, რომელზედაც მე ვიდექი, ქაცვიანი როდი იყო, არამედ სწორი და სარკესავით გლუვი. ფეხს რომ დავკრავდი, ლითონივით წკრიალებდა. თუმცა უცნაურად და დაუჯერებლად მეჩვენა, მაგრამ ჩანდა, რომ ეს ცხოველი ლითონისაგან შეექმნათ, შემოესალტათ და ჭანჭიკებით გაემაგრებინათ.

ეჭვი აღარ იყო, ეს მხეცი რომელმაც მთელი მსოფლიოს მეცნიერები გადარია, რომელმაც მთელი მსოფლიოს მეზღვაურებს ფანტაზია აუქნია, ადამიანის ნახელავს წარმოადგენდა.

რომელიმე ზღაპრული ან მითიური ცხოველი რომ აღმომეჩინა, ასე არ გამაოცებდა. ბუნების სასწაული ისე როდი გვაოცებს, როგორც ადამიანის ნამოქმედარი.

მაგრამ ყოყმანის დრო აღარ იყო. ჩვენ ვიმყოფებოდით წყალქვეშა გემის ზურგზე, რომელსაც უზარმაზარი ფოლადის თევზის მოყვანილობა ჰქონდა.

- რა მაგარი ჭიჭყინაა! - თქვა ნედ ლენდმა.
- მართლაც ჭიჭყინაა, თქმა არ უნდა! - ვთქვი მე.
- ზორბაა! - დაუმატა კონსეიმ.
- მაშასადამე, ეკიპაჟიც უნდა ჰყავდეს! ვინმე ხომ მართავს გემს? - ვიკითხე მე.
- ცხადია! - მიპასუხა ნედ ლენდმა. - მაგრამ აქ თითქმის ამი საათი ვაგდივარ და ჯერ არც ვინმე მინახავს, არც არავითარი ხმა გამიგია; ცოცხალი არსების ნიშანწყალი არა ჩანს.
- მერე ეს გემი მიდიოდა თუ ერთ ადგილას იდგა?
- არა, პროფესორო, არ მიდიოდა, მხოლოდ ირწეოდა თავისთვის ტალღებზე, დაძვრით კი არ დაძრულა.

- სულერთია, ჩვენ უკვე ვიცით, როგორი ცურვაც იცის, ხომ ნახე, რა სწრაფად სრიალებდა. ასეთ სიჩქარეს შესაფერი მანქანაც უნდა, მანქანას კი მემანქანე. ასე არ არის? აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ... გადავრჩით!

- ვინ იცის! - გამეპასუხა ნედ ლენდი.

ამ დროს უჩვეულო ჭრიალი მოგესმა, თითქოს სადღაც სიღრმეში გემის ჭახრივი გადაატრიალესო და ეს საოცარი წყალქვეშა მოწყობილობა ამოძრავდა.

ძლივს მოვასწარით ჩავბლაუჭებოდით მის ზემო ნაწილს, რომელიც ერთ არშინზე ამოზნექილიყო წყალს ზევით.

ჯერჯერობით, ჩვენდა საბედნიეროდ, მისი სვლა ზომიერი იყო.

- ეჰე, - წაიბურტყუნა ნედ ლენდმა, - სანამ ის ზღვის ზედაპირზე ცურავს, კიდევ არაფერი, მაგრამ თუ ჩაყვინთა, მაშინ კი ჩემს ქურქსი ორ დოლარსაც არ გავიმეტებ!

საჭირო იყო, რადაც უნდა დაგვჯდომოდა, დაუყოვნებლივ მოლაპარაკება გაგვემართა ამ წყალქვეშა ბუმბერაზის "ბინადრებთან".

ზედაპირზე ხელებს ვაფათურებდი, ეგებ რაიმე სარკმლის ან კარისთვის მიმეგნო, მაგრამ ამაოდ.

მთვარე ჩავიდა. უკუნ სიბნელეში დავრჩით. დილამდე უნდა დავლოდებოდით და შემდეგ გვეცადა გემის შიგნით შეღწევა. ჩვენი სიცოცხლე იმ იდუმალი მესაჭის ხელში იყო, რომელიც გემს მართავდა. მან რომ ჩაყვინთვა მოისურვოს, დავიღუპებით.

- თუ არ ჩაყვინთა, გადავრჩით, - ვთქვი მე, - მაშინ როგორმე გამოველაპარაკებით ამ წყალქვეშა მოგზაურებს. უნდა ვიფიქროთ, ჰაერსაც თვითონვე ხომ ვერ შექმნან. დროდადრო ოკეანის ზედაპირზე უნდა ამოცურდნენ ჟანგბადის მოსამარაგებლად. მაშასადამე დატანებული იქნება სარკმელი, რომლითაც სუფთა ჰაერი შედის გემში.

კაპიტან ფარაგუტის იმედი კი უკვე დავკარგეთ. ჩვენ ახლა წყალქვეშა სხეულს დასავლეთისაკენ მიყვავდით, საათში 12 მილის სიჩქარით. ბორბალი მათემატიკური სიზუსტით მიაპობდა ტალღებს. დროდადრო ზევით ამოიწევდა და მაშინ წყლის ფოსფორესცირებულ შხეფებს სვეტივით ისროდა მაღლა.

გამთენის ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც გემმა სვლას უმატა. თავს ძლივსღა ვიმაგრებდით, თავბრუ გვესხმოდა. ტალღები ისეთი ტყლაშატყლუშით გვეხეთქებოდნენ, რომ მგლებივით ვყმუვოდით.

ჩვენს ბედზე ნედს ხელში მოხვდა ღუზის დიდი რგოლი, რომელიც ნავის ფოლადის ზურგში ჩაესვათ.

ყველანი ამ რგოლს ჩავებლაუჭეთ.

როგორც იყო, ეს უსაშველო ღამეც დასრულდა. ახლა აღარ მაგონდება იმდროინდელი ყველა განცდა. თუმცა კი მახსოვს, როდესაც ზღვაში მშვიდად

ირწეოდა და აღარც ქარი ზუზუნებდა, ჩემს ყურთასმენას მისწვდა შორეული, გაურკვეველი მელოდიის წყვეტილი აკორდები.

როგორი საიდუმლოებით აღსავს იყო ეს წყალქვეშა ნავი! ნეტავ საით აიღო გეზი? რისთვის მიქროდა? რა ხალხი, რა სულდგმულები ბინადრობდნენ შიგნით? როგორია თავად ის საოცარი მექანიკური მოწყობილობა, რომელსაც ასეთი წარმოუდგელენი სიჩქარით შეუძლია მოძრაობა?

გათენდა, დილის ნისლი მიმოიფანტა.

- ძლივს! - წამოვიძახე მე.

და მაშინვე შევუდექი გემის დაწვრილებით სინჯვა-შესწავლას.

გემის ზედა ნაწილზე რაღაც ჰორიზონტალური ბაქანის მაგვარი გაემართათ.

- რისთვისაა აქ ეს ბაქანი? - გავიფიქრე ჩემთვის.

უცებ ვიბგრძენი, რომ ბაქანი ნელ-ნელა ძირს იწევდა.

- ჰეი!... ჰეი!... ეშმაკის კერძებო! ... - ღრიალებს ნედ ლენდი, - გაგვიღეთ კარი, თქვე უპურმარილო მეზღვაურებო! კარი გაგვიღეთ!

თან ისე მაგრად ატყაპუნებდა ფეხეს, რომ ლითონს ზრიალი გაჰქონდა, ძირს კი ბორბალი ისეთი ხმაურით ბრუნავდა, რომ წყალქვეშ მგზავრების ყურამდე ვერაფრით მიაწევდა ნედ ლენდის ხმა.

საბედნიეროდ, ბაქნის ჩაშვება ერთბაშად შეჩერდა.

მოულოდნელად გემის შიგნიდან გაისმა რკინის ბერკეთების გაწევის ძლიერი ჟღარუნი, ფოლადის ფიცარმა ზევით ამოიწია და გამოჩნდა კაცი. მან შეყვირა და უცებ გაქრა.

რამდენიმე წუთის შემდეგ, რვა ზორბა მამაკაცი ამოვიდა ბაქანზე და ხელი გვტაცეს...

თავი X

საკანში

ელვისეურად გაგვაქანეს შიგნით. ვერც მე და ვერც ჩემი ამხანაგები გონს ვერ მოვედით.

არ ვიცი, ნედ ლენდი და კონსეი რას ფიქრობდნენ, როცა მცურავ საპატიმროში მოვხვდით, მე კი ტანში ჟრუანტელმა დამიარა.

ვისთან გვქონდა საქმე?

ალბათ ზღვის მეკობრეებთან, რომლებიც ახალგამოგონებული წყალქვეშა ხომალდით დათარეშობდნენ ზღვაში.

სადღაც სარკმელში გაგვაძვრინეს და რაწამსაც დაიხურა, უკუნ სიბნელეში დავრჩით. შიშველი ფეხებით ვიგრძენი, რომ რკინის კიბის საფეხურზე ვიდექი. ჩემ შემდეგ ნედ ლენდი და კონსეი მოჰყავდათ.

კიბეს რომ ჩავცდით, ჩვენ წინ ფართოდ გაიღო კარი და ხელის კვრით შიგ შეგვრევეს. კარი ჟღარუნით დაიხურა.

მარტონი დარჩით.

სადა ვართ? წარმოდგენაც კი ძნელია. ირგვლივ არათუ ბნელოდა, არაბუნებრივი უკუნეთი იდგა. რამდენიმე წუთის შემდეგ ისეთი მკრთალი სხივიც კი ვერ გავარჩიე, რასაც ჩვეულებრივ წყვდიადში ვარჩევთ ხოლმე.

გააფთრებული ნედ ლენდი თავის აღშფოთებას მოურიდებლად აცხადებდა:

- ეშმაკის კერძებო! - ღრიალებდა იგი, - სტუმართმოყვარეობაც ასეთი უნდა! ... რას ჰგავს ეს?! ალბათ კაციჭამიები არიან? თუ შეჭმა დამიპირეს ვეცდები ყელსი გავეჩხირო!

- კმარა, მეგობარო, გეყოფათ, დაწყნარდით, - ეუბნებოდა აუშფოთებელი კონსეი, - წინდაწინ ნუ ჯავრობთ! ჯერ ხომ ტაფაზე არ დავუწყვივართ!

- თუ ტაფაზე არა, ღუმელში ხომ ვართ! შეხედე, როგორ ბნელა! კიდევ კარგი, რომ დანა ხელში შემრჩა. მართალია, სიბნელეა, მაგრამ მაინც მოვახერხებ ავამუშავო. აბა, გაბედოს რომელიმე ავაზაკმა ფეხის შემოდგმა და მე...

- უმჯობესია, გული დაიმშვიდოთ, ნედ, - მივმართე მებარჯეს, - თორემ შეიძლება თქვენი ყვირილით უბედურება დაგვატეხოთ თავს. რა სახალისოა უაზრო ყვირილი, საიდან იცით, რომ ყოველ ჩვენს სიტყვას ყურს არ უგდებენ? უმჯობესია, ხელი მოვაფათუროთ გარშემო, ეგებ გავარკვიოთ, სად დაგვამწყვდიეს.

მე ერთ მხარეს დავიძარი ხელების და ფეხების ფათურით, კონეი - მეორე მხარეს. ხუთ ნაბიჯი რომ გადავდგი, რკინის კედელს წავაწყდი და ხის მაგიდას დავეჯახე, მაგიდის ახლოს კი რამდენიმე სკამს მოვუფათურე ხელი. ამ საკნის იატავი ახალზელანდიური სელის სქელი ჭილოფით იყო მოფენილი, ისე რომ, ფეხის ხმა სრულებით არ ისმოდა. შიშველ კედლებს კარის ან ფანჯრის არავითარი ნიშანი არ ეტყობოდა.

- შენ ვერაფერს მიაგნე? - ვკითხე კონსეის, როდესაც აპატიმროს შუაგულში შევხვდით ერთმანეთს.

- ვერა, ვერაფერს!

- ეს რაღაც ოთახს ჰგავს, კონსეი.

- დიახ, ჰგავს.

ეს ოთხი სიგრძით ოცი ფუტი იქნებოდა, სიგანით - ათი, სიმაღლით კი იმდენად მაღალი, რომ ისეთმა ბრგე ვაჟკაცმა, როგორც ნედ ლენდი იყო, ჭერს ხელი ვერ მიაწვდინა.

თითქმის ნახევარი საათი გავიდა, რაც ამ უკუნ სიბნელეში ვისხედით.

უცებ კაშკაშა შუქი მოეფინა იქაურობას. საპატიმრო თვალის დახამხამებაში განათდა ისეთი მძლავრი შუქით, რომ თვალები აგვიჭრელდა.

ეს თეთრი შუქი სწორედ ისეთივე იყო, "აბრაამ ლინკოლნიდან" ფოსტორულ ელვარებად რომ მეჩვენებოდა. უნებურად თვალები დავხუჭე. როდესაც გავახილე, დავინახე, რომ გარემოს სინათლეს ჰავენდა დარბაზისა თუ კაიუტის ჭერზე მიმაგრებული მრგვალი ამოზნექილი მკრთალი შუშის ბურთი.

- ძლივს გაგვინათეს! - წამოიძახა ნედ ლენდმა, - სინათლე მაინც არის, ესეც კარგია!

ხელში მომარჯვებული დანა ეჭირა, თითქოს ვინმეს მოგერიებას აპირებსო.

- საქმე კი მაინც ბნელია! - ვუთხარი მე.

- კარგი იქნებოდა, რომ პროფესორს მეტი მოთმინებ ჰქონოდა, - თქვა უშფოთველმა კონსეიმ.

ამ კაშკაშა სინათლეში უკვე შეგვეძლო ჩვენი საპატიმროს დათვალიერება.

კედლები სრულიად შიშველი იყო. ოთახის შუაგულში იდგა მაგიდა, მის გარშემო კი ხუთი სკამი. კედელში დატანებული უხილავი კარი ჰერმეტულად დაეხურათ. ჩვენამდე არავითარი ხმაური არ არწევდა. თითქოს ყველაფერი ჩამკვდრიყო ამ წყალქვეშა ნავში. იძროდა თუ იდგა? ოკეანის ზედაპირზე იყო თუ ზღვის სიღრმისაკენ ეშვებოდა - ვერ მივმევდარიყავი.

- მაგრამ ტყუილად ხომ არ გაგვინათეს ეს საპატიმრო? ალბათ მალე ვინმეც გამოჩნდება. რომ არავის ვახსოვდეთ, არც აქაურობას გაგვინათებენ! - წამოვიძახე მე.

თავი XI

"მოძრავი მოძრავში"

არც შევცდი. მალე მოგვესმა საკეტის ღრმა იალი.

კარი გაიღო და ორი კაცი შემოვიდა.

ერთი კუნთმაგარი, მხარბეჭიანი, რომ იტყვიან, ჩასხმული ვაჟკაცი იყო. თავი დიდი ჰქონდა, თმა - ხშირი და შავი, დიდრონი ულვაშები, მკვირცხლი და გამჭოლი გამოხედვა: მთელ მის არსებაში სამხრეთელი სიმარდე და სიმკვირცხლე ჩანდა, რაც პროვანსელებს ახასიათებთ ხოლმე. პირველსავე შეხედვაზე შეატყობდით, რომ ამ ყმაწვილს სიტყვის მასალა არ აკლდა, ლაპარაკის კილოც თავისებური ჰქონდა.

მეორე უცნობი უფრო დაწვრლებითი აღწერის ღირსაი. მე მაშინვე შევამჩნიე მისი უმთვრესი თვისებანი: საკუთარი თავისადმი რწმენა, რადგანაც საკმაოდ კეთილშობილურად გამოიყურებოდა. მძლავრ მხარბეჭიანს სახეზე უფრო მკრთალი ეთქმოდა, ვიდრე წითური, რაც მშვიდი სისხლის ნიშანია; მის უზღვავ ენერგიას მოღუშული წარბები მოწმობდა. მას ვაჟკაცობას და სიცოცხლისუნარიანობას მისი მძლავრი სუნთქვა ამტკიცებდა.

იმასაც დავუმატებ, რომ ამაყი იყო. მისი მტკიცე და დინჯ გამოხედვაში გამოკრთოდა ღრმა აზრი, საერთოდ, სხეულის და სახის მოძრაობაზე ემჩნეოდა, რომ უსათუოდ გულახდილი და სიმართლის მოყვარული უნდა ყოფილიყო.

პირველი შეხედვისთანავე ვიგრძენი მასთან ყოფნა ჩვენთვის უხიფათო იქნებოდა. გულმაც მისკენ გამიწია და გავიფიქრე:

თუკი გული მისკენ მიმიწევს, ჩანს კაცური კაცია. მაშასადამე, ბოლოდ კეთილი იქნება.

- რა ხნისა იქნებოდა მეორე უცნობი? - ოცდაათისა თუ ორმოცდაათისა? - ვერაფრით გავარკვიე. მაღალი იყო, შუბლგანიერი, სწორი ცხვირით. პირისახე - ჩინებული მოხაზულობისა ჰქონდა, კბილები - საუცხოო, ხელები გრძელი და მოქნილი.

შეიძლება ითქვას, ისეთი ტიპი იყო, რომლის მსგავსიც ჯერ არ მენახა. კიდევ ერთი თავისებურებაც უნდა აღვნიშნო: მისი თვალები, ოდნავ დაშორებული ერთიმეორისაგან, ერთდროულად უცერდნენ ჰორიზონტის სამ მეოთხედს. ეს გარემოება, როგორც შემდეგ შევიტყვე, არაჩვეულებრივ თვალის ჩინს მატებდა. როდესაც იგი რომელიმე საგანს მიაპყრობდა თვალს, წარბები ეჭმუხნებოდა, ქუთუთოები ეკუმშებოდა და ასე იცქირებოდა.

რა გამოხედვა ჰქონდა! თავისი გამოხედვით გულის სიღრმემდე გწვდებოდა! ამ გამოხედვით განჭვრუტდა ჩვენი თვალისათვის მიუწვდომელ წყლის სიღმეს, თვით ზღვის ქვეშეთსაც.

ორივე უცნობს თავზე ეხურა ზღვის წავის ბერეტი, ფეხზე ეცვათ სელაპის ტყავის ჩექმები, ტანთ ემოსათ რაღაც ქსოვილი, რომელიც მოძრაობას უმსუბუქედათ.

მაღალმა, რომელსაც ყველაფერით ემჩნეოდა, რომ გემის უფროსი უნდა ყოფილიყო, დიდი გულმოდგინებით დაგვათვალიერა. კრინტი არ დაუძრავს. შემდეგ

კი მიუბრუნდა თავის ამხანაგს და ჩემთვის გაუგებარ ენაზე გამოელაპარაკა. ეს იყო კეთილქმოვანი, ჰარმონიული, მოქნილი ენა.

ჩასხმულმა ყმაწვილმა თავის დაქნევით უპასუხა და ორიოდე გაუგებარი სიტყვაც უთხრა. შემდეგ მომაჩერდა, თვალებით რაღაცას მეკითხებოდა.

მე ფრანგულად ვუპასუხე, თქვენი ლაპარაკი არ მესმის-მეთქი.

მაგრამ ვერც იმათ გაიგეს ჩემი ნათქვამი. ძალზე უხერხული მდგომარეობა შეიმქნა.

- პროფესორო, უამბეთ ჩვენი თავგადასავალი, - მირჩია კონსეიმ, - ეგებ ცოტა რამ მაინც გაიგონ.

ჩვენი თავგადასავალი თავიდან ბოლომდე მოვუყევი, ნათლად, მკაფიოდ, ყოველ სიტყვასა და მარცვალსაც კი გარკვევით გამოვთქვამდი, არც ერთი წვრილმანი არ გამომიტოვებია. ჩემი თავი გავაცანი, როგორც პარიზის მუზეუმების ბუნებისმეტყველების პროფესორი არონაკსი, მერე წარვუდგინე კონსეი და ნედ ლენდი.

უცნობი მშვიდი და ღრმა თვალებით მიცერდა, თავაზიანად და გულდასმით მისმენდა, მაგრამ მის სახეზე ვერ ამოვიკითხე, გაიგო თუ არა ჩემი ნამბობი. სათქმელი დავამთავრე, მას კრინტიც არ დაუძრავს.

მეტი გზა არ იყო, ახლა ინგლისურად უნდა ავლაპარაკებულიყავი, იქნებ ეს ენა მაინც გაეგო, რადგანაც ინგლისურად თითქმის მთელი დედამიწის ზურგზე ლაპარაკობენ. მართალია, სხაპასხუპით ვკითხულობდი ინგლისურსაც და გერმანულსაც, წაკითხულიც კარგად მესმოდა, მაგრამ ლაპარაკი გამართულად არ შემეძლო. აქ კი უმთავრესად საჭირო იყო, როგორმე გაგვეგებინებინა ჩვენი ამბავი.

- აბა, ნედ, ახლა თქვენ გამობრძანდით სცენაზე! - მივუბრუნდი მებარჯეს, - ახლა თქვენ აუხსენით საქმის ვითარება, იქნებ თქვენ მაინც გაგიმართლოთ.

ნედ მეტი თხოვნა აღარ დასჭირვებია, ინგლისურად გაუმეორა ჩემი ნათქვამი.

შინაარსი იგივე იყო, მაგრამ სულ სხვანაირად ჩამოყალიბებული. კანადელმა ჩემი ნათქვამი შეაზავა ტავისი მსფოთვარე ბუნებით, მრავალი ცხარე-ცხარე სიტყვით. აღშფოთებას გამოთქამდა უსამართლო დაპატიმრების გამო, ეკითხებოდა, თუ რომელი კანონის ძალით ჩაგვამწყვდიეს ამ "მცურავში". სამართალში მიცემით ემუქრებოდა იმას ვინც უკანონოდ დაგვაპატიმრა. ბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა დაიწყო ხელების ქნევა, ყვირილი და გააგებინა, რომ შიმშილით ვიხოცებითო.

მართლაც მგლებივით გვშიოდა, მაგრამ აქამდე არც კი გაგვხსენებია.

როგორც შევატყვეთ, უცნობებმა ვერც ინგლისურისა გაიგეს რამე.

- აი, გოგრები! - წამოიძახა გაწილებულმა ნედ ლენდმა.

მათ წარბიც არ შეუხრიათ.

გაწილებულები და შემკრთალნი ვიდექით.

- აღარ ვიცი, როგორ მოვიქცეთ, - მივმართე ამხანაგებს.

- თუ პროფესორი ნებას მიბოძებს, გერმანულად ვუამბობ ყველაფერს, - მითხრა კონსეიმ.

- როგორ? განა გერმანული იცი?

- როგორც ფლამანდიელმა, პროფესორო!

- ჩინებულია! გერმანულად უამბე, მეგობარო!

კონსეიმ დინჯად, აუჩქარებლად უამბო ჩვენი თავგადასავალი გერმანულად.

თუმცა მან საუცხოო კილოკავით და ისვიათი გამოთქმებით ილაპარაკა, მაგრამ ვერც გერმანულმა გაჭრა.

- ეჭ, რაც იყოს, იყოს, ერთსაც კიდევ ვცდი! გავიხსენებ ლათინურ ენას! -ვთქვი მე.

ციცერონი ყურებში თითს დაიცობდა და პანლურით გამიმასპიძლდებოდა, მაგრამ რის ვაივაგლახით მაინც მოვახერხე და ლათინურად ავუხსენი ყველაფერი. ვერც ამან გაჭრა.

ამ უკანასკნელი ცდის მერე, მათ ჩვენთვის გაუგებარ ენაზე რამდენიმე სიტყვა უთხრეს ერთმანეთს და გავიდნენ.

განა არ შეეძლოთ, რაიმე ნიშნით მაინც გაეგებინებინათ ჩვენთვის ან რითიმე დავემშვიდებინეთ? ასეთი ნიშნები ხომ ყველა ჯურისა და მოდგმის ხალხშია მიღებული. მაგრამ არავითარი ნიშანი არ მოგვცეს.

გავიდნენ თუ არა, კარიც მოიკეტა.

- ოხრის, ოხრები! - შეჰყვირა ნედ ლენდმა, - ელაპარაკებიან ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად და ეს ავაზაკები პასუხსაც არ გაძლევენ!

- დამშვიდდით, ნედ, - მივმართე გულფიცხ მებარჯეს, - ყვირილითა და გაბრაზებით რას გავაწყობთ.

- მერე იით, პროფესორო... თვითონ განსაჯეთ, - სიტყვა გამაწყვეტინა მშფოთვარე კანადელმა, - ჩვენ აქ შიმშილით სული ამოგვმვრება!

ამაზე კონესიმ ფილოსოფიურად შენიშნა:

- სიკვდილამდე ჯერ შორსაა, ჩვენ კიდევ რამდენიმე დღეს გავძლებთ.

- გამიგონეთ, მეგობარო, - ვუთხარი მე, - ჯერ უიმედობისა არაფერი გვჭირს. ამაზე უარესიც ბევრი გვინახავს. მოთმინება იქონიეთ და მერე გამოიტანეთ დასკვნა ამ წყალქვეშა ნავის კაპტნისა და მისი ეკიპაჟის შესახებ.

- ჩემი დასკვნა უკვე გამოვიტანე, პროფესორო, - მიპასუხა გააფთრებულმა ნედ ლენდმა, - ესენი ალბათ ოხერტიალი... გაქნილი... ავაზაკები არიან.

- კეთილი და პატიოსანი... მერე, სადაურები არიან, რომელი ქვეყნიდან?

- ავაზაკების ქვეყნიდან!

- ჩემო კეთილო ნედ, ასეთი ქვეყანა არც ერთ რუკაზე არ არის აღნიშნული... უნდა გამოგიტყდეთ, მეც ვერ მივხვდით, რა ხალხია, რა ეროვნებისა. ერთის თქმა კი დაბეჯითებით შეიძლება: არც ფრანგები არიან, არც ინგლისელები, არც გერმანელები. მე მგონია, რომ ორივენი, უფროსიც და მისი თანაშემწეც, ქვედა განედის ქვეყნიდან უნდა იყვნენ. მათში რაღაც სამხრეთული იერი გამოკრთის, მაგრამ ვინ არიან: ესპანელები, თურქები, არაბები თუ ინდიელები? - ამის გამორკვევა სახის მიხედვით ძნელია, ენა კი სრულებით გაუგებარია ჩვენთვის.

- რა ცუდია, რომ ყველა ენა არ იცის კაცმა, - ჩაურთო კონსეიმ, - უკეთესი იქნებოდა, რომ ყველასათვის ერთი ენა ყოფილიყო.

- ეგეც ვერ გვიშველიდა! - გააწყვეტინა ნედ ლენდმა - განა ვერ მივხვდით, რომ ამ ხლახს თავისთვის გამოუგონია რაღაც ქაჯური ჩმახვა, რომელიც ყველა პატიოსან ადამიანს გადარევს? მე თითქოს საკმაოდ აშკარად ვანიშნე, რომ მშია, ჭამა მინდა! პირი დავაღე, ყბებს ვიქნევდი, კბილებს ვაკაწყაწებდი, ნერწყვს ვყლაპავდი, ტუჩებს ვილოვაკვდი და განა ყოველივე ეს გასაგები არ არის? გასაგები კი არა ცხადზე უცხადესია.

ნედს სიტყვა არ დაესრულებინა, რომ კარი შემოაღეს.

შემოვიდა გემის მომსახურე, შემოგვიტანა სხვადასხვაგვარი ტანისამოსი: ქურთუკები, შარვლები. ყველაფერი ეს უცხო ქსოვილისა იყო.

საჩქაროდ ჩავიცვი. ამხანაგებმაც მომბაძეს. მოსამსახურე კი ამ დროს სუფრა გაგვიშალა და ზედ ხუფდაფარებული სამი ლანგარი დადგა. ეს კაცი თევზივით მუნჯი და მგონი, ყრუც იყო.

- გვეღირსა! - წარმოთქვა კონსეიმ, - ჩვენი საქმე კეთდება!

- ჯერ ნუ გიხარია! - უპასუხა მოუსვენარმა მებარჯემ, - ჯერ გემო ვნახოთ, რითი გვიმასპინძლდებიან, რას მიირთმევენ ნეტავ აქ? იქნებ კუს ღვიძლია ან მოხარშული ზღვის ღორი, ან სულაც ზღვის ძაღლის ბივშტექსი?

- მაგასაც ვნახავთ! - უპასუხა კონსეიმ.

ლანგრებს ვერცხლის ხუფები ეხურა და სიმეტრიულად ელაგა. მაგიდაზე თხელი, ქათქათა სუფრა იყო გადაფარებული.

სუფრას შემოვუსხედით.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ განათლებულ ხალხთან გვქონდა საქმე. ეს მოთეთრო ელეტრონის სინათლე რომ არ ყოფილიყო, ვიფიქრებდი ლივერპულში, სასტუმრო "ადელფის" სასადილოში ან პარიზის "გრანდოტელში" ვიმყოფები-მეთქი.

თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ არც პური მოუტანიათ ჩვენთვის, არც ღვინო. მართალია, წყალი საოცრად სუფთა იყო, მაგრამ მაინც წყალი იყო!

ეს ამბავი ნედ ლენდს არ ეჭაშნიკა.

ჩვენთვის მოტანილ საჭმელებში შევნიშნე სხვადასხვა თევზეული, რომელიც დიდი ხელოვნებითა და გემოვნებით მოემზადებინათ.

მაგრამ ისეთი საჭმელიც ერია, რომელიც არ ვიცოდი, რა იყო, ისიც ვერ გავარკვიე, მცენარეულობისა იყო თუ ცხოველის ხორცისა.

მთელი ჭურჭელი ლამაზად გამოიყურებოდა. თითოეულ კოვზს, ჩანგალს, დანას თუ თეფშს მთავრული ასოებით ჰქონდა წარწერა:

Mobilis in Mobile

N

ეს ლათინური დევიზი ზედგამოჭრილი იყო ამ წყალქვეშა ნავისატვის: "მოძრავი მოძრავში"

ასო N ალბათ პირველი ასო იყო იმ საიდუმლო პატრონის სახელისა, რომელიც განაგებდა ოკეანის სიღმეებს.

ნედ ლენდი და კონსეი თავს არ იწუხებდნენ ზედმეტი ფიქრით. ყველაფერს სანსლავდნენ, რაც ხელში მოხვდებოდათ.

მეც მათ მაგალითს მივბაძე.

ახლა კი დავმშვიდდი: რაკი გვაჭმევენ, ჩანს შიმშილით არ გვიპირებენ ამოხოცვას.

მაგრამ ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, ისეთი ადამიანის მადასაც კი, რომელიც 15 საათს ზღვაში ფართხალებდა.

რაწამს შიმშილი დავიკმაყოფილეთ, მაშინვე ძილი მოგვერია. გასაგებიცაა, - ძნელი ღამე თეთრად გავათენეთ!

- მე ახლა მკვდარივით დამეძინება! - თქვა კონსეიმ.

- მე მძინავს კიდეც! - უპასუხა ნედ ლენდმა.

ჩემი ამხანაგები იატაკზე გაიშოტნენ, რბილ ჭილოფზე, რომელიც ახალზელანდიური სელისაგან იყო ნაქსოვი. მალე ხვრინვაც ამოუშვეს.

მე კი ასე მალე არ დამეძინა. ათასი ფიქრი მიტრიალებდა თავში. არაფერი მიყვარს "გადაუწყვეტელი", აქ კი რამდენიმე გადაუჭრელი საკითხი იყო, რამდენი განსაცვიფრებელი სანახაობა მედგა თვალწინ.

სად ვიმყოფები? რა ძალა გვამოძრავებს?

ვგრძნობდი - უკეთ რომ ვთქვა, მეჩვენებოდა, თითქოს ვგრძნობდი, რომ ეს წყალქვეშა ნავი ნელ-ნელა ზღვის უღრმეს წიაღში ჩადიოდა. გულზე ლოდივით მომაწვა სევდა, თითქოს მაჯლაჯუნა მაწვებოდა. თვალწინ წარმომიდგა აუარებელი უნახავი ცხოველი და მხეცი ოკეანის ჯურღმულის საიდუმლო უფრსკრულებში და ეს წყალქვეშა ნავიც ვითომ ერთი იმათგანი იყო, მასაც ჰქონდა საკუთარი სიცოცხლე, უჩვეულო მოძრაობის ძალა...

შემდეგ თანდათან ყველა სანახაობა გაქრა და მკვდარივით ჩამეძინა.

თავი XII

ნედ ლენდი წყრება

დიდხანს გვეძინა თუ ცოტა ხანს, არ ვიცი. ალბათ, დიდხანს, როდესაც გამომეღვიძა, დაღლას სრულებით აღარ ვგრძნობდი.

ყველაზე ადრე მე გამომეღვიძა. გადავხედე ამხანაგებს. არც კი ინმრეოდნენ ტომრებივით ეყარნენ.

მართალია, ჩვენი ახალზელანდიური სელის საფენზე გვეძინა, რომელიც სქელიც იყო და რბილიც, მაგრამ ეს ხომ ნამდვილი ლოგინი არ იყო და ცოტათი გვერდები მტკიოდა, მაგრამ ჯანსაღად და მხნედ ვგრძნობდი თავს.

ისევ გულდასმით დავიწყე ჩვენი საპატიმროს თუ კაიუტის დათვალიერება.

ჩვენი ძილისას არავითარი ცვლილება არ მომხდარა. საკანი საკნად დარჩა, ტუსაღები - ტუსაღებად. მხოლოდ მაგიდიდან აელაგებინათ ჭურჭელი.

- რას ჰგავს ეს? - გავიფიქრე ჩემთვის, - ნუთუ ჩვენს იდუმალ ბატონებს განზრახული აქვთ საუკუნოდ ამ გალიაში გვამყოფონ? გამოგიტყდებით, რომ სასიხარულო ნამდვილად არაფერი გვქონდა.

ამას კიდევ ახალი განსაცდელიც დაემატა; თუმცა თავს ჯანსაღად ვგრძნობდი, მაგრამ რაღაც საშინელი სიმძიმე მაწვა გულზე. ძლივსღა ვსუნთქავდი, ჩემს ფილტვებს აღარ ჰყოფნიდა დახშული ჰაერი. ჩვენი საპატიმრო ფართო იყო, საკმაოდ ფართოც, მაგრამ ჩანს, ჩვენ უკვე ჩავისუნთქეთ, რაც აქ ჟანგბადი მოიპოვებოდა.

ცნობილია, რომ ადამიანს ერთ საათში საშუალოდ სჭირდება მთელი ის ჟანგბადი, რომელიც 100 კუბურ მეტრ ჰაერში მოიპოვება. შემდეგ ის ჰაერი ივსება ნახშიროჟანგით, რომლითაც სუნთქვა შეუძლებელია.

მამასადამე, საჭირო იყო ჰაერის განახლება ჩვენს საპატიმროში და ალბათ, მთელ წყალქვეშა ნავშიც. მაგრამ საინტერესოა, როგორ ახერხებდა კაპიტანი ამას მცურავ სახლში?

ვფიქრობდი, დრო იყო ჰაერის განახლება ჩვენს საპატიმროში და ალბათ, მთელ წყალქვეშა ნავშიც. მაგრამ საინტერესოა, როგორ ახერხებდა კაპიტანი ამას მცურავ სახლში?

ვფიქრობდი, დრო იყო, საამისო განკარგულება გაეცა, საჩქაროდ, დაუყოვნებლივ.

ძალაუნებურად, სუნთქვას მოვუხშირე, რომ ამ გალიაში დარჩენილი ჟანგბადი როგორმე შემესუნთქა.

უცებ დაბერა გრილმა სიომ, რომელი ფისის ანაორთქლით იყო გაჟღენთილი.

ზღვის სიო, გამაცოცხლებელი იოდით იყო სავსე!

პირი დავალე და ფილტვებით ხარბად ვისუნთქავდი ამ გრილ ჰაერს. ამავე დროს მცირე რხევაც ვიგრძენი. წყალქვეშა ნავი, ეს ფოლადის ცხოველი, ოკეანის ზედაპირზე ამოცურებულიყო სუფთა ჰაერის შესასუნთქად, როგორც ვეღაპებმა იციან ხოლმე. მივაგენი, მივხვდი წყალქვეშა ნავის ჰაერის წმენდის საშუალებას.

მთელი მკერდით შევისუნთქე გრილი სიო. თვალით დავუწყე ძებნა იმ სასუნთ მილს, საიდანაც ეს მადლიანი სიო უბერავდა.

მალე მოვძებნე.

კარის თავზე სარკმელი გაეღოთ, იქიდან შემოდიოდა გრილი, სუფთა ჰაერი და აქაუროას აჯანსაღებდა.

სანამ ამ ყველაფერს ვაკვირდებოდი, ნედ ლენდი და კონსეიც თითქმის ერთდოულად გამოაღვიძა მაცოცხლებელმა ჰარემა. თვალები მოიფშვნიტეს, გაიზმორნენ, დაამთქნარეს და ერთ წუთში უკვე ფეხზე იდგნენ.

- როგორ მოისვენეთ, პროფესორო? - შემეკითხა კონსეი ჩვეული თავაზიანობით.

- ძალიან კარგად, - ვუპასუხე, - თქვენ, ნედ?

- მკვდარივით მეძინა. ეს რა არის? - თითქოს ზღვის სიო მოდის!

აბა, ასეთი გამოცდილი ზღვაოსანი რას შეცდებოდა.

ამხანაგებს ვუამბე ყველფერი, რაც აქ მათი ძილის დროს მოხდა.

- აი, თურმე რა ყოფილა! - ჩაილაპარაკა ნედ ლენდმა, - ახლა კი მივხვდი, რა იყო ის ღრიალიც, "ცალკბილა" რომ ზღვის ზედაპირზე ამოცურდებოდა ხოლმე. ეგეც თქვენი "ცალკბილა"!

- დიახ, ნედ, ჩვენ გვესმოდა "ცალკბილას" სუნთქვა.

- მაგრამ იცით, რა, პროფესორო არონაკს? ვერ გამირკვევია, ახლა რომელი საათი იქნება. უნდა ვიფიქროთ, რომ სადილობის დროა. თქვენ როგორ გონით?

- სადილობის, მეგობარო? უმჯობესია, თქვათ, - საუზმისო, რადგან ჩვენ, ვგონებ, დილამდე გვეძინა.

- მაშასადამე, - ჩაურთო კონსეიმ, - მთელი დღე-ღამე გვძინებია.

- ჩემი აზრით, სწორედ ასეა, - ვუპასუხე მე.

- არ გედავებით, - მიპასუხა ნედ ლენდმა, - გინდა სადილი იყოს, გინდა საუზმე, სულერთია, ოღონდ ჩქარა შემოგვიტანონ რამე.

- მერე, სადილი და საუზმე ერთად რომ შემოიტანონ? - ჰკითხა კონსეიმ.

- მაგას რაღა ემჯობინეაბ! - უპასუხა კანადელმა, - თუ მართალი გინდათ, ჩვენ უფლება გვაქვს ორივე მოვითხოვოთ. თქვენი რა მოგახსენოთ და მე კი სადილსაც და საუზმესაც მშვენივრად მივირთმევდი ერთად.

- მოთმინება იქონიეთ, ნედ, - დავამშვიდე, - როგორც ვატყობ, ჩვენს მასპინძლებს არ განუზრახავთ, შიმშილით ამოგვხოცონ. ასე რომ ყოფილიყო, გუშინაც არ გაგვიმასპინძლდებოდნენ.

- პოფესორო, ვაითუ გვასუქებენ... დასაკლავად?! - შიში გამოთქვა მებარჯემ.

- ეგ რას ჰგავს, ნედ, ასეთი აზრი როგორ გებადებათ თავში, კაციჭამიებში ხომ არ ვიმყოფებით?!

- მე როდი ვამტკიცებ, რომ ესენი ნამდვილად კაციჭამიები არიან, მაგრამ ისე შეიძლება დროდადრო! ნიმუშად... ჩვენ საიდან ვიცით, იქნებ დიდი ხანია ხორცი თვალითაც არ უნახავთ. აი, ასეთ შემთხვევაში სამი ახალგაზრდა, ჯანსაღი ყმაწვილი, როგორც მაგლითად, პროფესორი, კონსეი და მე ნამდვილი განძი იქნებოდა მათთვის.

- ნედ, ეგეთ ლაპარაკს თავი დაანებეთ! - ვუპასუხე მებარჯეს.

- თქვენთან ყოფნა ხათაბალა ყოფილა. აიჩემებთ და მოჰყებით. აი, ახლაც ისე წარმოგიდგნიათ, ვითომც კაციჭამიების ხელში ჩავცვივდით და ვინ იცის, იმათაც

მიახალოთ პირში. ცოტა თავდაჭერილობა იქონიეთ, ნედ, თორემ უბედურებას დაგვატებთ.

- ჯანიც გავარდნიათ, ახლა მხოლოდ ჭამაზე ვფიქრობ. შიმშილით კუჭი მეწვის, იმათ კი არაფერი შემოაქვთ.

- ჩემო კეთილო, ნედ, - ვუთხარი მე, - აქაურ წესებს უნდა დავემორჩილოთ. ხომ გაგიგონიათ ანდაზა, სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო. დავიცადოთ, გარემოეას გადავხედოთ, ისე ნურაფერს ჩავიდენთ.

- არა, პროფესორო, უნდა ვიღონოთ რამე! აუცილებლად! - შეჰყვირა მებარჯემ - რაიმე საშუალებას უნდა მივმართოთ!

- რა საშუალებას, ნედ?

- თავს უნდა ვუშველოთ, გავთავისუფლდეთ!...

- ხმელეთის ციხიდანაც ძნელია გაპარვა და წყალქვეშა საპატიმროდან ხომ წარმოუდგენელი!

- ვერ მიმიხვდით, პროფესორო? - წარმოთქვა ნედმა მცირე სიჩუმის შემდეგ, - ვერ მოგიფიქრებიათ, როგორ უნდა მოიქცეს ის ხალხი, რომელთაც საპატიმროდან თავი ვერ დაუღწევიათ?

- ვერა, ჩემო მეგობარო, ვერ მომიფიქრებია.

- უბრალო საქმეა! რაკი თავი ვერ დაგიღწევია, მაშინ შიგ უნდა მოკლათდე შენებურად!

- როცა შენებურად დაიწყებ მოკალათებას, ჩაურთო კონსეიმ, - მაშინ, ვინ იცის.

- რა ვინ იცის! აქ საცოდნელი არაფერია! პანდური საპატიმროს ზემდეგებს, მოსამსახურებს და გათავდა! - სიტყვა გააწყვეტინა ნედმა.

- როგორ, ნედ? თქვენ მაგას მართლა ფიქრობთ?! თქვენ გინდათ, ეს წყალქვეშა ნავი ხელში ჩაიგდოთ? ამაზე სერიოზულად ფიქრობთ?!

- ძალიან სერიოზულად, პროფესორო!

- ეგ ხომ შეუძლებელია, უაზრობაა!

- რატომ, პროფესორო? შეიძლება ასეთი მარჯვე შემთხვევა მოგვეცეს კიდეც. და თუკი ასეთი შემთხვევა მოგვეცა, რატომ არ უნდა ვისარგებლოთ? ამ წყალქვეშა ნავზე ბევრი-ბევრი ოციოდე კაცი იყოს, როგორ გგონიათ, ორი ფრანგი და ერთი კანადელი კისერს ვერ მოუგრებს ოციოდე გაიძვერას?

დავატყვე, რომ უმჯობესი იყო, კამათი მიმეფუჩეჩებინა როგორმე და ნედს ვუპასუხე:

- თუკი ასეთი შემთხვევა მოგვეცემა, მაშინ ვნახოთ, მაგრამ სანამ ასეთი შემთხვეა არ მოგვცემია, გეთაყვა, ნედ, თავი შეიკავეთ. ხომ იცით, დიდი სიფრთხილე და მოხერხება გვმართებს ამ საქმეში. გახსოვდეთ, რომ ხელსაყრელი გარემობის შექმნა ჩვენს სურვილზე არ არის დამოკიდებული. პირობა უნდა მომცეთ, რომ აიტანთ იმ მდგომარეობას, რომელშიაც ვიმყოფებით.

- პირობას გაძლევთ, პროფესორო, - მიპასუხა ნედმა ისეთი კილოთი, რომელსაც მაინცდამაინც არ დაეჯერებოდა.

არც ერთი უხეში სიტყვა არ წამომცდება!.. არც ერთი მოძრაობით არ გავამუდავნებ ჩემს გულისნადებს, არც ერთი გამოხედვით არ გავცემ ჩემს განზრახვას, რაც არ უნდა დამემართოს, თუნდაც საჭმელიც აღარ მოგვაწოდონ, კრინტს არ დავძრავ, პირში წყალს ჩავიგუბებ!

- მჯერა, ნედ, თქვენი იმედი მაქვს, - ვუპასუხე კანადელს და ამ საგანზე ლაპარაკი ამით დავამთავრე. ყველა ჩვენგანი საკუთარ ფიქრებს მიეცა.

გულახდილად რომ ვთქვა, ნაკლებ მხიბლავდა განთავისუფლების იმედი. თუმცა ეს ნედ ლენდს მთელი არსებით სჯეროდა. ვერ წარმომედგინა ისეთი მოხერხებული შემთხვევა, რომ ჩვენ ეს წყალქვეშა ნავი ხელსი ჩაგვეგდო. მას ხომ დიდი ოსტატობით და ხელოვნებით მართავდნენ; ალბათ ეკიპაჟიც მრავალრიცხოვანი ეყოლებოდა. ჩვენსა და მათ შორის შეტაკება რომ მომხდარიყო, თაგვებივით გაგველეტდნენ. ესეც არ იყოს, ბრძოლას ხომ თავისუფლად ყოფნა სჭირდბა, ჩვენ კი დაკეტილ საკანში ვიყავით გამომწყვდეული. როგორ გავაღწევდით ამ დოლადის კედლებიდან, რომლებიც ჰერმენტულად დაეხშოთ. მეორეც, ამ წყალქვეშა ნავის კაპიტანი საიდუმლოებითაა მოცული და რა თქმა უნდა, ნებას არ მოგცემს გავენოთ გემის აღნაგობას, სამანქანო განყოფილებებს, მოწყობილობას. ჩვენთვის ამჟამად უმთავრესი ისაა, თუ როგორ მოგვეპყრობა კაპიტანი: სამივეს წყალს მიგვცემს, თუ ოდესმე გადაგვსხამს სადმე უდაბურ ხმელეთზე. გადაჭრით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა და ჩვენი მდგომარეობა სახარბიელო ნამდვილად არ გახლდათ.

- ცუდადაა ჩვენი საქმე, საძაგლად! - ვფიქრობდი ჩემთვის, - გონიერი ადამიანი მაშინვე მიხვდება, რომ ნედ ლენდის განზრახვა განუხორციელებელი ოცნება იყო, მხოლოდ ნედს შეეძლო ასეთი კოშკების აგება.

ნედი კი, რაც უფრო მეტს ფიქრობდა, მით უფრო მრისხანებდა. ერთ ადგილას ვერ ჩერდებოდა, გალიაში გამომწყვდეული მხეცივით ფეხებს ატყაპუნებდა, კედელზე მუშტებითა და ქუსლებით აბრახუნებდა.

ჩვენი მდგომარობა მართლაც აუტანელი ხდებოდა: დრო გადიოდა, შიმშილი ტანჯვად გადაგვექცა. არავინ მოდიოდა.

- ეჰ, - ვფიქრობდი ჩემთვის, - გადავივიწყდით! თუ ბოროტი განზრახვა არ უდევთ გულში, ჩვენს გაჭირვებას ცოტა ყურადღებას მაინც მიაქცევდნენ.

ნედი თანდათან მოთმინებას კარგავდა. მართალია, პატიოსანი სიტყვა მომცა, "თავდაჭერილად" ვიქნებიო, მაგრამ ძალზე შემაფიქრიანა. ვაითუ დაუფიქრებლად მოქცეულიყო, როცა ჩვენს დღევანდელ პატრონს შეეჩება!

ორი საათი კიდევ გავიდა. კანადელი ყვიროდა, ღრიალებდა, მაგრამ უყანოფოდ. რკინის კედლებს არაფერი ესმოდა. რამდენჯერმე კედელს ყური მივადე, ვერავითარ ხმაურს ვერ ვგრძნობდი. გემის შიგნით ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო. წყალქვეშა ხომალდი არ იძროდა, თორემ ბორბლის ტრიალზე ზანზარს ვიგრძნობდი. ალბათ, გემი ზღვის სიღრმეში იყო ჩაყვინთული.

ასეთი სიჩუმე აუტანელი გახდა. მიგვატოვეს, დაგვივიწყეს ამ საკანში, და ვეღარ ვბედავდი ფიქრით კიდევ უფრო ღრმად შემეტოპა; როდემდე გვამყოფებენ აქ? რით დასრულდება ჩვენი საქმე? კაპიტნის პირველი ნახვისას აღმრული იმედი თანდათან მიქრებოდა. მისი მშვიდი, პატიოსნებით აღსავსე გამოხედვა, საუცხოო გამომეტყველება, კეთლშობილი გარეგნობა - ყოველივე ეს გაქრა. უკვე წარმოვიდგინე უიმედობით მოცული უცნობი იმ სახით, როგირც ის, ალბათ, მართლაც იყო: უდიერი, უმოწყალო, მკაცრი და გავიფიქრე:

- იმ ადამიანს, რომელიც განშორებია საზოგადოებას, რომელსაც, როგორც ჩანს, საერთო არაფერი აქვს ადამიანებთან, რა შეწყალება და სულგრძელობა მოეთხოვება?!

რა განუზრახავს? ჩვენი შიმშილით ამოწყვეტა ამ რკინის კიდობანში?

რა მოგველის? ადამიანს ხომ შიმშილისაგან გონება უბნელდება, მას ყველაფრის ჩადენა შეუძლია!

ეს უკანასკნელი აზრი ამეცვიატა და შემაძრწუნებელი სურათები დამიდგა თვალიწნ.

კონსეის თავისი ჩვეულებრივი უშფოთველობა შერჩა. ნედი კი, გააფთრებული და გამდვინვარებული, ლომივით ბრდღვინავდა.

უცებ ხმაური მოისმა. ლითონის იატაკზე გარკვევით ისმოდა ფეხის ბაკაბუკი. კლიტემ დაიჩხაკუნა, რკინის ურდულმა დაიუღრიალა, კარი გაიღო და ჩვენი ნაცნობი მოსამსახურე გამოჩნდა.

თვალის დახამხამება ვერ მოასწარი, რომ ნედ ლენდი ეძგერა იმ უბედურს, ქვეშ ამოიდო და ისე მძლავრად წაუჭირა ყელში, რომ ხრიალი დააწყებინა.

კონსეი სწრაფად მივარდა და ცდილობდა, ის უბედური ხელიდან გამოეგლიჯა; მეც გავქანდი მისაშველებლად, მაგრამ ერთ ადგილას გაქვავებული დავრჩი, ელდასავით დამიარა წმინდა ფრანგული ენით წარმოთქმულმა სიტყვებმა:

- დამშვიდდით, ნედ ლენდ, თქვენ კი, პროფესორო, გთხოვთ მომისმინოთ!

თავი XIII

კაპიტანი ნემო

ჩვენ წინაშე იდგა ამ ნავის კაპიტანი.

ნედ ლენდი სწრაფად წამოდგა და ხელი გაუშვა თავის მსხვერპლს.

თითქმის წამხრჩვალი მოსამსახურე კაპიტნის ნიშანზე ლასლასით გავიდა კაიუტიდან.

რა გავლენა და რა ძალა უნდა ჰქონოდა ამ კაპიტანს, რომ კაცი კინაღამ წაახრჩვეს, ის კი მხოლოდ ერთი უბრალო ნიშნის მიცემაზე მორჩილად გავიდა, შემოხედვითაც კი არ გამოუთქვამს თავისი გულისწყრომა.

აუდელვებელი კონსეიც გაოცებული დარჩა ამით. მე ხომ მთლად გავშტერდი.

ყველანი უსიტყვოდ ველოდით, რა მოხდებოდა.

კაპიტანი მაგიდას მიეყრდნო, ხელები გულზე დაიკრიფა და ყურადღებით შეგვათვალიერა. ლაპარაკს ვერ ბედავდა თუ ნანობდა, ფრანგულად ორიოდე სიტყვა რომ წამოსცდა?

რამდენიმე წამს გაგრძელდა სიჩუმე, რომლის დარღვევასაც ჩვენ ვერ ვბედავდით.

ბოლოს ნემომ დინჯი, ღრმა სულში ჩამწვდომი ხმით დაიღაპარაკა:

- ბატონებო, მე ვლაპარაკობ ფრანგულად, ინგლისურად, გერმანულად, ლათინურად. მაშასადამე, შემეძლო პასუხი გამეცა თქვენთვის პირველი შეხვედრისთანავე, მაგრამ არაფერი გიპასუხეთ: მინდოდა ჯერ გამეგო თქვენი ვინაობა და შემდეგ მომეფიქრებინა. თქვენ მიერ ოთხჯერ გამეორებულმა თავგადასავალმა დამარწმუნა, რომ სწორედ ისინი ხართ, ვისი სახელითაც ლაპარაკობთ, რომ შემთხვევამ შემახვედრა პარიზის მუზეუმის ბუნებისმეტყველების ისტორიის პროფესორს, ბატონ პიერ არონაკს, მის მსახურ კონსეის და კანადელ მებარჯეს ნედ ლენდს, რომელიც შეერთებული შტატების სამხედრო ფლოტის გემ "აბრამ ლინკოლინზე" იმყოფებოდნენ.

მე თანხმობის ნიშნად თავი დავხარე. კაპიტანს არავითარი კითხვა არ მოუცია ჩემთვის, მაშასადამე, საპასუხოც არა მქონდა რა.

ეს კაცი ფრანგულად ლაპარაკობდა უშეცდომოდ და უაკენტოდ, მაგრამ თანამემამულედ მაინც ვერ მივიჩნიე.

მან განაგრძო: - თქვენ, პატივცემულო, უაჭველად გადაწყვიტეთ, რონ ნახვა დაგიგვიანეთ. დავიგვიანე იმისათვის, რომ მინდოდა საღი გონებით მომეფიქრებინა,

თუ როგორ მოგქცეოდით. დიდხანს ვერ გადამეწყვიტა, როგორ მოვქცეულიყავი. უბედურმა შემთხვევამ შეგახვედრათ ისეთ ადამიანთან, რომელსაც კაცობრიობასთან ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი აქვს. თქვენ თქვენი მოსვლით აღაშფოთეთ...

- უნებურად - ჩავურთე მე.

- უნებურად?! - ხმას აუმაღლა უცნობმა, - უნებურად! განა "აბრამ ლინკოლნი" უნებურად თარეშობდა ჩემზე ყველა ზღვაში? განა თქვენ უნებურად გაჩნდით იმ სამხედრო გემის გემბანზე? განა უნებურად მიშენდით ზარბაზნებს? განა ნედ ლენდმა უნებურად აძგერა ჩემს გემს თავისი ბარჯი?

ამ სიტყვებში თავდაჭრილი გაბრაზება შევამჩნიე და ვუპასუხე:

- კაპიტანო, ალბათ სრულებით არ გეცოდინებათ ის დავა, რომელიც ატყდა თქვენ შესახებ ევროპასსა და ამრიკაში. ალბათ, არ მოგეხსენებათ, თუ რა რიგად შეაშფოთა ხალხი თქვენი წყალქვეშა ნავით მიყენებულმა ზარალმა. მე არ შეგაწუხებთ ყველა იმ მითქმა-მოთქმითა და მოსაზრებებით, რომლითაც ცდილობდნენ აეხსნათ გაუგებარი მოვნელები. მოგახსენებთ მხოლოდ ერთს: "აბრამ ლინკოლნი" თქვენი დევნის დროს ფიქრობდა, რომ ებრძვის ზღვის რომელიმე მძლავრ ცხოველს, რომლისგანაც როგორმე უნდა გათავისუფლდეს ზღვები.

კაპიტნის ტუჩებს დამცინავმა ღიმილმა გადაჰკრა და წინანდელი მშვიდი ხმით შემეკითხა:

- პროფესორო, თქვენ თავდებად დგებით, რომ თქვენი სამხედრო გემი დევნას არ დაუწყებდა, ზარბაზნის ყუმბარებით არ გაუმასპინძლდებოდა წყალქვეშა ნავს?

ამ კითხამ შემაკრთო. ცხადია, კაპიტანი ფარაგუტი ერთ წუთსაც არ დაფიქრდებოდა და თავის წმინდა მოვალეობად ჩათვლიდა ამ წყალქვეშა ნავის განადგურებას ისევე, როგორც ზღვის უზარმაზარი ცალკბილას მოკვლას.

- ხომ გესმით, რომ უფლება მაქვს, ჩემს მოსისხლე მტრებად მიგიჩნიოთ?

პასუხი არ გამიცია, ან კი რა უნდა მეპასუხა?

კაპიტანმა განაგრძო:

- დიდხანს ვყოყმანობდი. არაფერი მავალდებულებდა, თქვენთვის მასპინძლობა გამეწია, მაგრამ თუ განშორება მოგველოდა, ახლა რიღასთვის უნდა შევხვედროდით ერთმანეთს. შემეძლო გემბანზე გამეყვანეთ, იქ დამეტოვებინეთ და სიღრმეში ჩავცურებულიყავი, თქვენი არსებობაც კი დამევიწყებინა. მქონდა თუ არა უფლება, ასე მოვქცეულიყავი?

- შეიძლება ველურს ჰქონდეს ასეთი უფლება, - შევუბრუნე სიტყვა, - მაგრამ განათლებულ ადამიანს კი - არა.

- პროფესორო არონაკს, - სწრაფად მიპასუხა კაპიტანმა, - მე სრულებით არ გახლავართ ის, ვისაც თქვენ გულისხმობთ. მე ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი მაქვს ეგრეთ წოდებულ საზოგადოებასთან! საამისოდ საკმაო მიზეზი მაქვს. მაშასადამე, არც საზოგადოებრივ წესრიგს ვემორჩილები, არც მის კანონებს. გთხოვთ, ამ საგანზე სიტყვა აღარ დაძრათ!

პირდაპირი და გულახდილი საუბარი იყო. მის თვალებში მრისხანება ელავდა, სახეზე ზიზღლი აესახა. გულში გამიელვა აზრმა: ალბათ საზოგადოებრივი ცხოვრბა დაუგმია, განშორებია მას და მისგან სრულიად დამოუკიდბელი და თავისუფალი გამხდარა. ვინ დაუწყებს მას დევნას ოკეანის უფსრულებსი მაშინ, როდესაც ზღვის ზედაპირზე თვითონ მუსრავს ყველაფერს, რაც მის წინააღმდეგაა მიმართული. რა გემი გაუძლებს ამ წყალქვეშა მონიტორის დაჯახებას? რომელ ჯავშანგადაკრულ გემს არ გახვრეტს მისი სარქენი!...

ამ ფიქრებმა ელვასავით გამირბინა თავში. ეს კი, ეს უცნაური ადამიანი მდუმარედ იდგა ფიქრებში წასული. შიშით და ძრწოლით ვარკვიდებოდი მის სახეს. ხანგრძლივი სიჩუმის შემდეგ, კაპიტანი პირდაპირ მე მომიბრუნდა:

- რადგან ბედისწერამ ჩემს წყალქვეშა ნავზე გამოგრიყათ, თქვენ დარჩებით ჩემს გემზე და შედარებით თავისუფალი იქნებით. მხოლოდ ერთი პირობით: სიტყვა უნდა მომცეთ, რომ ამ პირობას დაემორჩილებით. ჩემთვის მხოლოდ თქვენი სიტყვაა საკმარისი.

- ბრძანეთ, კაპიტანო, - ვუპასუხე მე, - თქვენი პირობა ალბათ ისეთი იქნება, რომ პატიოსან ადამიანს შეეძლება მისი მიღება!

- დიახ! მომისმინეთ, აი, ეს პირობაც: შეიძლება ზოგჯერ რაიმე მოულოდნელი გარემოების გამო, იძულებული გავხდე, რამდენიმე საათით ან შეიძლება რამდენიმე დღითაც ამ კაიუტაში ან როგორც თქვენ მას უწოდებთ, ამ საკანსი ჩაგვეთოთ. ასეთ შემთხვევაში, უსაზღვრო მორჩილეას მოვითხოვ თქვენგან. ასე გავაკეთებ იმის გამო, რომ თქვენ უნებლიერ მოწმე არ გაგახადოთ რაიმე შემთხვევისა. იღებთ თუ არა ამ პირობას?

ალბათ ამ გემზე ისეთი ამბავიც ხდება ხოლმე, რაც არ უნდა იცოდეს ბურჟუაზიული წრის ადამიანმა, - გავიფიქრე მე და ამხანაგების სახელითაც ვუპასუხე:

- მაგ პირობას ვიღებთ, მაგრამ ერთი შეკითხის ნება მიბომეთ.

- გისმენთ!

- თქვენ ბრძანეთ, გემზე თავისუფალი იქნებითო?

- დიახ, სრულიად თავისუფალი.

- მაშ, შეიძლება გკითხოთ, რას გულისხმობთ მაგ სიტყვაში?

- თქვენ შეგიძლიათ ამ გემზე თავისუფლად შეხვიდეთ ყველა განყოფილებაში. შეგიძლიათ ყველაფრის ნახვა, დათვალიერება, თვალყურის დევნება, დაკვირვება, რაც კი აქ ხდება, ხსენებული იშვიათი შემთხვევის გამოკლებით. ერთი სიტყვით, ისეთივე უფლებებით ისარგებლებთ, როგორითაც ვსარგებლობთ მე და ჩემი ამხანაგები.

- ბოდიში, მაგრამ ეს ისეთი თავისუფლებაა, რომელსაც ყოველი პატიმარი გაურბის. ასეთი თავისუფლება ჩვენთვის არ კმარა.

- ძალაუნებულად უნდა იკმაროთ.

- როგორ?! სამუდამოდ უნდა გავწყვიტოთ იმედი, რომ ოდესმე ვიხილავთ სამშობლოს, მეგობრებს, ნათესავებს?!

- დიახ, პროფესორო, მაგრამ უარის თქმა საზოგადოებრივი ცხოვრების იმ მძიმე უღელზე, რომელიც ზოგ ადამიანს და კონსერვატორ პროფესორებსაც თავისუფლებად მიაჩნიათ, დამერწმუნეთ არც ისეთი ძნელი საქმეა.

- მე ვერასოდეს მოგცემთ პირობას, რომ აქედან გაპარვას არ შევეცდები! - მიაძახა ნედ ლენდმა.

- მე თქვენგან ასეთ პირობას არ ვთხოულობ, ნედ ლენდ, - ცივად უპასუხა კაპიტანმა.

- კაპიტანო, თქვენ სარგებლობთ ჩვენი უმწეო მდგომარეობით, ჩვენი უბედური თავგადასავლით! ეს მეტისმეტი სიმკაცრე და უდიერებაა! - ვუთხარი მე.

- პირიქით, ეს არის სულგრზელობა. თქვენ ბრძოლის ველზე დამრჩით ტყვეებად, მე კი მაინც შეგიფარეთ ჩემს გემზე, მაშინ, როცა ჩემი ერთი სიტყვა კმაროდა, რომ ზღვის ფკსერზე გამესტუმრებინეთ. თქვენ აქ მოსულხართ, რომ გაიტაცოთ ჩემი საიდუმლოება, რომელიც არც ერთმა სულდგმულმა არ უნდა

იცოდეს. თქვენ კადნიერად შემოიჭერით ჩემი არსებობის საიდუმლოებაში!... და კიდევ ფიქრობთ, ოდესმე დაგაბრუნებთ ამ საზოგადოებაში, რომელმაც არ უნდა იცოდეს ჩემი არსებობის ამბავი?! თქვენ რომ აქ გტოვებთ, ამით ჩემს თავს ვიცავ!

ამ სიტყვების შემდეგ აშკარა იყო კაპიტნის მტკიცე გადაწყვეტილება. აქ არც კამათი გაჭრიდა, არც დარწმუნება და არც მუდარა.

- მაშასადამე, თქვენ არჩევანს გვაძლევთ: სიკვდილი ან სიცოცხლე?

- დიახ!

- მეგობრებო, - მივუბრუნდი ამხანაგებს, - ასეთ კითხვაზე თანხმობის მეტი რაღა გვეთქმის. მაგრამ ამით ხელ-ფეხს არ ვიკრავთ, არავითარი პირობას არ ვდებთ...

- არავითარს! - დამიდასტურა კაპიტანმა და შემდეგ უფრო რბილი კილოთი განაგრძო:

- ახლა, ნება მიბოძეთ, ჩემი სათქმელი დავამთავრო! მე თქვენ გიცნობთ, პროფესორო არონაკს. შეიძლება თქვენი ამხანაგებისათვის სამძიმო გახდეს ჩემს გემზე ყოფნა, მაგრამ პირადად თქვენთვის კი - არა. მოსალოდნელია, მალე თქვენ აღარ დაემდუროთ ბედს, რომელმაც ერთმანეთს შეგვახვედრა, დაგვაკავშირა. ჩემს საყვარელ წიგნებს შორის თქვენ ნახავთ თქვენს ნაწარმოებსაც - "ზღვის უფსკრულების საიდუმლოებანი". თქვენმა ნაშრომმა მეცნიერბა წინ წასწია, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ხმელეთის მცხოვრებთათვის, თუმცა ჯერ ყველაფერი არ იცით, ყვლაფერი არ გინახავთ. ნება მიბოძეთ, პროფესორო, მოგახსენოთ, რომ თქვენ სანანებლად არ დაგრჩებათ ჩემ გემზე გატარებული დრო. თქვენ იმოგზაურებთ საოცრებათა სამყროში. არასოდეს მოგწყინდებათ ის, რასაც განახვებთ: მუდამ განცვიფრებული იქნებით. მე კვლავ ვიწყებ წყალქვეშა მოგზაურობას დედამიწის გარშემო. ვინ იცის, იქნებ უკანასკნელადაც! მე მინდა, კვლავ ვიხილო წყალქვეშეთი და თქვენ ჩემი თანამგზავრი იქნებით; ერთად გამოვიკვლევთ და შევისწავლით მის წიაღს. დღეიდან თქვენ ფეხს შედგამთ ახალ სტიქიონში და იხილავთ იმას, რაც ჯერ არც ერთ სულიერ ადამიანს არ უნახას - ჩემსა და ჩემიანების გარდა. ჩემი წყალობით თვალწინ გადაგეშლებათ პლანეტის წყალქვეშეთის საიდუმლოებანი.

ცბიერებაში ნუ ჩამომართმევთ, თუ ვიტყვი, რომ კაპიტნის სიტყვებმა დიდი შთაბეჭდილება მოახდიან ჩემზე. ერთ წუთს გადამავიწყდა, რომ თვით უდიდესი სასწაულის ნახვა ვერასოდეს შეედრება დაკარგულ თავისუფლებას. მაგრამ მისმა სიტყვებმა მომავლის იმედიც ჩამინერგა... ალბათ მომავალი სინათლეს მოჰქონდეს ამ ბნელით მოცულ საკითხს. ამიტომ ასე ვუპასუხე კაპიტანს:

- თუმცა, როგორც ბრძანეთ, ყოველივე კავშირი გაწყვეტილი გაქვთ კაცობრიობასთან, მაგრამ მაინც ვრწმუნდები, თქვენს არსებაში არ ჩამქრალა ადამიანური გრძნობა. ჩვენ უნებლიერ მსხვერპლი გავხდით ზღვის ღელვის და თქვენც კაცთმოყვარული დიდსულოვნებით თავშესაფარი მოგვეცით. ამას ჩვენ არასოდეს დავივიწყებთ. პირადად მე, რა თქმა უნდა, არ უარვეოფ, რომ მეცნიერებას შეუძლია ადამიანის გულში მიაყუჩოს თავისუფლების მოთხოვნილება და დარწმუნებული ვარ, თქვენი შეხვედრა ამინაზღაურებს ყველა განვლილ ტანჯვა-ვაებას!

ვიფიქრე, რომ კაპიტანი ხელს გამომიწოდებდა ჩვენს შორის ასეით კავშირის დასამყარებლად, მაგრამ ასე არ მოიქცა და წასვლა დააპირა.

მაშინ ვკითხე:

- უკანასკნელი კითხვა...
- ბრძანეთ, პროფესორო!
- როგორ მოგმართოთ ხოლმე?

- თქვენთვის მე გახლავართ კაპიტანი ნემო. თქვენ და თქვენი ამხანაგები ვიჩემთვის - "ნაუტიილუსის" მგზავრები.

კაპიტანმა მოიხმო ერთი მეზღვაური. განკარგულება მისცა ჩვენთვის გაუგებარ ენაზე; შემდეგ ნედ ლენდსა და კონსეის მიუბრუნდა:

- სადილი თქვენს კაიუტაში მზადაა. გაჰყევით ამ კაცს.

- მაგაზე კი უარს არ ვიტყვი! - უპასუხა მებარჯემ.

კონსეი და ნედი გავიდნენ იმ საკნიდან, რომელშიც 30 საათზე მეტანს ვისხედით.

- ახლა კი ჩვენ წავედით სასადილოდ, პროფესორ არონაკს. ნება მიბოძეთ, წინ გაგიძლვეთ.

- მე თქვენს განკარგულებაში ვარ, კაპიტანო!..

თავი XIV

საუზმე

ჩვენი საპატიო პირდაპირ ელექტრონით განათებულ ტალანში გავედით. ოცდაათი ნაბიჯის შემდეგ კარი გაიღო და სასადილო ოთახში შევედით. ეს ოთხი გემოვნებით იყო მოწყობილი. კედელთან ორი მაღალი ბუფეტის კარადა იდგა. თაროებზე კრიალებდა ქაშანური, ფაიფური და ბროლი. ვერცხლის ჭურჭელს ელექტრონის შუქზე ლაპლაპი გაჰქონდა. სინათლე ჭერიდან ეფინებოდა ოთახს. საუცხოო სურათებით მოხატული ჭერი ამ კაშკაშა სინათლეს სინაზეს ჰქონდა. ოთახის შუაგულში მდიდრული ჭურჭლით გაწყობილი მაგიდა იდგა.

კაპიტანმა ნემომ ადგილი შემომთავაზა და მითხრა:

- დაბრძანდით, პროფესორო და შეექეცით, როგორც დიდი ხნის ნაშიმშილები ადამიანი.

საუზმე მრავალფეროვანი და საუცხოოდ მომზადებული კერძებისაგან შედგებოდა: ზოგი თევზეულია იყო, ზოგისა კი ვერაფერი გავიგე; დაახლოებითაც ვერ ვიტყვი, რისა იყო, გემო ჩინებული ჰქონდა, რაღაც უჩვეულო, უცნაური, რასაც მალე მივეჩვივე.

როგორც შევიტყვე, ეს ნაირ-ნაირი საჭმელი ბლომად შეიცავდა ფოსფორს და იმ დასკვნამდე მივედი, რომ ეს იყო ზღვის ცხოველის ხორცეული ან ზღვის მცენარეულობა. კაპიტანი ნემო მომჩერებოდა. არაფერი მიკითხავს, მაგრამ ჩემს ფიქრებს მიხვდა და თვითონ მიპასუხა იმ კითხვებზე, რომელთა წარმოთმის სურვილით ვიწვოდი.

- ამ საკვების უმეტეს ნაწილს თქვენ პირველად მიირთმევთ, - მითხრა მან, - მაგრამ უშიშრად შეიძლება მათი ჭამა, გემრიელია და ნოჟიერი. დიდი ხანია, რაც ხელი ავიდე "ზელეთის საჭმელებზე" და ჩემი ჯანმრთელობა სრულიად არ დაზიანებულა. ჩემი ეკიპაჟიც ზღვის ნაწარმით იკვებება და ყველანი ჯანმრთელად არიან.

- ყველაფერს ზღვა გაწვდით, კაპიტანო? - შევეკითხე.

- დიახ, პროფესორო, ზღვა მაწვდის ყველაფერს, რისი მოთხოვნილება და საჭიროებაც მაქვს. გადავაგდებ ბადეს და რამდენიმე წუთის შემდეგ ამოათრევ ისე

გავსებულს, რომ თევზის სიმძიმისაგან ლამის დაწყდეს. ჩავეშვები ამ სტიქიონის სიმძიმეში, რომელიც ადამიანს მიუწვდომელი ჰგონია და ჩემს წყალქვეშა ტყეებში ვნადირობ. ჩემი ნადირის ჯოგები წყნარად ნავარდობენ ოკეანის თვალუწვდენელ იალაღზე. დიახ, ეს არის ჩემი უზარმაზარი სამფლობელო, რომელიც ზარალის მოუყენებლად იძლევა მუდმივ შემოსავალს.

კაპიტან ნემოს ერთგვარი გაოცებით შევხედე და ვუპასუხე:

- ძალიან კარგად მესმის, კაპიტანო, რომ ნასროლი ბადე გაბმული თევზების სიმძიმისაგან წყდებოდეს, მაგრამ ჩემთვის გაუგებარია, როგორ ახერხებთ ზღვის ცოველებზე ნადირობას, ან სად შოულობთ თუნდაც ერთ მისალ ძროხის ხორცს?

- პროფესორო, აკი მოგახსენეთ, რომ ხმელეთის ხოველთა ხორცს აღარ ვიკარებ.

- განა ეს ძროხის ხორცი არ არის? - შევეკითხე და მივუთითე ერთ-ერთ ლანგარზე, რომელზედაც ხორცის ნაჭრები ელაგა.

- ეგ, რაც თქვენ ძროხის ხორცი გგონიათ, პროფესორო, ზღვის კუს სუკის ნაჭრია. აი, ეს კი დელფინის ღვიძლია. აბა, იგემეთ, ნამდვილი ღორის ყაურმა გეგონებათ. ჩემი მზარეული დიდი ოსტატია თავისი საქმისა და ჩინებულად ინახავს სანოვაგეს. გასინჯეთ, პროფესორო და თქვენი აზრი გამიზიარეთ. აი, გოლოთაურიას კონსერვები, მალაელები თითებს ჩაიკვნეტენ. აგერ, ვეშაპის ჯიშის ცხოველთა რძისგან მოხდილი ნაღები. აი, ჩრდილო ზღვების მცენარეებისაგან გამოხდილი შაქარი; აი, ესეც, - ნება მიბოძეთ, შემოგთავაზოთ, - მურაბა გახლავთ, რომელიც ზღვის ანემონებისაგანაა დამზადებული. გარწმუნებთ, რომ ეს მურაბა ხმელეთზე დამზდებულზე უკეთესია.

ცნობისმოყვარეობისა და რა სიხარბის გამო, ყველაფერის გემო გავსინჯე. კაპიტანი განგრძობდა:

- პროფესორო არონაკს, ზღვა არის ჩემი მასაზრდოებელი, უხვი და დაუშრეტელი. ზღვა არამცთუ მასაზრდოებს, ტან-ფეხსაც მიმოსავს იცით, რისგან არის მოქსოვილი ეგ ტანისამოსი, თქვენ რომ გაცვიათ? ერთგვარი ნიუარების ძარღვებისაგან. რაშია შეღებილი? ჯიგრისფერ ნიუარაში. ეს იისფერი ზოლები კი ხმელთაშუა ზღვის ბაჭიის გამონაწურსია შეღებილი. თქვენს კაიუტაში ტუალეტის მაგიდაზე ნახავთ სხვადასხვა სუნამოს, რომლებიც დამზადებულია ზღვის მცენარეთა ყვავილებისაგან. თქვენი ლოგინი დამზადებულია თივთიკივით რბილი ზღვის ბალახისაგან. კალამი, რომლითაც აქ დაწერთ რამეს, ვეშაპის ულვაშისა იქნება, მელანი კი - სიპინის სითხისა. ყოველივე ამას, ზღვა მაძლევს, პროფესორო, ზღვა.

- ზღვა ძალიან გიყვართ, კაპიტანო?

- დიახ, მიყვარს! ზღვა ჩემთვის ყველაფერია! ზღვა ფარავს მთელი დედამიწის ზურგის შვიდ მეათედს - მისი სუნთქვა, მისი ანაორთქლი ჯანსლია, მაცოცხლებელი და სუფთა. ეს არის თვალუწვდენელი უდაბნო, სადაც ადამიანი მარტოობას ვერასოდეს იგრძნობს, რადგანაც ხედავს და გრძნობს, რომ მის გარშემო სიცოცხლე დუღს და გადმოდუღს. ზღვა მუდმივი ციალია, მუდმივი მოძრაობა, მუდმივი სიყვარული, გარდაუვალი ფეთქვა, როგორც ამბობს ერთი ხმელეთის პოეტი. ზღვა არის უზარმაზარი ბუნების აუზი. ზღვით დაედო ქვეყნიერებას სათავე და ვინ იცის, იქნება მისითვე დასრულდეს იგი. ზღვაში ვპოულობთ უზენაესი სიმშვიდეს. ზღვა არ ეკუთვნის დესპოტ ადამიანს. მის ზედაპირზე კიდევ შეუძლიათ უკანონო ბატონობა და სისხლისმღვრელი ომების გაჩაღება მოყვასის წინააღმდეგ, შემუსვრა და გაულიტა თავისი თანამოძმისა - ერთი სიტყვით, მათ საშუალება აქვთ, ივარჯიშონ ამქეცენიურ ყოვლნაირ უკანონობაში, მაგრამ ზედაპირიდან ოცდაათი ფუტის სიღრმეზე მათ ბოროტებას საზღვარი ედება, მათი ბატონობა არარაობად იქცევა.

დიახ, პროფესორ, ზღვის ფსკერზე თავისუფალია სუნთქვა! იცხოვრეთ ზღვის უფსკრულებში! მხოლოდ აქა სრული დამოუკიდებლობა, მხოლოდ აქა ნამდვილი თავისუფლება!...

კაპიტანმა ნემომ სიტყვა ერთბაშად გაწყვიტა, თითქოს შეკრთა კიდეც, რომ ჩვეულებას გადაუხვია, მეტისმეტი გულახდილობა გამოიჩინა.

რამდენიმე წუთს აღელვებული ბოლდას სცემდა სასადილო ოთახში. ბოლოს, როგორც იყო, დამშვიდდა, მისმა სხვა ჩვეულებრივი გულრილი გამომეტყველება მიიღო და მომიბრუნდა:

- პროფესორო, ახლა კი თუ "ნაუტილუსის" დათვალიერება გნებავთ, თქვენს დასახმარებლად მზად ვარ.

თავი XV

"ნაუტილუსი"

კაპიტანი ნემო წამოდგა. მეც უკან გავყევი.

სასადილო ოთახის ბოლოში კარი გაიღო და ელექტრონით განათებულ ვიწრო და გრძლე ტალანსი გავედით. ათიოდე მეტრი გავიარეთ. ჩვენ წინ კიდევ გაიღო კარი და მეორე ოთახში გავედით.

ეს გახლდათ ბიბლიოთეკა.

კედლების ირგვლივ იდგა ჭერამდე აწვდილი შავი ხის კარადები.

თაროებზე ჩაემწვრივებინათ ერთნაირად შეფერილი წიგნები. კარადები კედლებს გასწვრივ ჩასდევდა. მათ შუა კი იდგა ყავისფერ ტყავგადაკრული დივნები, ამ დივნებზე საუცხოოდ მოთავსდებოდა მკითხველი. დივნებთან მიდმულ პატარა პიუპიტრიან მაგიდებზე მოხერხებულად შეიძლებოდა წიგნის დადება წასაკითხად. ბიბლიოთეკის შუაში უზარმაზარი მაგიდა იდგა, რომელიც სავსე იყო ბროშურებით. მათ შორის რამდენიმე ძველი გაზეთიც შევამჩნიო. ჭერიდან, მკრთალი შუქის ბურთიდან, ელექტროენერგიის სინათლე ეფინებოდა და კაშკაშა შუქს აფრქვევდა ამ დიდებულ მორთულობას.

განცვიფრებული ვათვალიერებდი ამ საუცხოო დარბაზს და თვალს არ ვუჯერებდი.

- კაპიტანო ნემო, - მივმართე ჩემს მასპინძელს, რომელიც დივანზე მიწოდილიყო, - თქვენი ბიბლიოთეკა დაამშვენებდა ხმელეთის ყველა სასახლეს. გაოცებული ვარ, რომ ეს ბიბლიოთეკა თან დაგაქვთ ზღვის უფსკრულებში!

- მერე სად ნახავთ ასეთ მყუდროებას, ასეთ განმარტოებას, პროფესორო, როგორც აქა. პარიზის მუზეუმში რომ კაბინეტი გაქვთ, ასეთ მყუდროებას ხომ ვერ მოგანიჭებთ?

- ვერა, კაპიტანო, იქ ასეთ მყუდროებას ვერ ვეღირსები. ამასთანავე უნდა დავუმატო, რომ ჩვენი მუზეუმის ბიბლიოთეკა ძალზე ღარიბია ამასთან შედარებით. აქ ალბათ, ექვსი-შვიდი ათასი ტომი გექნებათ....

- თორმეტი ათასი, პროფესორო არონაკს! წიგნებია ერთადერთი ჯაჭვი, რომელიც ხმელეთთან მაკავშირებს. ხმელეთს იმ დღეს გამოვეთხოვე, როცა ჩემი "ნაუტილუსი" პირველად ჩაეშვა ზღვის უფსკრულში. იმ დღეს შევიზინე

უკანასკნელი ბროშურები, გზეთები, წიგნები და მას მერ ჩემს თავს ვეუბნები: კაცობრიობას ახალი არფერი გამოუგონებია, არაფრისათვის მიუღწევია, ახალი არაფერი დაუწერია. ჩემი წიგნები თქვენს განკარგულებაში იგულეთ, პროფესორო. ნუ მომერიდებით, გეთაყვა.

კაპიტანს მადლობა გადავუხადე და წიგნების დათვალიერება დავიწყე. აქ თავმოყრილი იყო წიგნები ყველა ენაზე და ყველა დარგის შესახებ: მეცნიერული, ზნეობრივი, ფილოსოფიური, ბალისტიკა, ჰიდროგრაფია, მეტოროლოგია, გეოგრაფია, გეოლოგია და ბუნებისმეტყველება. ეტყობა, კაპიტანს წიგნების კითხვა ძალიან უყვარდა. აქ იყო ჰუმბოლდტი, არაგო, ფუკო, ანრი სე-კლერ-დევილი, შასლი, მილან-ედვარსი, კატრიფაჟი, ტინდალი, ფარადეი, ბერტელო, აბატი სეკი, პეტერმანი, კაპიტანი მორი, აგარისი; ასევე იყო ჩემი ნაშრომის ორი ტომი, რომლის წყალობითაც კაპიტანმა ასე თავაზიანად მიმიღო. შევამჩნიე ასევე ჟოზეფ ბერტრნის "ვარსკვლავთმრიცხველობის დამარსებელნი". ეს წიგნი 1865 წელს გამოიცა. აქედან დავასკვენი, რომ "ნაუტილუსი" ამ წელზე ადრე არ ჩაშვებულა ზღვაში სანავარდოდ, მაშასადამე, სამ წელიწადზე მეტი ნამდვილად არ არის, რც კაპიტან ნემოს "კავშირი გაუწყვეტია ხმელეთთან".

- გმადლობთ კაპიტანო, რომ თქვენი ბიბლიოთეკით სარგებლობის ნება მიბომეთ. აქ მთელი საუნჯეა მეცნიერებისა და მეც ვეცდები ვისარგებლო ამით.

- ეს ოთახი მარტო ბიბლიოთეკა როდია, ეს გახლავთ აგრეთვე თამბაქოს მოსაწევი ოთხიც.

- თამბაქოს მოსაწევი? - წამოვიძახე მე, - მაშ, თქვენს გემზე თამბაქოსაც ეწევით?

- დიახ!

- ამ შემთხვევაში შემიძლია ვიფიქრო, რომ თქვენ კავშირი გაქვთ ჰავანასთან.

- არავითარი! - მიჲსუხა მან, - ინებეთ, პროფესორო, ეს სიგარა. თუმცა ჰავანისა არ გახლავთ, მაგრამ თუ სიგარის გარჩევა იცით, ვგონებ, კმაყოფილი დარჩებით.

გამოწვდილი სიგარა ჩამოვართვი. ისეთი ყვითელი იყო, თითქოს ოქროს ფურცელი დაუხვევიათო. ბრინჯაოს მაღალ, მოხდენილ კვარცხლბეკზე მოვუკიდე და ისეთი ნეტარებით დავარტყი ნაფაზი, რომელსაც ადვილად მიმიხდება ისთი მწეველი, რომელსაც ორი დღეა არ მოუწევია.

- ჩინებულია, მაგრამ ეს თამბაქო არ უნდა იყოს.

- არა, თამბაქო არ გახლავთ. ამით იმის თქმა მინდა, რომ არც ჰვანისაა და არც აღმოსავლეთის რომელიმე ქვეყნისა. ეს არის ზღვის მცენარე, რომელიც ნიკოტინს უხვად შეიცავს. ამ მცენარის შოვნა არც ისე ადვილია. ზღვა ძუნწად მამარაგებს ასეთი მცენარეულობით.

- დიდებული რამაა!

- მაშ, ისიამოვნეთ, რამდენიც გენებოთ. თქვენ ხილი იგემეთ, მებაღეს რას დაემებთ. მართალია, ამ სიგარებს არც ერთი საბაჟო არ გამოუვლია, მაგრამ ვგონებ, ამით მათი ღირსება არ მცირდება.

- პირიქით, კაპიტანო, პირიქით!...

ამ ლაპარაკში კაპიტანმა ნემომ ჩვენ პირდაპირ შეაღო კარი და იქ შევედით. ეს იყო კაშკაშა სინათლით განათებული მოზრდილი დარბაზი, სიგრძით 10 მეტრი, სიგანით - 6 და სიმაღლით - 5. სინათლე ჭერიდან სცემდა. ჭერი ნაზი არაბესკებით იყო მოხატული, რაც ამ კაშკაშა სინათლეს არბილებდა და მომხიბლავად ანათებდა ამ მუზეუმში დაგროვილ ბუნებისა და ხელოვნების იშვიათ საუნჯეს. ყველაფერი ისე უწესრიგოდ ელაგა, როგორც მხატვრის სახელოსნოში.

უცხოსახიან კედლებს ამშვენებდა ოცდაათამდე გამოჩენილი მხატვრის ნახატი, ერთნაირ ჩარჩოში მოთავსებული. მათ შორის ვნახე ფასდაუდებელი მხატვრული ნაწარმოები, რომელთაც აღტაცებაში მოვყავდი ხოლმე "ხმელეთზე" ყოფნის დროს, კერძოდ გალერეებსა და თუ სამხატვრო გამოვენებზე.

ოთახში იდგა ჩინებულად შესრულებული ბრინჯაოს ასლები განთქმული ქანდაკებებისა. მე უკვე განვიცდიდი იმ განცვიფრებას, რომლის შესახებაც კაპიტანი ნემო ლაპარაკობდა.

- პროფესორო, - მითხრა ამ უცნაურმა ადამიანმა, - მომიტევეთ, რომ ასე უბრალოდ დაგიხვდით და ამ მისაღებ ოთახში ასეთი არეულ-დარეულობაა.

- კაპიტანო ნემო, არ იფიქროთ, ვითომც თქვენი პიროვნების გამოცნობა მსურდეს, მაგრამ შეიძლება ვიფიქრო, რომ ხელოვანი ბრძანდებით?

- არა, პროფესორო, მხოლოდ ხელოვნების მოყვარული, არც მეტი, არც ნაკლები. ოდესაც, გიუ კოლექციონერი გახლდით, ხარბად ვაგროვებდი ადამიანის ხელით შექმნილ მშვენიერ ნაწარმოებებს. დაუღალავად ვეძებდი და მოვახერხე რამდენიმე იშვიათი და ძვირფასი ნივთის შეძენა. მხოლოდ ესენილა მახსენებენ ხმელეთს, რომელიც ჩემთვის ახლა მკვდარია.

კაპიტანი გაჩუმდა, თითქოს ღრმა ფიქრებს მისცა თავი. გულითადი თანაგრძობით და მღელვარებით ვაკვირდებოდი მისი საოცარი სახის ნაკვთებს და თვალი ვერ მომეშორებინა.

იშვიათი მოზაიკით შემკობილ მაგიდაზე იდაყვდაყრდნობილი, ფიქრებში ჩაძირული, ეტყობოდა ვეღარც კი ამჩნევდა ჩემს არსებობას.

მეც მყუდროება აღარ დავურღვიე და ამ დიდებული დარბაზის იშვიათ საუნჯეს დავუწყე თვალიერება. ოთახში ხელოვნების ნაწარმოებების გარდა სხვა ბევრი რამ იყო თავმოყრილი: მეცნიერთა კოლექცია, ნიუარები თუ ოკეანის სხვა საუნჯენი. ალბათ საკუთარი ხელით ჰქონდა შეგროვილი.

შუა დარბაზში შადრევანი იფრქვეოდა და ელქტროსინათლეზე მისი წინწკლები ალმასივით ელვარებდა.

შადრევნის მახლობლად, შუშაბანდში დანომრილი ელაგა ოკეანის ძვირფასი "ნაწარმოებები".

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ ჩემი განცვიფრება!

აღტაცებით ვათვალიერებდი ზღვის საუცხოო კოლექციებს, რომლებთან შედარებით "ხმელეთის" უმნიშვნელო და უბადრუკი მოჩანდა. იშვიათი ნიმუშები ვნახე აქ.

რამდენი შრომა უნდა დახარჯულიყო ამის შესაგროვებლად ან რამდენი ფული! - გავიფიქრე, როდესაც მეცნიერული ცნობისმოყვარეობა დავიკმაყოფილე.

კაპიტან ნემოს მილიონები უნდა დაებანდებინა ამ ძვირფასი ნიმუშების შესაძენად. როგორ ახერხებს თავისი ფანტაზიის განხორციელებას, ასეთი კოლექციების შეგროვებას?

უცებ მისმა სიტყვებმა ფიქრი შემაწყვეტინა:

- ჩემს ნიუარებს ათვალირებთ, პროფესორო? მართლაც რომ დააინტერესებს ნატურალისტს. ჩემთვის ხომ ესენი გამორჩეულად ძვირფასია, რადგან საკუთარი ხელით მაქვს შეგროვილი. უნდა მოგახსენოთ, არ მოიპოვება არც ერთი ზღვა მთელი დედამიწის ზურგზე, რომელიც არ შემომევლოს და არ შემესწავლოს.

- მესმის, კაპიტანო, - ვუპასუხე მე, - ვგრძნობ, თუ რა დიდი სიამოვნებაა ასეთი სიმდიდრით დატკბობა. თქვენ ის ადამიანი ყოფილხართ, რომელიც საკუთარი ხელით იხვეჭს სიმდიდრეს. ევროპის არც ერთ მუზეუმს არ მოეპოვება ასეთი

კოლექციები. მაგრამ ჩემი აღტაცება ამათ ცქერას რომ შევალიო, რაღა დავტოვო იმგემისთვის, რომელიც ამ მუზეუმს ატარებს. მე სრულებით არ მსურს თქვენს საიდუმლოეაში ჩავიხედო, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ "ნაუტილუსი" და მისი მამოძრავებული აღჭურვილობა - ეს ყოველივე უდიდეს ცნობისმოყვარეობას მიღვიძებს! მე ვამჩნევ, რომ დარბაზის კედლებზე ისეთი ინსტრუმენტებია წარმოდგენილი, რომელთა დანიშნულებაც არ ვიცი. შეიძლება გვითხოთ?

- პროფესორო არონაკს, მე უკვე მოგახსენეთ, რომ ჩემს გემზე თვისუფალი იქნებით; მაშასადამე, "ნაუტილუსის" არც ერთი კუნჭული დაფარული არ იქნება თქვენთვის. თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი დაწვრილებით დაათვალიეროთ და მე სასიამოვნო მოვალეობად მივიჩნევ, ამ მხრივ სამსახური გაგიწიოთ.

- არ ვიცი, როგორ გადაგიხადოთ მადლობა, კაპიტანო, მაგრამ თქვენს თავაზიანობას ბორტად არ გამოვიყენებ. მინდოდა მხოლოდ გამომეკითხა თქვენთვის ამ ფიზიკური ხელსაწყოების დანიშნულება.

- პროფესორო, ასეთივე ხელსაწყოები ჩემს ოთახშიც მაქვს და ამის შესახებ იქ მოგახსენებთ განმარტებას. მაგრამ ჯერ ნახეთ თქევნთვის გამზადებული კაიუტა. თქვენ უნდა იცოდეთ, როგორი ბინა გექნბათ "ნაუტილუსზე".

კაპიტანს გავყევი. დარბაზის ყველა მხარეს კარი ჰქონდა. ერთ-ერთი კარით ვიწრო ტალანტი გავედით და გემის ცხვირს მივადექით. აქ იყო ჩემთვის გამზადებული კაიუტა კი არა, მშვენიერი ოთახი, თავისი საწოლით, ტუალეტის მაგიდით და სხვა ავეჯით მორთული. მადლობის გადახდის მეტი რაღა დამრჩენოდა.

- თქვენი ოთახი ჩემი ოთახის გვერდითაა, - მითხრა მან და კარი შეაღო, - ჩემი ოთახიდან კი გასასვლელი კარია იმ დარბაზში, სადაც ჩვენ ვიყავით.

კაპიტანი თავის ოთახში შემიძლვა.

პირქუში სანახავი იყო და განდეგილის სენაგს ჰგავდა: რკინის ტახტი, სამუშაო და ტუალეტის მაგიდები. მკრთალი სინათლე მოჰქონდა ოთახს, არავითარი ფუფუნების საგანი არ ჩანდა, აუცილებელი ნივთების გარდა.

კაპიტანმა სკამი შემომთავაზა.

- პროფესორო, დაბრძანდით, გეთაყვა.

ჩამოვსხედით და კაპიტანმა თხრობა დაიწყო:

თავი XVI

ყველაფერი ელექტრონით

- პროფესორო, - მომმართა კაპიტანმა და კედელზე ჩამოვიდებულ ხელსწყო-ინსტრუმენტებზე მიმითითა: - აი, ეს გახლავთ "ნაუტილუსის" მოძრაობისათვის საჭირო მოწყობილობა. ესენი მუდამ თვალწინ მაქვს და მიჩვენებენ გემის სვლაგზეს. ალბათ ზოგიერთს იცნობთ. მაგალითად, თერმომეტრი, რომელიც "ნაუტილუსის" ტემპერატურას აღნიშნავს. ბარომეტრი მიჩვენებს ჰნევას და წინასწარ მატყობინებს ამინდის ცვილებას; ჰიგრომეტრი აღნიშნავს ატმოსფეროს სინესტეს, შტრომ-გლასში მოთავსებულია ნარევი და ქარიშხლის მოახლოების დროს იხსნება; კომპასი გვიჩვენებს გზას, ესეს სექსტანი, მზის სიმაღლის მიხედვით მიჩვენებს გეოგრაფიულ განედს; ქრონომეტრი მეხმარება დროისა და გეოგრაფიული გრძედის დაზუსტებაში, დღისა და ღამის დურბინდებით ვსარგებლობ მაშინ, როდესაც "ნაუტილუსი" ზღვის ზედაპირზე ცურავს.

- ესენი ზღვაოსნობის ჩვეულებრივი ხელსაწყოებია, - ვუპასუხე მე, - ეს ვიცი, მაგრამ აქ სხვებიცაა, რომლებიც ალბათ მხოლოდ "ნაუტილუსისთვისაა" გამოსადეგი. აგერ, ვხედავ ციფერბლატს, რომელზედაც ისარი მოძრაობს. ეს მანომეტრი ხომ არ არის?

- დიახ, მანომეტრია, - მიპასუხა კაპიტანმა, - ის შეერთებულია წყალთან და აღნიშნავს გარეგან წნევას, ე.ი. წყლის დაწოლას "ნაუტილუსის" კედლებზე და ამავე დროს, აღნიშნავს, ზღვაში რა სიღრმეზე იმყოფება ჩემი გემი.

- ეს ლოტოებიც სულ სხვანაირია!

- ეს თერმომეტრული ლოტებია, ისინი გვიჩვენებენ წყლის ტემპერატურას სხვადასხვა სიღრმეზე.

- ეს რაღა ინსტრუმენტებია? ამათ დანიშნულებას ვერ მივხვდი.

- აქ კი, პროფესორო, რამდენიე განმარტებაა საჭირო, - მითხრა კაპიტანმა, - გნებავთ მომისმინოთ?

- სიამოვნებით გისმენთ, კაპიტანო.

რამდენიმე წამის სიჩუმის შემდეგ, კაპიტანმა დაიწყო:

- არსებობს მძლავრი, მორჩილი, სწრაფი და იოლი ძალა, რომელიც ყველგან და ყველაფერში გამოსაყენებელია და რომელსაც ჩემს გემზე უმთავრესი ადგლი აქვს დათმობილი. ყველაფერს ის მიკეთებს: ის მაძლევს სინათლეს, სითბოს. ერთი სიტყვით, ის არის სული და გული ჩემი მექანიკური მანქანებისა. ეს ძალა გახლავთ ელექტრონი.

- ელექტრონი?! - წამოვიძახე გაკვირვებით.

- დიახ, პროფესორო.

- უნდა მოგახსენოთ, კაპიტანო, რომ თქვენი გემის წარმოუდგენელი სიჩქარე ელექტრონის თვისებებს არ შეეფერება. დღემდე ელექტრონის მამოძრავებელი ძალა ჩვენსი მეტად ცუდ შედეგებს იძლეოდა.

- მაგისი რა მოგახსენოთ, პროფესორო, მაგრამ ჩემი ელექტრონი ცოტაოდენ განსხვავდება ხმელეთზე არსებული ელექტრონისგან. თუ ნებას მიბოძებთ, ამით დავკმაყოფილდეთ.

- არ აგიხირდებით, კაპიტანო, მაგრამ არ შემიძლია განცვითორება არ გამოვთქვა ასეთი მიღწევის გამო. თუმცა, თუ აბეზარობაში არ ჩამომართმევთ, ერთი კითხვა მაქვს თქვენთან: ის ელემენტები, რომელთაგანაც თქვენ იღებთ ამ საოცარ მამოძრავებელ ძალას, რა თქმა უნდა, ჩქარა ფუჭდება. მაგალითად, როგორ ახერხებთ თუთიის განახლებას, თუკი ხმელეთთან ყოველივე კავშირი გაგიწყვეტიათ?

- ზღვა ყველაფერია ჩემთვის, პროფესორო, - მიპასუხა კაპიტანმა, - ზღვა მაძლევს ყვლა მასალას გალვანური კადებისათვის. მას ქმნისგალვანური ელემენტები. თქვენც მოგეხსენება, რომ საჭირო ხდება მათსი ქვანახშირის და ლითონის გამოცვლა, მაგალითად, თუთიისა. ზღვაში არის ქვანახშირი, მაშასადამე, ქვანახშირი თავსაყვარი მაქვს. თუთია აქ არ იშოვება. მაგრამ მის მაგივრად ვხმარობთ ნატრიუმის ანუ ბორის და სინდიუმის ნარევს.

- ნატრიუმს? - წამოვიძახე მე, - მერე, საიდან იღებთ ლითონის მსგავს ბორას?

- ზღვის წყლისგან ვამზადებ მარილს ნახშირს, ესე იგი, ქლორის ნატრიუმს. ქლორის ნატრიუმისგან კი, თუკი ქვანახშირიცა გაქვთ, ადვილად მიიღებთ ლითონის ნატრიუმს.

- მერე, სინდიუმი? ნუთუ სინდიუსაც ზღვაში მიაგენით?

- არა! სინდიუმის დიდი თადარიგი თავდაპირველადვე დავიჭირე და განუსაზღვრულ დრომდე მეყოფა, რადგანაც სინდიუმი თავისთავად არ იხარჯება.

გალვანური მოქმედების გავლენით იხარჯება მხოლოდ ნატრიუმი. სინდიფი ცალკევდება და იგივე სინდიფი შეიძლება შეასბამისი რაოდენობიტ გავურიოთ ახალ ნატრიუმში. დაიხსომეთ, პროფესორო, რომ ნატრიუმის ამაღამისგან დამზადებული ჩხირები თუთიისას სჯობია, რადგანაც დიდ ექლექტრობას იძლევა.

მცირე სიჩუმის შემდეგ კაპიტანმა განაგრძო:

- ხომ ხედავთ, პროფესორო, რომ ყველაფერს ოვეანე მაწვდის: ის მიმზადებს ელექტრონს, ელექტრონი "ნაუტილუსს" აძლევს სითბოს, სინათლეს, მოძრაობას, ერთი სიტყვით - მთელ სიცოცხლეს.

- მაგრამ ვერ მოგცემთ ჰაერს, რომლითაც სუნთქვავთ!

- ჰაერსაც კი დავამზადებდი, ჩემი არსებობისათვის საჭირო რომ გამხდარიყო! ეს უსარგებლოა, რადგანაც ზღვის ზედაპირზე ამოვდივარ, როდესაც ამის საჭიროებაა. მართალია, ელექტრონი ჰაერს არ მაძლევს სასუნთქად, სამაგიეროდ, მოძრაობაში მოჰყავს მძლავრი ტუმოები, რომელთა საშუალებით ჰაერით ივსება სათადარიგო აუზები, რის წყალობითაც შემიძლია წყალქვეშ დავყო იმდენ ხანს, რამდენ ხანსაც მინდა.

- აღტაცებული ვარ, კაპიტანო! - ვუთხარი მე, - როგორც ჩანს, თქვენ დაგისწრიათ ელექტრონით სარგებლობა ჩვენი ქალაქებისატვის. თქვენ აღმოგიჩნიათ ის, რასაც კაცობრიობა ალბათ მომავალში მიაგნებს.

- რა მოგახსენოთ, მიაგნებს თუ არა, - მიპასუხა კაპიტანმა ნემომ, - მაგრამ, ახლა უკვე მოგახსენეთ პირველი ნაყოფი, რასაც იძლევა ეს ძვირფასი ძალა. ის გვინათებს თანაბრად და შეუჩერებლივ. მზის სხივს ეს არ შეუძლია მოგვცეს. აბა, ახლა საათს შეხედეთ: ელექტრონის საათია და ისე ზუსტად მუშაობს, რომ საუკეთესო ქრონომეტრებს მეტოქეობას გაუწევს. მე ის 24 ნაწილად დავყავი იტალიური სისტემით, რადგანაც ჩემთვის არც დღე არსებობს, არც ღამე, არც მზე, არც მთვარე, არსებობს მხოლოდ ეს ხელოვნური სინათლე, რომელიც ზღვის ჯურღმულებში თან დამაქვს. შეხედეთ, ახლა დილის ათი საათია.

- ვხედავ, ვხედავ!

- ელექტრონი გამოყენებულია ჩვენ პირდაპირ ჩამოვიდებულ ციფერბლატში. ის გვიჩვენებს "ნაუტილუსის" სვლის სიჩქარეს. ელექტრონის მავთული აერთებს მას სპირალურ ლანგთა. მისი ისარი კი ნამდვილი სვლის სიჩქარეს მაჩვენებს. შეხედეთ, ახლა ჩევნ საათში გავდივართ თხუთმეტ მილს.

- სასწაულია! - წამოვიძახე მე, - კარგად მოქცეულხართ, რომ ისეთ ძალას ხმარობთ, რომელიც თავის დროზე შეენაცვლება ქარს, წყალსა და ორთქლს.

- ჩვენ ჯერ არ დაგვისრულებია, პროფესორო, - მითხრა კაპიტანმა და წამოდგა, - თუ ისურვებთ და გამომყვებით, დავათვალიეროთ "ნაუტილუსის" ბილონ ნაწილი.

წყალქვეშა ანვის წინა განყოფილება უკვე სულ დავთვალიერე. იგი ასე იყო დანაწილებული: შუაგულიდან გემის ცხვირამდე იყო 5 მეტრის სიგრძის სასადილო ოთახი, რომელიც ბიბლიოთეკისგან კედლით იყო გადატიხრული. ბიბლიოთეკა 5-6 მეტრი სიგრძის იყო, დიდი დარბაზი - 10 მეტრისა, კაპიტნის ოთახი - 4 მეტრის სიგრძის, ჩემი ოთახი - 2 1/2 მეტრი და ჰაერის სათადარიგო აუზები - 7 1/2 მეტრი. სულ სიგრძე იყო 35 მეტრი.

წყლის შესაკავებელ კედლებს კარები ჰქონდა დატანებული. კარები კაუჩუკის ნაწილებით ჰქონდა და იხურებოდა და "ნაუტილუსს" საფრთხე არ მოელოდა, თუნდაც წყალს დაეწყო ჟონვა.

ვიწრო ტალანებში უკან მივდევდი კაპიტანს და გემის შუაგულში მოვხვდით. აქ იყო გადაფიცრულ კედელს შუა მოქცეული ერთგვარი ჭა. კედელზე მიმაგრებული რკინის კიბე მაღლა მიუყვებოდა.

კაპიტანს ვკითხე, - ამ კიბეს რა დანიშნულება აქვს-მეთქი?

- ეს კიბე კანჯომდე აგიყვანს, - მიპასუხა მან.

- როგორ, განა კანჯოც გაქვთ? - ვკითხე გაოცებულმა.

- რა თქმა უნდა, მშვენიერი ნიჩბებიანი ნავია, სასეირნო და სათავზაო.

- მაგრამ, როდესაც ამ ნავში ჩაჯდომას მოისურვებთ, მაშინ ხომ ზღვის ზედაპირზე უნდა ამოხვიდეთ?

- სრულებითა არა. ეს ნავი მიმაგრებულია გემის ზემო ნაწილზე ჩაღრმავებულ ადგილას, რომელიც საგანგებოდ მისთვის არის გამოჭრილი ეს არის ნამდვილი საბაქანო იალქნიანი კანჯო, რომელიც წყლით არ იუღინთება, მსხვილი ჭანჭიკებითაა დამაგრებული. კიბის თავი "ნაუტილუსის" კორპუსი გამოკვეთილ კარს ებჯინება. ეს კარი კაცის სიმაღლისაა და ასეთივე კარით უერთდება კანჯოს გვერდს. ამ გზით, ე.ი. ამ ორი გასასვლელით შევდივარ კანჯოში. ერთი კარი "ნაუტილუსის" შიგნიდან იკეტება, მეორე კარს კი, მე გავიხურავ, ჭანჭიკებს მოვუშვებთ და კანჯო წარმოუდგენელი სისწრაფით აცურდება ზედაპირზე. მაშინ კანჯოს ძირზე ერთ ფიცარს ავხდი, ანძას ავმრთავ, იალქანს ავუშვებ, ნიჩბებს ხელს ვკიდებ და ზღვის ზედაპირზე დავნავარდობ.

- მერე გემზე, როგორდა დავბრუნდებით, კაპიტანო?

- მე კი არ ვბრუნდები, "ნაუტილუსი" მოდის ჩემთან.

- თქვენი ბრძანებით?

- დიახ. "ნაუტილუსიდან" ელექტრონის მავთულია ჩემს კანჯოზე მიმაგრებული. დავურეკავ და ეგ არის.

- მართლაც, - წამოვთქვი მე, - ამ სასწაულებით გაბრუებულმა, - ამაზე ადვილი რაღა იქნება!

იმ კიბეს რომ გავცდით, რომელიც ბაქანს ეკვროდა, დავინახე, ორი მეტრი სიგრძის კაიუტა, სადაც ნედ და კონსეი სუცხოო სადილით აღტაცებულნი მადიანად ილუკმებოდნენ. შემდეგ კაპიტანმა სამზარეულოს კარი შეაღო. ოთახი სიგრძით სამი მეტრი იქნებოდა.

აქ ელექტრონი გაზზე უფრო მარჯვედ იყო გამოყენებული. სამზარეულოს ყოველი საქმე ელექტრონით კეთდებოდა. მავთულები ღუმელს უერთდებოდა და კბილებიან პლატინას ახურებდა. სითბოს მომატება და მოკლება თავისუფლად შეიძლებოდა. ელექტრონით ხურდებოდა წყლის გამოსახდელი აპარატი, რომელიც მშვენიერ სასმელ წყალს იძლეოდა. სამზარეულოს გვერდით მოწყობილ აბაზანაში სურვილსამებრ შიძლებოდა თბილი ან ცივი წყლის მოშვება. სამზარეულოს იქით მდებარე მოზრდილი ბინა, სიგრძით ხუთი მეტრი, ეკიპაჟს ეკუთვნოდა. კარი მოხურული იყო და შიგნით მოწყობილობა ვერ დავათვალიერე, თორემ შეიძლებოდა მევარაუდა, რამდენი კაცისაგან შედგებოდა "ნაუტილუსის" ეკიპაჟი. სულ უკანა ნაწილში მეოთხე კედელი იყო, რომლითაც ეკიპაჟის საცხოვრებელი სამანქანო განყოფილებისაგან იყოფოდა. კარი გაიღო და ჩვენ შევედით იმ განყოფილებაში, სადაც კაპიტან ნემოს წყალქვეშა ნავის მამოძრავებელი მანქანები მოეთავსებინა.

საუცხოოდ განათებული სამანქანო ოთახი სიგრძით 20 მეტრი მაინც იქნებოდა, ორ ნაწილად იყო გაყოფილი: ერთ ნაწილში ელექტრობატარეები იდგა, მეორეში - ბორბლის მამოძრავებელი მექანიზმი.

გულდასმით დავათვალიერე "ნაუტილუსის" მანქანები.

- რა მანძილს გადის "ნაუტილუსი" ერთ საათში?
- ორმოცდაათ მილს.

- კაპიტანო, - ვუთხარი მე, - არ მეეჭვება. ჩემი თვალით ვნახე "ნაუტილუსი" როგორ მანევრებსაც აკეთებდა "აბრაამ ლინკოლნის" წინააღმდეგ და ვიცი, რა სიჩქარისაცაა, მაგრამ ხომ უნდა იყოს ისეტი ძალა, რომელიც მას აამოძრავებს წინ თუ უკან, ზევთი თუ ქვევით, ესე იგი, ყოველ მხარეს. მერე ამას როგორ ახერხებთ უდიდეს სიღრმეზე, სადაც წინააღმდეგობა ასეულ ატმოსფეროთი განისაზღვრება? როგორ ამოცურდებით ზღვის ზედაპირზე, ან როგორ ჩერდებით იმ სიღრმეზე, რომელიც თქვენ გინდათ? გადამეტებულ ცნობისმოყვარეობას ხომ არ ვიჩენ, ამას რომ გეკითხებით კაპიტანო?

- სრულებითაც არა, პროფესორო, - მიპასუხა მან მცირე ყოყმანის შემდეგ და დასძინა, - თქვენ ხომ ვერასოდეს დატოვებთ ამ წალქვეშა ნავს... წამობრძანდით დარბაზში. იქ მაქვს ნამდვილი სამუშაო კაბინეტი და ყველაფერს შეიტყობთ, რაც გაინტერესებთ.

თავი XVII

"საოცარი ცხოველი"

ერთი წუთის შემდეგ დარბაზში ვისხედით დივანზე და სიგარას ვაბოლებდით. კაპიტანმა გადამიშალა ნახაზი, რომელი "ნაუტილუსის" კვეთილ გეგმას წარმოადგენდა. ცოტა ხნის შემდეგ კი, აი, რა მიამბო:

- აი, პროფესორო, სხვადასხვა ნახაზი იმ გემისა, რომელზედაც თქვენ იმყოფებით. ეს გემი წარმოადგენს ძალზე გრძელ ცილინდრს, რომელიც კონუსით ბოლოვდება: იგი წააგავს სიგარას. ცილინდრის სიგრძე თავიდან ბოლომდე 70 მეტრს უდრის, ხოლო სიგანე ყველაზე უფრო განიერ ადგილას, 8 მეტრია. როგორ ხედავთ, საკმაოდ გრძელია. ასე რომ, ზემეტი წყალი სვლის შეუფერხებლად იდინებს.

ესეც ორი ნახაზი, რომლებითაც შეგიძლიათ წარმოიდგინოთ "ნაუტილუსის" მოცულობა. ზედაპირი უდრის 11 000 კვადრატულ მეტრს, მოცულობა კი 1 500 კუბური მეტრია, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, ჩაყვინთვის დროს 1 500 კუბური მეტრ წყალს გამდევნის.

"ნაუტილუსი" თავისი სხეულის მხოლოდ ერთი მეათედით ამოდის წყლის ზედაპრზე. მაგრამ თუ აუზებს გავავსებთ წყლის იმ ოდენობით, რომელიც ამ ერთ მეათედს უდრის, მაშინ გემი სრულებით ჩაიმალება წყალში.

- ძალიან კარგი, კაპიტანო, მაგრამ სწორედ ახლა ვუახლოვდებით დაბრკოლებას: წამოვიდგინოთ, რომ თქვენ შეგიძლიათ წყალქვეშა გემი ერთგვარ სიღრმეზე ამყოფოთ, მაგრამ უფრო ღრმად რომ ჩახვალთ, მაშინ ხომ თითოეულ ოცდაოთხმეტ ფუტზე, ესე იგი, თითქმის ერთი კილოგრამის წნევას თითო სანტიმეტრზე.

- სწორედ ასეა, პროფესორო. გემის სამართავად ვხმრობ ჩვეულებრივ საჭეს, რომელსაც ბორბალი ამოძრავებს, მაგრამ მე სამუალება მაქვს, "ნაუტილუსი" მივმართო ზევიდან ქვევით, ქვევიდან ზევით შვეული ხაზით.

- ყოჩაღ, კაპიტანო! - შევძახე მე, - მაგრამ მესაჭე, როგორ მისდევს იმ გუზს, რომელსაც თქვენ ანიშნებთ?

- მესაჭე იმყოფება შუშაბანდის ჯიხურში, რომელიც გემის კორპუსის გარეთა ნაწილზეა მოთავსებული და დახურულია ოსპის მოყვანილობის სქელი შუშით.

- განა შუშა ასეთ წნევას უძლებს?

- რასაკვირველია! ბროლი ადვილად იმსხვრევა დარტყმისაგან, მაგრამ წნევას დიდ წინააღმდეგობას უწევს.

- მაგრამ ხედვისათვის ხომ სინათლეა საჭირო, იმ უკუნეთ სიბნელეში როგორ შეიძლება...

- მესაჭის ჯიხურში, ზურგის მხარეს მოთავსებულია ძლიერი ელექტრორეფლექტორი, რომლის სხივებიც ზღვას ნახევარი მილის მანძილზე ანათებს.

- ვაშა! სამგზის ვაშა, კაპიტანო! ახლა კი მესმის ის ფოსფორესცირებული შუქი "ცალკბილასი", რამაც ასე დააინტერესა და შეაფიქრიანა მეცნიერები. სიტყვამ მოიტანა და შეიძლება გვითხოთ: "ნაუტილუსის" და "შოტლანდიის" შეჯახება, რომელმაც ასეთი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, ალბათ შემთხვევითი და მოულოდნელი იქნებოდა?

- დიახ, სრულიად შემთხვევითი იყო. "ნაუტილუსი" მიცურავდა ორი მეტრის სიღრმეზე, როდესაც დაჯახება მოხდა. მაშინვე დავრწმუნდი, რომ სახიფათოდ არ უნდა დაზიანებულიყო ის გემი.

- დიახ, "შოტლანდიამ" მშვიდობიანად მიაღწია ნავსადგურამდე... "აბრაამ ლინკოლნთან" შეხვედრაც შემთხვევითი იყო?

- ძალიან დამენანა ეს მშვინიერი სამხედრო გემი, მაგრამ იერიში მოჰქონდა ჩემზე და უნდა მომეგერიებინა. მხოლოდ იმით დავკმაყოფილდი, რომ მტერი ჩემთვის უვნებელი გავხადე. დაზიანებული ადგილის შესაკეთებლად უახლოეს ნავსადგურშიც არ დასჭირდება შევლა.

- კაპიტანო! - შევძახე აღტაცებით: - მართლა საოცრება თქვენი "ნაუტილუსი".

- დიახ, პროფესორო, - მიპასუხა კაპიტანმა, - მე მიყვარს ეს გემი, მიყვარს როგორც საკუთარი სისხლი და ხორცი! თქვენებურ გემებზე ზღვა უპირველესად შიშის მომგვრელია, "ნაუტილუსზე" კი ადამიანის გული შეიძლება სრულებით დამშვიდებული იყოს. იქ არაფერი გაფიქრებს, გემის კორპუსი ორმაგია, აქ არ განიცდით მოქანცველ ზღვის აბეზარ ღელვას; იალქნებს ქარი ვერ გაიტაცებ; ქვაბები არ დასკდაბა, ხანძარი არ გაჩნდება, რადგანაც აქ უმთავრესი მექანიკური ძალა ელეტრონია; არ გაფიქრბთ ვინმესთან უსიამოვნო შეხვედრა, რადგანაც მარტოდმარტო შენ ცურავ ოკეანის სიღრმეში. არ გაშინებს ქარიშხალი, რადგანაც შენი გემი რამდენიმე მეტრით დაბლაა მღელვარე ზღვის ზედაპირიდან. აი, ჩემი წყალქვეშა ნავის უპირატესობანი! და თუ მართალია, რომ ინუინერი უფრო სანდოა, ვიდრე კაპიტანი, მაშ, წარმოიდგინეთ, რაოდენ ვენდობი, როდენ მწამს ჩემი "ნაუტილუსისა", როდესაც მე თვითონ ვარ მისი კაპიტანიც, მშენებელიც, ინუინერიც.

კაპიტანი გატაცებით ლაპარაკობდა, თვალები ენთებოდა, მოძრაობა მკვეთრი ჰქონდა, სახის იერი მთლად შეეცვალა. დიახ! მას უყვარდა "ნაუტილუსი", როგორც მამას უყვარს თავისი ღვიძლი შვილი!

ვეღარ მოვითმინე და ერთი კითხვა კიდევ შევტედე, თუმცა ეს კითხვა შეეძლო თავხედობაში ჩამოერთმია.

- თქვენ ინუინერი ბრძანდებით, კაპიტანო?

- დიახ, პროფესორო, იმხანად, როდესაც ჯერ კიდევ ხმელეთის მცხოვრებად ვითვლებოდი, მე ვისწავლე ლონდონში, პარიზსა და ნიუ-იორკში.

- მაგრამ როგორ მოახერხეთ ასე ფარულად, ასე საიდუმლოდ ამ გემის აგება?

- თითოეული მისი ნაწილი სხვადასხვა ქვეყნიდან მოვიტანე. თითოეული შეკვეთის დამამზადებელი სხვადასხვა პირისგან იღებდა შეკვეთას.

- მაგრამ, - სიტყვა შევუბრუნე მე, - ვთქვათ, ცალკე ნაწილები შეიძინეთ, მას ხომ აწყობა უნდოდა?

- ჩემი სახელოსნოები უდაბურ კუნძულზე მოვაწყვე, გაშლილი ოკეანის შუაგულში. იქ მე და ჩემმა მუშებმა, ეს იგი ჩემმა რჩეულმა, ერთგულმა და გამბედავმა ამხანაგებმა ავაწყვეთ "ნაუტილუსი"! როდესაც გემი მზად იყო, ცეცხლმა შთანთქა ჩვენი იქ ყოფნის ყოველივე კვალი.

- კაპიტანო, ალბათ, "ნაუტილუსის" ღირებულება ძალიან დიდი უნდა იყოს...

- მარტო რკინის გემი თავისი შინაგანი მოწყობილობით 2 000 000 ფრანკი ღირს. მაგრამ თუ ამას დავუმატებთ იშვიათ ნივთებს და კოლექციებს, რომლებიც გემზეა, მაშინ მისი ფასი 4-5 მილიონს უდრის.

- კიდევ ერთი კითხვა!

- ბრძანეთ პროფესორო.

- როგორც ჩანს, მდიდარი ბრძანდებით?

- ჩემი სიმდიდრე განუზომელია. ისეთი სიმდიდრე მაქვს, რომ არ გამიძნელდებოდა საფრანგეთის მაგივრად გადამეხადა 10.000.000.000.000 ფრანკი.

გამტერებით მივაჩერდი ამ საოცარ ადამიანს და გავიფიქრე: ნუთუ მაბრიყვებს? მაგრამ ვინ იცის, იქნებ მართალსაც ამბობს? ამასაც დრო დაგვანახებს...

თავი XVIII

სად ვიმყოფებით?

- პროფესორო, - მითხრა კაპიტანმა, - ჩვენ ახლა ზუსტად გავარკვევთ, თუ სად იმყოფება ჩვენი გემი. თორმეტს 15 წუთი უკლია, შუადღე მოწეულია, ახლავე ზღვის ზედაპირზე ამოვცურდებით.

კაპიტანმა სამჯერ დააჭირა თითი ელექტროლილაკს, ტუმბოებმა აუზებიდან წყლის ამოქაჩვა დაიწყეს.

- ავედით უკვე! - მითხრა კაპიტანმა.

ავყევით შუა კიბეს, რომელიც ბაქანზე ადიოდა. ლითონის საფეხურები ავიარეთ, გარდიგარდმო გაწეულ კარში გავმვერით და "ნაუტილუსის" ზედა ნაწილზე გავჩნდით.

ბაქანი მხოლოდ ერთი არშინით ამოსცილებოდა წყლის ზედაპირს. "ნაუტილუსის" წინა და უკანა ნაწილი თითისტარის მოყვანილობისა იყო, მართლაც სიგარას ჰგავდა. შევამჩნიე, რომ მისი კრამიტის მოყვანილობის რკინის ფირფიტები ცოტათი წაგავდა ხმელეთის დიდრონ ქვეწარმავალთა ხაოიან ქაცვს. ამიტომაც ჩემთვის გასაგები გახდა, რომ ეს გემი საუკეთესო დურბინდითაც ზღვის ცხოველად ეჩვენებოდათ.

ბაქნის შუაგულზე მდებარე კანჯო სანახევროდ ჩამჯდარიყო წყალქვეშა ნავის სხეულში და პატარა ბორცვს ჩამოპგავდა. წინ და უკან განეთავსებინათ გემის კედლებისკენ გადმოზნექილი ორი დაბალი შუშაბანდიანი ჯიხური, რომლებსაც კრამიტის მოყვანილობის სქელი შუშები ჰქოდათ ჩასმული. ერთი იყო მესაჭის ოთახი, მეორე კი ელექტრონის შუქურასი, რომელიც წყალქვეშა ნავს გზას უნათებდა.

ზღვა მშვენიერი იყო, ცა - მოწმენდილი. დასავლეთის სიო წყლის ზედაპირს აციმციმებდა. მოკრიალებულ ცის კაბადონზე თავისუფლად შეგვემლო დაკვირვების მოხდენა.

სხვა არაფერი მოჩანდა, არც რაიმე პაწია კუნძული, არც კლდე.

მხოლოდ უსაზღვრო ზღვის სივრცე გადაშლილიყო თვალწინ. კაპიტანი სექსტანით იკვლევდა მზის სიმაღლეს, რომის მიხედვითაც უნდა შეეტყო ამ მიდამოს განივი.

ცოტა შეიცადა, რომ მზე ჰორიზონტის კიდურზე მოქცეულიყო. დაკვირვების დროს არც ერთი კუნთი არ შერხევია.

- სწორედ შუადღეა, - თქვა კაპიტანმა, - ძირს ჩავიდეთ, პროფესორო.

უკანასკნელად მოვავლე თვალი ზღვას, ოდნავ მოყვითალო ფერი დაჰკრავდა იაპონიის ნაპირებთან. დიდ დარბაზში ჩამოვედით.

კაპიტანმა იქ გამოიანგარიშა და მითხრა:

- ჩვენ ვიმყოფებით დასავლეთ გრძედის 137° და 15° -ზე.

- რომელი მერიდიანით? - სწრაფად შევეკითხე, ვფიქრობდი, მისი პასუხი გამიმზელდა კაპიტნის ეროვნებას.

- ჩემი ქრონომეტრები შეფარდებულია პარიზის, გრინვიჩის და ვაშინგტონის მერიდიანებთან. თქვენს პატივსაცემად პარიზისა ავიღე.

ამ პასუხმა ვერაფერი ამიხსნა.

კაპიტანი განაგრძობდა:

- 135° და 15° დასავლეთის გრძედი პარიზისმერიდიანით $37^{\circ}7'$, ჩრდილოეთგანედი, ესე იგი, იაპონიის ნაპირებიდან 300 მილის მანძილზე ვიმყოფებით. დღეს 8 ნოემბერია. სწორედ შუადღისას იწყება ჩვენი წყალქვეშა მოგზაურობა დედამიწის გარშემო.

- კეთილი იყოს ჩვენი მოგზაურობა! - ვუპასუხე მე.

- პროფესორო ახლა კი დაგტოვებთ, - დაუმატა კაპიტანმა, - აი, რუკა, რომელიც გაგაცნობთ "ნაუტილუსის" გეზს.

თავის დაკვრით დავემშვიდობეთ ერთმანეთს. კაპიტანი დარბაზიდან გავიდა. მარტო დავრჩი და ფიქრებს მივეცი თავი.

ვფიქრობდი "ნაუტილუსის" კაპიტანზე. როგორი გამოუცნობი და უცნაური ადამიანია! ოდესმე მაინც შევიტყობ, რომელ ეროვნებას ეკუთვნის?! რა გადახდენია თავს? რა მიზეზით მიატოვა საზოგადოება, ან რამ შეაძლა ასე? ან მე რად გამიწია კეთილი მასპინძლობა, თუმცა ცოტა არ იყოს, გულგრილად კი მიმიღო. რატომ არც ერთხელ არ გამოუწვდია ჩემთვის ხელი? რა საიდუმლოებაა დამარხული მის პიროვნებაში?

ასეთი კითხვები მოსვენებას არ მაძლევდა და მთელი საათი ამ ფიქრებში გავატარე. ვცდილობდი ამომებსნა ეს ჩახლართული ამოცანა. მაგრამ ვერაფერს გავხდი.

"ნაუტილუსი" ამ დროს უკვე უფსკრულში ჩაეშვა.

უცებ კარი გაიღო, ნედ ლენდმა და კონსეიმ შემოიხედეს, ვანიშნე, შემოსულიყვნენ.

- ეს სადა ვართ? - წამოიძახა ორივემ.

- აქ მთელი მუზეუმი ყოფილა! გასაოცარია!

ჩემი უშფოთველი და დინჯი კონსეიც კი განცვიფრდა ამ სანახაობით.

- მეგობრებო, ჩვენ ვიმყოფებით წყალქვეშა ნავ "ნაუტილუსზე", ზღვის ზედაპირიდან 50 მეტრის სიღრმეზე, - ავუხსენი მე, - კონსეი, შეხედე, ამ კოლექციებს! სამუშაო არ მოგვაკლდება!

კონსეის ჩემთვის არც დაუცდია. ეს გულმოდგინე ახალგაზრდა უკვე დასჩერებოდა წიგნის კარადებს და სხვადასხვა სახელს ბუტბუტებდა.

ნედი კი გვერდით მომიჯდა და ნემოს შესახებ მეკითხებოდა.

- პროფესორო, მითხარით, გეთაყა, ვინ არის ეს კაცი? როგორი ადამიანია? - ჩამაცივდა იგი, - დავიჯერო, ვერ გაიგეთ, სადაურია? საით მიაქროლებს უწმინდური სული?

- არ ვიცი, ნედ, ჯერ არაფერი არ ვიცი. ცოტა დამაცადეთ და ყველაფერს გაგიზიარებთ, რაც კი შევიტყვე.

თავი XIX

ზღვის უფსკრულებში

ორივეს ვუამბე, რაც კი შევიტყვე და მერე ნედს ვთხოვე, მასაც მოეყოლა რა ნახა და რა გაიგონა.

- არც არაფერი მინახავს და არც არაფერი გმიგონია! - მიპასუხა მან, - ჯერ არც ერთი ადამიანი არ დამინახავს გემის ეკიპაჟიდან. ვინ იცის, იქნებ ეკიპაჟიც ელექტრონისაა?

- ელექტრონისა?!?

- ადვილი დასაჯერებელია, პროფესორო არონავს, ვერ მეტყვით, რამდენი კაცი იქნება ამ ეკიპაჟში?

- ვერაფერს გეტყვით, ნედ, რადგანაც თვითონაც არ ვიცი. მე გირჩევთ დროებით მაინც, ხელი აიღოთ ამ გემის ხელსი ჩაგდების განზრახვაზე. ეს გემი ნამდვილი შედევრია თანამედროვე მშენებლობისა, უახლესი მიღწევაა და აღტაცებული ვარ, რომ საშუალება მომეცა მისი დათვალიერებისა. ბევრი ინატრებდა ჩვენს ადგილზე ყოფნას. მაშ ასე, ნედ, გონება მოვიკრიბოთ და გაფაციცებით ვადევნოთ თვალი, რაც კი აქ ჩვენს გარშემო ხდება.

- თვალყური ვადევნოთ! - წამოიძახა მებარჯემ, - ვინ ან რას, როდესაც ამ რკინის საკანში ადამიანის ნასახი არა ჩას, ჩვენ მივდივართ და არ ვიცით საით.

ნედს სიტყვა არ დაესრულებინა, რომ უცებ სინათლე ჩაქრა და ისეთი უკუნი ჩამოწვა, თითქოს ყურებამდე ქუდები ჩამოგვაფხატესო. სინათლე ისეთი სისწრაფით ჩაქრა, რომ თვალებმა ტეხა დამიწყო, როგორც სიბნელიდან კაშკაშა სინათლეზე გამოსვლის დროს იცის ხოლმე.

სამივენი მუნჯებივით დავრჩით, ვერც ვინძრეოდით. არ ვიცოდით, რა გველოდა, სასიხარულო თუ სამწუხარო. უცებ რაღაც შრიალი და ჭრიალი გაისმა, თითქოს "ნაუტილუსის" კედლები ხახუნებსო.

- დაგვიდგა აღსასრული! - წამოიძახა ნედ ლენდმა.

უცებ დარბაზი ორივე კედელში დატანებულ მოგრძო და ფართო ფანჯრებიდან სინათლემ შემოანათა. გარეთ წყალიც ელექტრონის კაშკაშმა შუქით იყო განათებული.

ფანჯრებში ჩასმული ორი მოზრდილი, სქელი ბროლის შუშა აღმართულიყო ჩვენსა და წყალს შუა. ცივმა ოფლმა დამასხა. წარმოვიდგინე, რომ ეს ფანჯრები შეიძლება წყლის მოწოლას შემოენგრია, მაგრამ მაღლე დავმშვიდდი: ბროლის მინები მჭიდროდ იყო ჩასმული სპილენძის მაგარ ჩარჩოებში, რომლის დაზიანებაც შეუძლებელი იყო. თითქმის ერთი მილის მანძილზე ნათლად მოჩანდა ზღვის სივრცე.

დიდებული სანახაობა იყო!

ვის კალამს შეუძლია აღწეროს ეს სურათი!

ზღვის წყალი რომ გამჭვირვალეა, ყველამ იცის, მისი სიკამამეც მთის წყაროსას აღემატება. ოკეანის ზოგიერთ ადგილას, მაგალითად ანტალიის კუნძულებთან, ისეთი გამჭვირვალე და კამკამა წყალი, რომ 145 მეტრის სიღრმეზე ნათლად მოჩანს ზღვის ფსკერი. ამ ადგილებში მზის სხივი 300 მეტრის სიღრმეში აღწევს. მაგრამ აქ, სადაც ამჟამად "ნაუტილუსი" მიცურავდა, ელექტრონული სინათლე წყალსაც კი გასჯდოოდა და ისე ჩანდა, სინათლით გაკაშკაშებული წყალი კი არა, თითქოს ელვარე სითხეაო.

გვეჩვენებოდა, "ნაუტილუსი" არიძვროდა. არსად ჩანდა რაიმე უძრავი წერტილი, რომლის მიხედვითაც საგრძნობი გამხდარიყო გემის მოძრაობა.

მაგრამ დროდადრო გემის ცხვირით გვწეტილი წყლის ნაკადი გასაოცარი სისწრაფით მისრიალებდა ჩვენ თვალწინ.

ფანჯრის დირეზე დაყრდნობილნი, მოჯადოებულნი და აღტაცებულნი უსიტყვოდ გავცექეროდით ამ სანახაობას, სანამ სიჩუმე კონსეიმ არ დაარღვია.

- ნედ, წელან ნატრობდით გენახათ რაიმე და აი, ხედავთ კიდეც!

- საგულისხმოა! საუცხოო თვალის სეირია! - უპასუხა ნედმა. მას უკვე დავიწყებოდა თავისი მრისხანება, გაპარვის გეგმა დ გამოუთქმელ აღტაცებას მისცემოდა, - უნდა გამოგიტყდეთ, რომ ღირს ადამიანი საგანგებოდ მოვიდეს აქ, რომ ამ სანახაობას უცქიროს!

- აა! - წამოვიძახე მე, - ახლა კი მივხვდი ამ უცნაური ადამიანის ცხოვრების მიზანს! მას თავისთვის შეუქმნია განცალკევებული სამყარო, რომელიც თვალწინ გადაუშლის დაფარულ საოცრებას, მომაჯადოებელ სურათებს...

- თევზები სადღა? - შენიშნა კანადელმა, - მე აქ თევზებს ვერ ვხედავ!

- რას ბრძანებ, მეგობარო ნედ, - უპასუხა კონსეიმ, - თქვენ იმათ ვერ ამჩნევთ, იმიტომ, რომ არ იცნობთ.

- უკაცრავად, ძმობილო, მე მებადური გახლავართ, - უპასუხა ნედ ლენდმა.

და ორი მეგობარი ერთმანეთს შეეკამათა, ორივე მცოდნენ იყვნენ თევზებისა, მაგრამ თავისებურად.

- მეგობარო, ნედ, - უპასუხა კონსეიმ, - თქვენ ხოცავთ თევზებს, ბევრი საინტერესო ცხოველი გაინახავთ, მაგრამ სანაძლეო დავდოთ, თუ თქვენ იცოდეთ მათი კლასიფიკაცია! ერთი ეს მიბრძანეთ, იცით თუ არა, რა განსხვავებაა ძვლოვან და ხერხემლიან თევზებს შორის?

- როგორ არ ვიცი!

- ეს კი აღარ ვიცი, კონსეი.

- მაშ, მომისმინე, მეგობარო და დაიხსომე: ძვლიანი თევზები ექვს რიგად იყოფა: ფრთაეკალა, რომლებსაც ზედა ყბა მთლიანი აქვს, მოძრავი, ლაყუჩები კი - სავარცხელა. ამ ჯგუფში თხუთმეტიოდე ჯიშია, ეს იგი, ცნობილი თევზების ერთი მესამედი. ეს არის ჩვეულებრივი ქორჭილას ტიპის თევზები.

- თანაც, ძალიან გემრიელია! - შენიშნა ნედ ლენდმა.

- მეორე, - განაგრძო კონსეიმ, - მუცელფრთიანა, რომლებსაც ფარფლი ანუ ფრთები მუცელზე აქვთ, მკერდის ფარფლის უკან და თანაც მხრის ძვლებზე მიმაგრებული. მათ რიცხვს ეკუთვნის უმეტესი ნაწილი მდორე მდინარის თევზების, როგორიც არის, მაგალითად, კეფალი, ქარიყლაპია.

- ფუ! - აიმრიზა კანადელი, - ბლანტი წყლის თევზები! უგემურია!

- მესამე, - არ ცხრებოდა კონსეი, - ყელფრთიანი თევზებია. ისინი ოთხი ჯიშისაა - ტაბაკა, ლავაშა...

- დიდებულია! მშვენიერია! - წამოიძახა მებარჯემ, რომელიც თევზებს გემოვნების მიხედვით ახარისხებდა.

- მეოთხე, - განაგრძობდა კონსეი, - მუცელტიტველა და წაგრძელებული, რომელთაც მუცელზე ფარფლები არა აქვთ. მათი კანი მკვრივია და ლორწოვანი. ამ ჯიშს ეკუთვნის გველანა და გიმნოტი.

- ბევრი არაფერია! საშუალო თევზია! - ჩაურთო ნედ ლენდმა.

- მეხუთე, - განაგრძობდა კონსეი, - ძვალლაყუჩა. მათ აქვთ მთლიანი ყბები, მაგრამ ლაყუჩები ორ წყებად ჩასდევთ და არც ფრთები ასხიათ მუცელზე. ეს ჯიში ორი გვარისაა: გიპოვამბი და მთვარეთევზა.

- ეგენი მხოლოდ ბადის გასაფუჭებლად გამოდგება, - წამოიძახა კანადელმა.

- ხომ მიხვდით, მეგობარო ნედ? - დაეკითხა მეცნიერი კონსეი.

- ვერაფერსაც ვერ მივხვდი, მძობილო კონსეი, - უპასუხა მებარჯემ, - მაგრამ განაგრძეთ, გეთაყვა, რადგანაც თქვენი ლაპარაკით მოვიზიბლე.

- რაც შეეხება კანკატელინ თევზებს, ისენი სამი რიგისაა.

- მით უკეთესი! - ჩაუღო ნედმა.

- მეგობარო ნედ, - უპასუხა კონსეიმ, - როდესაც ყოველივე ეს იცით, თქვენ ამავე დროს, არაფერი არ იცით, რადგანაც თითოეული ჯიში იყოფა კლასებად, გვარებად, სახეებად და ა.შ.

- რა მშვენიერია, მეგობარო კონსეი! - სიტყვა გააწყვეტინა მებარჯემ და ფანჯარას მიუახლოვდა, - აბა, უცქირეთ, რა სხვადასხვაგვარი თევზი ცურავს ჩვენ თვალწინ.

- მართლაც, ეს თევზები, - შესძახა კონსეიმ, - თითქოს უზარმაზარი აკვარიუმის წინ ვიდეგით!

- არა, - ვუპასუხე მე, - აკვარიუმი ხომ გალიაა, აქ კი ეს თევზები ისევე თავისუფლად ნავარდობენ, როგორც ცაში ფრინველები.

- მეგობარო კონსეი, მითხრით, რომელი რა თევზია? - შეეხვეწა ნედ ლენდი.

- მე იმდენად მცოდნე არა ვარ, - უპასუხა კონსეიმ, - აგერ, ჩემს მასწავლებელს მიმართეთ.

მართლაც, კონსეიმ თუმცა კლასიფიკაცია იცოდა, მაგრამ ნატურალისტი არ იყო და მწელი სათქმელია, გაარჩევდა თუ არა მურწას კალმახისაგან.

- ეგ არის ბალისტი, - ვუთხეარი მე.

- ჩინური რიქზურგა, - თავისებურად განმარტა ნედ ლენდმა.

- ბალისტი მაგრანიანია, მაგარყბება, - ჩაილაპარაკა კონსეიმ.

ნედ ლენდი და კონსეი რომ შეგვერურთებინა, უჟველია, ჩინებულ ნატურალისტს მივიღებდით.

კანადელმა მართალი თქვა, გაბრტყელებული, ზურგი მახათივით ამოზიდულ სარქენიან ბალისტები დაცურავდნენ ჩვენ თვალწინ. მათ შორის ერია სკაროსები. უსაზღვრო აღტაცებასი მოვედი, როდესაც მატ შორის შევამჩნიე ჩინური სკაროსი, ზემოდა მოყვითალო, ხოლო მუცელზე ციაგი ვარდისფერი გადაჰკრავდა, თვალებთანსამი ნემსივით სარქენი ჰქონდა. ეს იშვიათი ჯიშის თევზია და საეჭოდაც კი მიაჩნდათ მისი არსებობა.

მთელი ორი საათის განმავლობაში "ნაუტილუსს" მოაცილებდა ზღვის ლაშქარი.

თვალი მოვკარი წყვილზოლა სავ ბარბერინოს, იაპონურ სკუმბრიას, საუცხოო ცისფერ მოკრელებს.

უსაზღვრო იყო ჩვენი აღტაცება: განცვიფრების წამოძახილი არ შეწყვეტილა. ნედი თითოეული თევზის სახელს ამბობდა, კონსეი კლასიფიკაციას უკეთებდა. მე კი აღტაცებასი მოვდიოდი მატი სწრაფი სრიალითდა სხვადასხვანაირი მოყვანილობით.

ჩემს დღეშ არ მენახა არც ერთი მათგანი ასეთი თავისუფალი, თავის მშობლიურ გარემოში.

არ ჩამოვთვლი იმ ნაირ-ნაირ სახეობებს, რაც კი ჩვენ თვალწინ სრიალებდა. თევზების ქარავანი ისე მჭიდროდ ჯგუფდებოდა, რომ ფრინველთა გუნდსაც სჭარბობდა. ალბათ "ნაუტილუსის" ელექტროსინათლე თუ იზიდავდა მათ. უცებ დარბაზი განათდა. რკინს კედლები დაიკეტა, სათვალთმაქცო წარმოდგენა ერთ წუთს გაქრა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდხანს მედგა თვალწინ, სანამ კედლებზე ჩამოვიდებულ ხელსაწყოებს არ მივაპყარი მზერა. მე მოველოდი კაპიტან ნემოს, ის არსად ჩანდა, საღამოს 5 საათი იყო.

ნედი და კონსეი თავიანთ კაიუტებში წავიდნენ, მე კი ჩემს ოთახში სადილი მელოდა. ჩინებული სადილი იყო: ზღვის კუს უნაზესი წვნიანი, ტარაღანის ჩახობილი და ზღარბა თევზის შემწვარი ნაჭერი, რომელიც ორაგულზე უფრო გემრიელი მეჩვენა.

საღამოს ვკითხულობდი, ვწერდი, ფიქრებში გავერთე, მერე სასთუმალთან მივედე თავი და დამეძინა.

თავი XX

წერილობითი მიპატიჟება

მეორე დღეს, 9 ნოემბერს, თორმეტი საათის ძილის შემდეგ გამომეღვიძა.

კონსეი ჩვეულებისამებრ ჩემთან შემოვიდა და მეკითხება, - ლამე როგორ გაატარეთო. ძალიან მაფიქრებდა ის გარემოება, რომ კაპიტანი ნემო აღარსად გამოჩნდა გუშინ საღამოს შემდეგ.

კონსეიმ მომიტანა "ბისუსის" ტანისამოსი, თან მეკითხებოდა, ასეთი ფაფუკი რისგანაა მოქსოვილიო.

- ეს მოქსოვილია იმ ელვარე აბრეშუმის მსგავსი ქსოვილისაგან, რომლითაც პაწია, ბუსუსა ნიუარები კლდეებზე ეწებებიან. ასეთი ნიუარა აუარებელია ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე. წინათ ამისაგან ამზადებდნენ მშვენიერ ქსოვილებს, ქალის წინდებს.

ალბათ "ნაუტილუსის" ეკიპაჟს ბევრი არ ეხარჯება ჩაცმა-დახურვაზე, არც ბამბა სჭირდებოდა, არც მატყლი, არც აბრეშუმი.

გამოვეწყვე და დიდი დრბაზისკენ გავეშურე. იქ არავინ დამხვდა.

შუშაბანდიან კარადებში მოთავსებულ განძეულობას ვათვალიერებდი. გადავსინჯე უშველებელი ჰერბარიუმი, რომელიც სავსე იყო მეტად იშვიათი ზღვის მცენარეულობით; ისე ოსტატურად გაეხმოთ, რომ ბუნებრივი ფერი არ შეცვლოდა.

ეს დღეც გავიდა, მაგრამ კაპიტანი ნემო არ გამოჩენილა. დარბაზში შემოსასვლელი გვერდითი კარი არა და არ გაიღო.

"ნაუტილუსის" გეზი არ შეუცვლია. აღმოსავლეთ-ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ მიცურავდა საათში 12 მილის სიჩქარით 50-60 მეტრის სიღრმეზე.

მეორე დღესაც, 10 ნოემბერს არავინ გამოჩნდა. ნედი და კონსეი თითქმის სულ ჩემთან იყვნენ. ძალიან უკვირდათ კაპიტნის გაუჩინარება. მაგრამ კონსეის თქმისა არ იყოს, ჩვენ სრული თავისუფლებით ვსარგებლობდით, საუცხოოდ ვიკვებებოდით, ეტყობოდა, ჩვენი ბატონ-პატრონი თავის სიტყვას ასრულებდა.

იმ დღიდან ჩემი თავგადასავის წერას შევუდექი. ზღვის მცენარეებისაგან დამზადებულ ქაღალდზე ვწერდი.

11 ნოემბერს, სისხამ დილით, "ნაუტილუსში" გრილმა სიომ დაბერა. მაშინვე მივხვდი, რომ ზღვის ზედაპირზე ვიყავით ჟანგბადის გასაახლებლად.

ბაქანზე ავედი, ხუთი საათი იქნებოდა, ღრუბლიანი ამინდი იდგა. ზღვას ლეგა ფერი დაჰკრავდა და მიყუჩებულიყო.

- ნუთუ კაპიტანი ნემო არც დღეს გამოჩნდება? - ვფიქრობდი ჩემთვის, მაგრამ ვერავის ვხედავდი შუშაბანდში მჯდომარე მესაჭის გარდა.

კანჯოს ნაპირზე ჩამოვჯექი და ხარბად ვსუნთქავდი ზღვისსიოს.

მზის სხივების ნისლის ზეწარი თანდათან გააუფერულდა, ბურუსი გაფანტა და ბრყწინვალე მზე ჰორიზონტზე ამოვიდა. ზღვა ცეცხლის ალივით ალაპლაპდა.

გაბნეული ღრუბლის ქულები ატასფრად ღუოდა.

ეს ფთილებად მიბნეული ღბულის ქულები (ან მეზღვაურების თქმით, "კატის ენები"), ქარიშხლის წინამორბედი იყო.

მაგრამ რას წარმოადგენდა "ნაუტილუსისთვის" ქარიშხალი, როდესაც ქარტეხილისაც არ ეშინია?

ცხოველმყოფელი და გამახალისებელი მზის ამოსვლით ვტკვებოდი, როდესაც ფეხის ხმა მომესმა. ბაქანზე ვიღაც ამოდიოდა.

კაპიტან ნემოს მისასალმებლად მოვემზადე, მაგრამ ის არ აღმოჩნდა. ეს იყო მისი თანამშემწე, რომელსაც დღეს პირველად ვხედავდი.

ბაქანზე ამოვიდა და თითქოს არც კი შევუმჩნევივარ, თვალზე მიიდო ჭოგრიტი და გულდასმით დაზვერა ჰორიზონტის თითოეული წერტილი. როცა დაათვალიერებას მორჩა, ჩემთვის გაუგებარ ენაზე ქვემოთ რაღაც ჩასძახა და ისევ ძირს ჩავიდა.

ვიფიქრე, ალბათ "ნაუტილუსი" სიღრმეში აპირებს ჩაშვებას-მეთქი და ჩემს ოთახში დავბრუნდი.

ასე განვლო ხუთმა დღემ. ყოველ დილას ავდიოდი ბაქანზე, იგივე კაცი ამოდიოდა და იმავე ფრაზას იმეორებდა, კაპიტანი კი არსად ჩანდა. მისი ნახვის იმედი გადამეწურა და ბედს დავმორჩილდი.

მაგრამ 16 ნოემბერს, როდესაც მე, ნედ ლენდი და კონსეი ოთახში ერთად დავბრუნდით, მაგიდაზე წერილი დამხვდა ჩემს სახელზე. სასწრაფოდ გავხსენი.

გარკვეული და ლამაზი ხელით იყო ნაწერი. ცოტათი გერმანულ ხელს წააგავდა. შიგ ეწერა:

"პროფესორ არონაკსს, "ნაუტილუსის" გემზე

16 ნოემბერი, 1867 წ.

კაპიტანი ნემო ეპატიუება პროფესორ არონაკსს სანადიროდ. ნადირობა მოეწყობა ხვალ, კრესპოს კუნძულის ტყეში. მას იმედი აქვს, რომ პროფესორს არაფერი შეუშლის ხელს ამ ნადირობაში მონაწილეობის მისაღებად. კაპიტანი იმედოვნებს, რომ პროფესორს მისი ამხანაგებიც გაჰყვებიან.

კაპიტანი ნემო".

თავი XXI

კაპიტნის განმარტება

- ნადირობა! - წამოიძახა ნედმა.
- ისიც ტყეში, კრესპოს კუნძულზე! - დაურთო კონსეიმ.

- მაშ, ხმელეთზე გადავალთ?! - განცვიფრებით თქვა წედ ლენდმა.
- მგონია, ცხადად არის ნათქვამი, - დავუმატე მე და წერილი ხელმეორედ გადავიკითხე.

- რა თქმა უნდა, თანახმა ვართ! - გადაწყვიტა წედმა.
- ერთი მიწაზე დაგვაკარებინა ფეხი და მერე ჩვენ ვიცით... ესეც არ იყოს, ცოცხალი ნადირის ხორცი მომენატრა.

აღარ გამოვეკიდე იმის გამოკვლევას, თუ ხმელეთისადმი კაპიტნის მძულვარებას როგორ შეეფერებოდა სანადიროდ მიპატიუება ტყეში და ვუპასუხე:

- ჯერ ვნახოთ, რა კუნძულია ეს კრესპო.

რუკას დავაცერდი. $32^{\circ}40'$ ჩრდილოეთ განედის $167^{\circ}50'$ დასავლეთის გრძედზე ვიპოვე პაწაწინა კუნძული, რომლისთვისაც 1801 წელს მიუგნიათ. ძველისძველ ესპანურ რუკებზე ეს კუნძული აღნიშნული იყო რაკა-დელა-პლატას ("ვერცხლის ფრიალო") სახელწოდებით.

ამჟამად ამ ადგილიდან 180 მილის მანძილზე ვიმყოფებოდით. ამ დღეებში 1800 მილი გამოგვევლო. "ნაუტილუსმა" ოდნავ იცვალა გეზი და სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ იბრუნა პირი.

დავანახე ამხანაგებს ეს პატარა, ფრიალო კლდე, რომელიც წყნარი ოკეანის წყლებში იკარგებოდა.

- თუ კაპიტანი ოდესმე გადადის ხმელეთზე, - ვთქვი მე, - სიმართლე უნდა ითქვას, ძალზე უდაბურ ადგილებს ირჩევს.

წედ ლენდმა უსიტყვოდ დაიქნია თავი და კონსეისთან ერთად ოთახიდან გავდა.

დამუნჯებულმა და უშფოთველმა მოსამსახურემ ვახშამი შემოიტანა. იმ ღამეს აფორიაქებული დავწერი.

მეორე დღეს, 17 ნოემბერს, გაღვიძებისას ვიგრძენი, რომ "ნაუტილუსი" უძრავად იდგა. საჩქაროდ ჩავიცვი და დიდ დარბაზში გამოვედი.

თურმე კაპიტანი მელოდა, მომესალმა და მკითხა, თანახმა ხართ თუ არა სანადიროდ წამოსვლაზეო.

რადგანაც იმ რვა დღის შესახებ არაფერი მითხრა, რაც ერთმანეთი არ გვინახავს, მეც აღარ მიკითხავს და ვუპასუხე, მე და ჩემი ამხანაგები მზად ვართ, გეახლოთ-მეთქი.

- მხოლოდ წება მიბოძეთ, კაპიტანო, ერთი კითხვა დაგისვათ.

- პროფესორო არონაკს, სიამოვნებით გიპსუხებთ.

- კაპიტანო, თქვენ ხომ ყოველივე კავშირი გაწყვეტილი გაქვთ ხმელეთთან. მაშ, როგორ ინადირებთ კრესპოს კუნძულის ტყეში?

-პროფესორო, ამ ტყეს არც მზის სინათლე სჭირდება და არც სითბო. იქ არ ბოგინობს არც ერთი ოთხფეხა არსება - არც ლომი, არც აფთარი, არც ვეფხვი. ჩემს გარდა ის ტყე არავინ იცის... ეს ტყე საკუთრივ ჩემთვის იზრდება წყალქვეშ და

არა ხმელეთზე.

- წყალქვეშ?!

- დიახ პროფესორო.

- მერე იქ მეპატიუებით?!

- დიახ.

- ფეხით?!

- ფეხით, ისე, რომ ფეხსაც არ დაისველებთ.

- სანადიროდ?!

- დიხ, სანადიროდ.

- თოფით?

- თოფით.

"ნაუტილუსის" კაპიტანს ეჭვით მივაშტერდი.

"თუ გადაირია! ნამდვილად გადარეულა! - გავიფიქრე გულში, - ალბათ ამ რვა დღის განმავლობაში სიგიურ მოუარა და ჯერაც გონს ვერ მოსულა, საწყალი! სჯობს უცნაური იყო ადამიანი, ვიდრე გამოთაყვანებული".

ეს ფიქრები, ალბათ, აშკარად აღიბეჭდა ჩემს სახეზე, მაგრამ კაპიტანმა ნემომ თითქოს არც კი შეიმჩნია და მოხოვა თან გავყოლოდი.

ბედ დავმორჩილდი და გავყევი, სასადილო ოთახში შევდით. საუზმე გამზადებული დაგვხვდა.

- პროფესორო არონაკს, - მითხრა კაპიტანმა, - დამეწვიეთ. ამავე დროს ვისაუბრებთ კიდეც. მართალია, ტყეში სასეირნოდ გეპატიუებით, მაგრამ ვერ დაგპირდებით, რომ იქ რესტორნები დაგვხვდეს.

საუზმედ გვქონდა სხვადსხვა თევზეული, ზღვის გოგრა, ზღვის მცენარეულობით შეზავებული. სასმელად გვქონდა სუფთა წყალი, რომელშიც კაპიტნის მიმბაძველობით რამდენიმე წვეთი სპირტიანი სასმელი ჩავაწვეთეთ. ეს სასმელი ზღვის მცენარეულობისაგან იყო დამზადებული კამჩატკელთა წესისამებრ.

კაპიტანი ჯერ ჩუმად საუზმობდა, მერე დამელაპარაკა;

- პროფესორო, როდესაც სანადიროდ კრესპოს ტყეში წამოსვლა შემოგთავაზეთ, თქვენ ალბათ გაიფიქრეთ, რომ მე ვეწინააღმდეგები ჩემს თავს; როდესაც მოგახსენეთ, წყალქვეშა ტყეში გეპატიუებით-მეთქი, თქვენ გადარეულად ჩამთვალეთ, არასოდეს უნდა იფიქროთ ადამიანზე ზერელედ!

- კაპიტანო, დამერწმუნეთ, რომ...

- კეთილი ინებეთ და მომისმინეთ, პროფესორო და ნახავთ, გქონდათ თუ არა უფლება, სიგიურ დაგეწამებინათ ჩემთვის.

- გისმენთ.

- პროფესორო, თქვენ კარგად მოგეხსენებათ, რომ ადამიანს შეუძლია წყალში გაძლება, თუ საკმარისად მოიმარაგებს ჟანგბადს. წყალგაუვალ ტანისამოსში გამოწყობილი წყალქვეშ მომუშავე ადამიანი თავზე ლითონის ზუჩს იხურავს და ჰაერს ტუმბოს საშუალებით იღებს. ზუჩში მოთავსებული რეგულატორით გამოყენებული ჰაერის უვარგისი ნაწილს უკანვე აბრუნებს.

- მაგ აპარატს სკაფანდარი ჰქვია, - ჩავურთე მე.

- დიახ, მაგრამ ამ პირობებში ადამიანის თავისუფალი მოძრაობა შეზღუდულია, რადგანაც მიბმულია ტუმბოზე, რომელიც მას კაუჩუკის მილის საშუალებით ჰაერს აწვდის. ეს ნამდვილი ჯაჭვია, რომელიც მიწისკენ ეზიდება მას და ჩვენც რომ ასე მივეჯაჭვოთ "ნაუტილუს", მაშინ შორს ვერ წავალთ.

- მერე განა თავისუფალი მოძრაობის საშუალება არ არის?

- გახლავთ! უნდა მოიხმაროთ ორი თქვენი თანამემამულის მიერ გამოგონილი "რუკეიროლ-დენეირუზი", რომელიც მე გავაუმჯობესე ჩემთვის გამოსაყენებლად. ასეთი მოწყობილობა თუ გაქვთ, უხიფათოდ შეგიძლიათ ზღვის ფსკერზე მოგზაურობა. ეს არის რკინის რეზერვუარი, რომელშიც ორმოცდაათი ატმოსფეროს წნევით ვათავსებ შეკუმშულ ჰაერს. ამ აპარატში ორი ტუმბოა გამოშვერილი. ტუმბოები ეფარება პირსა და ცხვირს. ერთიდან ჩაისუნთქავ, მეორით ამოისინთქავთ. თავზე კი ისეთივე ლითონს ვიხურავთ, როგორსაც წყალქვეშა მყვინთავები. ამ ლითონის ბუშტში ორი მილია - შესასუნთქი და ამოსასუნთქი.

- ჩინებულია, კაპიტანო, მაგრამ ჰაერის მარაგი, რომელიც შეკუმშული სახით თან გაქვთ, ხომ გამოუსადეგარი ხდება?

- სრული სიმართლეა, მაგრამ აკი მოგახსენეთ, პროფესორო არონას, რომ "ნაუტილუსის" ტუმბოები საშუალებას მაძლევს აპარატის რეზერვუარი გავავსო ხოლმე 6-10 საათის განმავლობაში საჭირო ჰაერით.

- ვეღარ შეგედავებით, ოღონდ ისიც მიბრძანეთ, ზღვის ფსკერზე გზას როგორ იკვლევთ?

- რუმკორფის აპარატით, პროფესორო. იგი შედგება ბუნზენის ელემენტისაგან, რომელსაც ნატრიუმით ვავსებ, ზღვაში კი ნატრიუმი უხვადაა. ინდუქციური კოჭი ელექტროენერგიას აგროვებს და სანათურისკენ მიმართავს. სანათურში ჩაშვებულია ნახშირმჟავას გაზით გატენილი შუშის მილი. როდესაც აპარატი მოქმედებს, ეს გაზი ენთება და განუწყვეტლივ გამოსცემს მოთეთრო ალს.

- კაპიტანო, თქვენმა განმარტებამ მთლად დაამსხვრია ჩემი მოსაზრებანი, ეჭვის შეტანა აღარ შემიძლია. დარწმუნებული ვარ რუკიროლისა და რუმკორფის აპარატების სანდოობაში, რომელითაც გსურთ შემაიარაღოთ.

- ამ თოფს დენთი როდი სჭირდება, - მიპასუხა კაპიტანმა.

- მაშ, როგორ? ჰაერით იტენება?

- რა თქმა უნდა. აქ საიდან გავაჩენ თოფის წამალს, როდესაც ჩემს გემზე არ არის არც ნამცეცი გვარჯილა, არც გოგირდი, არც ნახშირი.

-წყალი ხომ რვაასორმოცდათჯერ უფრო მკვრივია, ვიდრე ჰაერი და ნიშანში სრულისას დიდი წინაღმდევობის დაძლევაა საჭირო.

- ეს გარემოება არ მაბრკოლებს. არსებობს ინგლისელთა მიერ გაუმჯობესებული ზარბაზნები, რომელთაც სხვაგვარი მოყვანილობის ლულა აქვთ და ახერხებენ სროლას. მაგრამ რადგანაც დენთი არა მაქვს, მის მაგივრად ვხმარობ ჰაერს, რომელსაც "ნაუტილუსი" განუწყვეტლივ მაწვდის.

- მერე ეს ჰაერი სწრაფად იხარჯება?

- ესეც არის. მაგრამ ხომ მაქვს სათადარიგო აუზები, რომელშიც საჭიროების დროს მაწვდიან ჰაერს. საკმარისია მხოლოდ ონკანს დავადო თითო. მაგრამ თვითონაც ნახავთ, პროფესორო არონაკს, რომ ამ ნადირობაში ჰაერი და ტყვია ბევრი არ იხარჯება.

- მე მგონია, იმ ნახევრად სიბნელეში და იმ მკვრივ სითხეში შორს სროლა შეუძლებელი უნდა იყოს და იშვიათად თუა მომაკვდინებელი.

- პირიქით, პროფესორო, პირიქით! ამ თოფითნასროლი ტყვია, რაც უნდა მსუბუქად დაიჭრას ცხოველი, უსათუოდ მომაკვდინებელია, როგორ მეხი.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ეს ჩვეულებრივი ტყვიები როდია. ეს არის შუშის აბები. აბებს ფოლდი და ტყვია აქვს გადაკრული. ეს ლეიიდენის პაწია კოლოფებია, რომლებშიც არის მაღალი ძაბვის ელექტრული მუხტი, ოდნავ დაჯახებაზე სკდება და რაც უნდა ძლიერი ცხოველი იყოს, სულს აფრთხობინებს. აბები დიდრონი არ არის, თითო გატენაზე ათიოდე ცალი ჰყოფნის.

- საკამათო აღარაფერი მაქვს, კაპიტანო. ისღა დამრჩენია, თოფი ავიროთ და გამოგყვეთ.

კაპიტანმაგემის წინა ნაწილისკენ გამიყოლა. ნედისა და კონსეის კაიუტის წინ გავიარე, მათაც ვუხმეთ და ისინიც გამოგყვნენ.

სამანქანო განყოფილების გვერდითა ოთახში შევედით, სადაც სანადიროდ უნდა აღვჭურვილიყავით.

თავი XXII

სეირნობა ოკეანის ველზე

ეს ოთახი ნამდვილი არსენალი იყო "ნატულიუსისა". კედლებზე თორმეტიოდე სკაფანდრი ეკიდა.

ნედ ლენდმა ვერ გაბედა სკაფანდრის ჩაცმა.

- ჩემო გულადო მეგობარო, ნედ, - ვუთხარი მე, - კრესპოს კუნძულის ტყეები წყალქვეშ ყოფილა...

- ერიჰა! - წაიბურტყუნა ნედმა ნაღვლიანად, - მერე, პროფესორო, თქვენ აპირებთ ამის ჩცმას?... ეგეც შენი ახალი ნადირის ხორცი!

- მეტი რა გზაა, უნდა ჩავიცვა! აუცილებელია!

- ნება თქვენია! - მიპასუხა ნედმა და მხრები აიჩეჩა, - მე კი მაგას თავის დღეში არ ჩავიცვამ, თუ ძალით არ ჩამაცვეს.

- ძალად არავინ ჩაგაცმევთ, ბატონო ნედ, - უპასუხა კაპიტანმა ნემომ.

- ნუთუ კონეიც აპირებს წამოსვლას? - იკითხა ნედმა.

- მე ყველგან თან ვახლავარ პროფესორს, - უპასუხა კონსეიმ.

კაპიტნის ძახილზე ორი მეზღვაური შემოვიდა და მოგვეშველა წყალგაუმტარი ტანისამოსის ჩაცმაში. სამოსი უნაკერო კაუჩუკისა იყო და თანაც ისეთი, დიდ წნევას რომ გაუძლებდა. ეს იყო შარვალი და ქურთუკი. შარვალი ტყავისძირიანი მმიმე ფეხსაცმლით მთავრდებოდა. ქურთუკი წელთან მიემაგრებინათ სპილენძის ბეგთარზე, რომელიც სხეულს იფარავდა წყლის წნევისაგან და ფილთვებს სუნთქვას უადვილებდა. სახელოები ბოლოვდებოდა ფაფუკი ხელთათმანებით, რომლებიც მოძრაობას სრულებით არ გვიშლიდა.

კაპიტანმა ნემომ, ჰერკულესივით მოყვანილმა მისმ თანამგზავრმა, კონსეიმ და მე საჩქაროდ ჩავიცვით სკაფანდრები. ახლა ლითონის ზუჩში უნდა გამეყო თავი, მაგრამ სანამ ამ ოპრაციას შევასრულებდი, კაპიტანს ვთხოვე, თოფი ეჩვენებინა.

უბრალო თოფი მომაწოდეს, მოზრდილი რკინის კონდახი ჰქონდა, რომელშიაც ცარიელი ადგილი დაეტოვებინათ შეკუმშული ჰაერის რეზერვუარისთვის. ეს ჰაერი თოფის ლულაში მაშინ იჭედებოდა, როდესაც ჩამოშვებული ჩახმახი სწევდა რეზერვუარის სარქველს. კონდახის ტარში გამოკვეთილ ღრუში მოთავსებული იყო ოცტყვიიანი ვაზნა. ტყვიები ზამბარის საშუალებით ავტომატურად შედიოდა თოფის ლულაში, რაწამს ერთი გავარდებოდა, მეორე ტყვია თავისთავად მისრიალებდა.

- კაპიტანო, - მივმართე მე, - საუცხოოა ეს თოფი და ადვილი მოსახმარიც. ძალიან მინდა ჩქარა ვცადო ბედი. მაგრამ ზღვის ფსკერამდე როგორ უნდა ჩავაღწიოთ?

- პროფესორო, "ნატულიუსი" ზღვის ფსკერზეა გაჩერებული, 10 მეტრის სიღრმეზე.

- მერე, აქედან როგორ გავალთ?

- ახლავე ნახავთ, პროფესორო.

კაპიტანმა ზუჩში შეყო თავი, მე და კონსეიც ასე მოვიქეცით.

- ბედნიერი იყოს თქვენი ნადირობა! - დაცინვით მოგვაძახა ნედმა.

ჩვენი ტანსაცმლის სპილენძის საყელოზე მაგრდებოდა ლითონის ზუჩი. ზუჩს სამი მხრიდან ჩასმული ჰქონდა სქელი შუშა, საიდანაც შესაძლებელი იყო ყოველ მხარეს გახედვა და კისრის მობრუნება. რწამს ზუჩი დავიხურე, ზურგზე

მოკიდებული შეკუმშული ჰაერის აპარატი ამუშავდ და უზომოდ გამიხარდა, რომ თავისუფლად დავიწყე სუნთქვა. წელზე სანათური მქონდა შემოკრული და ხელში თოფი მეჭირა. უკვე მზად ვიყავი წასასვლელად, მაგრამ გულახდილად უნდა მოგახსენოთ, საგონებელში ჩავვარდი, ამ მძიმე აღჭურვილობით ადგილიდნ როგორ უნდა დავძრულიყავი. თურმე ესეც კი გათვალისწინებული ჰქონდა კაპიტანს: ჩვენ მუჯლუგუნების კვრით მიგვაცურეს და ამ განყოფილების გვერდით მდებარე პაწია ოთახში შეგვრევეს.

კარი დაიკეტა და უკუნ სიბნელეში დავრჩით.

ორიოდე წუთის შემდეგ გამაყრუებელი სტვანე გაისმა და ფეხებში სიცივე ვიგრძენი. ალბათ, გემის შიგნითა ონკანის საშუალებით გარედან შემოუშვეს წყალი, რომელმაც დაგვფარა ჩვენ და მთელი ოთახი წყლით აავსო. "ნატულიუსის" გვერდითა კედელში დატანებული კარი გაიღო და ბინდბუნდში გავეხვიეთ.

ერთი წუთის შემდეგ ჩვენი ფეხები ზღვის ფსკერს შეეხო.

როგორ აღგიწეროთ ის შთაბეჭდილება, რომელიც ამ წყალქვეშა გასეირნებიდან ჩამრჩა გონებაში! სიტყვები უძლურია და ვერ გადმოგცემთ ყველა საოცრებას. თუკი მხატვრის ყალამსაც არ შეუძლია წყლის სტიქიონის მშვენებანი სავსებით გადმოგვცეს, განა კალმით შეიძლება ამისი აღწერა?

კაპიტანი ნემო წინ მიგვიძლოდა. რამდენიმე ნაბიჯით უკან მისდევდა მისი ამხანაგი. მე და კონსეი გვერდიგვერდ მივდიოდით, თითქოს ერთმანეთთან ლაპარაკი შეგვძლებოდეს ამ ლითონის ზუჩებიდან. ახლა აღარც ტანისამოსი მემძიმებოდა, აღარც ფეხსაცმელი, აღარც შეკუმშული ჰაერის რეზერვუარი. წარმოიდგინეთ, ზუჩიც კი არაფერს მიშლიდა. ამ ნივთებმა წყალში დაკარგეს თავიანთი წონა. დიდად ვუმადლოდი ფიზიკის ამ კანონს, რომელიც არქიმედემ აღმოაჩინა. მოძრაობა თავისუფლად შემეძლო.

მაოცებდა მზის შუქის ძალა, რომელიც აქ ზღვის ზედაპირიდან ოცდაათი ფუტის სიღრმეზე აღწევდა. ასი მეტრის მანძილზე ნათლად ვარჩევდი ყევლაფერს ირგვლივ.

ჯადოსნურად მოჩანდა ცის თხელი ფენა, რომელიც ლურჯად ციალებდა შორს და ტალღების წყვდიადში ინთქმებოდა. ის წყალი, როემლიც ჩვენ გარშემო იყო, იმავე ჰაერს ედარებოდა, თუმცა უფრო სქელი იყო, ვიდრე ხმელეთის ატმოსფერო, მაგრამ ისეთივე გამჭვირვალე. ჩემ გასწვრივ ნათლად ვარჩევდი ზღვის მიწყნარებულ ზედაპირს.

შლამიან ნიდაგზე მივდიოდით. ეს შლამი გლუვი იყო, მაგრამ არა ისეთი, როგორიც ზღვის ნაპირას გვინახავს.

- განა დაიჯერებს ვინმე, რომ ოცდაათი მეტრის სიღრმეზე აქ ისეთივე სინათლეა, როგორიც დედამიწაზე დღისით? - ვფიქრობდი ჩემთვის.

თხუთმეტიოდე წუთის განმავლობაში ფეხით ვთელავდი შლამს, რომელიც ნიუარების ხელშეუხებელი მტვრით იყო მოფენილი. "ნატულიუსი" მოგრძო წყალქვეშა კლდესავით გვესახებოდა შორიდან და ნელ-ნელა თვალიდან ქრებოდა. მაგრამ მისი შუქურის სინათლე უნდა მოგვშველებოდა უკან დაბრუნებისას, თუ ფსკერზე შემოგვაღამდებოდა.

მალე ნათლად გავარჩიე საგნების კონტურები. ნათლად დავინახე პირელი კლდეების წარმტაცი მოხაზულობა. კლდეები დაფარული იყო მშვენიერი ნაირ-ნაირი ზოოფიტებით. გულის სიღრმემდე მაჯადოებდა ეს ზღაპრული, წარმოუდგენელი გარემო.

დილის 10 საათი იქნებოდა. მზის სხივები ირიბად სცემდა ზღვის ზედაპირს.

ბალახები, კლდეები, ნიჟარები, პოლიპები ცისარტყელასავით შვიდფრად ელვარებდა.

ეს იყო ჯადოსნური, საოცნებო, მომხიბლავი სანახაობა.

აღტაცების ქრუანტელი მივლიდა. მომენატრა შთაბეჭდილების გაზიარება ამხანაგისთვის, მაგრამ სანახებლად მრჩებოდა, რომ არ შემეზლო კონსეისთან გამოლაპარაკება. შურით ვუცქერდი კაპიტანს, რომელიც თავის ამხანაგს ხელებით ესაუბრებოდა. მერე ჩემს თავს დავუწყე ლაპარაკი. ლითონს ზუჩში გამოვთქვამდი აღტაცებას და უაზროდ ვხარჯავდი ჰაერის მარაგს.

კონსეიც გაშტერებულიყო ამ წარმტაცი სანახაობით.

ჯადოსნური სასწაულები გადაიშალა ჩემ თვალწინ, ერთი მეოთხედი მიღის მანძილზე!

მაგრამ აქ დიდხანს არ შემეძლო გაჩერება და ძლივძლივობით მივჩანჩალებდი კაპიტნის უკან, რომელიც ყოველი ჩემი შეჩერების დროს მანიშნებდა, მომყევიო.

ნიადაგი მალე შეიცვალა, შლამის მაგივრად ახლა თიხნარი და კაჟიანი ნიადაგი გვხვდებოდა, ნიჟარების მტვრით დაფარული. გავიარეთ ზღვის მცენარეებით მოფენილი ველი. მცენარეულობა ჯერ კიდევ წყალს არ დაეგლიჯა და მათი მრავალფეროვნება გაოცებას იწვევდა. ეს ზღვის ველი თავისი სიფაფუკით საუკეთესო ხალიჩებს სჯობდა.

მწვანე მოლი გვეფინებოდა ფეხქვეშ. ტივტივით დაცურავდა გრძელი ლენტამცენარეები, ქოლგანა, სოკოს მოყვანილობის, მაროს მსგავსი მცენარაცხოველები, წვრილფოთოლა ლავრენციები.

როგორც შევამჩნიე, მწვანე მცენარეულობა უფრო ზღვის ზედაპირს ეფინებოდა, წითელი მცენარეულობა - ზღვის აშუალო სიღრმეს, მოშავო და ყავისფერი კი - ოკეანის ძირითად ფენების ბაღნარს და წალკოტს წარმოადგენდა.

ზოოფიტებში, რომელიც მსოფლიო ფლორის სასწაულს წარმოადგენს, ერია როგორც უზარმაზარი, ასევე პატარა სხეულები. ზოგი ისეთი პაწაწინა იყო, რომ ერთ წვეთ წყალში ათიათასობით დაითვლებოდა; ზოგი კი ისეთი დიდი, მაგალითდ, ფიკუსი, რომლის სიგრძეც ხუთ მეტრამდე აღწევდა.

საათ-ნახევარი იქნებოდა, რაც "ნატულიუსი" დავტოვეთ. შუადღე იყო, რადგანაც მზის სხივები შვეულ ხაზად ეშვებოდა ზღვის ფსკერზე. ფერების ციალი ნელ-ნელა გაქრა, ფირუზისა და საფირონის ელვარება თვალთაგან მოგვეფარა. მივდიოდით გაბედული ნაბიჯით და შორს გაისმოდა ჩვენი ფეხის ხმა.

ფეხის უმცირესი ხმაურიც კი სმენისათვის უჩვეულო სისწარაფით ედებოდა მიდამოს.

წყალი უკეთესი გამტარია ხმაურისა, ვიდრე ჰაერი: ხმა წყალში ერთი ოთხად უფრო სწრაფად ვრცელდება, ვიდრე ჰაერში.

უცებ ნიადაგი დადაბლდა. სინათლე გათანაბრდა. 100 მეტრის სიღრმეს მივაღწიეთ და 10 ატმოსფეროს წნევას ვუძლებდით. მაგრამ ჩვენი სამოსელი ისე იყო შეფარდბული აქაურობას, რომ ამ წნევას ვერც კი ვგრძნობდი. თავდაპირველად ხელის თითები მეტკინა, მაგრამ მალე გამიარა. დაღლილობას კი სულაც არ ვგრძნობდი, თუმცა უკვე ორი საათი იყო, რაც აქ ვსეირნობდით.

წყალი მომრაოსა მიადვილებდა.

30 მეტრის სიღრმეს რომ მივაღწიეთ, ჯერ კიდევ ვარჩევდი მზის სხივებს, თუმცა ძალზე სუსტად. კაშკაშა სინათლე მოწითალო-ბინდბუნდით შეიცვალა, თითქოსდა დღე-ღამის გაყრის უამი დადგაო, მაგრამ ჯერ კიდევ არ გვჭირდებოდა მანათობელი მოწყობილობის ამუშავება.

უცებ კაპიტანი ნემო შედგა, ხელით მანიშნა შავ საგანზე, რომელიც წყლის სივრცეში ისახებოდა.

- უთუოდ ეს არის კრესპოს კუნძული! - გავიფიქრე მე.

თავი XXIII

წყალჭვეშა ტყეში

ბოლოს როგორც იქნა, ტყის პირს მივაღწიეთ. უჭველია, ეს იყო კაპიტან ნემოს უსაზღვრო სამფლობელოს ერთ-ერთი ულამაზესი ადგილთაგანი. კაპიტან ნემოს ეს ტყე თავის საკუთრებად მიაჩნდა. არადა, ვის შეეძლო შესცილებოდა მას ზღვისქევშეთის მამულში? სხვა რომელი უფრო თამამი ადამიანი მოვა აქ ცულით ხელში, დაბურული ტყის გასაჩეხად?

ტყე შედგებოდა დიდრონი ხეებისაგან. როდესაც მათ უზარმაზარ კამარათა ქვეშ გავიარეთ, განცვიფრებული დავრჩი. აქაურობის მსგავსი ჩემს დღეში არაფერი მინახავს. არც ერთი ბალახი, არც ერთი ბუჩქი, არც ერთი ღერო, არც ერთი მცენარე, რომელიც ნიადაგს ფარავდა ერთიანად აზიდულიყო ოკეანის ზედაპირისკენ.

ძაფა-მცენარეულობა, ზღარბისთესვა და მგლისცერცვა, რაც უნდა წვრილი ყოფილიყო, მაინც წელში ამართული იდგა, თითქოს რკინის ღერო აქვსო.

მცენარე-ცხოველები თუ მცურავი მცენარეები შვეულად მომრაობდნენ, ხელის მიკარებაზე იზნიქებოდნენ, მაგრამ ისევ წელში იმართებოდნენ.

მთელი ეს მცენარეულთა სამეფო ზღვის ფსკერზე იყო მხოლოდ დამაგრებული. არც ერთს ფესვები არ ჰქონდა გადგმული. მათ არ სჭირდებოდათ მასაზრდოებელი წვენი, მათთვის საკმარისი იყო მხოლოდ დასაყრდენი წერტილი. მთელი მათი სიცოცხლე წყალში იყო, წყალი ასულდგმულებდა და ასაზრდოებდა მათ.

პირველი საათი იქნებოდა, როდესაც კაპიტანმა ნემომ გვანიშნა, დავისვენოთო.

უზარმაზარი ფიკუსების ქვეშ წამოვგორდით.

დიდი სიამოვნება მაგრძნობინა ამ დასვენებამ. სანანებლად მეჩვენებოდა, რომ არ შეგვეძლო ერთიმეორისათვის გაგვეზიარებინა ჩვენი შთაბეჭდილებანი.

გაოცებული ვიყავი, რომ ოთხი საათის სიარულმა არ მომაშივა.

რამდენ ხანს მთვლემდა, არ ვიცი, მაგრამ როდესაც გამომეღვიძა, მეჩვენა, თითქოს მზე კარგად გადახრილიყო. კაპიტანი უკვე ფეხზე იდგა, მეც შევიშმუშნე და ერთბაშად ზეზე წამოვიჭერი. რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით უზარმაზარი ზღვის ობობა (ერთი მეტრი სიმაღლისა იქნებოდა) მომჩერებოდა თავისი ელამი თვალებით, თითქოს ეს-ესაა, უნდა მემგეროსო, მაგრამ კაპიტანის თანაშემწემ თოფის კონდახით იქვე მოკლა. მისი უზარმაზარი ფეხი საშინლად იკრუნჩხებოდა.

ამ შემთხვევამ გამახსენა, რომ ზღვის ჯურდმულებში ამაზე უფრო საშიში ცხოველებიც ბინადრობენ, რომელთაგან ვერც სკაფანდრი დაგიფარავს, ვერც თოფის კონდახი. მეგონა, ამაზე შორს აღარ წავიდოდით, მაგრამ მოვტყუვდი. კაპიტანმა ნემომ კვლავ განაგრძო გზა. ზღვის ფსკერზე უფრო და უფრო ღრმად ვეშვებოდი. უღრმეს ადგილსაც მივაღწიეთ. სამი საათი იქნებოდა, როდესაც მივადეჭით ვიწრო ველს, რომელიც ორი ფრიალო კლდს შუა მდებარეობდა, 500 მეტრის სიღრმეზე ზღვის ზედაპირიდან.

ჩვენი მოწყობილობის წყალობით 90 მეტრით გადავაჭარბეთ იმ საზღვარს, რომელიც ბუნებამ თითქოს დაადგინა ადამიანის წყალქვეშეთში მოგზაურობისათვის.

მე ვთქვი 500 მეტრი, თუმცა ვერავითარი ხელსაწყოთი ამას ვერ გამოვიანგარიშებდი, მაგრამ ვიცოდი, რომ კამკამა ზღვებშიაც კი მზის სხივი ამ მანძილზე ქვემოთ ვეღარ აღწევს. უკუნი სიბნელე ჩამოწვა. ათიოდე ნაბიჯზე ვეღარაფერს ვარჩევდით. ხელების ფათურით მივდიოდი.

უცებ ჩვენ თვალწინ განათდა, აენთო კაშკაშა შქუქი. კაპიტან ნემოს თავისი მანათობელი აპარატი აემუშავებინა. მისი თანამგზავრი და კონსეიც ასევე მოიქცნენ. მეც მათ მაგალითს მივბაძე და ოთხი სანათურით გაშუქებული ზღვის ფსკერი 25 მეტრის რადიუსზე განათდა.

კაპიტანი უფრო და უფრო შედიოდა ტყის სიღრმეში. ტყე თანდათან თხელდებოდა.

ხები იშვიათად გვხვდებოდა. როგორც დავაკვირდი, მცენარეულობა აღარსად ჩანდა, მაგრამ უამრავი ზოოფიტი, ლორწოვანი მღილები და თევზები ფუსფუსებდნენ და ირეოდნენ ამ მიდამოში.

ოთხი საათი იქნებოდა, როდესაც ჩვენ წინ აღიმართა ბუმბერაზი კლდეები, უზარმაზარი სალი კლდის ფრიალოები, რომლებშიც მოჩანდა ჩაბნელებული მღვიმები.

ეს იყო კრესპოს კუნძული. ეს იყო დედამიწა!

კაპიტანი ნემო ერთბაშად შედგა. მისმა ხელის ქნევამ ჩვენც შეგვაჩერა. მერე უკან გამოვტრიალდით.

კაპიტანი წინ მიგვიძლოდა და უყოფმანოდ მიიკვლევდა გზას. თუმცა უკან ვბრუნდებოდით, მაგრამ შევატყვე, რომ სულ სხვა გზით მოვდიოდით.

ეს ახალი გზა ძალზე დაქანებული იყო და ძნელად სავალი, თუმცა მალე მიგვიყვანა ზღვის ზედაპირზე.

უცებ დავინახე, რომ კაპიტანმა ნემომ თოფი მოიმარჯვა და აჩარებით დაუმიზნა რაღაც მოძრავ საგანს ბუჩქებში. თოფი გავარდა, გისმა სუსტი სტვენა და მოკლული ცხოველი კაპიტნის თანაშემწემ აიღო.

ეს იყო მშვენიერი ზღვის წავი. ეს ერთადერთი ოთხფეხა ცხოველია, რომელიც ზღვაში ბინადრობს, თუმცაიშვიათად. სიგრძიტ მეტრ-ნახევარი იქნებოდა. მისი ტყავი ზურგიდან ვერცხლისფრად ელვარებდა, ქვემოდა კი მუქი ყავისფერი დაჰკრავდა, ბეწვი წმინდა და ელვარე ჰქონდა. ეს ტყავი 1.000 ფრანკი მაინც ეღირებოდა. კაპიტნის ამხანაგმა ზურგზე მოიგდო წავი და გზა განვაგრძეთ.

ერთ საათს ვიარეთ შლამიან ვკეზე, რომელიც ხშირად ორ მეტრზე იყო ამაღლებული წყლის ზედაპირამდე და მაშინ იქ ვხედავდი ჩვენს ანარეკლს, ოღონდ თავდაყირა. ამ ანარეკლში ყირამალა ისახებოდა ყოველი ჩვენი მოძრაობაც. გადაფრენილი ფრინველების ჩრდილიც კი გარკვევით მოჩანდა ზღვის ზედაპირზე.

აქ გავხვდი იშვიათი სროლის მოწმე. უშველებელფრთებიანი ფრინველი ტრიალით ეშვებოდა ზღვის ზედაპირზე. ჩვენ საკმაოდ მკაფიოდ ვხედავდით მათ მოხაზულობას.

როდესაც ფრინველი რამდენიმე მეტრზე დაუახლოვდა ზღვის ზედაპირს, კაპიტან ნემოს ამხანაგმა დაუმიზნა და ესროლა. ფრინველი მეხივით დაენარცხა წყალზე.

ეს იყო ლამაზი, ონავარი, ალბატროსი, რომელიც თავისი სილამაზით, ზღვის ყველა ფრინველს აღემატება და პარიზის მუზეუმსაც კი დამშვენებდა. ორ საათს კიდევ ვიარეთ ხან შლამიან ვაკეზე, ხან მცენარეულ ველებზე.

ძნელი სავალი იყო.

შორს თვალი მოვარი სინათლის ტალღას, რომელიც ნახევარი მიღის სიგრძეზე აპობდა წყვდიადს. ეს იყო "ნატულიუსი". მომენატრა დასვენება, საუზმე და ჯანსაღი ჰაერი, რადგანაც ჩემი აპარატი უკვე საკმარის ჟანგბადს ვეღარ მაწვდიდა.

უცებ ვიღაცამ ძირს დამანარცხა. შევხედ და ვიცანი: კაპიტან ნემოს თავისი სანათური ჩაექრო და ჩემიც ჩაქრო...

არ ვიცოდი, რა მეფიქრა ამ მოულოდნელი თავდასხმის გამო... მაგრამ მალე დავმშვიდდი, როდესაც დავინახე, რომ კაპიტანიც ჩემ გვერდით გულაღმა გაწვა. მალე ყველაფერს მივხვდი.

ჩვენ ვიწერით ზღვის ფსკერზე, ზღვის მცენარეთა ჩრდილქვეშ.

თავი ოდნავ წამოვწიე და დავინახე, რომ ორი უზარმაზარი ონავარი ცხოველი შეუილით მოსრიალებდა და ფოსფორესცირებულ სინათლეს ფენდა. ისე ახლოს ჩაგვიქროლეს, რომ ფრთები გაგვრეს.

სისხლი გამეყინა: ესენი იყვნენ საზარელი კაციჭამია ნათელთევზები.

ბოლო უშველებელი ჰქონდათ. თვალები - დიდრონი და შუშისმაგვარი; ფოსფორესცირებულ სინათლეს კი ლაყუჩებიდან უშვებდნენ.

ვათვალიერებდი მათ ვერცხლისფერ მუცლებს და უშველებელ ხახას, რომელიც ბასრი კბლიებით ჰქონდათ მოკენჭილი. ვათვალიერებდი მათ არა მეცნიერული თვალსაზრისით, არამედ როგორც განწირული მსხვერპლი.

საბედნიეროდ, ეს ონავარი თევზები კარგად ვერ ხედავენ. თითქმის ზედ გადაგვიქროლეს და თავიანთი ყავისფერი ნიჩაბა ფრთებით შეგვეხნენ, მაგრამ ვერც კი შეგვამჩნიეს.

საფრთხეს გადავურჩით. მათთან შეხვედრა უფრო სახიფათოა, ვიდრე ტყეში ვეფხვთან შეჯახება.

ნახევარი საათის შემდეგ "ნაუტილუსს" მივაღწიეთ.

გარეთა კარში რომ შევედით, კაპტანმა ნემომ დაკეტა იგი. ტუმბოებით ამოქაჩა წყალიდა საფარესო ოთაში გავედით. დაქანცული და ძალაგამოცლილი ძლივს მივლსლასდი ჩემს ოთახამდე.

- სიზმარი იყო ყოველივე თუ ცხადი? - ვფიქრობდი ჩემთვის.

თავი XXIV

წყნარი ოკეანიდან ინდოეთის ოკეანემდე

მეორე დღეს, 18 ნოემბერს, დილით სრულებით გამოშუშებული და დასვენებული წამოვდექი დ ბაქანზე ავედი სწორედ იმ დროს, როდესაც კაპიტნის თანაშემწე თავის ჩვეულებრივ ფრაზას იმეორებდა. ახლა კი მოვისაზრე, რომ ალბათ ეს ფრაზა ეხებოდა ზღვის მდგომარეობას.

"არაფერი მოჩანს~!

მართლაც, ოკეანე უსაზვრო წყლის უდაბნოს ჰგავდა. არსად არც ერთი იალქანი არ მოჩანდა. კრესპოს კუნძულის მწვერვალებს კი წუხელვე ჩავუარეთ.

ოკეანის დიადი სანახაობით ვტკბებოდი, როდესაც კაპიტანი ნემოც გამოჩნდა.

თითქოს ვერ შემამჩნია და მაშინვე ასტრონომულ დაკვირვებას შეუდგა.

როდესაც დაკვირვებას მორჩა, შუქურის გალიას დაებჯინა და თვალები დაფიქრებით მიაპყრო ოკეანის ზედპირს.

ამ დროს ნასროლი ბადის ამოსათრევად ბაქანზე ამოვიდა თორმეტი მკლავმაგარი, ზორბა, ჩასხმული მეზღვაური. იერით გავრჩიე, რომ ევროპელები იყვნენ, თუმცა სხვადასხვა ეროვნებისა. იყვნენ ირლანდიელები, ფრანგები, რამდენიმე სლავი და ერთიც ბერძენი.

სიტყვაძუნწები იყვნენ და ერთმანეთსაც კი იშვიათად ელაპარაკებოდნენ, თავისებურ, ჩემთვის გაუგებარ ენაზე.

- ამათ ხომ სიტყვას ვერ წამოაცდენინებს ადამიანი! -გავიფიქრე მე.

ბადე ბაქანზე ამოათრიეს. იგი წააგავდა ნორმანდიულ თევზის საჭერს.

მარყუჟებში ჯაჭვგაბმული ბადე ზღვის ფსკერზე ეთრევა და რაც კი ხვდება შიგ იყოლების.

ამ დილით საინტერესო ნიმუშის თევზებიც მოხვდა. ბადე 25 ფუთამდე თევზი ამოჟყვა, ბარაქიანი იყო, მაგრამ გასაოცარი კი არა.

ნასროლ ბადეს რამდენიმე საათს ტოვებენ ზღვაში და ყველაფერი თან მოაქვს, რასაც კი მოედება.

ახლა კი სანოვაგე აღარ შემოგვაკლდება, ეჭვარეშეა, - გავიფიქრე მე.

თევზაობას მორჩნენ. ჰაერის სათადარიგო აუზი გაივსო. ვფიქრობდი, რომ "ნაუტილუსი" სიღრმეში ჩაეშვებოდა და ჩემი ოთახისკენ დავაპირე წასვლა. უცებ კაპიტანი ჩემკენ მობრუნდა და მითხრა:

- გახედეთ ამ ოკეანეს, პროფესორო, განა მასში სიცოცხლე არ არის?! განა იგი არ გამოთქვამს თავის მრისხანებას და სინაზეს? გუშინ ამასაც ეძინა, როგორც ჩვენ. ახლა კი, წყნარი ღამის შემდეგ, როგორ იღვიძებს!

არც "გამარჯობა", არც "დილა მშვიდობისა", გეგონებოდათ, ადრე დაწყებულ საუბარს განაგრძობსო.

- უცქირეთ, - განაგრძო ნემომ, - იგი იღვიძებს მზის სხივების მისალმებაზე! ცოცხლდება, ყოველდღიური ცხოვრებით იწყებს ფეთქვას! რა სასურველი და სახალისოა მისი დაკვირვება! მას აქვს ორგნიზმი, მაჯისცემა, სასიცოცლო ძარღვი, კრუნჩხვა! ოკეანესაც ისეთივე სისხლის მოძრაობა აქვს, როგორიც ცხოველებს.

რა თქმა უნდა, კაპიტან არ მოელოდა ჩემგან რაიმე პასუხს ან წაქეზებას და წამოძახილს - "სწორედ", "ალბათ", "მართალს ბრძანებთ", - რაც ზედმეტად მივიჩნიე. ის უფრო თავისთვის ლაპარაკობდა და თითოელი ფრაზის შემდეგ ხანგრძლივად ჩუმდებოდა.

ეს იყო მისი ხმამაღლა ფიქრი.

- თქვენ პოლუსზე უნდა ნახოთ, რა მომხიბვლელად იყინება წყლის ზედაპირი.

- პოლუსი! - გავიფიქრე მე, - ეს თავზე ხელალებული ადამიანი, ახლა იქით ხომარ გვიპირებს გაქანებას...

კაპიტანი დუმდადა ერთხანს შესტრფოდა ამ სტიქიას, რომელის გამოკვლევაზეც იყო გადაგებული. მერე განაგრძო:

- აქ და მხოლოდ აქ არის ნამდვილი სიცოცხლე! და მე შესაძლებლად მიმაჩნია ზღვისქვეშა ქალაქების შექმნა, ზღვისქვეშა სახლების აგება, რომლებიც "ნაუტილუსის" მსგავსად, ჰაერის შესასუნთქად ყოველდღე ამოცურდებიან ზედაპირზე - ეს იქნება თავისუფალი ქალაქები! მაგრამ ვინ არის თავდები, რომელიმე დესპოტი იქაც არ...

კაპიტანმა ნემომ თავისი ფრაზა ხელის ჩაქნევით დაამთავრა. ბოლოს, მჭმუნვარე ფიქრების გასაქარვებლად შემეცითხა:

- პროფესორო არონაკს, თქვენ იცით, რა სიღრმისაა ოკეანე?
- ვიცი, კაპიტანო მხოლოდ ის, რასაც უკანასკნელი გაზმოვა იძლევა.
- შეგიძლიათ გამიზიაროთ? თუ დაგვჭირდება, შევამოწმებდით.
- აი, ზოგიერთი ცნობა, - ვუპასუხე მე, - ჩრდილო ატლანტის ოკეანის საშუალო სიღმედ 2000 მეტრია მიჩნეული, ხოლო მის შუაგულ ნაწილში კი - 2500 მეტრი.

უფრო შესამჩნევი სიღრმე აღმოაჩინეს სამხრეთ ატლანტის ოკეანესი განედის 35 გრადუსზე- 12000-14091 მეტრი. საერთოდ კი, ფიქრობენ ოკეანის ფსკერი რომ გაწონასწორებული იყოს, მისი საშუალო სიღრმე იქნებოდა 7000 მეტრი.

- კეთილი, პროფესორო, მე იმედი მაქვს, რომ ჩვენ უფრო სწორედ დავამტკიცდებთ ყოველივეს. - მიპასუხა კაპიტანმა, - რაც შეეხება წყნარ ოკეანის ამ ნაწილს საშუალო სიღმეს, გაგნდობთ, რომ მხოლოდ 4000 მეტრამდეა.

ეს თქვა და კიბეზე დაეშვა. მეც უკან დავედევნე და დიდ დარბაზში წამოვეწიე. გემის ბორბალი ამუშავდა.

თავი XXV

გულსაკლავი სანახაობა

დღე დღეს მისდევდა, კვირა - კვირას და კაპიტნი იშვიათად თუ გვეჩვენებოდა.

მისი თანაშემწე ყოველდღე აღნიშნავდა გემის მდგომარეობის ადგილს და მე შესაძლებლობა მეძლეოდა, თვალყური მედევნებინა გემის მიმართულებისთვის.

კონსეი და ნედი საათობით ჩემთან იყვნენ. კონსეი უამბობდა ნედს ჩვენი მომხიბვლელი წყალქვეშა ნადირობს ამბავს და კანადელს გული სწყდებოდა, რომ მაშინ ჩვენთან ერთად არ წამოვიდა.

- ნუ სწუხართ, ნედ, - ვანუგეშებდი ხოლმე, - მეორედ რომ წავალთ, მაშინ აინაზღაურებთ ამ დანაკლისს.

თითქმის მუდამდღე რამდენიე საათით გასწევდნენ ხოლმე დარბაზის ფანჯრის დარაბებს და ჩვენ თვალწინ იშლებოდა წყალქვეშა ქვეყნიერების საიდუმლოებანი.

"ნაუტილუსის" უმთავრესი გეზი სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა. იგი 100-150 მეტრის სიღრმეზე მიცურავდა. მხოლოდ ერთხელ, არ ვიცი, რა შემთხვევის გამო, გემმა 2000 მეტრის სიღრმეს მიაღწია.

26 ნოემბერს, დილის 3 საათზე "ნაუტილუსი" გასცილდა კირჩხიბის ტროპიკს გრძედის 172 გრადუსზე, 27 ნოემბერს ჩაუარა სანდვიჩის კუნძულებს, სადაც 1779 წლის 14 თებერვალს, ცნობილი მოგზაური დედამიწის გარშემო, - კუკი, ველურებმა მოკლეს.

მამასადამე, ჩვენ უკვე 4860 მილი გვქონდა გავლილი.

ერთხელ, დილით ბაქანზე ყოფნის დროს, ჰავაის არქიპელაგის შვიდი კუნძულიდან ორი მილის მანძილზე ერთ-ერთი მათგანი დავინახე. ნათლად გავარჩიე მისი ჩამოკვეთილი კიდეები, მთის გრეხილები, რომლებიც ნაპირს გასწრივ მისდედა და ცეცხლის მფრქვევი მთები, რომელთაგანაც მუნარეა 5000 მეტრის სიმაღლეზე აზიდულიყო.

აქ ნასროლ ბადეს, სხვათა შორის, მოჰყვა რამდენიმე ნიმუშის ფარშევანგა ზღვის ხავსი, მეტად მოხდენილი, ლამაზი მოყვანილობის ყვავილთევზა საპინი, რომელიც უფრო მეტად წყნარი ოკეანის ამ ნაწილში ბუდობს.

"ნაუტილუსი" სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ მიემართებოდა. 1-ელ დეკემბერს ეკვატორ გადასერა გრძედის 142 გრადუსზე.

4 დეკემბერს სწრაფი ცურვის შემდეგ დავინახეთ მარკიზის კუნძულები. სამი ვერსის მანძილზე გავარჩიე ნუკა-გივას ჯგუფის მწვერვალი მარტენი, რომელიც საფრანგეთს ეკუთვნოდა. მე მხოლოდ ტყით შემოსილი მთების მოხაზულობას მოვკარი თვალი, რადგანაც კაპიტან ნემოს არ უყვარდა ხმელეთთან მიახლოება.

იქაც ისროლეს ბადე და შეუდარებელი ნიმუშის თევზები დავიჭირეთ: ლაჟვარდისფერი ფრთიანი და ოქროსბოლოიანი თევზები; იისფერი ღორჯოები, რომლებიც ძალზე გემრიელია; მწვანე მუცელა, ძვალტყავა ლაყუჩებიანი თევზები და მრავალი სხვა.

ამ კუნძულებს "ნაუტილუსი" 5 დეკემბერს გასცდა და 9 დეკებმრამდე 2000-მდე მილი გაიარა. ამ მგზავრობაში შეგვხდა უცხო, ლორწოვანი და მელნის მომცემი ზღვის ბაჭის მსგავსი ცხოველები, რომელთაც ფრანგები "რქიანას" უწოდებენ.

9-10 დეკემბერს "ნაუტილუსი" გადაეყარა უთვალავ ქარავანს ღამის პაწია ლორწოვანი ცხოველებისა, რომლებიც მილიონობით დაითვლებოდა. ისინი ზომიერი წყლებიდან თბილი წყლებისაკენ იძროდნენ ლიფსიტებისა და ჭიჭინების კვალზე. სქელშუშიანი ფანჯრებიდან ვხედავდით, რომ უკუსვლით მიცურავდნენ.

დასდევდნენ და ყლაპავდნენ წვრილმან თევზებს, მათ კი უფრო მოზრდილი თევზები ყლაპავდნენ.

"ნაუტილუსი" თვისი სწრაფი მოძრაობის მიუხედავად, ამ ცხოველთა ურდოში ორ საათს მიცურავდა. ნასროლ ბადეს უთვალავი თევზი მოჰყვა.

ზღვა გულუხვად გვიმასპინძლდებოდა საუცხოო სანახაობით, ნაირნაირად გვიცლიდა თვალის სეირს.

11 დეკემბერს დღისით დიდ დარბაზში ვიყავი კითხვით გართული. ნედი და კონსეი ფანჯრიდან აკვირდებოდა გემის გვერდებიდან განათებულ წყალს.

"ნაუტილუსი" გაჩერებული იყო 1000 მეტრის სიღრმეზე. ოკეანის ამ ნაწილს იშვიათად ეკარებიან დიდრონი თევზები.

სახალისო წიგნს ვკითხულობდი და ვტკბებოდი ავტორის მახვილგონიერებით. უცებ კონსეიმ მოირბინა ჩემთან:

- ბოდიშს ვიხდი, პროფესორო, ერთი წუთით აქეთ მოიხედეთ! - მითხრა მან რაღაც უცნაური კილოთი.

- რა ამბავია? - ვკითხე და ფანჯარას მივუახლოვდი.

- გემი! - შევკივლე უცებ.

- ისიც მოტეხილი ანძებით და მოწყობილობებით! - ჩაურთო კანადელმა.

გულსაკლავ სურათს წარმოადგენდა ზღვის ტალღებში დაღუპული გემი. გულის მომკვლელი უფრო ის იყო, რომ მის გემბაზზე ჯერ კიდევ ელაგა თოკებში გახლართული რამდენიმე ადამიანის გვამი... დავითვალე ოთხი მამაკაცი. ერთი ჯერ კიდევ ცოცხალივით ფეხზე იდგა საჭესთან. მოაჯირზე გადმოყუდებულ ქალს ხელში ბავშვი ეჭირა. ახალგაზრდა იყო. "ნაუტილუსის" კაშკაშა სინათლეზე გავარჩიეთ, რომ მის სახეს წყლისგან იერი ჯერ არ შეცვლოდა, სასოწარკვეთილებით მაღლა აეწია ბავშვი. საბრალო ბავშვი კი დედის კისერს ჩაბდაუჭებოდა პაწია თათებით.

საშინელი სანახავი იყო ოთხი მეზღვაური; ისინი გემზე იყვნენ თოკებით მიბმულნი და უკანასკნელ ძალ-ღონეს იკრებდნენ თოკის გასაწყვეტად, იკრუნჩებოდნენ.

მარტოდმარტო, უძრავად იდგა ჭაღარაშერეული, კეთილშობილი სახის და ნათელი გამომეტყველების მესაჭე, საჭისკენ ხელებგაწვდილი, თითქოს კვლავ მართავდა ამ სამანძიან გემს ოკეანის ფსკერზე.

საზარელ სანახობა იყო! დიდხანს ვუცქირეთ გემს, რომელიც თითქოს მისი დაღუპვის უკანასკნელი წუთების ფოტოგრაფიულ სურათს წარმოადგენდა.

გულს საშინელი ბაგაბუგი გაჰქონდა.

თვალი მოვკარი ცეცხლისთვალებიან ნათელთევზებს. მათ უკვე აელოთ ადამიანის სუნი. როდესაც "ნაუტილუსმა" ჩაძირულ გემს გარს შემოუარა, წავიკითხე, რომ ზედ ეწერა: "ფლორიდა".

თავი XXVI

ტორესის სრუტე

1868 წლის 1-ელ იანვარს, დილაადრიან, ჩემთან ბაქანზე ამოვიდა კონსეი.

- პროფესორო, მრავალ ბედნიერ ახალ წელს გისურვებთ!

- გმადლობთ, კონსეი, გმდლობ, მაგრამ ერთს კი გკითხავ - რას გულისხმობ "ბედნიერ წელიწადში"? გინდა რომ წელს დასრულდეს ჩვენი პატიმრობა, თუ გსურს ბედნიერი წყალქვეშა მოგზაურობა გაგრძელდეს?

- სწორედ არ ვიცი, რა მოგახსენოთ, პროფესორო, - მიპასუხა კონსეიმ.

- ჩვენ აქ ბევრ წარმტაც მოვლენას ვხვდებით. თითქმის ორი თვე სრულდება და მოწყენილობა არ გვიგვრძვნია. ნათქვამია, უკანასკნელი სასწაული ყველა სასწაულზე მომაჯადოებელიაო. თუკი ამის შემდეგაც ასეთი სასწაულები გველის, მაშინ არ ვიცი, რით გასრულდება... მეორედ ხომ ასეთი შემთხვევა არასდროს მოგვეცემა...

- არასდროს, კონსეი!

- ჩემი აზრით, - განაგრძო კონსეიმ, - ბენდიერი ახალი წელიწადი ის იქნეა, როდესაც ჩვენ ყველაფურს ვნახავტ და ბევრ რამეს შევისწავლით.

- ყველაფრის ნახვას, ჩემო კონსეი, ბევრი დრო უნდა.

- ბოლოს და ბოლოს, პროფესორო, გისურვებთ იმიას, რაც გულით გსურთ.

- გმადლობ, კონსეი, გმადლობ, მაგრამ წელი მომეცი, საახალწლო საჩუქრები სხვა დროისთვის გადავდოთ. ახლა კი, მომეცი შენი ხელი, მაგრად ჩამოგართვა. ამჟამად ამის მეტი არ გამაჩნია რა.

- ეგ ყველაზე ძვირფასი საჩუქარია! - მიპასუხა კონსეიმ და თავისი კაიუტისკენ წავიდა.

2 იანვრამდე უკვე 11 340 მილი გავიარეთ, იაპონიის ზღვის მერე "ნაუტილუსს" გასავლელი ჰქონდა სახიფათო მარჯნის ზღვა ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ნაპირებზე.

ჩვენი გემი ორიოდე მილის დაშორებით მიცურავდა იმ სახიფათო რიფებთან (წყალქვეშა კლდე), სადაც 1770 წელს მოგზაური კუკის გემები კინადამ დაიღუპა. ის გემი, რომელზედაც კუკი იმყოფებოდა, კლდეს დაეჯახა და დაღუპვას მხოლოდ იმის წყალობით გადაურჩა, რომ მომსხვრეული მარჯნის ნატეხი გემის ნაპრალში გაიჭედა და წყალი არ შეუშვა.

ძალიან მინდოდა ამ რიფზე მოვხვედრილიყავი. მისი სიგრძე 360 მილს უდრის; მუდამ აზვირთებული ზღვის ტალღები საშინელი ძალით ეხეთქებოდა მას, თითქოს ჭექა-ქუხილიაო, და ქაფიან წინწკლებად ჰაერში იფანტებოდა. მაგრამ ამ დროს "ნაუტილუსმა" დიდ სიღრმეზე ჩაგვაქანა და თვალი ვეღარ მოვკარი მარჯნის ამ მაღალ კლდეებს.

4 იანვარს პაპუაზიის სანაპირო დავინახეთ, კაპიტანმა გადმომცა, რომ ინდოეთის ოკეანეში ტორესის სრუტიტ გავცურავთო.

- ტორესის სრუტიტ? - შევეკითხე მე.
- დიახ!

მაშინ ჩვენი საუბარი ამაზე შეწყდა.

ნედს სიამოვნებით აუჩქროლდა გული, ევროპის ზღვებს რომ ვუახლოვდებოდით.

ტორესის სრუტე სახიფათოა თავისი წყალქვეშა კლდეებით. ამასთნავე საშიშია იგი იმითაც, რომ ამ კუნძულების ხშირი სტუმრები არიან ველურები.

- კარგი ხეირი კი დაგვეყრება, თუ ბედისწერამ პირისპირ შეგვახვედრა ანდამანებთან. ანდამანებს ხურმობა არ უყვართ, - ვფიქრობდი გულში.

"ნაუტილუსი" მიუახლოვდა ყველაზე სახიფათო სრუტეს მთელი დედამიწის ზურგზე.

ამ სრუტიტ გავლას ძალზე გაბედული ზღვაოსნებიც კი ვერ ბედავენ.

თუმცა კაპიტანი ნემო ზღვაზე არავითარ საფრთხეს არ ერიდებოდა, მაგრამ მარჯნის კლდეებთან წინასწარ ზომები მიიღო.

"ნაუტილუსი" წყნარად მიცურავდა წყლის ზედაპირზე და მის საჭე ვეშაპის ბოლოსავით ნელ-ნელა მიარღვევდა ტალღებს.

ასეთი ნელი სვლით ვისარგებლეთ და მე და ჩემმა ამხანაგებმა და ბაქანზე ავედით.

ჩვენი წინ მესაჭის კაიუტა იყო. თვალიც მოვკარი, რომ კაპიტანი ნემო თვად მისჯდომოდა "ნაუტილუსის" საჭეს.

თვალწინ იშლება მშვენიერი სანახაობა ტორესის სრუტისა.

"ნაუტილუსის" ირგვლივ ზღვა გააფთრებული ბრდღვინავდა.

სამხრეთ-აღმოსავლეთიდან სამხრეთ-დასავლეთისკენ გაცოფებით მიმართული ტალღები აქა-იქ ამოშვერილ მარჯნის კლდეთა წვეროებს ენარცხებოდა და ზედვე ემსხვრეოდა.

- საძაგელი ზღვა არის! - თქვა ნედმა.
- მართლაც, საძაგელია და საშიში ისეთი გემისთვისაც კი, როგორც "ნაუტილუსია".

- ალბათ, ამ შეჩვენებულმა კაპიტანმა კარგად იცის გზები!

ერთი გახედეთ მარჯნის უამრავ წვეტებს, ერთ-ერთს გერდი რომ გაჰკრას, ნაკუწ-ნაკუწ აქცევს გემი კორპუსს.

მდგომარეობა მართლაც სახიფათო იყო, მაგრამ "ნაუტილუსი" ჯადოქარივით მისრიალებდა წყალქვეშა კლდეებს შუა. ის არ ჰავდა კუკის საბედისწერო გზას, უფრო ჩრდილოეთისაკენ აიღო გეზი, კუნძულ მურეის ნაპირებს გვერდი აუარა და სამხრეთ-დასავლეთისკენ იბრუნა პირი, კუმბერლენის გასასვლელისაკენ. მეგონა ამ გზით ივლიდა, მაგრამ ერთბაშად უკანვე გაუხვია ჩრდილო-დასავლეთისაკენ და ასე გაჰყვა უამრავ დიდ თუ პატარა უცნობ კუნძულეს.

უნებურად ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნუთუ ეს თამამი კაპიტანი სწორედ იქ მოისურვებს თავისი გემის დაღუპვას, სადაც გამოჩენილი ფრანგიმოგზაურის დიუმონ დაიუვიელის გემები დაიღუპა?

მაგრამ კაპიტანმა ხელახლა იცვალა გეზი.

ნაშუადღევის 3 საათი იქნებოდა. თითქმის ზღვის სრული მოქცევა იყო. ერთბაშად შევტორტმანდი და ბაქანზე დავეცო.

"ნაუტილუსი" წყალქვეშა კლდეს დაეჯახა და მარცხნივ გადახრილი უძრავად გაჩერდა.

როდესაც წამოვდექი, ბაქანზე დავინახე კაპიტანი ნემო და მისი თანაშემწე. გემის მდებარეობას ათვალიერებდნენ და თავისებური "ქაჯური" ენით ელაპარაკებოდნენ, როგორც ნედი ამბობდა ხოლმე.

მდგომარეობა ასეთი იყო: ორი მილის მანძილზე მარჯვნივ მოჩანდა გვებოროარის კუნძული. მისი ნაპირები ჩრდილო-დასავლეთით აწყდებოდა ბუმბერაზი მოხრილი მკლავივით: სამხრეთისა და აღმოსავლეთისკენ კი მარჯნის კლდეთა წვეროები მოჩანდა ტალღების უკუქცევის დროს. ჩვენი გემი თავთხელ წყალში მოედო კლდეს და გაიჭედა, ისიც იმ ზღვაში, სადაც ზღვის მოქცევა ძალიან სუსტი იცის. გემს არაფერი დაზიანებდა, მკვიდრდა იყო შებოჭილი. მაგრამ თუნდაც გემში წყალსაც არ დაეწყო ჟონვა, შეიძლებოდა სამუდამოდ დარჩენილიყო ამ კლდეზე.

- ესეც ახალი ჭირი და უბედურება! - ვფიქრობდი მე.

კაპიტანი ნემო წარბშეუხრელად, მშვიდად და გულგრილად მომიახლოვდა.

- უბედურება გვეწვია? - ვკითხე მე.

- არა, მხოლოდ დაბრკოლებაა, - მიპასუხა მან.

- მაგრამ ისეთი დაბრკოლება, რომელსაც შეუძლია ძალაუნებურად ხმელეთის მკვიდრად გაგვხადოს! - შევძახე მე.

კაპიტანმა რაღაც უცნაურად გამომხედა და უარის ნიშნად თავი გაიქნია. მისმა მოძრაობამ ცხადად მაგრძნობინა, რომ მას ვერავითარი ძალა ვერ დააკარებინებდა ფეხს დედამიწაზე. შემდეგ დაუმატა:

- მოთმინება იქონიეთ, პროფესორო არონაკს, "ნაუტილუსი" ჯერ არ დაღუპულა. ის ჯერ კიდევ ბევრს გასეირნებთ ოკეანის ჯადოსნურ სამყაროში.

ვითომ დამცინავ კილოს ვერ მივუხვდი და ვუთხარი:

- კაპიტანო, ჩვენ თავთხელ წყალის ჩავიფალით ზღვის სრული მოქცევის დროს. წყნარ ოკეანეში კი ზღვის მოქცევა და უკუქცევა არ იცის. და თუ თქვენ გემიდან ზედმეტ ტვირთს არ გადაყრით, რაც, ჩემი აზრით, შეუძლებელია, მაშინ არ ვიცი, რა გზით მოახერხებს "ნაუტილუსი" თავის დაღწევას!

- პროფესორო, წყნარ ოკეანეზე ძლიერი ზღვის მოქცევა რომ არ იცის, ეს მართალი ბრძანეთ, მაგრამ ტორესის სრუტეში ზღვის დონე წყლის მოქცევისა და უკუქცევის დროს, მეტრნახევარით მაინც გასხვავდება. დღეს 4 იანვარია, ხუთი დღის შემდეგ მთვარე გაივსება და ძალიან გამიკვირდება, თუ დედამიწის თავაზიანი თანამგზავრი თვალსაჩინოდ არ ასწევს წყალს და არ მომეხმარება; ეს დხმარბა მხოლოდ მისგან მინდა მივიღო.

ამ სიტყვების შემდეგ თანამშემწე გაიყოლა და ძირს ჩავიდა.

გემი აღარ ქანაობდა, უძრავად იდგა. თითქოს მარჯნის პოლიპებს ის უკვე თავისი მაგარი წიდით შეედუღებინა.

- რას მეტყვით? - მკითხა ნედმა, რაწამს კაპიტანი ძირს ჩავიდა.

- ჩემო მეგობარო ნედ, ჩვენ დამშვიდებით უნდა ველოდოთ 9 იანვარს; მგონი მთვარე იმდენ თავაზიანობას გამოიჩენს, რომ ჩვენს გემს თავთხელი წყლიდან აატივტივებს.

- მარტო მთვარე?

- დიახ.

- მერე კაპიატნი მთვარის იმედზე გულხელდაკრეფილი იჯდება? ხელს არ გაანძრევს? არ შეუდგება მუშაობას?!

- რისთვის, ნედ, - გააწყვეტინა კონსეიმ, - თუკი ზღვის მოქცევაც გამოასწორებს საქმეს?

კანადელმა კონსეის გადახედა და მხრები აიჩეჩა.

- პროფესორო, - მომიბრუნდა მე, - დაიჯერეთ, რასაც გეტყვით. ეს რკინის ჯირვი ვეღარსად იცურებს, ვეღარც წყალზე და ვეღარც წყალქვეს. ეს ახლაწონით უნდა გაიყიდოს, როგორც რკინის ჯართი. ჩემი აზრით, დადგა დრო, როდესაც კაპიტან ნემოს უნდა გამოვეთხოვოთ!

- მეგობარო ნედ, ასეთი აზრისა არა ვარ "ნაუტილუსის" შესახებ. მოითმინეთ, ოთხი დღის შემდეგ ვნახოთ, როგორი მოქცევა იცის წყნარმა ოკეანემ. თქვენ მუდამ გაქცევაზე გიჭირავთ თვალი. გაპარვა შეიძლებოდა კიდეც, ჩვენ რომ ინგლისის ან პროვინციის ნაპირებს ვხედავდეთ, მაგრამ პაპუაზიის სანაპიროზე გაქცევა სულ სხვაა. გიმეორებთ, უკიდურეს საშუალებას შეიძლება მივმართოთ მხოლოდ მაშინ, თუ "ნაუტილუსი" წყალმა ვეღარ აატივტივა.

- ეჰ, მანამდე ცალი ფეხი მაინც დამადგმევინა მიწაზე! - წამოიძახა ნედმა, - აგერ ჩვენ თვალწინ კუნძულია. იქ ხეები მოჩანს. იმ ტყეში ხმელეთის ცხოველებია, რომლისგანაც კეთდება კატლეტი, ბიფშტექსი... ეჰ! ერთი კიდევ მაგემა მათი ხორცი!

- ამ შემთხვევაში, ნედი მარტალია, - თქვა კონსეიმ, - იქნებ პროფესორმა დასტური გამოსთხოვა კაპიტან ნემოს, რომ ხმელეთზე გადავიდეთ, მარტო იმისთვის მაინც, რომ მაგარ ნიადაგზე სიარულს არ გადავეჩვიოთ.

- თხოვნა შემიძლია, - ვუპასუხე, - მაგრამ იუარებს.

- მაინც სცადეთ, პროფესორო, - დამეღრიჯა კონსეი, - გვეცოდინება მაინც, რამდენად ხათრიანია კაპიტანი.

დიდად გამიკვირდა, როდესაც კაპიტანმა ნემომ ეს თხოვნა თავაზიანად შემისრულა და სიტყვაც არ ჩამოურთმევია, უკანვე დავბრუნებულიყავით. მაგრამ აქ გაპარვა გაპარვა და ახალ გვინეაზე მოგზაურობა დიდად სახიფათო იყო.

ნედსაც არ ვურჩევდით ამ გზით გაპარვას. ისევ "ნაუტილუსზე" ტყვედ ყოფნა სჯობდა პაპუასების ხელში ჩავარდნას. '

მეორე დღისთვის კანჯო ჩვენ დაგვითმო კაპიტანმა. არც კი მიკითხავს, კაპიტანიც ჩვენთან წამოვიდოდა თუ არა. ვიცოდი კი, რომ ეკიპაჟის მსახურებს არ გაგვაყოლებდა, კანჯო ნედს უნდა ეტარებინა.

ხმელეთი ორი მილის მანძილზე მდებარეობდა და კანადელს არ გაუძნელდებოდა წყალქვეშა კლდეების შუა კანჯოს გატარება.

მეორე დილას, 5 იანვარს, კანჯო გემიდა ორმა კაცმა ახსნა და ზღვაში ჩაუშვეს.

დილის 8 საათზე, ელექტროთოფებით და ნაჯახებით შეიარაღებულნი ჩაესხედით ნავში და "ნაუტილუსს" მოვწყდით. ზღვა საკმაოდ წყნარი იყო. დასავლეთიდან ნელი სიო ქროდა. კონსეი და მე ღონივრად ვუსვამდით ნიჩბებს. ნედი მესაჭედ გვყავდა და ნავს მიმათულებას აძლევდა ამ ვიწრო გასასვლელებში. ნედი მარჯვედ მართავდა ნავს, რომელიც სწრაფად მიცურავდა. ნედ ლენდი გახარებული იყო.

ტყვეობიდან გათავისუფლებულს აღარც კი ახსოვდა, რომ ისევ საპატიმროში უნდა დაბრუნებულიყო.

- ხორცი! - იმეორებდა იგი, - ხორცს შევჭამთ! მერე რა ხორცს! ნამდვილი ნადირის ხორცს! ერთი ეგაა, რომ პური არ გვექნება! რა თქმა უნდა, თევზეულიც კარგია, მაგრამ სულ თევზი და თევზი კაცს მოჰყეზრდება. ახალ-ახალი ცვრიანი ხორცის ლუკმა კი... იცით, პროფესორო, ერთი ჩემი ხელით შემაწვევინა ასე... ნაკვერჩხლებზე... გემო იმაშია!

- მსუნაგი! - ჩაურთო კონსეიმ, - ისე აგვიწერეს, რომ პირში ნერწყვი მომდის.

- დაიცადეთ, ჯერ კიდევ ვინ იცის, ამ ტყეებში იქნებ ისეთი ნადირიც ბუდობს, რომელიც მონადირებზე ნადირობს, - ვუთხარი მე.

- არა უშავს რა! - მიპასუხა კანადელმა, - ვეფხვსაც გეახლებით, თუკი ამ კუნძულზე სხვა ოთხფეხი არ ჭაჭანებს!

კბილები ისე აელესა, როგორც ნაჯახის პირი.

- მეგობარი ნედი გადაგვერია! - შენიშნა კონსეიმ.

- რა ნადირიც უნდა იყოს, უბუმბულო ოთხფეხი თუ ბუმბულიანი ორფეხი, თუკი თვალი მოვკარი სადმე, მაშინვე - ბუჰ, გავარდა!

- ერიჲა, - ვუპასუხე მე, - ბიძია ნედმა იალქნება აუშვა.

- ნუ გეშინიათ, - მიპასუხა კანადელმა, - თქვენ მარჯვედ მოუსვით, ოცი წუთის შემდეგ ნადირის ხორცს გაჭმევთ.

ჩვენი კანჯო მშვიდობიანად გადაურჩა გვებოროარის კუნძულის გარსემო წრედ შემოვლებულ მარჯნის კლდეებს და ცხრის ნახევარზე წყნარად მიადგა ქვიშიან ნაპირს.

თავი XXVII

ერთი დღე ხმელეთზე

უნდა გამოვტყდე, ხმელეთზე რომ ფეხი დავდგი, გული ამიჩუყდა... ნედ ლენდი ისე დაფლატუნებდა მიწაზე, თითქოს ფეხის დაკარებისა ეშინიაო. ჩვენ ხომ ორი თვეა, არც კაპიტნის სიტყვით, "ნაუტილუსის" მგზავრები ვიყავით, სინამდვილეში კი - მისი ტყვეები.

ორიოდე წუთის შემდეგ, თოფის სასროლ მანძილზე დავშორდით ნაპირს.

ჰორიზონტს აყრილი ტყის ზეწარი ფარავდა. უზარმაზარ ხეებს, რომელთა სიმაღლე 200 ფუტამდე აღწევდა, ტოტი ტოტზე გადაებათ, გირლიანდებს დამსგავსებოდნენ და ნავის სისინზე აკვანივით ირწეოდნენ.

რა დიდებული მიმოზები იყო, რა ბზა, რა პალმები, რა კაზუირინები (რკინის ხეებად წოდებული)!

კანადელი ვერც კი ამჩნევდა მათ. მას უკვე ეპოვა სასარგებლო და სასიამოვნო ქოქოსის ხე! კაკალი ჩამოეგდო, კაკალი შუაზე გავაპეთ და გამოუთქმელი სიამოვნებით შევექცეოდი მის წვენს და ლებანს.

- ჩინებულია! მშვენიერია! - ამბობდა ნედი.

- უგემრიელესია! - გამოეპასუხა კონსეიმ.

- მგონი, კაპიტანი არ გაგვიწყრება, ქოქოსის კაკალი რომ მივიტანოთ?

- მე მგონი, არ გაწყრება, - ვუპასუხე მე, - თუმცა ჭამით კი არ შეჭამს.

- მით უარესი მისთვის! - თქვა კონსეიმ.

- და მით უკეთესი ჩვენთვის, - დაუმატა ნედმა, - ჩვენ უფრო მეტი დაგვრჩება.
- ერთი რამ უნდა გითხრათ, ბიძია ნედ, - ვუთხარი მებარჯეს, როდესაც მეორე ხის დასაბერტყად ასვლა დააპირა, - ქოქოსის კაკალი სასარგებლოა, მაგრამ სანამ ჩვენს კანჯოს კაკლით ავავსებდეთ, ხომ არ ემჯობინებოდა შეგვეტყო, ამ კუნძულზე მოიპოვება თუ არა ამაზე სასარგებლო ხეხილი ან მცენარეულობა, ან თუნდაც ბოსტნეული.

- პროფესორი მართალს ბრძანებს, - თქვა კონსეიმ, - კანჯო სამ ნაწილად გავყოთ: ეთი ხილისთვის, მეორე მწვანილეულობისა და ბოსტნეულისთვის, მესამე - ნანადირევისთვის, მაგრამ ჯერ ნადირის ჭაჭანებაც არ ჩანს.

- ასე მაღლე გულს წუ გაიტეხთ, კონსეი, - უთხრა კანადელმა.

- ვიაროთ წინ, - გითხარი მე, - მაგრამ ყური ფხიზლად ვიქონიოთ. ეს კუნძული უკაცურს ჰერცეგი, მაგრამ მაინც სიფრთხილეს თავი არ სტკივა, შეიძლება მოულოდნელად გამოჩნდნენ პაპუასები.

- გამოჩნდებიან და კბილებით დავლრღნი, - თქვა ნედმა და კბილების კრაჭუნით ყბები აამუშავა.

- რა მოგდის, ნედ?! - შესძახა კონსეიმ.

- კაციჭამიობის ჟინი მივლის! - უთხრა კანადელმა.

- ნედ, ნედ, რას ამბობ? - უთხრა კონსეიმ, - კაციჭამიობა მოგენატრა? დღეის შემდეგ შენთან ერთ კაიუტაში საშიშია ყოფნა! ყველაფერი მოსალოდნელია. ოდესმე გამეღვიძება და ერთიც ვნახოთ, ნახევრად შეჭმული ვიყო.

- მეგობარო კონსეი, ძალიან მიყვარხარ, მაგრამ არც იმედნად, რომ შეგჭამო.. თუ ძალიან არ გამიჭირდა.

- არა, ამის მერე ვეღარ გენდობი! - უპასუხა კონსეიმ, - ჩქარა დავიწყოთ ნადირობა!... უსათუოდ მოვკლათ რამე, ეს კაციჭამია დავანაყროთ, პროფესორო, თორემ ერთ დილას ჩემ მაგივრად გამოხრული ძვლებიდა დაგხვდება.

ასეთი საუბრით შევედით ტოტებგადახლართული ტყის სიღრმეში. მთელი ორი საათი სიგრძე-სიგანეზე დავქელეთ ეს ტყე.

შემთხვევით წავაწყდით ერთ სასარგებლო ხეხილს, რომელიც ძალიან უყვართ ცხელ ქვეყნებში. ეს არის მასაზრდოებელი მცენარე, რომლის ნაყოფიც "ნატუილუსზე" არ მოგვეპოვებოდა. მალაელები ამ ხეს "რიმაას" უწოდებენ. მისი სიმაღლე 40 ფუტს აღწევდა, ალვის ხესავით სწორად აღმართულიყო. მშვენიერ დაკვერცხილ კენწეროზე ბრტყელი ფოთლები ესხა. ბუნებისმეტყველი მაშინვე იცნობდა, რომ ეს ხე იყო "პურის ხე". ფოთლებსა და ფოთლებს შუა ეკიდა დიდრონი ნაყოფი, რომელიც გარედან ექსკუტხედის მოყვანილობისა იყო.

ეს ხეები ბუნებრივად იზრდება ასეთ ქვეყნებში, სადაც ხორბალი არ მოდის.

"პურის ხე" 8 თვის განმავლობაში განუწყვეტლივ იძლევა ნაყოფს.

ნედმა კარგად იცოდა ამ ნაყოფის გემო. ბევრჯერ უგემია მოგზაურობის დროს და ისიც იცოდა, როგორ უნდა მოემზადებინა. მის დანახვაზე ნერწყვი მოადგა და მოუთმენლად მითხრა:

- პროფესორო, მოვკვდები, თუ ამ პურის გემო არ გავსინჯვე!

- მიირთვი ნედ, რამდენიც გენებოს! აქ ხომ ცდების ჩასატარებლად არ წამოვსულვართ.

ნედმა გამადიდებელი შუშით ფიჩხს მოუკიდა, კონსეი და მე საუკეთესო ნაყოფს ვკრეფდით. ზოგი შემოუსვლელი იყო და ქერქის ქვეს გული ჯერ ისევ მაგარი ჰქონდა. უმრავლესობა კი სიმწიფისაგან დაყვითლებულიყო და მოწყვეტასლა ელოდა.

ამ ნაყოფს არც კურკა ჰქონდა და არც თესლი. კონსეიმ თორმეტიოდე მოწყვიტა.

ნადმა დიდრონ ნაჭრებად დაჭრა და ნაკვერჩხალზე დააწყო, თან იმეორებდა:

- აი, ნახავთ, რა გემრიელია ამისი პური!
- გემრიელზე გემრიელად მოგვეჩვენება! - უპასუხა კონსეიმ, - რა ხანია პური არ გვიჭამია.
- ეს პური კი არა, ტკბილი ნამცხვარია, - დაუმატა კანადელმა, - თქვენ არასდროს მიგირთმევიათ, პროფესორო?
- არასოდეს ნედ.
- მაშ, აი, ნახავთ, რაც არის, ნამდვილი ცის მანანაა! რომ გასინჯავთ, ვეღარ მოსცილდებით.

რამდენიმე წუთის შემდეგ ნაჭრები სრულიდ გაშავდა და დასკდა, შიგნით მოჩანდა პურის გულივით თეთრი და ნაზი ცომი. გემოთი არჯაველს მოგაგონებდათ.

ჩინებული პური იყო და დიდი სიამოვნებითაც შევექეცით.

- სამწუხარო არის, რომ ეს ცომი დიდხანს არ ინახება. - ვთქვი მე, - ამის თან ტარება უსარგებლოა.
- ერიჰა! - წამოიძახა ნედმა - თქვენ, პროფესორო, როგორც ნატურალისტი ისე ლაპარაკობთ, მე კი მეფუნთუშესავით მოვიქცევი. კონსეი, რაც შეიძლება ბევრი დაკრიფე და წასვლისას თან წავიღოთ.
- მერე როგორ შეინახავთ?

- მისი გულისგან დავამზადებ გაფუუბულ მაგარ ცომს. ისეთი იქნება, რამდენ ხანსაც უნდა შეინახოთ, არ გაფუჭდება. როცა პურის გამოცხობა მოგვინდება, ცომს ავიღებ და გამოვაცხობ. მართალია, ცოტა მომჟავო გემო ექნება, მაგრამ მაინც გემრიელია.

შუადღემდე ბევრი ბანანი მოვაგროვეთ, ბლომად დავკრიფეთ მანგოს ნაყოფი და მსხვილ-სხვილი ანანასი.

ხეხილის ძებნამ და კრეფამ დიდი დრო წაიღო, მაგრამ სად გვეჩქარებოდა?

კონსეი აკვირდებოდა ნედს, რომელიც წინ მიაბიჯებდა, ხეებიდან მარჯვედ წყვეტდა მსვენიერ ნაყოფს, რომელსაც მათი სურსათის მარაგი უნდა შეევსო.

- აბა, ბიძია ნედ, გული იჯერეთ? ხომ კმაყოფილი ხართ? - ჰკითხა ნედ კონსეიმ, - ყველაფერი ბლომად დავკრიფეთ.

- ეჰ! - ჩაიბურტყუნა კანადელმა.

- როგორ? კიდევ არა ხართ კმაყოფილი?

- ეს მცენარეულობა ხომ ნამდვილი სადილი არ არის, - უპასუხა ნედმა, - ეს მხოლოდ დესერტია! აბა, სად არის წვნიანი? სადაა მოხრაკული?

- მართლაც, - ჩავურთე მე, - ნედი მწვადებს გვპირდებოდა... თუმცა დაპირება, მგონი, აჩქარებით წამოსცდა.

- პროფესორო, - მიპასუხა კანადელმა, - ნადირობა ჯერ არ დასრულებულა, ჯერ ხომ არც კი დაგვიწყია. ცოტა დაგვაცადეთ, უსათუოდ ვნახავთ ნადირს ან ფრინველს, აქ თუ არა, სხვაგან.

- თუ დღეს არა, ხვალ მაინც, - დაუმატა კონსეიმ, - ამისთვის შორს ნუღარ წავალთ, მგონი, დროა კანჯოს დავუბრუნდეთ.

- უკვე დრო არის! - წამოიძახა ნედმა.

- დაღამებამდე იქ უნდა ვიყოთ, - ვუპასუხე მე.

- მერედა ახლა რომელი საათია?

- ორი მაინც იქნება, - უპასუხა კონსეიმ.

- აჸ, რა მალე გარბის დრო დედამიწაზე! - ოხვრით წარმოთქვა ნედმა.

- მივდიართ! - თქვა კონსეიმ.

ტყე-ტყე ვბრუნდებოდით და ისე ვიყავით დატვირტულები, რომ კანჯომდე ძლივს მივათრიეთ ჩვენი ტვირთი. ნედს კი სურსათი თვალში ეცოტავებოდა. მალე ბედმა გაუღიმა. ის იყო, კანჯოში ვსხდებოდით, რომ თვალი მოჰკრა ოცდაათიოდე ფუტის სიმაღლის ხეებს.

- საგო! - წამოიძახა ნედმა.

საგოს ხეები ბუნებრივად იზრდება და თუთის ხესავით მრავლდება ამოფეთქილი ყლორტებით და ჩაბნეული მარცვლებით.

ნედმა იცოდა მათი გამოყენება. ნაჯახს სტაცა ხელი და რამდენიმე დარტყმით ორი-სამი ხე ძირს დასცა.

- მწიფე! - წამოიძახა ნედმა.

- მართლაც მწიფე ყოფილა, - დავეთანხმე მე.

საგოს ხეს მომწიფება იმაზე ემჩნევა, რომ ფოთლებიდან თეთრი მტვერი სცვივა.

ნედმა ცერის სიგანეზე ქერქი შემოაცალა. საგოს ქერქი დაფარული იყო მოგრძო, ძარღვიანი ქსლით და საგოს ფქვილიც სწორედ ეს იყო. ეს ფქვილია მელანეზიის მცხოვრებთა უმთავრესი საკვები.

ნედმა ხეები ნაჭერ-ნაჭერ დააპო.

- ასე წამოვიდებ და ფქვილს იქ გამოვაცლი. მსხვილ ტილოში გავატარებ, რომ ძაფები გასცილდეს, მზეზე გამოვაშრობ და მერე ყალიბებში გამაგრდება.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა, როდესაც დატვირთული კანჯო "ნატუილუს" მივაყენეთ. არავინ შემოგვეგება. თითქოს ეს უზარმაზარი რკინის ცილინდრი დაცარიელებულიყო.

სურსათი გადავზიდეთ გემზე, ჩვენს ოთახებს მივაშურეთ და დავიძინეთ.

თავი XXVIII

მეორედ გადასვლა ხმელეთზე

მეორე დღეს გემზე ჩამიჩუმი არ ისმოდა, თითქოს ყველაფერი ჩამკვდარიყო.

კანჯო იქვე იდგა, სადაც წუხელ დავტოვეთ.

გადავწყვიტეთ, კიდევ წავსულიყავით კუნძულზე, ნედს იმედი ჰქონდა, სანადირო ადგილებს ტყის მეორე ნაწილში მივაგნებთო.

მზის ამოსვლისთანავე კანჯო დავძარით. იგი ტალღებმა გაიტაცა და რამდენიმე წუთის შემდეგ, კუნძულს მივაღწიეთ.

ნაპირზე გადავედით. ზღვის მარცხენა ნაპირს გავყევით, რამდენიმე პატარა მდინარესი გავტოპეთ და გაშლილ ველზე გავედით, რომელსაც მსვენიერი ტყეები ესაზღვრებოდა. რამდენიმე თევზიყლაპია დავინახეთ, მაგრამ ახლოსაც არ მიგვიკარეს. ალბათ ამ ფრინველებმა უკვე იცოდნენ, თუ რა ხეირს დააყრიდა მათ ჩვენისთანა ორფეხა. ამის გამო ვიფიქრეთ, რომ ეს კუნძული უკაცური იყო, მაგრამ დროდადრო მაინც ესტუმრებოდნენ ადამიანები.

- ჯერ ფრინველის მეტი არაფერი ჩანს! - თქვა კონსეიმ.

- მათში ისეთი ფრინველებიც ურევია, რომელიც საჭმელად ვარგისია! - უპასუხა ნედმა.

- აბა, რომელი, მეგობარო ნედ? - სიტყვა შეუბრუნა კონსეიმ, - აქ მხოლოდ თუთიყუშებს ვხედავ.

- მეგობარო კონსეიმ, - მედიდურად უპასუხა ნედმა, - თუთიყუში ხოხობია, როცა სხვა საჭმელი არ გაგჩნია!

დაბურულ ტყეში, ტოტიდან ტოტზე აუარებელი თუთიყუში დაფრინავდა, ათასი ფერის დედალ-მამალი თუთიყუშები, ნედის სიტყვით რომ ვთქვათ, "ყელს იღადრავდნენ". ფილოსოფიურად დაფიქრებული თეთრი ქოჩორა თუთიყუშები, წითლად მოელვარე ლორისები თუ ჭყეტელა ჩითისფერი და ათასი სხვაგვარი თუთიყუშები, რომლებიც საერთოდ არ იჭმება. ესენი ალბათ ქარს გამოერეკა აქეთკენ. ადგილობრივი ფრინველის ჭაჭანებაც არსად ჩანდა.

-რა მიზეზია, ნეტავ? - ვფიქრობდი ჩემთვის.

მაგრამ ბედი კიდევ გვიმზადებს საჩუქრებს.

შეთხლებული ტყე გავიარეთ: ბუჩქნარით და ჯაგებით მოფენილ ვაკეზე გავედით.

ამ ბარდებიდან წამოიშალნენ მშვენიერი ფრინველები, რომელთაც მოგრძო ფრთები და საოცრად ლამაზი ბუმბული ჰქონდათ.

მაშინვე ვიცანი და წამოვიძახე:

- სამოთხის ჩიტები!

- ბეღურის მოდგმისა, - მიპასუხა კონსეიმ.

- ტყის ქათმის გვარისა! - ჩაურთო ნედმა.

- არა მგონია, ძვირფასო ნედ, მაგრამ თქვენი სიმარჯვის იმედი მაქვს... ერთი მაინც მოინადირეთ ჩემთვის ეს სამოთხის ჩიტი! გულით მინდა ნიმუშად მქონდეს ტროპიკული ბუნების ასეთი მშვენება! - შევეხვეწე ნედს.

- ვეცდები, პროფესორო, თუმცა მე ბარჯის სროლა უფრო მემარჯვება, ვიდრე თოფისა.

ამ ფრინველებით მალაელები ვაჭრობენ ჩინეთთან.

ათასნაირი ხერხითადა მახი იჭერენ. ზოგჯერ მახეს დაუდგამენ ან ფაცერკუდას უგებენ მაღალი ხეების კენწეროებზე, ზოგჯერ ხეების შტოებს ჩიტის წებოთი გაპოხავენ და ფრინველის ფეხი ზედ ეკვრის, მოძრაობის საშუალებას უდუნებს, ხან მოწამლავენ წყალს, რომელსაც ეს ფრინველები ეტანებიან. ჩვენ კი მხოლოდ გაფრენილის მოკვლა შეგვეძლო. მაგრამ ვაზნები ტყუილად დავხარჯეთ.

თორმეტი საათი იქნებოდა, როდესაც გავიარეთ პირველი მთის ქედი. ეს იყო კუნძულის შუა ადგილი.

ვერაფერი ვერ მოვკალით.

კუჭი შიმშილით გვეწვოდა, მონადირეები ნანადირევის იმედით წამოვედით და მოვტყუვდით კი. კონსეიმ ერთი გასროლით მოკლა მტრედი და ქედანი. მაშინვე გავბდლვენით და შამფურზე წამოვაგეთ.

სანამ ისინი შეიჩებოდა, ნედმა პური მოამზადა. ისე შევსანსლეთ ეს ფრინველები, ძვლებიც კი არ დავტოვეთ. საერთოდ, დავასკვენით, რომ საუცხოო ნობათი იყო. ეს ფრინველები ჯავზის ნიგოზს ჭამენ და მათ ხორცსაც ნამდვილი ჯავზის სურნელება და გემო ჰქონდა.

- აბა, ნედ, ახლა რაღა გაკლიათ?

- ნადირის ხორცი, პროფესორო! ეს მტრედები ხომ თავის შესაქცევია და არა საჭმელი! აი, ისეთი ნადირი უნდა მოვკლათ, რომ ნამდვილი მწვადი ავაგო, სანამ სურვილს არ შევისრულებ, ვერ მოვისვენებ!

- ვერც მე მოვისვენებ, სანამ სამოთხის ჩიტს არ ჩავიგდებ ხელში, - ჩავურთე მე.

- კიდევ ვინადიროთ, მაგრამ ზღვისკენ გავბრუნდეთ, - თქვა კონსეიმ, - ჩვენ უკვე მთის კალთებზე მოვედით და მგონია, აქ უფრო ნაკლებად იქნება ნადირი, ვიდრე ტყეში...

გონივრული რჩევა იყო და ჩვენც დავთანხმდით.

ერთი საათის სიარულის შემდეგ საგოს ტყეს მივადექით. რამდენიმე ანკარა გაგვისრიალდა ფეხქვეშ, სამოთხის ჩიტები კი ჩვენს დანახვაზე სწრაფად იმალებოდნენ. უკვე იმედი გადავიწყვიტე, რომ ერთს მაინც მოვიგდებდით ხელში. უცებ ჩემს წინ მიმავალი კონსეი ძირს დაიხარა, სიხარულით შეჰვივლა და მომაწოდა მშვენიერი ცოცხალი სამოთხის ჩიტი.

- ყოჩაღ, კონსეი! - შევძახე მე, - მარჯვე ყოფილხარ!

- პროფესორო, კარგად რომ დააკვირდეთ, დარწმუნდებით, რომ მაგის დაჭერას დიდი ოსტატობა არ სჭირდება.

- რატომ, კონსეი?

- იმიტომ, რომ ეს ფრინველი გაბრუებულია.

- გაბრუებული?

- დიახ, პროფესორო, ჯავზის ნიგოზს გაუბრუებია. ჯავზის ხის ქვეშ დავიჭირე, იჯდა და კორტნიდა. მეგობარო ნედ, აი, ხომ ხედავ, რას ნიშნავს ღორმულელობა!~

მე კი ამისრულდა გულისწადილი, მაგრამ მონადირე კანადელი ჯერ გულნაკლული იყო. საბედნიეროდ, ორი საათი იქნებოდა, რომ ნედმა გარეული ტახი მოკლა და თავისი მარჯვე სროლით აღტაცებაში მოვიდა.

იქვე გაატყავა, გამოშიგნა და ვახშმისათვის ექვსიოდე სამწვადე ამოჭრა.

ორივე მეგობარი გაშმაგებით მოედო ბარდებიან ჯაგნარს და კენგურუს მთელი ჯოგი წამოაფრთხეს. კენგურები მკვირცხლად გარბოდნენ, მაგრამ ელექტრონიანი აბები მაინც ეწეოდა მათ.

- პროფესორო, რა საუცხოო ნადირია! - წამოიძახა ნედმა, - ეს კარგი მარაგია "ნატუილუსისთვის", თანაც სულ ჩვენ უნდა შევჭამოთ. ეს ქაჯები ზედაც არ დახედავენ!

კიდევ კარგი, რომ ნედი ლაპარაკში გაერთო, თორემ სულ გაჟლეტდა, დრაც ამ ტყეში კენგური იყო. ბოლოს თორმეტიოდე კენგურუთი დაკმაყოფილდა. ეს კენგურები ხის ფუღუროებში ბინადრობენ. ტანით პატარები არიან, მაგრამ ხორცი გემრიელი აქვთ.

ნადირობით გული ვიჯერეთ. წახალისებული ნედი სახვალიოდაც აპირებდა კუნძულზე დაბრუნებას და გადაწყვეტილი ჰქონდა ამ კუნძულზე ნადირის სინსილა გაექრო.

მაგრამ ნედი თავის დღეში არ ითვალისწინებდა რაიმე მოულოდნელ შემთხვევას.

საღამოს 6 საათი იქნებოდა, როცა ზღვის ნაპირს მივაღწიეთ. ჩვენი კანჯო თავის ადგილას დაგვხვდა. "ნატუილუს" აქედან ორი მილის მოშორებით ტალღებიდან ზურგი ამოეყო.

ნედ ლენდი მაშინვე სადილის თადარიგს შეუდგა: ჩინებული მზარეულობა იცოდა, ამ საქმის დიდოსტატი იყო, ბადალი არ ჰყავდა. კენგურუს ხორცი მალე აშიშხინდა ნაკვერჩხლებზე და სასიამოვნო სურნელი დაატრიალა.

დიდებული სადილი გვეკონდა. ორი ქედანიც დავუმატეთ. საგოს ცომი, პურის ნაყოფი, რამდენიმე მანგო, ექვსიოდე ანანასი და ქოქოსის კავლის წვენი რომ გეახელით, მხიარულ გუნებაზე დავდექი.

- რა იქნება, რომ დღეს "ნატუილუსზე" არ დავბრუნდეთ! - თქვა კონსეიმ.

- რა იქნება, რომ სულაც აღარ დავბრუნდეთ! - დაუმატა ნედმა, - ჩვენ რომ...

სწორედ ამ დროს, ჩვენს ფეხებთან ქვა დაეცა და ნედს სიტყვა პირზე შეახმა.

პაპუასები

აქეთ-იქით ვიხედებოდით. ლუკმა მიმქონდა პირისაკენ, რომ მოულოდნელად მოხვედრილი ქვისაგან ხელი გამიშეშდა.

- ქვები ციდან არ ცვივა, - თქვა კონსეიმ, - და თუ ვარდება, ისიც აეროლიტი. მეორეკვერცხის ფორმის ქვამ კონსეის ხელიდან გააგდებინა ქედნის ბარკალი. ზეზე წამოვცვივდით, თოფებს ხელი ვტაცეთ. მოსაგერიებლად მოვემზადეთ.
- ის რა მოჩანს, მაიმუნები არიან? - შესძახა ნედმა.
- არა, ეგ ადგილობრივი მცხოვრებლები არიან, - უპსუხა კონსეიმ.
- კანჯოსაკენ!@ - შევძახე მე.

გემრიელი ვახშამი მივატოვეთ და ზღვისკენ გავიქეცით.

სწრაფად უნდა გვემოქმედა; მშვილდ-ისრითა და შურდულებით შეიარაღებული ოციოდე ველური ტყის ნაპირას, ასი ნაბიჯის მანძილზე გამოვიდა.

კანჯომდე ათიოდე საჟენი იქნებოდა. ველურები კი თუმცა ნელი ნაბიჯით, მაგრამ მაინც თანდათან გვიახლოვდებოდნენ. მათი ნატყორცნი ისარი და ქვა სეტყვასავით მოდიოდა.

ნედი თავისას არ იშლიდა და ხიფათის მიუხედავად, ნაპირზე არაფერი დატოვა, ყველაფერი წამოიღო. ბოლოს ერთი ხელით ტახი დაითრია, მეორეთი - კენგურუ.

ორ წუთში კანჯოსთან ვიყავით. ჩაბარგება და ჩასხდომა თვალის დახამხამებაში მოვასწარით და ნაპირიდან გავცურეთ.

50 საჟენიც არ გვექნებოდა გავლილი, რომ ასიოდე ველურმა მუშტების ქნევით და ღრიანცელით წელამდე შემოტოპა წყალში.

"ნატუილუსს" გავხედე, ვიფიქრე, იქნებ ველურების ღრიანცელზე ბაქანზე გამოვიდა ვინმე-მეთქი, მაგრამ ჩამიჩუმიც არ ისმოდა.

ორი წუთის შემდეგ გემთან მივცურეთ. დარაბები ღია იყო. კანო გამოვაბით და "ნატუილუსში" შევცვივდით.

პირდაპირ დიდ დარაბას ვეცი, საიდანაც აკორდების ხმა მოისმოდა. კაპტანი საკრავს მისჯდომოდა.

- კაპიტანო! - შევძახე, - კაპიტანო!
- ჩემი ძახილი არც კი გაუგონია.
- კაპიტანო! - გავუმეორე და მკლავში ხელი მოვკიდე.
- აა, თქვენ ბრძანდებით, პროფესორო? აბა, ხომ კარგად ინადირეთ? ჰერბარიუმისთვის ბევრი რამ იშოვეთ?
- დიახ, კაპიტანო, დიახ, მაგრამ საუბედუროდ ჩვენს კვალს მოჰყვნენ ორფეხები!
- რომელი ორფეხები?
- ადგილობრივი მკვიდრნი.
- ველურები? - ოდნავ დამცინავი ღიმილით თქვა კაპიტანმა, - და თქვენ, ბატონო პროფესორო, გიკვირთ, რომ ხმელეთზე გადასვლისას ველურები შეგხვდნენ? ველურები! მერედა სადღა არ არიან ველურები? განა ევროპელი ველურები აქაურებზე უკეთესები არიან?
- რაც არ უნდა იყოს, კაპიტანო, მე მგონია, ურიგო არ იქნება, რაიმე ზომები მიიღოთ. ბევრნი არიან.
- დამშვიდდით, პროფესორო, იქ სახიფათო არაფერია. მაინც რამდენი იქნება?
- ასიოდე მაინც.

- პროფესორო, - მიპასუხა კაპიტანმა ისე, რომ თითები კლავიშებისთვის არ მოუცილებია, - თუნდაც მთელი პაპუაზიის მოსახლეობა მოადგეს ნაპირს "ნატუილუს" მათი თავდასხმა არ აფიქრებს.

თითები ისევ კლავიშებზე აათამაშა. შევამჩნიე, რომ მხოლოდ შავ კლავიშებზე უკრავდა, რაც მელოდიას შოტლანდიურ ელფერს აძლევდა.

მალე თითქმის დაივიწყა ჩემი იქ ყოფნა და თავდავიწყებით უკრავდა.

დავტოვე და ისევ ბაქანზე ავედი.

თავი XXX

აქაც ელექტრონი

ღამდებოდა. ამ დაბალ განედზე მზე სწრაფად ჩადის და შემოლამების ბინდი არ იცის. კოცონს ბუნდოვნად გაარჩევდი, მაგრამ სანაპიროზე გაჩაღებული უამრავი კოცონი იმას მოწმობდა, რომ ადგილობრივი მკვიდრნი წასვლას არ აპირებდნენ.

ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა.

8 იანვარს, დილის 6 საათზე, ბაქანზე ავედი. დილის ნისლი დაძრულიყო. მალე გამოჩნდა კუნძულის კიდეები და თანდათან მთის მწვერვალებიც.

ადგილობრივი მკვიდრნი ისევ ნაპირზე იყვნენ. გუშინდელზე უფრო მეტნი - ექვსასამდე მაინც იქნებოდნენ. ზოგიერთ მათგანს ზღვის უკუქცევით ესარგებლა და მაჯრნის კლდეებზე გადმოსულიყო, "ნატუილუსიდან" ორი კაბელტოვის მოშორებით.

გარკვევით ვარჩევდი მათ სახეებს. ნამდვილი პაპუასები იყვნენ - ბრგე, წარმოსადეგი, მოხდენილი ვაჟკაცები, ფართო შუბლი და ქათქათა კბილები ამშვენებდათ. ცხვირის ნაპარსივით გაბუებული თმა წითლად შეეღებათ და ნუბიელებივით შავსა და ელვარე კანზე მკაფიოდ გამოირჩეოდა. ორად გაყოფილ და აჭიმულ ყურის ბიბილოებში რგოლები გაეყარათ. თითქმის შიშვლები იყვნენ. მათ სორის დედაკაცებიც გავარჩიე, ჭილოფისგან ნაქსოვი, მუხლებამდე ქვედატანები ემოსათ.

წელზე ჭილოფისვე სარტყელი ერტყათ. უფროსებს ყელზე ეკიდათ თეთრი და ვარდისფერი შუშის ფარდულა-ღვრინჭილები. თითქმის ყველა შეიარაღებული იყო მშვილდ-ისრითა და ფარით, მხრებზე ეკიდათ საშურდულე ქვები, რომლებსაც ასე მრჯვედ ისროდნენ მიზანში.

ერთ-ერთი ბელადი ძალიან ახლოს მოვიდა "ნატუილუსთან" და დიდი ყურადღებით გვათვალიერებდა. ალბათ ეს იყო მათი უმაღლესი გვარულობის თავადი, "ბადო", რადგანაც ტანთ ემოსა ბანანის ფოთლების კუწუბიანი და ღია ჭყეტელა ფერად შეღებილი ჭილობი.

ზღვის მოქცევამდე "ნატუილუსის" ირგვლივ ტრიალებდნენ წყნარად და მშვიდად.

მესმოდახშირ-ხშირად მათი ძახილი - "აქაუ!", თუ "აყაუ!", თან ხელით მანიშნებდნენ, ნაპირზე გადავსულიყავი, მაგრამ უარი ვანიშნე.

შუადღემ მოატანა. მოიერიშენი ჯერ წყნარად იდგნენ, ოღონდ მათი რიცხვი იზრდებოდა. ალბათ ახლომახლო კუნძულებიდან თუ მოდიოდნენ. მაგრამ გაოცებული ვიყავი, რომ არც ერთი მათი მორა ნავი (პიროვა) არსად მოჩანდა.

- პროფესორო, როგორც ხედავტ, ეს ველურები ბოროტი ხალხი არ ყოფილა, - მითხრა კონსეიმ, - მაგრამ გახედეთ! - შეჰვირა უცებ.

გავიხედე და დავინახე, რომ პაპუასებით გაჭედილი ოცზე მეტი მორა ნავი გვიახლოვდებოდა.

მათი ნავები მთლიანი მორისაგან იყო გამოკვეთილი, გრძელი, სწორი და გასაცურად მარჯვე. ნავი არც გადაბრუნდებოდა, რადგან წონასწორობის დასაცავად მიბმული ჰქონდა ბამბუკის ხები, რომლებიც წყლის ზედაპირზე ტივტივებდა.

მათმა მოახლოებამ შემაფიქრიანა. ნავებიდან ისრები დაგვიშინეს. კონსეიც შესაშინებლად თოფს ისროდა.

- სეტყვაა სწორედ! - თქვა კონსეიმ, - იქნებ მოშხამულიცაა!

- კაპიტანს უნდა ვაცნობოთ! - წამოვიძახე და კიბეზე დავეშვი.

დარბაზში არავინ დამხვდა. კაპიტნის ოთახის კარზე დავაკაკუნე.

- მობრძანდით! - იყო პასუხი.

შევედი. კაპიტანი რაღაცის გამოანგარისებით იყო გართული.

- ხელი შეგიშალეთ, კაპიტანო? - ვკითხე თავაზიანობის გულისთვის.

- დიახ! მაგრამ ალბათ საჭირო საქმე გექნებათ!

- დიახ, ძალიან საჭირო საქმეა. ჩვენ ალყა შემოგვარტყეს მორა ნავებით.

- ოპო, - წყნარად თქვა კაპიტანმა, - მაშ მორა ნავებით მოცურეს?

- დიახ, კაპიტანო.

- მაშ, დარაბებს დავკეტავთ, - კედელთან მივიდა და ელეტრონის ღილაკს თითი დააჭირა.

- მზად არის! - მითხრა მან, - ხომ არ ფიქრობთ, რომ "ნატუილუსის" კედლებს შემოანგრევენ, რომელსაც თქვენებურმა სამხედრო გემმაც ვერაფერი დააკლო?

- არა, მაგრამ ერთი საფრთხე კიდევ რჩება კაპიტანო!

- რა საფრთხე, პროფესორო?

- ხვალ დილით ჰაერის გამოსაცვლელად საჭირო იქნება დარაბების ახდა.

- როგორც იმ დღეს მოგახსენეთ, ხვალ ზღვის მოქცევა ჩვენს გემს აატივტივებს და... მაგრამ თავადაც ნახავთ. დარაბები ახდილიც რომ იყოს შიგნით მაინც ვერ ჩამოვლენ. ბაქანზე კი ჯანი გავარდეთ, იფოფხონ. ამის გულისთვის არ მინდა, საწყალი ხალხის სისხლი დავღვარო.

კაპიტანმა გამომვითხა კუნძულზე გასეირნებისა და ნადირობის ამბავი და გაუკვირდა ნედ ლენდის ხორცისადმი დაუოკებელი ლტოლვა.

- მაშ, კაპიტანო, მეჩეჩში გაჩერილი "ნატუილუსი" აეშვება?

- "ნატუილუსი" მეჩეჩში არ არის გაჩერილი! - ცივად თქვა კაპიტანმა. - ხვალ, როგორც იმ დღეს მოგახსენეთ, დანიშნულ საათზე ზღვის მოქცევა ნელ-ნელა აატივტივებს მას და კვლავ გავცურავთ ოკეანის სიღრმეებში.

- კაპიტანო, ეჭვი არ მეპარება...

- ხვალ, - გაიმეორა კაპიტანმა და ფეხზე წამოდგა, - ხვალ, ნაშუადღევს, 2 საათსა და 40 წუთზე, "ნატუილუსი" ატივტივდება და ტორესის სრუტეს დატოვებს.

ამ სიტყვებით ოდნავ დახარა თავი. ეს იმას ნიშნავდა რომ დრო იყო ჩემი წასვლისა და მეც ჩემი ოთახისაკენ გავწიე.

დავწექი, მაგრამ ცუდად მეძინა. ბაქნიდან მომესმოდა პაპუასების ფეხების ბრახუნი და დროდადრო გამაყრულებელი ღრიანცელი. ასე გავიდა დამეც.

"ნატუილუსის" ეკიპაჟს კი ნირიც არ შესცვლია, ეტყობოდა სრულებით არ აფიქრებდა პაპუასების შემოსევა.

გვიან გამეღვიძა და წამოვდექი. დარაბები ჯერ არ გაეროთ. ჰერი არ გამოეცვალათ, თუმცა სათადარიგო აუზიდან რამდენიმე კუბური მეტრი ჟანგბადი "ნატუილუსის" დახშულ ჰაერს აზავებდა.

ნაშუადღევს, სამის ნახევარზე კაპიტანი ჩემთან შემოვიდა.

- ათი წუთის შემდეგ დავიძვრებით, - მითხრა მან, -განვარგულება გავიცი, დარაბები ახადონ.

- მერე, პაპუასები?

- პაპუასები? ისინი "ნატუილუსის" შიგნით ვერ ჩამოვლენ. წამობრძანდით ჩემთან და თავად დარწმუნდებით!

შუა კიბისაკენ გავყევი. იქ ნედ ლენდი და კონსეი ცნობისმოყვარეობით უცქერდნენ, როგორ აღებდა ეკიპაჟი დარაბებს.

ზემოდან გააფთრებული ღრიანცელი ისმოდა. დარაბები შიგნით ჩამოუშვეს, ოციოდე საზარელი სახე გამოჩნდა, მაგრამ რაწამს ერთმა მათგანმა კიბეზე ჩამოსვლა სცადა და კიბის სახელურს ხელი მოჰკიდა, უხილავმა ძალამ უკანვე აისროლა: ზურგუკულმა გადაყირავებული საშინელი წივილი-კივილით გაიქცა. ათიოდე მისმა ამხანაგმაც სცადა ჩამოსვლა, მაგრამ ყველას ეს ბედი ეწია.

კონსეი აღტაცებაში მოდიოდა, ბრძოლის ჟინზე მოსული ნედ ლენდი კი კიბეზე გამოეკიდა მათ და, რაწამს კიბის სახელურს ხელი შეახო, ისიც ზურგით უკულმა გადმოვარდა.

- ეშმკის კერძები!... - შეჰყვირა მან, - მეხივით დამკრა!

ამ სიტყვებმა მიმახვედრა, რომ კიბის სახელურის რვინაში ელექტრონი იყო გაშვებული. უფრო მეტი ელექტრონის ნაკადი რომ გაეშვათ, სულსაც გააფრთხობინებდა პაპუასებს. შეშინებული და თავზარდაცემული პაპუასები კუდამოძულებული გარბოდნენ, ჩვენ კი ძლივ ვიკავებდით სიცილს, ვამშვიდებდით და ტანს ვუზელდით ნედ ლენდს, რომელიც იგინებოდა.

ამ დროს "ნატუილუსი" ტალრებმა აატივტივა და სწორედ ორ საათსა და ორმოც წუთზე დაიძრა, როგორც კაპიტანმა ნემომ იწინასწარმეტყველა.

ამუშავებული ბორბალი ტალღებს დინჯად აპობდა. გემმა თანდათან სვლას უმატა და ოკეანის ზედაპირზე ცურვით უვნებელი და მთელი გასცილდა ტორესის სრუტის საბედისწერო ადგილებს.

თავი XXXI

მიგვაძინეს

მეორე დღეს "ნატუილუსი" ისევ წყალქვეშ მისრიალებდა, საათში 35 მილი სიჩქარით. მისი ხრახნი ისეთი სისწრაფით ტრიალებდა, რომ გათვლას ვერ ვასწრებდი.

როდესაც გამახსენდა, რომ ელექტრონის ძალა იძლევა მოძრაობას, სინეთლეს, სითბოს და გარდა ამისა, თავდასხმისგანაც გიფარავს, ჩემს განცვიფრებას საზღვარი

არ ჰქონდა. აღტაცებაში მოვყავდი თვითონ ამ გემს და მშენებელ ინჟინერს, რომელმაც მისი აგება შეძლო.

მაგრამ საით მიგვაქროლებს კაპიტან ნემოს ფანტაზა? აზის ნაპირებისკენ მიცურავს თუ ევროპას უახლოვდება?

საეჭვოა, იქით რისთვის წავა ის ადამიანი, რომელიც ხმელეთის მოსახლეობას გაურბის? იქნებ სამხრეთისკენ ქნას პირი? იქნებ "კეთილი იმედის კონცხს" შემოუარაოს, შემდეგ ჰორნის კონცხსაც და სამხრეთის ჰოლუსისკენ გაემართოს? დაბრუნდება თუ არა წყნარ ოკეანეში, სადაც "ნატუილუსი" ლაღად და თავისუფლად დაცურავს?

გადაწყვეტით არაფრის თქმა არ შეიძლებოდა.

მალე გემმა სვლას უკლო. ზომიერი სვლით მიცურავდა, ხან წყალქვეშ, ხან ზედაპირზე.

ამ დროს კაპიტანი ნემო საყურადღებო ცდებს ატარებდა: ზღვის სხვადასხვა სიღრმეზე ტემპერატურას იკვლევდა. ჩვეულებრივ, ტემპერატურის გაზომვა რთული საქმეა და შესაფერისი ინსტრუმენტებია საჭირო. მაგალითად, თერმომეტრის ქლები, რომლებიც წყლის წნევისაგან საკმაოდ ხშირად იმსხვრევიან. ამ წესით ჩატარებული გამოკვლევა კარგად ვერ შემოწმდება. კაპიტანი ნემო კი თვითონ ზომავდა ტემპერატურას ზღვის სხვადასხვა სიღრმეზე. სამ, ოთხ, ხუთ, შვიდ და ათ მეტრზე "ნატუილუსით" ჩაშვებული.

ამ ცდების საბოლოო დასკვნა ასეთი იყო: ყველა განედის ზღვის ტემპერატურა ათასი მეტრის სიღრმეზე 4 1/2 გრადუსს უდრის.

დიდი ცნობისმოყვარეობით ვადევნებდი თვალყურს მის მიერ წარმოებულ ცდებს. კაპიტანი ნემო გატაცებით და გულდასმით აწარმოედა ამ ცდებს. ვუყურებდი და ვფიქრობდი, რა მიზნით აწარმოებდა ამ დაკვირვებას? ნუთუ იმისთვის, რომ კაცობრიობისთვის შეემატებინა რამე. ეს ხომ წარმოუდგენელი იყო, რადგანაც დღეს თუ ხვალ, მთელი მისი ნაშრომი სადმე შორეული ზღვის უფსკრულში ჩაიღუპებოდა მასთან ერთად. იქნებ მე გამიზიაროს თავისი დაკვირვების შედეგები? ამ შემთხვევაში შეიძლებოდა მეფიქრა, რომ ჩემს ტყვეობას ოდესმე მაინც მოეღებოდა ბოლო, მაგრამ ამის ნიშნები არ ჩანდა.

15 თებერვალს, დილით, კაპიტანი ნემო და მე ბაქანზე ვსეირნობდით. კაპიტანმა მკითხა: იცით თუ არა, ზღვის წყლის სიმკვრივის განსხვავებანიო? ვუპასუხე, - არ ვიცი-მეთქი.

- ამ დარგშიც მოვახდინე დაკვირვებანი, - მითხრამან, - და თავს ვიდებ, რომ დიდი სიზუსტით გამოვიკვლიო.

- ასეთი დაკვირვებანი დიდად საგულისხმოა, კაპიტანო, - ვუპასუხე მე, - მაგრამ "ნატუილუსი" მთელს სამყაროსგან მოწყვეტილია და მის მეცნიერთა საიდუმლო გამოკვლევები ვერასოდეს მიაღწივნ ხმელეთს.

- მართალი ბრძანდებით, პროფესორო, - თქვა მან და რამდენიმე წუთს ჩაფიქრდა. - მართლაც, "ნატუილუსი" ცალკე სამყაროა ხმელეთისთვის. არ მოიპოვება არც ერთი პლანეტა, რომ მასთან ერთად მზის გარშემო ბრუნავდეს. დიახ, ხმელეთი ვერასოდეს გაიცნობს სატურნისა და იუპიტერის მეცნიერთა ნაშრომებს. მაგრამ, რადგანაც შემთხვევამ ერთმანეთს დაუკავშირა ჩემი და თქვენი არსებობა, მე შემიძლია ჩემი დაკვირვების შედეგები გაგიზიაროთ.

- გისმენთ, კაპიტანო.

- ზღვის წყალი მდინრის წყლზე რომ უფრო მკვრივია, ეს თქვენც მოგეხსენებათ. თუმცა, ეს სიმკვრივე ცვალებადია. მდინარის წყლის სიმკვრივე რომ ერთეულად

დავსახოთ, მაშინ ატლანტის ოკეანის წყლის სიმკვრივე იქნებოდა - 1.028, წყნარი ოკეანისა - 1.026, ხმელთაშუა ზღვისა კი - 1.030.

- აპა, - გავიფიქრე გუნებაში, - მაშ, ეს ხმელთაშუა ზღვის ფსკერზედაც დაშვებულია.

- იონის ზღვაში წყლის სიმკვრივე უდრის 1.018-ს, ადრიატიკის ზღვაში კი - 1.029-ს.

როგორც ეტყობა, "ნატუილუსი" ევროპის ზღვებს არ გაურბის! და გულში იმედი აღმეძრა - ალბათ უფრო განათლებული ხმელეთისკენაც წაგვიყვნს-მეთქი. ნედლენდმა სიამოვნებით მომისმინა, როცა ეს ამბავი გავუზიარე.

ამის შემდეგ რამდენიმე დღე გავიდა და კაპიტანი ნემო თვალით ვეღარ ვნახე.

16 თებერვალს "ნატუილუსს" თითქოს მისმინებოდა რამდენიმე მეტრის სიღრმეზე. ელექტრონის მოწყობილობა არ მუშაობდა, ბორბალი უმოძრაოდ იდგა და გემი წყნარად ლივლივებდა სტიქიონის ნებაზე.

ვიფიქრე, ალბათ გემი შიგნით უნდა შეაკეთონ-მეთქი.

ამავე დროს, მე და ჩემი ამხანაგები სახალისო სურათს ვუმზერდით. დარბაზში ფანჯრის დარაბების გაწეული იყო და რადგანაც "ნატუილუსის" შუქურა არ მოქმედებდა, იქ სრულიად ბნელოდა.

უზარმაზარი თევზები ჩრდილებივით მოჩანდა "ნატუილუსი" უცებ გაკაშკაშდა. ჯერ მეგონა, შუქურა აანთეს და ელექტრონის სინათლე იქიდან მოეფინა-მეთქი, მაგრამ ჩემს შეცდომას მალე მივხვდი.

"ნატუილუსი" მიცურავდა ფოსფორულად მანათობელ, მიკროსკოპული ცხოველებით სავსე წყლის ფენაში, რომელთა ფოსფორულ სინათლეს აძლიერებდა ლითონს გემის შეხებაც.

განათებული წყლის ფენაში კაშკაშებდა ზოლები გამდნარი ტყვიის ან თეთრად განათებული ლითონის მსგავსად. არა, ეს არ იყო ჩვეულებრივი სინათლის ციალი, აქ იყო განსაკუთრებული ძალა და მოძრაობა. ეს შუქი ცოცხალ, მოფუსფუსე სანთელს ჰგავდა.

- პროფესორო, ამიხსენით, გეთაყვა, რა არის ეს? - შემეკითხა კონსერ.

- ეს არის გამჭირვალე ცოცხალი ბურთულები, რომელსაც ძაფისმაგვარი ნესტარი აქვს, ერთ კუბურ სანტიმეტრ წყალში 25.000-მდეა.

- დახეთ, როგორ ანათებს! - შენიშნა ნედმა.

რამდენიმე საათის განმავლობაში მიცურავდა "ნატუილუსი" ამ ელვარეტალებში. ჩვენს განვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც დავინახეთ, რომ უშეელებელი ზღვის ცხოველები ჯოჯოებივით უშნოდ ეტორლიალებოდნენ ერთმანეთს. ამ ცეცხლის მსგავს სინათლეში დავინახე ლამაზი ზღვის ღორები, რომლებიც მოუსვენრად კოტრიალებდნენ ჯამბაზებივით. მერე წვრილი თევზებიც გამოჩნდა - და ყოველივე ეს კაშკაშა სინათლეში დასრიალებდა.

მომხიბლავი, წარმტაცი სანახაობა იყო!

ჩვენ მივცურავდით უფრო და უფრო შორს და ახალ-ახალი სანახაობა გვაოცებდა.

დღეები დღეებს მისდევდა, მათი სათვალავიც დამავიწყდა. ნედი სანოვაგეს დასტრიალედა და გემის ერთფეროვან საჭმელს უჩიოდა. ისე ვცხოვრობდით, როგორც ლოკოვინები. თითოეული ჩვენგანი საკუთარ ნაჭუჭჭში შემძვრალიყო. შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ არც ისე ძნელი ყოფილა ლოკოვინად გადაქცევა.

ასეთი ცხოვრება გვეადვილებოდა კიდეც და ბუნებრივად გვეჩვენებოდა. თანდათან ვივიწყებდით, რომ დედამიწის ზურგზე სხვაგვარი ცხოვრებაც დუღს.

მაგრამ ერთმა გარემოებამ კვლავ მწარედ გაგვახსენა ჩვენი უმწეო მდგომარეობა.

18 თებერვალს ჩვენ ვიმყოფებოდით გრძედის 105 გრადუსზე და სამხრეთ განედის 15 გრადუსზე.

გაავდრებას 'აპირებდა, ზღვა ღელავდა, ღმუოდა და დუღდა. აღმოსავლეთის ქარი მძლავრად უბერავდა. ბარომეტრი რამდენიმე დღე სულ დაბლა ეშვებოდა... ეს კი მომასწავებელი იყო ძლიერი ქარტეხილისა.

ბაქანზე ავედი სწორედ იმ დროს, როდესაც კაპიტნის თანაშემწე ზღვას ზვერავდა.

- ზვერვას მორჩება და თავის ყოველდღიურ ფრაზას ჩასძახებს! - გავიფიქრე გულში, მაგრამ ჩვეულებრივი ფრაზის მაგივრად სხვა თქვა, თუმცა ვერც ის გავიგე.

რაწამს ძირს ჩასძახა, ბაქანზე გამოჩნდა კაპიტანი ნემო. ხელში დურბინდი ეჭირა. რამდენიმე წუთს უძრავად იდგა და ერთ წერტილს მისჩერებოდა, შემდეგ დურბინდი ძირს დაუშვა და თანაშემწეს გამოელაპარაკა. თანაშემწე ძალიან აღელვებულს ჰგავდა, თუმცა ცდილობდა არ შეემჩნია.

კაპიტანი უფრო თავშეკავებული და ჩვეულებისამებრ, გულგრილი იყო. თითქოს საწინააღმდეგოს უმტკიცებდა თანაშემწეს, რომელიც ცდილობდა თავის სიმართლეში დაერწმუნებინა კაპიტანი.

ლაპარაკის კილოს და ხელების მოძრაობის მიხედვით გამოვიტანე ეს დასკვნა.

გაფაციცებით ვაკვირდებოდი იმავე წერტილს, რასაც ისინი მისჩერებოდნენ, მაგრამ ვერაფერს ვამჩნევდი. ჰორიზონტის ხაზზეც ცა და ოკეანე ერთდებოდა, ეს იყო და ეს.

კაპიტანი ნემო ბაქანზე ბოლთას სცემდა. ჩემთვის არც შემოუხედავს, იქნებ ვერც კი შემამჩნია. მისი ნაბიჯი მტკიცე იყო, მაგრამ ისეთი ზომიერი არა, როგორც ჩვეულებრივ; ხან შეჩერდებოდა და გულხელდაკრეფილი გასცეროდა ზღვას.

რას ეძებდა ამ უსაზღვრო სივრცესი? "ნატუილუსი" ამ დროს რამდენიმე ასეული მილით იყო დაშორებული უახლოესი ნაპირებიდან.

მისმა თანაშემწემ ისევ დურბინდს დასტაცა ხელი და ჰორიზონტს მიაჩერდა. ის მიდიომოდიოდა, ფეხებს აბაკუნებდა და ეტყობოდა, თანდათან უფრო ღელავდა.

- ნეტავ, რას ნიშნავს ყოველივე ეს? - ვფიქრობდი ჩემთვის, - მაგრამ როდისმე ხომ გამომჟღავნდება ეს საიდუმლო, ალბათ ძალიან მალე, რადგან კაპიტან ნემოს განკარგულებით "ნატუილუსი" უფრო სწრაფად გაუშვეს.

თანაშემწემ კაპიტანს რაღაც საგანზე მიუთითა. კაპიტანი შედგა და დურბინდით მიაჩერდა ნაჩვენებ წერტილს. დიდხანს უმზირა. მეც დიდად დავინტერესდი; ჩავირბინე დარბაზში, მშვენიერი დურბინდი ამოვარბენინე, შუქურას შუშაბანდზე დავებჯინე და ზღვის დათვალიერება დავაპირე.

მაგრამ თვალებთან მიტანილი დურბინდი ხელიდან წამგლიჯეს. ავიხედე, ჩემ წინ იდგა კაპიტანი ნემო. ვეღარ იცნობდით. სახე შეშლოდა, თვალები ცეცხლივით უელავდა, წარბები მოეჭმუხნა, მუშტები მოეკუმშა, თავი უკან გადაზნექოდა და მრისხანებას მოეცვა მთელი მისი არსება; ჩემი დურბინდი მის ფეხებთან გაგორდა.

რითი გამოვიწვიე მისი მრისხანება? იქნებ, იფიქრა რომ შევიტყვე რამე მისი საიდუმლოება, რომელიც არ უნდა სცოდნოდა "ნატუილუსის" მგზავრს?

არა! ეს განრისხება მე არ გამომიწვევია, მას ჩემთვის არც კი შემოუხედავს, მისი თვალები ჰორიზონტს მისჩერებოდა.

ბოლოს კაპიტანი ნემო ისევ მოვიდა გუნებაზე, მისმა სხემ ჩვეულებრივი, მშვიდი გამომეტყველება მიიღო. თანაშემწეს რამდენიმე სიტყვა უთხრა მათი ენით და შემდეგ მე მომმართა ბრძანების კილოთი:

- პროფესორო არონაკს, მე მოვითხოვ თქვენგან იმ ვალდებულების შესრულებას, რომელიც ჩვენ შორის არსებობს!

- რა ამბავია კაპიტანო?

- ნება მიბოძეთ, თქვენ და თქვენი ამხანაგები იმ დრომდე გამყოფოთ ჩაკეტილები, ვიდრე საჭიროდ მივიჩნევ!

-ბატონ-პატრონი აქ თქვენ ბრძანდებით, - ვუპასუხე და თვალი გავუსწორე, - მხოლოდ, ნება მიბოძეთ ერთი კითხვა დაგისვათ.

- არც ერთი, პროფესორო!

ასეთი პასუხის შემდეგ შეკამათება შეუძლებელი იყო.

ამის შემდეგ ჩავედი ნედ ლენდისა და კონსეის კაიუტაში და კაპიტნის დავალება გადავეცი.

წარმოიდგინეთ, რა დაემართებოდა კანადელს.

კართან გვიცდიდა ეკიპაჟის ოთხი წევრი, რომელთაც მიგვაცილეს იმ კაიუტამდე, სადაც პირველი ღამე გავათიეთ "ნატუილუსზე". ნედ ლენდი წინააღმდეგობის გაწევას აპირებდა, მაგრამ პასუხის ნაცვლად, ხელის ოდნავი კვრით შემოაგდეს კაუტაში და კარი მოხურეს.

- პროფესორო, ვრ აგვიხსნი, რას ნიშნავს ეს? - მომიბრუნდა კონსეი.

მეც ყველაფერი მოუყევი, რაც ბაქანზე მოხდა, მაგრამ ვერც ჩემი ამხანაგები გაერკვნენ საქმის ვითარებაში.

კაპიტან ნემოს მრისხანე, ბოროტი გამომეტყველება თვალიდან არ მშორდებოდა, ბევრი ფიქრი მიტრიალებდა თავში, მაგრამ ვერაფერი მომესაზრებინა. უცებ ნედის სიტყვებმა გამომაფხიზლა:

- ერთი უყურეთ, საუზმე მოურთმევიათ!

მართლაც მაგიდაზე საუზმე იდო. როგორც ჩანს, როდესაც კაპიტანმა "ნატუილუსის" სწრაფი სვლა ბრძანა, საუზმეც მაშინ იზრუნა.

- პროფესორო, ნება მიბოძეთ, ერთი რჩევა მოგცეთ, - მითხრა კონსეიმ.

- თქვი, ჩემო მეგობარო.

- დაბრძანდით და ისაუზმეთ, ყველაფერს ეს სჯობია. ჩვენ ხომ არ ვიცით, შემდეგ რა მოხდება.

- მართალი ხარ, კონსეი.

- უბედურება ის არის, რომ თავისებური საჭმელები მოუტანიათ, - დაუმატა ნედმა.

- მეგობარო ნედ, - უპასუხა კონსეიმ, - მაშ რაღას იტყოდით, სულ რომ არ მოეტანათ?!

მაგიდას მივუსხედით. საუზმემ უსიტყვოდ ჩაიარა. მე უმადოდ ვჭამდი. კონსეიც ძალად ცდილობდა, ეჭამა. ნედს კი არც ერთ გარემოებაში მადა არ ეკარგებოდა.

საუზმის შემდეგ, ყველანი ჩვენი ადგილებისაკენ გავეშურეთ. უცებ სინათლე ჩაქრა. ნედმა მაშინვე ხვრინვა ამოუშვა. გამიკვირდა, რომ კონსეიმაც ძილს მისცა თავი.

- ასე მალე რად მოერიათ ძილი? - გავიფიქრე გუნებასი. თან ვიგრძენი, რომ თავი დამიმძიმდა, თითქოს გამიბრუვდა. თვალებს ვაჭყეტდი, მაგრამ ქუთუთოები თავისთავად მეხუჭებოდა.

ალბათ, ჩვენს საუზმეში ძილის წამალი თუ გაურიეს. კაპიტანი მხოლოდ ჩვენი დამწყვდევით არ დაკმაყოფილდა. მისთვის საჭირო იყო მკვდარივით დავეძინებინეთ, რომ არ შეგვეტყო ის, რაც "ნატუილუსზე" მოხდა თუ უნდა მომხდარიყო.

მესმოდა, დარაბები რომ დაუშვეს. ზღვის ღელვა, რომელიც გემს გარდიგარდმო იდნავ არყევდა, მიწყნარდა. "ნატუილუსი" ისევ ოკეანის ზედაპირზე იყო თუ სიღრმეში, არ ვიცოდი.

ვუძალიანდებოდი თვლემას, მაგრამ შეუძლებელი ხდებოდა. სუნთქვა დამისუსტდა. სიკვდილივით ცივი ურუანტელი მივლიდა ტანში და თანდათან მთელი სხეული მიდუნდებოდა. ქუთუთოები ტყვიის სარქველებივით დამეხურა თვალებზე. მტკივნეული და მოუსვენარ ძილში წავედი, რაღაც სანახაობანი მელანდებოდა, მაგრამ ბოლოს ყველაფერი გაქრა და უგონოდ ჩამეძინა.

თავი XXXII

მარჯნის სასაფლაო

მეორე დღეს, საღალამათს გამეღვიძა. თავი არ მტკიოდა. ძალზე კარგ გუნებაზე ვიყავი. განცვიფრებაში მოვედი, რომ ჩემს კაიუტაში გამეღვიძა. ალბათ, ჩემი ამხანაგებიც მძინარენი გადაიყვანეს თავიანთ კაიუტაში. მათაც ჩემსავით არაფერი იცოდნენ, რა მოხდა წუხელ.

- თავს ტყუილად იტეხ, - ვეუბნებოდი ჩემს თავს, - რაიმე შემთხვევა თუ გამოამჟღავნებს მათ საიდუმლოებას. ბაქანზე ავალ! მაგრამ გასვლა კი შემიძლია? იქნებ აქაც ჩამკეტეს?

კარს ხელი ვკარი, მაშინვე გაიღო. შუა საუკუნისკენ გავწიე. გუშინ დაკეტილი დარაბები ჩამოეშვათ და ბაქანზე ავედი. ნედ ლენდი და კონსეი უკვე იქ იყვნენ. გამოვკითხე, როგორ გაატარეს ღამე, ღრმად სძინებოდათ და სრულებით არა ახსოვდათ რა. უკვირდათ, რომ თავის კაიუტაში გაეღვიძათ.

"ნატუილუსი", როგორც ყოველთვის, საიდუმლოებით იყო მოცული და ზღვის ზედაპირზე სვლით მიცურავდა. თითქოს მასზე არავითარი ცვლილება არ მომხდარიყოს.

ნედი გულმოდგინედ აშტერდებოდა ზღვას, მაგრამ იგი უსაზღვრო უდაბნოდ გადაჭიმულიყო.

კანადელმა ვერსად მოჰკრა თვალი ვერც იალქანს, ვერც ხმელეთს. დასავლეთის ძლიერი ქარი ქროდა, ზღვა ღელავდა, ბობოქრობდა.

- დღეს, ცოტა არ იყოს, გვარყევს. - შენიშნა კონსეიმ.

"ნატუილუსი" ხან ზედაპირზე ამოცურდებოდა, ხან 15 მეტრის სიღრმეზე ჩაიმალებოდა, რომ საჭიროების დროს სწრაფად ამოცურებულიყო ზედაპირზე. იმ დღეს რამდენჯერმე ამოცურდა ზედაპირზე. ეს არაჩვეულებრივი მოვლენა იყო. მაშინვე ბაქანზე ამოვიდა კაპიტნის თანაშემწერ და ჩვეულებრივი ფრაზა ჩასძახა გემის შიგნით.

კაპიტანი ნემო კი არსად ჩანდა, მხოლოდ ერთი უსიტყვო მსახური დავინახე, რომელიც გულმოდგინედ, ჩვეულებრივ მდუმარედ ასრულებდა თავის საქმეს.

ორი საათი იქნებოდა, როდესაც დარბაზში შევედი და ჩემი დღიურების გადარჩევა დავიწყე.

უცებ კაპიტანმა შემოაღო კარი და შემოვიდა. თავის დაკვრით მივესალმე, იმანაც ოდნავ თავის დახრით მიპასუხა, ხმის ამოუღებლად. მე ისევ ჩემს ჩანაწერებს მივუბრუნდი, გულში კი იმედი მომეცა, რომ გამაგებინებდა წუხანდელ ამბებს, მაგრამ დუმდა.

შევხედე, მოქანცული სახე ჰქონდა, დაწითლებული თვალები. ეტყობოდა, უძილო ღამე გაეტარებინა. სახეზე ღრმა სევდა და მწუხარება აღბეჭდოდა, ხან ბოლთას სცემდა, ხან ჩამოჯდებოდა, ხან წამოდგებოდა, რომელიმე წიგნს აიღებდა ხელში და იქვე დადებდა. თავის ხელსაწყო ინსტრუმენტებს შესცეროდა, მაგრამ ჩვეულებრივ დაკვირვებას არ ახდენდა. ბოლოს მომიახლოვდა.

- თქვენ ექიმი ხართ, პროფესორო არონაკს?

ეს კითხვა ისეთი მოულოდნელი იყო ჩემთვის, რომ ერთხანს უსიტყვოდ მივაჩერდი.

- ექიმი ბრძანდებით? - გამიმეორა მან, - თქვენს ამხანაგებს ბევრსა აქვს შესწავლილი მედიცინა.

- მართალია, - ვუპასუხე მე, - სანამ მუზეუმში მოვეწყობოდი, საავადმყოფოს ექიმი და ორდინატორი გახლდით.

- დიდად მოხარული ვარ, პროფესორო.

ჩემი პასუხით კაყილი დარჩა კაპიტანი, მაგრამ ვერ გამეგო, რისთვის მეკითხებოდა ამას და ახლა კითხვის მოლოდინში ვიყავი.

- არ იკისრებდით ერთ-ერთი ჩემი ამხანაგის მკურნალობას?

- ავად გყავთ ვინმე?

- დიახ.

- მზად ვარ, ახლავე გამოგყვეთ.

- მობრძანდით.

უნდა გამოვტყდე, რომ გული საშინლად ამიმგერდა. არ ვიცი რატომ, მაგრამ ვფიქრობდი, ამ ადამიანის ავადმყოფობას წუხალდელ თავგადასავალთან ჰქონდა კავშირი. ეს საიდუმლო დათვითონ თვითონ ავადმყოფიც ძალიან მაინტერესებდა.

კაპიტანმა საჭის განყოფილებაში გამაატრა და სამეზღვაუროს გვერდითა კაიუტაში შემიყვანა.

იქ იწვა ორმოციოდე წლის ენერგიული სახის მამაკაცი.

- ნამდვილი ანგლოსაქსია! - გავიფიქრე.

მისკენ დავიხარე. ავადმყოფის გარდა, იგი დაჭრილიც იყო. თავი ორ ბალიშზე ჰქონდა მისვენებული. ჭრილობა გავუხსენი, გავუსინჯე და მაშინვე მივხვდი, რომ ვერაფერს გავაწყობდი. ჭრილობა შემზარავი იყო: თავის ქალა გაჭეჭყილი ჰქონდა რაღაც ბლაგვი იარაღით, ტვინი თეთრად მოჩანდა და დაზიანებული იყო. სისხლი ზედ შეხმობოდა. აქ იყო კონტუზია და ტვინის შერყევა. ავადმყოფი მძიმედ სუნთქვავდა, სახის კუნთები ეკრუნჩხებოდა. ტვინის ანთება ჰქონდა.

მაჯა გავუსინჯე, ძალიან სუსტად უცემდა... ხელ-ფეხი ეყინებოდა. სიკვდილი უახლოვდებოდა.

ჭრილობა ხელახლა შევუხვიე, ბალიშები გავუსწორე და კაპიტანს მივუბრუნდი;

- რისგან აქვს ეს ჭრილობა?

- თქვენთვის რა საჭიროა ამის ცოდნა? - მიპასუხა კაპიტანმა, - "ნაუტიილუსი" ძლიერად შეირყა. ამ შერყევაზე მანქანის ერთი ბერკეტი გატყდა და თავში მოხვდა. ჩემი თანაშემწე მის გვერდით იდგა... მაგრამ ეს შეეგება განსაცდელს... მეგობარი მეგობარს შეენაცვლა, - ამაზე უფრო მარტივი და გასაგები რა იქნება. ეს კანონია ჩვენს "ნაუტიილუსზე". რას ფიქრობთ მისი მდგომარეობის შესახებ?

შევყოყმანდი, პასუხის გაცემა ვერ გამებედა.

- შეგიძლიათ მითხრათ, - მომმართა კაპიტანმა, - მას ფრანგული არ ესმის.

უკანაკსნელად გადავხადე დაჭრილს და მერე ვუჰასუხე:

- ორი საათის შემდეგ გათავდება.

- არაფერი ეშველება?

- არაფერი!

კაპიტან ნემოს ხმა აუთრთოლდა, თვალებიდან რამდენიმე კურცხალი ჩამოუგორდა.

მე კი მეგონა, რომ მის ხასიათს ტირილი არ ეთვისებოდა.

რამდენიმე წუთს დავცქეროდი მომაკვდავს; მისი სიცოცხლე ნელ-ნელა ქრებოდა; ელექტრონის სინათლეზე ფერმკრთალი სახე უფრო გაფითრებლი უჩანდა. დავცქეროდი მის გონიერ, ჭვიან სახეს, რომელიც ადრეული ნაოჭებით ჰქონდა დასერილი. ვინ იცის, ეს ნაოჭები რა სიმწარისა და მწუხარების კვალი იყო?! ვინ იცის, როდინდელი?

იმედი მქონდა, რომ მომაკვდავის უკანასკნელი სიტყვები მაინც მიმახვედრებდა რაიმეს.

- შეგიძლიათ მიბრძანდეთ, პროფესორო არონაკს, - მითხრა კაპიტანმა.

კაპიტანი იქვე დავტოვე და ამ სცენით აფორიაქებული ჩემს კაიუტაში დავბრუნდი.

მთელ დღე აფორიაქებული ვიყავი, ღამე მოუსვენრად მეძინა, წამდაუწუმ მეღვიძებოდა და შორეული ოხვრა მომესმოდა.

მეორე დღეს დილითვე ბაქანზე ავედი. კაპიტანი ნემო იქ დამხვდა. რაწამს დამინახა, ჩემთან მოვიდა.

- პროფესორო, გსურთ ზღვის ფსკერზე გასეირნება?

- ჩემი ამხანაგებით?

- თუკი ისურვებენ!

- გეახლებით კაპიტანო.

- მაშ, სკაფანდრები ჩაიცვით.

მომაკვდავის შესახებ კი კრინტიც არ დაუძრავს.

ნედსა და კონსეის შევუარე და ვაცნობე კაპიტნის წინადადება. ორივე სიხარულით დამთანხმდა.

დილის 8 საათი იყო. ათის ნახევარზე უკვე ჩაცმული და აღჭურვილი ვიყავით. სასუნთქი და მანათობელი აპარატებიც თან გვქონდა.

ორმაგი კარი ღია იყო. კაპიტან ნემოს ოციოდე კაცი ახლდა გემის ეკიპაჟიდან. მათ მოჰქონდათ რაღაც მოგრძო საგანი. ჩვენ 10 მეტრის სიღრმეზე ჩავეშვით.

ოდნავ დაღმართს ფართოდ ჩაღრმავებული ადგილისაკენ მივყავდით. ზღვის ფსკერი აქ სრულებით განირჩეოდა იმ ფსკერისაგან, რომელიც პირველ გასეირნების დროს ვნახეთ. აქ არსად ჩანდა არც წმინდა შლამი, არც წყალქვეშა მინდორი, არც ტყე ეს იყო მარჯნის სამეფო.

მარჯანი საგულისხმო არსებაა. უწინ ხან მადანი ეგონათ, ხან - მცენარე, ხან - ცხოველი.

უწინდელ ხალხს მარჯანი სამკურნალო საშუალებად მიაჩნდათ. შუა საუკუნეებში ალმასად თვლიდნენ და მხოლოდ 1694 წელს მიაკუთვნა პეისონელმაიგი მარჯანი ცხოველთა სამეფოს.

მარჯანი არის მიკროსკოპულ ცხოველთა შენაერთი, მრავლდება სიპინზე და ქვის მაგვარი მსხვრევადი თვისებისაა. თითოეული ცხოველი საკუთარი სიცოცხლით ფეთქავს, მაგრამ თითოეულის სიცოცხლე საერთო სიცოცხლესთანაა გადაბმული.

ჩემთვის ამაზე მეტი საყურადღებო რაღა იქნებოდა! ისეთი გაქვავებული ტყის ნახვა, რომელიც ბუნებას ზღვის ფსკერზე მოუთავსებია!

რუმკორფის მანათობელი მოწყობილობა ავამუშავეთ. ჩვენ მივდიოდით მარჯნის ფსკერზე. სავალ გზას ერტყა გაუვალი ჯაგნარი, რომელიც დაფარული იყო თეთრად შუქმფინარე ვარსკვლავა ყვავილებით. მაგრამ ეს ხის მსგავსი ბუჩქები თავდაყირა იზრდებოდა.

სინათლე მომხიბვლელად ციმციმებდა წითლად მოკაშკაშე შტოებში. ისე მეჩვენა, თითქოს ეს ცილინდრის მოყვანილობის გარსიანი ლულები წყლის ციალისაგან თრთოდა. ყვავილნარში მალხაზი თევზები ისე დასრიალებდნენ, როგორც ჰაერში ფრინველები.

მაგრამ რაწამს ხელს მივაკარებდი მარჯნის ცხოველებს, აიშლებოდნენ, შუქმფენი ყვავილები სადღაც ქრებოდნენ და მთელ ბუჩქი ხორკლიანი ქვის ბორცვად ხდებოდა.

ბუჩქნარი გაბმით მისდევდა ერთიმეორეს, "ხეები" თანდათან უფრო მაღლდებოდა.

ჩემთვალწინ იშლებოდა გაქვავებული ტყის გრძელი ხეივნები.

კაპიტანი ნემო დაბურულ ხეივანში შევიდა. ხეივანი დაღმართ-დაღმართ მიემართებოდა და ასი მეტრის სიღრმეზე ჩაგვიყვანა. ჩვენი მანათობელი აპარატები სინათლეს ჰავენდა ხორკლიან თაღებს და ძვირფასი ქვების მსგავსად აელვარებდა.

ორი საათის სიარულის შემდეგ, სამასი მეტრის სიღრმეს მივაღწიეთ, იმ საზღვარს, სადაც მარჯნის ცხოველებს კიდევ შეუძლიათ არსებობა. აქ უკვე აღარსად ჩანდა არც განმარტოებული ბუჩქი, არც ცეროდენა ხეები, - აქ იყო მხოლოდ უზარმაზარი გაქვავებული ხეები, ერთიმეორეზე გრეხილებით მკლავგადაბმული.

ენით აუწერელი სანახაობა იყო.

კაპიტანი ნემო უცებ შედგა. მისი ამხნაგებიც მის გარშემო გაჩერდნენ. კარგად რომ დავაკვირდი, გავარჩიე, რომ ოთხ მათგანს მხარზე გადებული ჰქონდა ის მოგრძო საგანი, რომელიც წამოსვლის დროს დავინახე.

ჩვენ შევჩერდით ამ გაქვავებული ტყის შუა მდებარე ფართო ველზე.

ჩვენი სანათურები მკრთალად ანათებდა მიდამოს. ჩვენი ჩრდილები გრძლად იჭიმებოდა. ველის იქით უკუნი სიბნელე იდგა, იშვიათად თუ გაკრთებოდა შუქი მარჯნის ბუჩქებზე,

ნედი და კონსეი ჩემ გვერდით იდგნენ. გაფაციცებული შევცეროდით რა უნდა მომხდარიყო ახლა. ნიადაგს დავაკვირდი: პატარა, ამობურცული ბექოებით იყო მობენილი. ბექოები კირის მაგვარი მტვრით დაფარულიყო დ ერტიმეორეს მწყობრად მისდევდა. აქ ადამიანის ხელს ემუშავა.

ველის შუაში მარჯნის ჯვარი იყო აღმართული, რომელსაც კვარცხლბეკად ჰქონდა გაკეთებული მარჯნის ნატხების გროვა. მარჯნის ჯვარი მუქსისხლისფრად ელვარებდა.

კაპიტანმა ანიშნა, ერთ მხლებელთაგანს, რომელიც მიუახლოვდა მარჯნის ჯვარს და წერაქვით თხრა დაუწყო.

მაშინ კი ყველაფერს მიხვდვი.

აქ იყო სასაფლაო. სამარეს თხრიდნენ. ის მოგრძო საგანი წუბნდელი გარდაცვლილი ამხანაგის ცხედარი იყო. კაპიტანმა და მისმა ამხანაგებმა მიცვალებული ოკეანის მიუდგომელ ფსკერზე ჩამოასვენეს დასაკრძალად.

სამარეს ნელ-ნელა ჭრიდნენ. გარშემო აფორიაქებული თევზები ირეოდნენ. განუწყვეტლივ გაისმოდა რკინის წერაქვის დაგადუგი.

სამარე თანდათან ღრმავდებოდა, განივდებოდა და მალე იმხელა გახდა, რომ ცხედარს ჩაიტევდა.

თეთრ სასახლე სამარეში ჩაასვენეს, მიწა მიაყარეს და ბექობი მოასწორეს.

კაპიტანი და მისი მხლებლები სამარეს მიუახლოვდნენ და მუხლი მოიდრიკეს უკანასკნელი გამოთხოვების ნიშნად.

მერე ყველანი უკან გამოვბრუნდით, გამოვიარეთ იგივე მარჯანის ტყე და თაღგადაკრული მარჯანის მღვიმე-ხეივანი.

"ნაუტილუსის" სინათლემ გზა გვიჩვენა და ნაშუადლევის პირველ საათზე გემზე დავბრუნდით. მაშინვე ტანსაცმელი გამოვიცვალე, ბაქანზე ავედი და შუქურასთან ჩამოვჯექი.

ათასი შავბნელი ფიქრი მიტრიალებდა თავში.

მალე კაპიტანი ნემოც გამოჩნდა. წამოვდექი და მივმართე:

- ჩემი ნათქვამი ასრულდა, კაპიტანო, ის ადამიანი წუხელ გარდაიცვალა?

- დიახ, პროფესორო, - მიპასუხა კაპიტანმა.

- და ახლა ისიც განისვენებს თავისი ამხანაგების გვერდით, მარჯანის სასაფლაოზე...

- დიახ, დავიწყებული ყველასაგან, ჩვენ გარდა. ჩვენ გავუთხარეთ სამარე, მარჯანის პოლიპები კი აუგებენ საუკუნო აკლდამას.

კაპიტანმა თვალებზე მიიფარა ხელები, ქვითინი შეიკავა და დაუმატა:

- აქ, ასიოდე ფუტის სიღრმეზე ზღვის ზედაპირიდან მდებარეობს ჩვენი მყუდრო სასაფლაო.

- თქვენი მიცვალებულები, კაპიტანო, იქ მაინც მოსვენებით მიიძინებენ და ნათელთევზები ვერ მიეკარებიან მათ.

- დიახ, პროფესორო არონაკს, - მძიმე ოხვრით მიპასუხა კაპიტანმა ნემომ.

- ვერც ნათელთევზები და ვერც ადამიანები!

ნაწილი მეორე

თავი I

ინდოეთის ოკეანეში

1868 წლის იანვარის მიწურულს "ნაუტილუსი" ინდოეთის ოკეანის კამკამა წყლებში შეცურდა.

ამ თვალუწვდენელი წყლის სივრცეს ჩრდილოეთით საზღვრავს აზია, დასავლეთით - აფრიკა, აღმოსავლეთით - ავსტრალია. მას 360 მილიონი

დესეტინისოდენა ფართობი უჭირავს. მისი წყალი ისეთი გამჭირვალე და კამკამაა, რომ სიღრმეში ცქერის დროს თავბრუ გესხმით.

"ნაუტილუსი" რამდენიმე დღეს 100-200 მეტრის სიღრმეზე ცურავდა და ზედაპირზე ჰაერის გასაახლებლად თუ ამოცურდებოდა. ასეთ შემთხვევაში მაშინვე ბაქანზე ავდიოდი და ხარბად ვსუნთქავდი ზღვის მაცობრებელ სიოს. თუმცა დღეები ერთფეროვნად გადიოდა, მე მაინც არ მომიწყენია.

თავდაპირველად ბევრს ვფიქრობდი კაპიტან ნემოზე, მინდოდა მისი პიროვნებ გამომერკვია. ჩემზე დიდი შთაბეჭდილება დატოვა გემის ბაქანზე მისმა საეჭვო საქციელმა, მერე კიდევ ჩვენმა ჩამწყვდევამ, მეზღვაურის გარდაცვალებამ და მარჯნის სასაფლაომ.

ვინ არის, რა ადამიანია კაპიტანი ნემო?

მის ყოველ საქციელში მწარე უნდობლობა და თითქმის უსაზღვრო სიძულვილიც კი ჩანდა ადამიანის მიმართ.

კონსეის აზრით, ნემო უარყოფილი გენიოსი იყო, შეურაცხყოფილი ადამიანი, რომელიც ქვეყანამ ვერ დააფასა. ისიც ამაყი მძულვარებით განდგომოდა მას და სამაგიეროს უხდიდა.

თუმცა ფლამანდიელის მოსაზრება ჭეშმარიტებას უახლოვდებოდა, მაინც სრულ განმარტებას ვერ იძლეოდა და არ მაკამაყოფილებდა.

ამრეზილ გუნებაზე ვიყავი.

იმ დღეს კაპიტანმა რატომ წამგლივა დურბინდი?... რისთვის დასჭირდა იმ ღამეს ჩვენი ჩამწყვდევა და ესეც არ გვაკმარა, რაღაც ბალახის წვენით მიგვაძინა კიდეც?... ან რა მიზეზით გარდაიცვალა ის უბედური მეზღვაური?

ეს კითხვები რამდენიმე დღეს მაშფოთებდა, მოსვენებას არ მაძლევდა... ვინ იცის, იქნებ კაპიტანი ნემო არა მარტო ერიდებოდა და გაურბოდა ხალხს, არამედ რაიმე მიზეზის გამო შეეცდებოდა შური ეძია მათზე?! ასე თუ იყო, მაშინ ძნელად თუ წარმოვიდგენდით, რა გველოდა მომავალში.

ჩვენ არაფრით ვიყავით შებოჭილი. კაპიტანი ნემო ღრმად იყო დარწმუნებულ, ჩვენი ნებით არ დავტოვებდით "ნაუტილუსს", საამისოდ არც პირობა ჩამოურთმევია ჩვენთვის. თუმცა "სტუმრებად" მიგვიჩნევდა. ვინ იცის, ამ სიტყვაში რამდენი იდუმალ დაცივნას აქსოვდა. მაშასადამე, დასაძრახი არ იქნებოდა თუ გაპარვაზე ვიოცნებებით, მით უმეტეს, ახლა, როდესაც დასახლებულ სანაპიროებს ვუახლოვდებოდით. ნედ ლუნდს გადაწყვეტილი ჰქონდა პირველივე შემთხვევით ესარგებლა და თავისთვის ეშველა. რა თქმა უნდა, არც მე და კონსეი დავიხევდით ამაზე უკან...

ამ ფიქრების დროს უცებ გული მომეწურა, თითქოს "ნაუტილუსთან" განშორება დამენანა.

ჯერ ერთი, მხიბლავდა და მიზიდავდა კაპიტან ნემოს საიდუმლოებით მოცული პიროვნება. ვინ მიხვდებოდა - ეს ადამიანი ჯალათი იყო თუ მსხვერპლი?... უნდა მოვრიდებოდი თუ მისდამი თანაგრძობა გამომეჩინა?

მეორეც, კაპიტანი ნემო დაგვპირდა, ქვეყნიერების გარშემო ვიმოგზაურებთო... ეს მოგზაურობა კი ჯერ არ დასრულებულიყო. ვინ იცის, კიდევ რამდენ საოცარ მოვლენად ვნახავდი "ნაუტილუსზე"? ვინ იცის, რა მეცნიერულ აღმოჩენას მივაღწევდი?..

თუმცა ამ მიზნისთვის სიცოცხლეს განსაცდელში ვაგდებდი, მაგრამ განა მეცნიერებისათვის თავის გაწირვა არ ღირდა?

მაგრამ მე რომ მეცნიერების მოყვარული ვარ, ამის გამო ჩემს ამხანაგებს ხომ ვერ დავუშლილი აქედან თავის დაღწევას, აქედან გაპარვას... მაშინ ხომ მეც ძალაუნებულარად თან უნდა გავყვე მათ, თუკი ასეთი შემთხვევა მოგვეცემა.

დიახ, თუკი ასეთი შემთხვევა მოგვცემს!...

ამ ფიქრებში დღე დღეს მისდევდა, ღამე- ღამეს. ხან ბაქანზე ვიჯექი და გავცექეროდი უსაზღვრო ოკეანეს... ხან ფანჯრიდან ვაკვირდებოდი ოკეანის უფსკრულში მოსრიალე საოცარ ცხოველებს... ხან კაპიტნის ბიბლიოთეკაში მქონდა თავი ჩარგული. სხვა ალბათ მოიწყენდა, გაბეზდებოდა ამ ერთფეროვანი ცხოვრებით, მაგრამ მე გატაცებით მიყვარს ზღვა და ამისთვის ამ ერთფეროვნებაშიც მოწყენილობა არ მიგრძნია.

"ნაუტილუსი" ორ დღე-ღამეს წყალქვეს მისრიალებდა. სიამოვნებით ვადევნებდი თვალს ელექტრონის შუქზე ადევნებულ ნაირ-ნაირი თევზეის ლაშქარს.. ზოგი მათგანი დიდ მანძილზე წყალქვეშ მისრიალებდა ჩვენი გემის გასწვრივ... უმეტესი ნაწილი კი მალე გავშორდებოდი ხოლმე.

თევზები სხვადასხვა ჯურის და ჯიშისა გვხვდებოდა. ზოგი მათგანი არასოდეს მენახა. ჩემი ყურადღება მიიქცია სლიკინა ჯიშის ცხოველებმა, რომლებსაც მაგარი ძვლის ბაკანი უფარავდა კანს; ზოგის ბაკანი ათასფრად ელავდა. გვხვდებოდა კვერცხის მოყვანილობის და ბოლომოკვეცილი, მოგრძო ხორკლით დაფარული დიოდონები, რომლებსაც სამართლიანად უწოდებენ ზღვის ზღარბებს. ასევე მფრინავი თევზები ანუ რაშები, უშველებელი მკვერდის ფრთები რომ აქვთ; გრძელცხვირა და გრძელთავა ხილიმონები, რომლებიც წყლის წვეთებს ტყვიასავით სტყორცნიან მწერებს და ხოცავენ. თავმეჭეჭა ზღვის გომბეშოებიც... ყველას ვინ ჩამოთვლის! ზოგი მათგანი ძალიან ლამაზი და შეუდარებელი იყო.

ზოგჯერ ზღვაში გადაისროდნენ ბადეს, რომელსაც თევზების გარდა მოჰყვებოდა ნიუარები, როდესაც "ნაუტილუსი" ზედაპირზე მიცურავდა, მე და კონსეი ბაქანზე ავედით, ჩვენ თვალწინ უცნაური სანახაობა გადაიშალა: ჩვენი გემი ცეროდენა "არგონავტების" ქარავანში შეცურდა. ძველად არგონავტების შეხვედრა სიკეთის მომასწავებელ ნიშნად ითვლებოდა. რვანესტრიანი არგონავტები იყვნენ. ასეთი ჯიშის არგონავტები მხოლოდ ინდოეთის ოკეანეში ბინადრობს. ექვსი ნესტრით ცურავენ, ორი კი უფრო მობრტყო და მომრგვალებული, იალქნებივით ზევით აქვთ აშვერილი. თითოეული მათგანი ნავის მოყვანილობის ნიუარაშია მოთავსებული. ისინი კიბოსავით უკან-უკან ცურავენ უჩვეულო ფარფლებით. ამ ფარფლებიდან ანუ მიღებიდან ისვრიან შიგნით დაგროვილ წყალსაც.

- არგონავტს ყოველთვის შეუძლია გამოვიდეს თავისი ნიუარიდან, მაგრამ ამას არასოდეს აკეთებს, - ვუთხარი კონსეის.

- ისევე, როგორც კაპიატნი ნემო, - მიპასუხა კონსეიმ, - ამიტომ უკეთესი იყო, მას თავისი გემისთვის "არგონავტი" დაერქმია.

თითქმის მთელი საათის განმავლობაში მოცურავნენ ჩვენი გემის გასწვრივ და ამ საუცხოო სანახაობით ვტკბებოდით. უცებ რაღაცაზე დაფრთხნენ, იალქნები სწრაფად დაუშვეს, ნესტრები შეკუმშეს, ნიუარები ზევით მოიქციეს და თვალის დახამხამებაში ტალღებში ჩაიმალნენ.

ეკვატორის მიდამოებში ჩვენს გემს სხვადასხვა ჯიშის ნათელთევზები აედევნენ: ცისფერი, მობრტყოთავიანი, შავხალება სათვალიანი, რომლებსაც კისერზე შავი ლაქა ჰქონდათ თეთრზოლშემოყოლებული და ეს შავი ლაქა ძალიან წააგავდა თვალს. აქ იყო მუცელთეთრა უზარმაზარი ნათელთევზაც, მოშავო ზურგიანი, რომელსაც

ვეებერთელა ყბებში კბილები თერთმეტ წყებად ჩასდევდა, ვნახეთ აგრეთვე 2 საჟენის სიგრძის ვეფხვა ნათელთევზა.

ინდოეთის ოკეანე სავსეა ამ ონავარი ცხოველებით. ამის გამო ამ მიდამოებში ნაოსნობა ძალზე სახიფათოა. ჩვენს დანახვაზე ელვასავით გამოქანდებოდნენ და ფანჯრის სქელ მინას ენარცხებოდნენ...

- კონსეი, ხედავ? როგორ მოგწონს?
- კარგი რამეა, თუ თქვენც დამეთანხმებით.

ნედი კი ყვიროდა:

- თქვე მუდრეგებო! თქვე თავხედებო!... სამწუხაროა, რომ აქ დაბმული ვზივარ, ხელცარიელი... თორემ გაყურებინებდით სეირს!

ნათელთევზებიც მალე ჩამოშორდნენ "ნაუტილუსს". ბენგალიის სრუტის შესასვლელთან მეტად უსიამოვნო სანახაობას გადავეყარეთ. ტალღები მოატივტივებდა ადამიანის შიშველ გვამებს... ესენი გარდაცვლილი ინდოელები იყვნენ. ძველი წესის მიხედვით, ინდოელები მიცვალებულს მიწაში როდი მარხავენ, მდინარე განგაში ყრიან და ამ მდინარეს ზღვაში ჩამოქვს ზღვის ონავარი ფრინველების და ცხოველების საძირგად.

ცოტა ხნის შემდეგ "ნაუტილუსი" რძისფრად მოქნავე ტალღებში შეცურდა. გადათეთრებულ ზღვაში ცა მელნის ტბად ისახებოდა.

- ეს რას უნდა მიეწეროს, პროფესორო? - გაოცებით დამეკითხა კონსეი.

ავუხსენი, რომ ამას ეწოდება "რძის ზღვა", ამ სითეთრეს აჩენს უამრავი ინფუზორია, რომლებიც ერთიმეორებული შეკოწიჩებული და რამდენიმემილის მანძილზე ფარავენ ზედაპირს.

- რამდენიმე მილის მნაძილზე? - გაოცდა კონსეი.

- დიახ, ჩემო მეგობარო... ტყუილად ნუ შეეცდები მათი რაოდენობის გამოცნობას.

ეს მანათობელი ინფუზორიები თმის სისქისაა, თითო მათგანი მილიმეტრის მეხუთედს უდრის... ზოგ მოგზაურს ორმოციოდე მილის მანძილზე გაუვლია ამ ინფუზორიების "რძის ზღვაში".

არ ვიცი, კონსეიმ დაიჯერა თუ არა ჩემი რჩევა, მაგრამ ღრმა ფიქრებს კი მიეცა. ალბათ იმას ანგარიშობდა, თუ ორმოცი ათასი კუბური მილი რამდენ მეხუთედ მილიმეტრს შეიცავდა.. მე კი გულმოდგინედ ვაკვირდებოდი ამ მოვლენას.

რამდენიმე საათის განმავლობაში უხმოდ მივარღვევდი თეთრ ტალღებს, თითქოს მოპირდაპირე მდინარეებისაგან წარმოშობილ ქაფში მივცურავდით.

შუაღამისას ზღვას ჩვეულებრივი ელფერი დაედო. ჩვენ უკან კი, ჰორიზონტის დასავლამდ, ცას ეფინებოდა სითეთრის ანარეკლი, როგორც ოდნავ მოკიაფე ჩრდილოეთის ელვარება.

თავი II

კაპიტან ნემოს ახალი წინადადება

28 თებერვალს "ნაუტილუსი" შუაღამისას ზღვის ზედაპირზე ამოცურდა. ჩრდილო განედის $9^{\circ}4'$ -ზე. დასავლეთით 8 მილის მანძილზე ხმელეთი გამოჩნდა. კარგად გავარჩიე მოზრდილი მთაგრეხილი, რომლის სიმაღლე ორი ათასი ფუტი მაინც იქნებოდა.

დიდ დარბაზში ჩავირბინე, რუკა გადავშალე და იქ მოვნახე ჩვენი გემის მდებარეობა. აღმოჩნდა, რომ ცეილონის - ინდოეთის მარგალიტის - მახლობლად ვიმყოფებოდით.

ბიბლიოთეკასი შევიარე. მინდოდა რაიმე ამომეკითხა ამ კუნძულის შესახებ, რომელიც მთელ დედამიწის ზურგზე ყველაზე ნოუიერი და ნაყოფიერი ადგილია. მართლაც, მივაგენი ასეთ წიგნს, დარაზში გამოვიტანე. დავინიშნე ყველა ცნობა ცეილონის მდებარეობისა და ფართობის შესახებ.

ეს კუნძული სიგრძით 275 მილზეა გადაჭიმული, სიგანით კი 150 მილი იქნება. მისი მთელი მოცულობა ორმოცდარვა კვადრატული მილს უდრის. მაშასადამე, ცეილონი თითქმის ირლანდის ოდენა ყოფილა.

დარბაზში კაპიტანი ნემო შემოვიდა თავისი თანაშემწის თანხლებით. კაპიტანმა რუკას დახედა და მერე მე მომიბრუნდა.

- პროფესორო, ცეილონი განთქმულია მარგალიტით. არ გნებავთ, მარგალიტის ბუდობები ნახოთ?

- დიდი სიამოვნებით, კაპიტანო.

- კეთილი, პროფესორ. ეგ ადვილი საქმეა. ჩვენ ვნახავთ იმ ადგილებს, სადაც მარგალიტებს იღბენ. შეიძლებე ვერ ვნახოთ თვითონ მარგალიტის მაძიებლები, რადგან ჯერ საამისო სეზონი არ დამდგარა, მაგრამ სულერთია. ბრძანება გავეცი, მანაარის სრუტეს მივუახლოვდეთ, იქ ამაღამ მივალთ.

კაპიტანმა თავის თანაშემწეს ანიშნა და ისიც მაშინვე გავიდა დარბაზიდან. "ნაუტილუსი" ისევ სიღრმესი ჩაეშვა. მანომეტრი აღნიშნავდა, რომ გემი ოცდაათი ფუტის სიღრმეზე მიცურავდა.

წინ რუკა მქონდა გადაშლილი და მანაარის კუნძულს ვემებდი.

ის აღმოჩნდა მეცხრე პარალელურ წრეზე, ცეილონის კუნძულის ჩრდილო-დასავლეთის ნაპირას და კუნძულის სახით იყო მოხაზული. ამ სრუტეში შესასვლელად ცეილონის დასავლეთი ნაპირისთვის უნდა შემოგვევლო.

- პროფესორო არონაკს, - მომიბრუნდა კაპიტანი ნემო, - მარგალიტს მოიპოვებენ ბენგალის სრუტეშიც, ინდოეთის, ჩინეთის, იაპონიისა და სამხრეთ ამერიკის ზღვებშიც, პანამისა და კალიფორნიის სრუტეშიც, მაგრამ ეს ნადირობა მარტო ცეილონთან იძლევა საუკუთესო ნაყოფს. მართალია, ცოტა ადრე მოგვიხდა აქ მოსვლა, რადგან მარგალიტის მაძიებლები მარტში სამასამდე ნავით სტუმრობენ ხოლმე ამ ადგილებს და მთელი ოცდაათი დღის განმავლობასი ეძებენ მარგალიტს. თითო ნავს ათ-ათი მენიჩბე ჰყავს და ათ-ათი მყვინთავი. ესენი წყება-წყება იყოფიან და რიგ-რიგად ყვინთავენ თორმეტიოდე მეტრის სიღრმეზე, ფეხებით უჭირავთ ნავზე გამობმული მძიმე ქვა.

- მაშასადამე, პირველყოფილი საშუალება დღესაც იხმარება?

- დიახ, იმისდა მიუხედავად, რომ ეს საქმე მსოფლიოს ყველაზე უფრო მდიდარი ხალხის ხელშია. ინგლისელებზე მოგახსენებთ.

- ჩემი აზრით, ამ საქმეში გამოდგებოდა ისეთი სკაფანდრები, ჩვენ რომ გვაქვს.

- რა თქმა უნდა.... მაგრამ ღარიბი მყვინთავები ხანგრძლივად ვერ ძლებენ წყალში. ინგლისელი მოგზაური პერსევალი აგვიწერს ცეილონს და იხსენებს ერთ მყვინთვს, რომელიც თურმებულ წუთს ძლებდა წყალქეშ, ზედაპირზე ამოუსვლელად. მაგრამ ეს ცნობა ძალზე საეჭვოდ მიმაჩნია. მე ვიცი, რომ ზოგიერთი მყვინთავი წყალქეშ 57 წამს ძლებს, ძალიან დახელოვნებული მყვინთავი უნდა იყოს, რომ 87 წამი გაძლოს. თუმცა ასეთი ძალიან იშვიათია და როდესაც წყლიდან ამოდიან, იმათაც სისხლი და წყალი სდით ყურებიდან და ცხვირიდან. ჩემი აზრით, მყვინთავი

30 წამზე მეტს ვერ გაძლებს წყალქვეშ და აი, ამ ხნის განმავლობასი უნდა გაავსოს თავისი ბადე იმ ნიუარებით, რაც ხელში მოხვდება. მარგალიტის მაძიებელი მყვინთავები დიდხანს ვერ ცოცხლობენ, მხედველობა უსუსტდებათ და ხშირად ზღვის სიღრმესი იხოცებიან ტვინში სისხლის ჩაქცედვით.

- მართლაც რომ მძიმე სამუშაო ყოფილა, - ჩავურთე მე, - ეს მუშაობა კი მხოლოდ მდიდარი ადამიანების მოდურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელია. კაპიტანო, მიბრძანეთ გეთაყვა, ერთ დღეში რამდენ მარგალიტს მოპოვებს ერთი ნავი?

- ორმოციდან ორმოცდაათი ათასამდე. გადმოგვცემენ, რომ 1814 წელს ინგლისის მთავრობამ თავისი ხარჯით მოაწყო მარგალიტის მოპოვება მყვინთავებით და ოც დღეში ექვსი მილიონი მარგალიტი ამოიღო.

- ალბათ, მყვინტავებს რიგიანი გასამრჯელო ეძლევათ...

- სათქმელადაც არ ღირს, პროფესორო. პანამაში მათი ხელფასი კვირაში ერთ დოლარს უდრის. მეტწილად თითო მარგალიტიან ნიუარაში ერთ სუს იძლევიან, მაგრამ ცარილეი Nნიუარებიც ბევრი მოხვდებათ ხელში.

- თითო სუ ამ საცოდავებს, რომლებიც თავიანთ პატრონს ამდიდრებენ?! ეგ ხომ საშინელებაა!

- დიხ... მაშ ასე, პროფესორო, თქვენი თანამგზავრებით მესტუმრებით მანაარის წყლებში. რა თქმა უნდა, თუ ნაადრევად მოსულ მარგალიტის მაძიებლებს შეხვდით, მაშინ მარგალიტის მოპოვების პროცესსაც თქვენი თვალით იხილავთ.

- მაგას რა აჯობებს.

- მართლა, პროფესორო არონაკს, ნება მიბოძეთ, გვითხოთ: ონავარი ნათელთევზების ხომ არ გეშინიათ?

- ნათელთევზებისა? - წამოვიძახე მე, რადგანაც ეს კითხვა მეტისმეტად უადგილოდ მეჩენა.

- პასუხს ველოდები, პროფესორო, - ჩამაცივდა კაპიტანი.

- უნდა გამოგიტყდეთ, რომ კარგად არ ვიცნობ ამ ჯიშის ცხოველებს.

- სამაგიეროდ, ჩვენ ვიცნობთ კარგად, - მიჰასუხა კაპიტანმა ნემომ, - და თქვენც მალე გაეცნობით. ჩვენ შეიარაღებული ვიქებით და მოსალოდნელია, რომ გზადაგზა მათზე ვინადიროთ კიდეც. დიდად სახალისო ნადიორბაა. მაშ, ასე, ხვალამდე, პროფესორო. ჩვენ სისხამ დილით გავემგზავრებით.

კაპიტანმა ნემომ დინჯად მითხრა ეს და დარბაზიდან გავიდა.

დათვებზე სანადიროდ რომ მიგიპატიურონ შვეიცარიის მთებში, შეგიძლიათ უპასუხოთ: "ჩინებულია, ხვალ დათვებზე ვინადიროთ!". ლომებზე სანადიროდ რომ მიგიპატიურონ ატლასის ველებზე, ან ვეფხვზე სანადიროდ ინდოეთის უღრან ტყეებში, თქვენ შეგიძლიათ უპასუხოთ: "ძალიან კარგი, ვინადიროთ ლომებზეც და ვეფხვებზეც!" მაგრამ თუ თქვენ შემოგთავაზეს ონავარ ნათელთევზებზე ნადირობა, რა უნდა უპასუხოთ? ... ალბათ საგონებელს მიეცემით, სანამ პასუხს გასცემდეთ.

უნდა გამოგიტყდეთ, როცა კაპიტანი დარბაზიდან გავიდა, შუბლიდან ცივი ოფლი მოვიწმინდე.

- ნუ აჩქარდები! აწონ-დაწონე ყველაფერი! - ვუთხარი ჩემს თავს.

- კრსპოს კუნძულის წყალქვეშა ტყეში, რომ წავზე ინადირო, ეს კიდევ მესმის, მაგრამ ზღვის ფსკერზე ჩაეშვა მაშინ, როცა იცი, რომ იქ შეხვდები ონავარ ნათელთევზებს, ამისი კი რა მოგახსენოთ. ვიცი, რომ ზოგ ქვეყანაში, მაგალითად, ანდამანის კუნძულებზე ზანგები უყოყმანოდ ერკინებიან ნათელთევზებს ამოღებული ხანჯლით ან ქამანდით, მაგრამ ისიც ვიცი, რომ ასეთი ნადირობიდან მამაცი მონდირეც კი ძნელად ბრუნდება თავმთელი... კიდევ კარგი, რომ კონსეი არ

მოინდომებს წამოსვლას და მეც საბაბი მომეცემა აღარ გავყვე კაპიტანს... ნედ ლენდისა კი რა მოგახსენოთ... ამ შემთხვევაში მისი იმედი სრულებით არა მაქვს. მას ხომ უდიდესი და საშინელი განსაცდელიც კი იტაცებს, - ვფიქრობდი ჩემთვის.

ამ დროს კონსეიმ და ნედ ლენდმა შემოაღეს კარი. მხიარულ გუნებაზე იყვნენ, რა იცოდნენ, თუ რა განსაცდელი ელოდათ. ნედმა მითხრა:

- პროფესორო, თქვენმა კაპიტანმა, იმ ეშმაკის სვილობილმა, მომხიბლავი წინადადება მოგვცა.

- თქვენც?

- "ნაუტილუსის" მეთაური ხვალისთვის გვეპატიჟება პროფესორის თანხლებით უუყუროთ ცეილონის წყლებში მარგალიტის მოპოვებას. დიდი თავაზიანობით მიგვიპატიჟა. ისე მოგვექცა, როგორც ნამდვილი ჯენტელმენი, - განაგრძო ნედმა.

- მეტი არაფერი უთქვამს?

- არაფერი, იმის გარდა, რომ პატარა გასეირნების ამბავი გვაცნობა, - მიპასუხა კანადელმა.

- ჰო, ეგ ხომ მეც მითხრა. მაგრამ თქვენთვის დაწვრილებით არა უთქვამს რა იმის შესახებ, რომ იქ... - ვუპასუხე მე.

- არაფერი უთქვამს. თქვენც ხომ ჩვენთნ იქნებით?

- მე?... რა თქმა უნდა!... გატყობთ, ნედ ლენდ, რომ ძალიან მოგწონებიათ ასეთი გასეირნეა.

- დიახ, პროფესორო, ძალიან სახალისოა ჩემთვის.

- მაგრამ შეიძლება სახიფათოც იყოს!

- სახიფათო?! - გაიოცა ნედ ლენდიმ, - ზღვის ლოკოკინების სამეფოში გასეირნება სახიფათოა?

შევატყვე, რომ კაპიტან ნემოს არ გაეფრთხილებინა ჩემი ამხანაგები, რომ მოსალოდნელი იყო, ონავარ ნათელთევზებს წავწყდომოდით. განა მოვალე არ ვიყავი, გამეფრთხილებინა ისინი? რა თქმა უნდა, მაგრამ საიდან დამეწყო, არ ვიცოდი.

- პროფესორო, გვიამბეთ, გეთაყვა, როგორ აგროვებენ მარგალიტს? - შემეკითხა კონსეი.

- როგორ აგროვებენ თუ რა შეიძლება შეგვემთხვეს მარგალიტის მოპოვების დროს ზღვის ფსკერზე ყოფნისას?

- არა, პროფესორო, როგორ აგროვებენ? - მიპასუხა კანადელმა.

- კეთილი! მაშ, ჩამოსხედით, მეგობრებო და მოგიყვებით, რაც კი ცეილონის შესხებ წიგნებში ამოვიკითხე.

ორივენი მერხზე ჩამოსხდნენ.

კანადელმა მაშინვე მკითხა:

- პროფესორო, რა არის მარგალიტი?

- ჩემო კარგო ნედ, მარგალიტი პოეტებისთვის ზღვის ცრემლია, აღმოსავლეთ ხალხის თვალში - გაქვავებული ცვარი, ქალებისათვის - უძვირფასესი სამკაული, რომელსაც მინის ელვარება აქვს და სადაფის ნივთიერებისაგან შედგება. ქალები მარგალიტით იმშვენებენ ყელს, თითებს, ყურებს. ქიმიკოსთათვის მარგალიტი ფოსფატისა და კარბონატის ნაზავია, რომელშიც მცირეოდენი წებოც ურევია. ნატურალისტის თვალში ეს არის ორხუფა ნიჟარაში მოთავსებული თონთლო ცხოველის გამონაჟონი.

- ჩინებულია! - ჩაილაპარაკა კანადელმა. მე კი განვაგრძე:

- თვით მარგალიტის მარცვალი კი შეკუმშული სადაფია, რომელიც სფერულ მოყვანილობას იღებს. ის ეწებება თონთლო ცხოველის ნაჭუჭს ან ცხოველის კანში

არის ჩამჯდარი. მარგალიტის მარცვალს აქვს თავისი ბირთვი, რომლის გარშემოც ჟამთა სცლაში თანდათან მატულობს და იზრდება სადაფის ნივიერება სიფრიფნა კონცენტრულ ფენებად.

- ერთ ნიუარაში შეიძლება რამდნიმე მარგალიტი იყოს მოთავსებული? - იკითხა კონსეიმ.

- როგორ არა, შეიძლება! ზოგჯერ ისეთი ნიუარაც გვხვდება, რომელშიც მარგალიტის მთელი კოლექციაა მოთავსებული.

- ვერ გვიამბობთ, პროფესორო, როგორ იჭერენ მარგალიტებს?- მკითხა კანადელმა.

- მარგალიტის მოსაპოვებლად სხვადასხვანაირი საშუალება არსებობს. მარგალიტის მაძიებლები მეტწილად მარგალიტს ნიუარიდან ჩქიფით გლეჯენ. ჩვეულებრივ კი, მარგალიტის მაძიებლები ზღვის ფსკერზე აგროვებენ ნიუარებს. მერე ამ ნიურებს ზღვის პირას გამლილ ჭილობებზე აწყობენ. ნიუარაში მოთავსებული თონთლო ცხოველები ჰაერის გავლენით იხოცებიან და ათ დღეში იხრწნებიან. მაშინ ამ ნიუარებს ზღვის წყლით გავსებულ აუზში ყრიან, აქ აცლიან მარგალიტს და რეცხავენ.

- გამიგონია, რომ ზოგჯერ ძალიან ძვირფასი მარგალიტებიც ხვდებათ ხოლმე, - ჩაურთო კონსეიმ.

- დიახ, ჩემო მეგობარო, ამბობენ, რომ იულიუს კეისარმა სერვილიას უძღვნა ერთი მარგალიტი, რომელიც ჩვენებურ ფულზე რომ ვიანგარიშოთ, ოცი ათასი ფრანკი ღირდა.

- მეც გამიგონია, რომ უწინდელ დროში ერთი გამოჩენილი ქალი ყოფილა, რომელიც ძმარში გახსნილ მარგალიტს სვამდა თურმე, - თქვა კანადელმა.

- კლეოპატრა! - წამოიძახა კონსეიმ.

- უგემური სასმელი უნდა იყოს! - დაუმატა ნედ ლენდმა.

- წარმოუდგენლად უგემური, ჩემო მეგობარო ნედ, მაგრამ ერთი პაწია ფიალა ძმარი თხუთმეტი ათასი ფრანკი თუ ღირს, დამიჯერეთ, ძალიან ძვირფასი სასმელი ყოფილა.

- ეჰ, როგორ ვნანობ, რომ მე არ შევირთე ის ქალი! - დანანებით ჩაილაპარაკა კანდელმა.

- კლეოპატრა და ნედ ლენდი - წამოიძახა კონსეიმ.

- მართალს ვამბობ, კონსეი. მე უნდა შემერთო ის ქალი, - სერიოზული კილოთი უპასუხა ნედ ლენდმა. - მაგრამ ჩემი ბრალი როდია, თუ საქმე არ გამოვიდა... ჩემს საცოლეს, კეტი ტენდერს მარგალიტის ფარლულა ვუყიდე, მაგრამ მაინც გამითხოვდა. მერე, იცით, როგორი იყო ის ფარლულა? ერთ-ნახევარი დოლარი მივეცი. ისეთი დიდრონ-დიდრონი მარგალიტები იყო ასხმული, რომ ოცნაჩვრეტიან ცხავრსი გაეტეოდა თითო.

- ჩემო კარგო ნედ, ეგ ყალბი მარგალიტები ყოფილა, ხელოვნური, უბრალო შუშის ბუშტი, რომელიც გავსებულია ერთგვარი ესენციით, - ვუპასუხე მე.

- ეგ ესენცია ძვირფასია? - დაინტერესდა კანადელი.

- ძალიან იაფი რამაა, ჩემო ნედ. ეს არის თევზის ქაცვის მსგავსი ნივთიერება, რომელსაც აზოტის მუავაში ხსნიან. მას არავითარი ღირებულება არ გააჩნია.

- ჰომ, ახლა კი მივხვდი... - ფილოსოფიურად ჩაილარაკა ნედ ლენდმა, - კიდეც მაგისთვის გათხოვილა ჩემი კეტ ტენდერი.

მე ისევ ძვირფას მარგალიტზე განვაგრძე ლაპარაკი:

- არა მგონია, რომ ვინმეს ჰქონდეს ისეთი ძვირფასი მარგალიტები, როგორიც კაპიტან ნემოს აქვს.
- აი, თუნდაც ეს! - ჩაურთო კონსეიმ და ხელით მიგვითითა შუშაბანდში ჩადებულ საუცხოო მარგალიტზე.
- დიახ... არ შევცები, თუ ვიტყვი, რომ მაგის ფასი უდრის ორ მილიონ...
- ფრანკს! - დაამთავრა კონსეიმ.
- დიახ, ორ მილიონ ფრანკს, - ვუპასუხე მე, - კაპიტანი ნემო კი მხოლოდ დასწვდა და აიღო.
- ვინ არის თავდები, რომ ხვალინდელი გასეირნების დროს ჩვენც არ მივაგნბთ ასეთ მარგალიტს! - წამოიძახა ნედ ლენდმა.
- რატომაც არა?
- მერე რა ჭირად გვინდა ეს მილიონები "ნაუტილუსზე"? - ჰერცეგი კონსეიმ.
- "ნაუტილუსზე" არა, სხვაგან! - უპასუხა ნედ ლენდმა.
- ჰოო, სხვაგან... კი! - ნაღვლიანად ჩაილაპარაკა კონსეიმ და თავი ჩაქინდრა.
- ნედ ლენდი მართალია, - ჩავურთე მე, - ოდესმე რომ მოვხვდეთ ევროპაში ან ამერიკაში და რამდენიმე მილიონად ღირებული მარგალიტი მოვიატნოთ, მასინ ადვილად დაიჯერებენ ჩვენს თავგადასავალს.
- მე მგონი, დაიჯერებენ! - დამიდასტურა კანადელმა.
- პროფესორო, განა მარგალიტის ჭერას რაიმე ხიფათი ახლავს თან? - უცებ შემეკითხა კონსეიმ.
- არა, თუკი საჭირო ზომებს მიიღებს ადამიანი, - ვუპასუხე მე.
- რა ხიფათი უნდა იყოს ამ საქმესი? - წამოიძახა ნედ ლენდმა, - ბევრი, ბევრი, რამდენიმე ყლუპი ზღვის მლაშე წყალი იგემოთ...
- ნედი მართალს ამბობს, - ვთქვი მე და მერე კაპიტან ნემოსავით დარდიმანდი კილოთი შევეკითხე: - ნედ, ონავარი ნათელთევზების ხომ არ გეშინიათ?
- მე?!- იკითხა კანადელმა, - რომლის ხელობაც მებარჯეობაა! გასართობადაც არ მეყოფა!
- არა, ნედ, საქმე მათი ჩანგლით დაჭერა კი არ არის, არც მათი ამოთრევა ბაქანზე და ასო-ასო აკუწვა, გამოშიგვნა და შიგნეულის გადაყრა ზღვაში...
- მაშ, თქევნ ნათელთევზებზე ნადირობას ბრძანებთ?
- სწორედ!
- წყალსი?
- დიახ, წყალში.
- ოო, დიდებული რამ არის რიგიანი ბარჯით! უნდა მოგახსენოთ, პროფესორო, რომ ეს ცხოველი მეტისმეტად უხეში და დონდლოა, სანამ მუცელზე პირაღმა არ შეტრიალდება, ისე კბილს ვერ გაგრკავს... ამ დროს კი...
- ნედ ლენდმა ისეთი კილოთი წარმოთქვა, - კბილს ვერ გაგკრავსო, რომ ზურგში ჭიანჭველებმა დამირბინა.
- შენ, კონსეი, რას იყტვი ამ ონავარ ცხოველების შესეხებ,
- გულახდილად მოგახსენებთ, პროფესორო...
- "კეთილი იყოს შენი გულახდილობა", - იმედიანად გავიფიქრე.
- თუკი პროფესორი ბედავს ნათელთევზებზე ნადირობას, ვერ გამიგია მსახური თან რატო არ უნდა ახლდეს! - დაასრულა კონსეიმ.

თავი III

ათმილიონიანი მარგალიტი

დაღამდა. დავწექი, მაგრამ მოუსვენრად მეძინა. სიზმარში სულ ნათელთევზები მელანდებოდა. დილის ოთხ საათზე გავიღვიძე. საჩქაროდ ჩავიცვი და დარბაზში გავედი.

კაპიტანი ნემო უკვე იქ მელოდა.

- პროფესორო არონაკს, მზად ბრძანდებით?
- მზად გახლავართ, კაპიტანო.
- მაშინ გამომყევით.
- ჩემი ამხანაგები, კაპიტანო?
- მათ უკვე იციან და გველიან.
- სკაფანდრებს არ ჩავიცვამთ?

- ჯერ არა. არ მინდა "ნაუტილუსი" ძალიან ახლოს მიადგეს კიდეებს, მანაარის თავთხელ ნაპირებამდე კი ჯერ დიდი მანძილი გვაქვს გასავლელი. ნავი გამზადებულია, დანიშნულ ადგილამდე ის მიგვიყვანს და აღარ დაგვჭირდება ზღვის ფსკერზე ფეხით მოგზაურობა. ყვინთვისათვის საჭირო მოწყობილობა ნავში აწყვია და მაშინ ჩავიცვამთ, როდესაც წყალქვეშა გამოკვლევას დავაპირებთ.

შუა კიბემდე მივედით, რომლის თავიც ბაქანს ებჯინებოდა. ნედი და კონსეიც იქ დაგვხვდნენ. კარგ ხასიათზე იყვნენ ამ გასეირნების მოლოდინში. "ნაუტილუსის" გვერდით გავჩერდით ნავში ხუთი მეზღვაური მოსასმელ ნიჩბებთან იჯდა და გველოდა.

ბნელი ღამე იყო. ზოგჯერ ღრუბლებში ვარკსვლავი გაკიაფდებოდა. იქით გავიხედე, სადაც ხმელეთი მეგულებოდა. ბუნდოვანი მოხაზულობის გარდა არაფერი ჩანდა. "ნაუტილუსმა" იმ ღამეს შემოუარა ცეილონის დასავლეთ ნაპირს, რომელიც ცეილონისა და მინაარის კუნძულებს შუა მომწყვდეული მანაარის სრუტის დასავლეთით მდებარეობს. აქ, ამ ჩაბნელებული წყლის თავთხელ ადგილებში იყო მარგალიტიანი ნიჟარების საბადო, მარგალიტის სამეფო. ეს იყო მარგალიტის თვალუწვდენელი ველი, რომელიც ზღვის ფსკერზე ოცი მილის მანძილზე გადაჭიმულიყო.

კაპიტანი ნემო, კონსეი, ნედ ლენდი და მე ნავის ბოლოში მოვთავსდით. უფროსი მეზღვაური საჭესთან იჯდა. ოთხი მეზღვაური ნიჩბებს დააწვა. ნავი დაიძრა და სამხრეთისაკენ გაემართა. აუჩქარებლად უსვამდნენ ნიჩბებს მეზღვაურები, თანაბრად და მწყობრად, ყოველ ათ წამში ერთხელ, როგორც სამხედრო გემებზეა მიღებული. ნავით გადასერილ წყლის ჩქეფებს ტყლაშუნი გაჰქონდა ჩაშავებულ ტალღებზე გამდინარი ტყვის ქაფივით. გაშლილი ზღვიდან მონაბერი სიოს ქროლაზე ზღვის ზედაპირი ხან ოდნავ ირწეოდა და ნავს ნელა აქანავებდა, ზოგჯერ კი ჩვენ წინ ტალღები ზვინებად გორდებოდა და ღელავდა.

ექსის ნახევარზე ცას სინათლე შეეპარა, ხმელეთის ნაპირების ზედა ხაზი საკმაოდ გარკვევით ჩანდა და აღმოსავლეთიდან სამხრეთისკენ გასდევდა. ნაპირიდან ხუთი მილით ვიქებოდით დაშორებული.

ზღვაზე არც ნავი ჩანდა და არც მყვინთავები. მარგალიტის მაძიებელთა ასპარეზი სრულ მყუდროებას მოეცვა. კაპიტანმა ნემომ განგვიმარტა, ამ მიდამოებს ჩვენ ერთი თვით ადრე ვესტუმრეთო.

ექვსის ნახევრი სრულდებოდა, როდესაც ერთბაშად ინათა, როგორც საერთოდ, ტროპიკულ ქვეყნებს სჩვევია - იქ არც გარიურაჯი იცის, არც საღამოს შებინდება. აღმოსავლეთის ჰორიზონტზე სხივოსანი მნათობი სწრაფად ამოცურდა.

გარკვევით მოჩანდა ტყით დაფარული ნაპირები. ჩვენი ნავი მანარიის ნაპირებს უახლოვდებოდა. ამ კუნძულს სამხრეთის მხრიდან მრგვალი მოსახაზულობა ჰქონდა.

კაპიტანი ნემო წამოდგა და მიდამოს თვალი მოავლო. მის ნიშანზე მეზღვაურებმა ღუზა ჩაუშვეს, რომელიც სწრაფად შეეხო ფსკერს, რადგანაც თავთხელ წყალს მივადექით და ფკსერამდე მეტრ-ნახევარი თუ იქნებოდა. ზღვის მოქცევით ამოძრავებულმა ნავმა ღუზას მაშინვე გარს შემოუარა.

- პროფესორო, უკვე მოვედით, - მითხრა კაპიტანმა ნემომ, - ხომ ხედავთ ამ ვიწრო ყურეს? აქ ერთი თვის შემდეგ აუარებელი ნავი მოიყრის თავს. მარგალიტის მაძიებელი მყვინთავები მუშაობას სეუდგებიან. საამისოდ ეს ყურე ზედგამოჭრილია; ხმელეთი ეფარება და არც ძლიერი ქარი იცის, არც ზღვის ღელვა. ეს კი მარგალიტის მაძიებლებს საქმეს უადვილებს. ახლა კი ჩავიცვათ სკაფანდრები და ზღვის ფსკერზე გავისეირნოთ.

პასუხი არ გამიცია, უსიტყვოდ მივაჩერდი ამ საბედისწერო ზღვის სივრცეს და თან მეზღვაურების დახმარებით სკაფანდრს ვიცვამდი. კაპიტანი ნემო და ჩემი მეგობრებიც იმოსებოდნენ. კაპიტნის მხლებელთაგან არავი მოგვდევდა.

მალე კაუჩუკის ტანისამოსში ყელამდე ჩავსხედით. შეკუმშული ჰაერის აპარატი თასმებით გვქონდა ზურგზე მიმაგრებული. რუმკორფის მანათობელი აპარატი არავის გახსენებია. სპილენძის ზუჩს რომ ვიხურავდი, ეს მაშინ გავახსენე კაპიტან ნემოს.

- დღეს არ დაგვჭირდება. დიდ სიღრმეში არ შევალთ და მზის სხივები საკმაოდ გაგვინათებს გზას. ესეც არ იყოს, ამ წყლებში ელექტოსინათლე სახიფათოც არის, მისმა შუქმა შეიძლება მოულოდნელად მიიზიდოს ამ მიდამოებში მობინადრე რომელიმე ონავარი ცხოველი.

- თოფები სადღაა? - ვკითხე კაპიტანს.

- თოფები? აქ თოფები რა საჭიროა! მთილები განა დათვებზე ხანჯლით არ მიდიან? განა ტყვია ფოლადზე საიმედოა? აი, ინებეთ ბასრი მახვილი, ქამარში გაირჭეთ და დავიძარათ.

კონსეის და ნედ გადავხედე. უკვე ჩამოეცვათ სპილენძის ზუჩები და ჩემსავით იყვნენ შეიარაღებული. ნედს კი ვეებერთელა ბარჯიც წამოეღო.

კაპიტნის მაგალითს მივბაძე და მეც დავიხურე ზუჩი. შეკუმშული ჰაერის აპარატი მალევე ამუშავდა. ერთი წუთის შემდეგ მეზღვაურებმა სათითაოდ ჩაგვიშვეს ზღვის ფსკერზე, ნახევარ-მეტრ სიღრმეზე.

მზე საკმაო სინათლეს გვაწვდენდა წყალქვეშა მოგზაურებს. სინათლე იმდენად ძლიერი იყო, რომ პაწაწა საგნებსაც კი ვარჩევდით. ნიადაგი თანდათან ვაკდებოდა. ცალფრთიანი თევზის ქარავანი ქარავანზე იშლებოდა წინ და უკან, როგორც ლიანის გუნდმა იცის ჭაობიან ადგილებში. მომრგვალებული სამკუთხედის მოყვანილობისა იყო ეს თევზები და მოსასმელი ფრთა ბოლოზე ჰქონდათ.

რამდენიმე უშველებელი კიბოც ვნახეთ. ეს მახინჯი ცხოველი საოცარი ღონით და ალღოთი დაუჯილდოებია ბუნებას: ზღვის პირას მდგარ ქოქოსის ხეზე აფოფხდა და კავალს ყრის. ძირს დაცემული კაკალი შუაზე იპობა და მაშინ კიბო თავისი ღონიერი თათებით ლებანს აცლის და შეექცევა. ამ კამკამა წყალში ზღვის კიბო

საოცარი სიმარდით დარბოდა, ხოლო ზღვის კუ ძლივძლივობით მიხოხავდა კლდის ნაპრალებში.

შვიდი საათი იქნებოდა, როდესაც მარგალიტის შლამიან ადგილებს მივაღწიეთ. ამ მიდამოებში ნიუარები მილიონობით მრავლდება.

ეს ძვირფასი თონთლო ცხოველები თავისი მოშავო ბუსუსებით კლდეებს ეწებება და ამის გამო გადანაცვლება არ შეუძლიათ.

ამ მხრივ, ნამდვილ ნიუარაზე დაბლა დგანან, რადგანაც ნიუარებისთვის ბუნებას მოძრაობის უნარი მაინც მიუწიჭებია.

მოზრდილი მარგალიტის ნიუარა მომრგვალო მოყვანილობისა და ორ თანატოლი ხუფი აქვს. მისი სქელი ბაკანი გარედან ხორცლიანია. ზოგიერთ ნიუარას მომწვანო ლაქები ჰქონდა ქსელის მსგავსად. ეს იყო ზღვის ნორჩი ლოკოკინა. ზოგი ნიუარა უფრო ჩამკვრივებული და ჩაშავებული იყო, ათიოდე წლის მაინც იქნებოდა და სიდიდით ათ-თხუთმეტ სანტიმეტრს აღწევდა.

კაპიტანმა ხელით მანიშნა ნიუარების სიმრავლეზე. აქ ბუნების შემოქმედებითი უნარი ადამიანის დამანგრეველ ძალას აღემატება.

ასეთი დამანგრეველი ძალა ჰქონდა სწორედ ნედ ლენდს, რომელიც წელზე შემოკრულ პარკს გამალებით ავსებდა თონთლო ცხოველების ნიუარებით.

დიდხანს ვერსად ვჩერდებოდით, რადგან კაპიტან ნემოს ფეხდაფეხ უნდა მივყოლოდით.

კაპიტანი ნემო ისე თამამად მიაბოტებდა, გეგონებოდათ, აქაური ბილიკები სიარულით დაუცვეთიაო.

ფსკერი თანდათან მაღლდებოდა. ხელს რომ ავწევდი, ზღვის ზედაპირს ვაცილებდი. ზოგან ნიადაგი ფრიალო კლდესავით ეშვებოდა, ზოგან კი წვეტიან, მაღალ კლდებად აზიდულიყო. ამ კლდეთა ნაოჭებში უშველებელი კიბოები გაჩხერილიყვნენ, რომლებიც თავიანთ უმოძრაო თვალებს გვიშტერებდნენ.

უშველებელ ეხს წავადექით, ლამაზი ფერდობის კალთებზე. ეს ფერდობები ისეთი წარმტაცი ზღვის მცენარეულობით იყო შემკული, თითქოს შპალერი აუკრავთო. ეს ეხი თუ მღვიმე თავდაპირველად ჩაბნელებული მეჩვენა. მასში მზის სხივები ძლივს ატანდა.

კაპიტანი ამ მღვიმეში შევიდა. ჩვენც თან შევყევით. იქაურ სიბნელეს თვალი მალე შეეჩვია და თანდათან გავარჩიე პიტალო კლდის თავი, რომელსაც ნიადაგიდან ბუნებრივად ამოზრდილი ტინის სვეტები შესდგომოდა, თითქოს ტოსკანური ხუროთმოძღვრების უზარმაზარი სვეტებიაო.

"წეტავ ამ ახირებულმა ადამიანმა რისთვის მოგვიყვანა ამ წყალქვეშეთის მიდამოებში?" - გავიფიქრე, მაგრამ მალე ყველაფერს მივხვდი.

ციცაბო ფერდობი ჩავიარეთ და ფართო ჭავავით ამოღებული ფსკერის ძირს წავადექით. კაპიტანი ნემო აქ შედგა და ხელით მანიშნა იმ საგანზე, რომელიც თავდაპირველად ვერ შევამჩნიე.

ეს იყო უშველებელი ნიუარა, რომელიც სიმაღლით ორ მეტრს აღემატებოდა. ეს იმ ნიუარაზე დიდი იყო, რომელიც "ნაუტილუსის" დარბაზს ამშვენებდა.

მივუახლოვდი ამ თონთლო ცხოველის ბუდეს. თავისი ბუსუსა ძაფებით პიტალო კლდის სვეტს მისწებებოდა და აქ, ამ მიმყიდრულებული ეხის წყალში განმარტოებით იზრდებოდა და ვითარდებოდა.

ცხოველის ორივე ხუფი ნახევრად პირდაღებული იყო. კაპიტანი მიუახლოვდა. ხუფების შუა თავისი ხანჯალი აღმა ჩადო, რომ არ მოკუმულიყო და ფრთხილად გადასწია ფოჩებიან არშიასავით ჩახლართული.

ნიუარის შიგნით, ფოთლოვან ნაოჭებში, დავინახე ქოქოსის კაკლისოდენა მარგალიტი. მრგვალი მოყვანილობისა იყო, როგორც სფერო, ხასხასა, მოკამაზე და ამ განსაცვიფრებელ გამჭირვალე წყლის წიაღში ფასდაუდებელ ღირებულებას წარმოადგენდა. ცნობისმოყვარეობამ გამიტაცა და წავეპოტინე, მისი ხელი აღება მინდოდა, მაგრამ კაპიტანმა ნემომ უცებ შემაჩერა, ხანჯალი სათუთად გამოაცალა და ნიუარის ხუფი ნელ-ნელა დაიხურა.

კაპიტნის გულისთქმას მივხვდი: ამ ნიუარის საბურველის ქვეშ ხელუხლებლად დატოვა იგი, რომ დროთა განმავლობაში თანდათან ახალახალი კონცენტრირებული ფენებით გაზრდილიყო. მხოლოდ კაპიტანმა ნემომ იცოდა ზღვის ფსკერზე არსებული ამ ეხის შესახებ, სადაც სათუთად იზრდებოდა და ვითარდებოდა ბუნების შემოქმედების იშვიათი ნიმუში. კაპიტანს სურდა ეს ფასდაუდებელი საუნჯე თავის მდიდარ მუზეუმში გადაეტანა. იმ მარგალიტებთან შედარებით, რაც კი დღემდე მენახა, ეს მართლაც საოცრება იყო - ათი მილიონი მაინც ღირდა. ეს იყო ბუნების უბადლო შედევრი, მაგრამ ქალის სამკაულად და ფუფუნების საგნად ვერ გამოდგებოდა. რომელი ყურის ბიბილო გაუძლებდა მის სიმძიმეს?!

კაპიტანმა ნემომ, რაკი ამ ნიუარის ხილვით გული იჯერა, ეხი მიატოვა და უკან გამოვბრუნდით. მივდიოდით ნიუარებით მოფენილ შლამზე, გამჭირვალე და კამკამა წყალში.

გაფანტულად მივდიოდით, თითქოს ველზე ვსეირნობდით. ყველა ჩვენგანი იქ ჩერდებოდა, სადაც მოესურვებოდა. აღარ მაფიქრებდა არავითარი საფრთხე, რომელიც ჩემს გონებას წინათ გადაჭარბებულად ესახებოდა.

წყალქვეშეთის მთა, რომელზეც ავდიოდით, თითქმის ზღვის ზედაპირს ებჯინებოდა და მალე წყლიდან თავები ამოვყავით.

კონსეი წამომეწია, თავისი უშველებელი ზუჩი ჩემს ზუჩს მოუარახუნა და ცალი თვალით შემომცინა.

მაღლობი ადგილი რამდენიმე საჟენის მანძილზე მისდევდა. მერე კი ისევ ჩავეშვით ჩვენს ბუნებრივ სტიქიაში. ვფიქრობ, ახლა უკვე უფლება მაქვს, ასე ვუწოდო მას.

ათიოდე წუთის შემდეგ, წინ მიმავალი კაპიტანი ნემო უცებ შედგა და ხელის ქნევით გვიბრძანა, მახლობელ ბექობს მოვფარებოდით, თან ხელით ერთ ადგილზე მიმითითა. გულდასმით მივაჩერდი იმ მხარეს.

ხუთიოდე მეტრის მოშორებით გავარჩიე ჩრდილი, რომელიც ფსკერამდე აღწევდა... მაშინვე ონავარი ცხოველი დამიდგა თვალწინ, მაგრამ შევცდი. ამ შემთხვევაში ონავარ ცხოველთან არ გვქონდ საქმე.

ეს იყო ადამიანი, ცოცხალი ადამიანი, ინდოელი, მარგალიტის მაძიებელი მებადური. ალბათ სიღარიბემ თუ მოიყვანა აქ ასე ნაადრევად.

ჩემს გასწვრივ, რამდენიმე ფუტის ზევით, ვხედავდი ღუზაჩაშვებული ნავის ძირს.

კაცი გაშმაგებული ეშვებოდა ზღვის ფსკერზე, ფეხზე ქვამობმული და ისევე სწრაფად ზედაპირს უბრუნდებოდა. მისი ერთადერთი იარაღი ქვა იყო.

ფსკერზე რომ დავიდოდა, საჩქაროდ მოფხოჭდა ნიუარებს, პარკს გაავსებდა. ზედაპირზე აცურებულ ნავზე აცოდდებოდა, პარკს ცლიდა, თოვით ქვას ასწევდა, ფეხზე იბამდა და ისევ ფსკერზე ეშვებოდა. ფსკერზე ოცდაათი წამი თუ გაძლებდა, თორემ მეტს ვერა.

გულდასმით ვუცქერდი ამ სანახაობას. მებადური ვერ გვამჩნევდა, რადგან ჩრდილის ვიყავით შეფარებული. თითო ჯერზე ათიოდე ნიუარას თუ ფხოჭნიდა,

რადგანაც ძლივს გლეჯდა ხელით. ყველა ნიჟარაში როდი იქნებოდ მარგალიტი, რის გულისთვისაც საფრთხეში აგდებდა სიცოცხლეს. ახლა კი მივხვდი, თუ როგორ მოიპოვებენ მარგალიტს.

მისი მოძრაობა გაბედული და უყოფმანო იყო. ნახევარი საათის განმავლობაში არავითარი განსაცდელი არ შეხვედრია, მაგრამ უცებ, როდესაც ინდოელი მუხლებზე იყო დაჩოქილი, სახე შეეცვალა, მოსხლეტით გასწორდა წელში და ზედაპირისაკენ ასრიალდა. ვფიქრობდი რამ დასცა ასე თავზარი? მალევე მივხდი: მის გასწრივ უშველებელი ჩრდილი შევამჩნიე. ეს იყო უზარმაზარი ნათელთევზა, რომელიც პირდაღებული, ცეცხლოვანი თვალებით მისკენ მიექანებოდა. ენა ჩამივარდა შიშისაგან, მოძრაობის უნარი წამერთვა.

ონავარი ცხოველი ფრთების მძლავრი ტყლაშუნით, ელვასავით მიქროდა ინდოელისაკენ. ინდოელი მარჯვედ გაუსხლტა გვერდზე და მისი ბასრი კბილები აიცდინა, მაგრამ კუდს კი ვერ აერიდა: ცხოველმა ვეებერთელა კუდი გულში სთხლიშა და ზღვის ფსკერზე დასცა.

ეს ყოველივე თვალის დახამხამებაში მოხდა. ცხოველი ზურგზე შეტრიალდა ინდოელის გასაფატრად. კაპიტანი ნემო ხანჯალმომაჯრვებული გაექანა საშინელი ცხოველისაკენ, რომელიც ის იყო, თავის მსხვერპლს წაეტანა, მაგრამ რაკი ახალი მოწინააღმდეგ შეამჩნია, გულაღმა შეტრიალდა და მისკენ გამოექანა.

დღემდე არ მავიწყდება კაპიტნის პოზა. გულდამშვიდებით იდგა და მტაცებლის მოახლოებას ელოდა. ცხოველი რომ დაეტანა, კაპიტანი განზე გაუხტა, მარჯვედ აიცდინა მისი მძლავრი ფრთა და ხანჯალი მუცელში აძგერა.

საშინელი ბრძოლა გაიმართა.

მტაცებლის ჭრილობებიდან სისხლში შადრევნები იღვრებოდა. ზღვა წითლად შეიღება. ამღვრეულ სითხეში ვეღარაფერს ვარჩევდი. როდესაც წყალი ცოტათი დაიწმინდა, დავინახე, რომ კაპიტანი ნემო პირისპირ შებმოდა ცხოველს, ცალი ხელი ფრთაში ჩაევლო და მეორე ხელით ხალჯალს უყრიდა მუცელში, მაგრამ სასიკვდილო ჭრილობა ვერ მიეყენებინა. ცხოველი ისეთი გააფთრებით იბრძოდა, რომ აღელვებული ტალღებისაგან ძლივს ვიმაგრებდი თავს.

მინდოდა მივშველებოდი კაპიტანს, მაგრამ შიშისაგან გაქვავებული ვიდექი და ბრძოლის სურათს შევყურებდი. კაპიტანმა ვერ გაუძლო ცხოველის სიმძიმეს და მის ქვეშ, ფსკერზე დაეცა. ცხოველმა უშველებელი ხახა დაალო და ის იყო, კაპიტნის შენთქმას ლამობდა, რომ უცებ, ნედ ლენდი მისკენ გაქანდა და ბარჯი აძგერა. წყალი სისხლისფრად შეიღება. გულში განგმირული ცხოველი სასიკვდილოდ ბორგავდა. ზღვა აღელდა და კონსეი ძირს დასცა.

ნედ ლენდმა კაპიტანი განგმირულ მტაცებელს გამოარიდა, რომელიც მაშინვე წამოხტა, ინდოელს მიუახლოვდა, ფეხზე თოკი გადაუჭირა, ხელში აიტაცა და ზედაპირისაკენ წავიდა. ჩვენც მას მივყევით. მალუ ყველანი ინდოელის ნავთან გავჩნდით.

კაპიტანმა და კონსეიმ ინდოელს მოსულირება დაუწყეს.

გონდაკარგული ნელ-ნელა გამოცოცხლდა, თვალი გაახილა.

ნეტავ რა იფიქრა, როდესაც მისკენ დახრილი ოთხი ზუჩიანი თავი დაინახა?!?

კაპიტანმა ნემომ ჯიბიდან მარგალიტებით სავსე პარკი ამოილოდა ხელში ჩაუდო.

მისი დამფრთხალი, გაოგნებული თვალები მოწმობდა, რომ ვერ მიმხვდაიყო, რის წყალობით მიენიჭა სიცოცხლე და სიმდიდრე ერთად.

კაპიტანმა ნემომ გვანიშნა და ჩვენ ისევ საბედისწერო ფსკერს დავუბრუნდით. ნახევარი საათის შემდე "ნაუტილუსის" ნავს მივაღწიეთ, სადაც მეზღვაურების დახმარებით ზუჩები მოვიხსენით.

კაპიტანი ნემო უპირველესად კანადელს მიუბრუნდა:

- გმადლობთ, მისტერ ლენდ! - უთხრა მოწყვეტით.
- კაპიტანო, თქვენგან დავალებული გახლდდით, - უპასუხა ნედმა.
- "ნაუტილუსისკენ"! - უბრძანა მეზღვაურებს კაპიტანმა.

ნავი სწრაფად გასრიალდა. რამდენიმე წუთის შემდეგ, ონავარი ცხოველის ლეშს გადავეყარეთ, რომელიც ტალღებზე ქანაობდა. ინდოეთის ზღვის ონავარი ნათელთევზა სიგრძით ოც ფუტს აღემატებოდა. უშველებელი ხახა ტანის მთელ მესამედს უდრიდა. ეტყობოდა, დიდი იყო, ვინაიდან ზემო ყბაზე სწორი სამკუთხედის მოყვანილობის კბილები ექვს წყებად ჰქონდა.

მის ცერაში ვიყავი გართული, რომ ჩვენი ნვის მახლობლად, თორმეტიოდე ასეთი ონავარი ცხოველი შევნიშნე. ჩვენთვის ყურადღება არც მოუქცევიათ, ლეშს მიესივნენ და ერთმანეთს პირდიდან ჰგლეჯდნენ.

ათის ნახევარზე "ნაუტილუსი" მივაღწიეთ. მანარის წყლებში გასეირნების შესახებ ბევრი ფიქრის შემდეგ ორი დასკვნა გამოვიტანე: პირველი დასკვნა ადასტურებდა კაპიტან ნემოს არაჩვეულებრივ გამბედაობას და სიმამაცეს, მეორე კი - მის თავგანწირვას ადამიანის გადასარჩენად.

რაც უნდა ბევრი ელაპარაკა ამ ადამიანს, ქვეყნიერებასთან კავშირი მაქვს გაწყვეტილიო, მის გულში არ ჩამქრალიყო თანაგრძნობა განწირულისადმი.

თავად კაპიტანსაც შევეკითხე მისი საქციელის შესახებ და ასეთი ჟაჟუხი გამცა:

- ის კაცი ინდოელი იყო, დაჩაგრული ქვეყნის შვილი. მე კი მუდამ ვეხმარებოდი და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე დავეხმარები დაჩაგრულ ხალხს.

თავი IV

მეწამული ზღვა

29 იანვარს ცეილონის კუნძული ჰორიზონტს მიეფარა და "ნაუტილუსი" შეჰვება მალდივის და აკედივის კუნძულებს შუა მდებარე არხებს. ჩვენ მოვუხვიეთ კიტანას მარჯნის კუნძულს. ეს კუნძული 1499 წელს ვასკო-და-გამამ აღმოაჩინა.

უკვე 1620 მილი გვერდა გავლილი იაპონიის წყლების შემდეგ.

მეორე დღეს, 30 იანვარს, როდესაც "ნაუტილუსი" ზედაპირზე ამოცურდა, თვალსაწიერზე ხმელეთი არ მოჩანდა. გემი ჩრდილო-დასავლეთისკენ მიცურავდა და ომანის ზღვისკენ მიემართებოდა. ეს ზღვა არაბეთის და ინდოეთის ნახევარკუნძულებს შუა მდებარეობს და სპარსეთის სრუტის მისავალს წარმოადგენს.

ჩვენ თვალწინ გადაშლილიყო ზღვის უკიდეგანო სივრცე.

- საით მიგვაქროლებს კაპიტანი ნემო? - მკითხა კანადელმა.
- მეგობარო ნედ, ჩვენ იქით მივქრით, საითაც მისი ფანტაზია მიგვაქროლებს, - ესლა ვუპასუხე.

- მისი ფანტაზია შორს ვერ წაგვიყვანს. სპარსეთის ზღვას გასავლელი არსაით აქვს და თუ ამ ზღვაში შევცურეთ, უკანვე დაგვჭირდება გამობრუნება!

- მერე რა, ჩვენც უკან გამოვბრუნდეთ, მისტერ ლენდ. თუ სპარსეთის ყურეში შესვლის შემდეგ "ნაუტილუსი" მეწამულ ზღვაში მოისრულებს შეცურებას, ბაბ-ელ-

მანდების სრუტე ხომ ისევ ძლვე ადგილას მდებარეობს, ის გაგვიხსნის თავისუფალ გზას.

- პროფესორო, როგორ შემოგადროთ განმარტება, მაგრამ მეწამული ზღვა ისეთივე დახურულია, როგორც ყურე, რადგანაც სუეცის ყელი იქ მდებარეობს და სუეცის არხი კი ჯერ არავის გაუჭრია.

- მე იმას როდი ვამბობ, ევროპისაკენ გავზრუნდებით-მეთქი.

- მაშ, როგორ გგონიათ?

- ჩემი აზრით, "ნაუტილუსი", ალბათ, არაბეთსა და ეგვიპტის ზღვებს მოივლის და ისევ ინდოეთის ოკეანეს დაუბრუნდება, თუნდაც მოზამბის სრუტით ან კიდევ მარკოსენის კუნძულებს ჩაუვლის და კეთილი იმედის კონცხს მიაღწევს.

- მითხარით, გეთაყვა, მალე მივაღწევთ კეთილი იმედის კონცხს? - დაჟინებით შემეკითხა კანადელი.

მის გულისთქმას მივწვდი და ვუპასუხე:

- მერე რა იქნება? ჩვენ შევცურდებით ატლანტის ოკეანეში, რომელსაც ჯერ არ გვაცნობივართ... ასე რომ, მეგობარო ნედ, განა თქვენ უკვე მოგბეზრდათ წყალქვესა მოგზაურობა? ნუთუ მოგწყინდათ წყალქვეშეთის საოცრებათა ხილვა? ... უნდა გამოგიტყდეთ, ნედ, რომ გული საშინლად დამწყდებოდა, ეს მოგზაურობა რომ შეწყვეტილიყო. ეს ხომ იშვიათთა ხვედრია!

- პროფესორო არონაკს, იცით თუ არა, რომ უკვე სამი თვე სრულდება, რაც "ნაუტილუსზე" ტყვეებად ვიმყოფებით? - მიპასუხა კანადელმა.

- არა, ნედ, არ ვიცი... და არც მინდა ვიცოდე... მე არც დღეებს ვითვლი, არც საათებს.

- მერე, პროფესორო, ყველაფერი ეს რითი უნდა დასრულდეს?

- დასასრული თავად მოვა თავის დროზე. ესეც არ იყოს, ამჟამად ხომ ვერაფერს გავხდებით და ტყუილად ვიმტვრევთ თავს. ჩემო პატიოსნებით აღსავსე მეგობარო ნედ, რომ მოსულიყავით და გეთქვათ ჩემთვის: "გაქცევს საშუალება არის", - მაშინ ერთად ავწონ-დავწონიდით სიტუაციას, მაგრამ ასეთი შემთხვევა რომ არ გვძლევა! გულახდილად უნდა გითხრა, ჩემო კარგო, რომ კაპიტანი ნემო, ვგონებ, ვერასოდეს გაბედავს ევროპის ზღვებში შეცურვას.

ამ მოკლე საუბრიდანაც დაინახავთ, რომ "ნაუტილუსს" ვეთაყვანებოდი, სულითა და გულით მივენდე კაპიტნის ნებისყოფას. ნედ ლუნდმა კი ლაპარაკი ასე დაასრულა:

- ეგ ყველაფერი კარგია, პროფესორო, მაგრამ ჩემი აზრით, სადაც ძალმომრეობაა, იქ სიამოვნება ვერ იქნება.

ოთხი დღის განმავლობაში, 3 თებერვლამდე, "ნაუტილუსი" ომანის ზღვაზე მიცურავდა სხვადასხვა სიჩქარით და სხვადასხვა სიღრმეზე; გეგონებოდათ ალალბედზე მოძრაობს, ყოყმანობს, გეზის აღება ვერ მოუხერხებიაო. ერთხელაც არ გადაუსერავს კირჩხიბის ტროპიკი.

ომანის ზღვის გამოსვლათან ერთი თვალის დაკვრით დავინახე ომანის დედაქალაქი მასკატი. თვალწარმტაცი იყო ეს საოცარი ქალაქი. შავი კლდეების უბეებში იყო გაშენებული და ამ შავ ქარგაზე თეთრად აზიდულიყო ციხე-სიმაგრეები და სახლები ... ეს იყო მხოლოდ ერთი თვალის დაკვრა და "ნაუტილუსი" მყისვე ჩაეშვა ზღვის სევდიან უფსკრულში.

5 თებერვალს ადენის ყურეში შეცურდით. იგი ისე ებჯინება ბაბ-ლემანდების სრუტის ყელს, გეგონებათ, უშველებელი ძაბრი მიუდგამთო. ინდოეთის ოკეანის წყალი ამ სრუტით ჩაედინება მეწამულ ზღვაში.

6 თებერვალს ქალაქ ადენის მახლობლად მივცურავდით. ეს ქალაქი კონცხზეა გაშენებული და ხმელეთს ვიწრო ყელით უერთდება. ეს არის ერთგვარი მიუდგომელი ჰიბრალტარი. 1839 წელს იგი ინგლისელებს დაუპყრიატ და გაუმაგრებიათ კიდეც.

ამ ადგილას რომ მივაღწიეთ, მეგონა კაპიტანი ნემო უკან გამობრუნდებოდა, მაგრამ "ნაუტილუსმა" ისევ განაგრძო გზა.

7 თებერვალს ბაბ-ელ-მანდებისი სრუტეში შევცურეთ. არაბულად ეს სახელწოდება ნიშნავს "ცრემლების ბჭეს". სრუტე სიგანით ოცი მილი იქნება, სიგრძით - ორმოცდათორმეტი კილომეტრი. "ნაუტილუსი" სრული გაქანებით მისრიალებდა და მთელი სრუტე ერთ საათში გაიარა. თვალიც კი ვერ მოვკარი კერიმას კუნძულს, რომელზეც ინგლისელებს ქალაქ ადენის დასაცავად სიმაგრეები აეგოთ.

ამ ვიწრო სრუტესი აუარებელი გემი მიდი-მოდიოდა ინგლისისა თუ საფრანგეთისა. ისინი სუეციდან მიემართებოდნენ კალკუტისკენ, ბურბონის ან მავრიკიისკენ. ამ სრუტეში "ნაუტილუსს" ცხვირიც არსად ამოუყვია, ერიდებოდა, არსად შეემჩნიათ და ზღვის სიღრმეზე მიცურავდა.

შუადღისას მეწამული ზღვის ტალღებში შევცრუდით. მეწამულ ანუ წითელი ზღვას შემდინარე წყლები არა აქვს და პაპანაქება სიცხეში ჭარბად ორთქლდება. მისი დონე ყოველწლიურად მეტრ-ნახევარით იკლებს. ეს ზღვა ტბასავით შეკრული რომ ყოფილიყო, სრულიად დაშრებოდა, მაგრამ მისი კალაპოტი გაცილებით დაბალია კასპიის და მკვდარი ზღვის დონესთან შედარებით. ეს ზღვებიც მუდამ იკლებდა და შრებოდა, სანამ მათი შემდინარე წყლების ოდენობა მათ აორთქლებას არ გაუთანაბრდა.

მეწამული ზღვის სიგრზე ორი ათას ექვსასი კილომეტრია, საშუალო სიგრძე კი - ორს ორმოცი. უძველეს ხანაში ეს ზღვა უდიდესი სააღებმიცემო ძარღვი იყო მთელი მსოფლიოსათვის. სუეცის არხმა და რკინიგზამ მას ადრინდელი მნიშვნელობა კვლავ აღუდგინა.

არ ვიცი, რამ მოიყვანა კაპიტანი ნემო ამ სრუტეში, თუმცა კმაყოფილი დავრჩი აქ მოსვლით. "ნაუტილუსი" საშუალო სვლით მიცურავდა მის ზედაპირზე, მაგრამ თუ რომელიმე გემს შეასწრებდა თვალს, მაშინვე სიღრმესი ეშვებოდა. ასე რომ, ზღვის ზედაპირსაც ვაკვირდებოდი და მის სიღრმესაც.

8 თებერვალს, განთიადისას, თვალწინ გადაგვეშალა ქალაქი მოკა, რომელიც ამჟამად ნანგრევებსდა წარმოადგენს. მისი კედლები ზარბაზნის ხმაზეც კი იმსხვრევა. მხოლოდ აქა-იქ მოჩანდა მწვანედ აზიდული დანაკის კუდი და ინდის ხურმა. უწინ ამ ქალაქს დიდი სააღებმიცემო მნიშვნელობა ჰქონდა. ქალაქს უამრავი საცხოვრებელი სახლი ამშვენებდა, მარტო ბაზარი ექვს ადგილზე მოეწყოთ. სამი ვერსის ირგვლივ კი ქალაქს თორმეტ წყებად ერტყა გალავანი.

"ნაუტილუსმა" აფრიკის სანაპიროებს მიატანა. აქ ზღვა თვალსაჩინო სიღრმისაა. აქვეა კამკამა წყლის ორი დინება.

დარბაზის დარაბები გაეჩიათ და ჩვენ თვალწინ საოცარი სანახაობა იშლებოდა: ვხედავდით მარჯნის საუცხოო ბუჩქებს და უზარმაზარ, ჩამოთლილ კლდის ნაპრალებს, რომლებიც მწვანე ხავერდის ხალიჩებივით დაფარულიყო უამრავი ზოოფიტით. თვალწარმტაცი და მომაჯადოებელი სანახაობა იყო! რამდენიმე მოხასხასე ადგილი, რამდენი წალკოტი და მდელოა ამ წყალქვეშა კლდეებში და ვულკანურ კუნძულებზე, რომლებიც ლიბანის კიდეებს ეკვრის! ეს მომხიბლავი

წყალქვეშა მცენარეულობა უფრო მდიდარია აღმოსავლეთის სანაპიროებთან, რომელსაც ახლა "ნაუტილუსი" უახლოვდებოდა.

ეს გახლდათ თელამის ნაპირები.

აյ ბუდობს და ყვავის უამრავი ზოოფიტი, რომელთა გადახლართული მწვრივი ზღვის დონეს დაცილებია, მაგრამ ალაგ-ალაგ წყლის ზედაპირზე ჯადოსნურად ჩახლართულა. იგი ზედაპირზე უფრო წარმტაცია ვიდრე წყალქვეშა შტოებგაბმული, თუმც წყალში მას მუდმივი სინოტივე ხასხასა ელფერს ჰმატებს.

ამ მომხიბლავმა სანახაობამ თვალი მოგვტაცა და მთელი საათობით გავცეროდით დარბაზის ფანჯრებიდან. ელექტრონის კაშკაშზე თვალწინ გვეშლებოდა წყალქვეშეტის ფლორისა და ფაუნის უთვლავი და იშვიათი ნიმუშები.

"ნაუტილუსი" ათიოდე მეტრის სიღრმეზე წყნარად მიცურავდა აღმოსავლეთის კეკლუცი სანაპიროების გასწვრივ. ზღვის ფსკერზე ათასნაირი ღრუბელი ვნახე: ყლორტის მაგვარი, ფოთოლა, მომრგვალო თუ ბრტყელი; ზოგი კალათისებურად იყო ჩამოწოლილი, ზოგი ფინჯნის მოყვანილობის, ზოგიც თითისტარის მსგავსი. აյ ვნახეთ ე.წ. "ნეპტუნის ხელთათმანიც", რომელიც მისთვის მებადურებს შეურქმევია.

ეს სახელწოდება უფრო პოეტურია, ვიდრე მეცნიერული. ღრუბელის ბუსუსიანი ქსოვლიებიდან, რომელი გრილი სითხისებრი ნივთიერებითაა გაუდენთილი, განუწყვეტლივ მოდის წყლის შეხფი, რომელსაც ღრუბლის ქსოვილის შეკუმშვის ძალა ისვრის გარეთ. როდესაც ღრუბლის ქსოვილი ანუ პოლიპი კვდება, ეს ნივთიერებაც იკარგება, ქრება. პოლიპის დალპობის შემდეგ რჩება მხოლოდ რქის მაგვარი ბოჭკო, რომელიც საოჯახო ღრუბელს წარმოადგენს. მას მოყვითალო ელფერი დაკრავს და სხვადასხვა საჭიროებისათვის იხმარება, იმისდა მიხედვით, თუ პოლიპის სრული დალპობის შემდეგ თვითონ ქსოვილი რამდენად მკვრივია ან გამჭირვალე.

ეს ცხოველები მიწებებულია კლდეებზე, ნიჟარებზე, წყალქვეშა მცენარის ყლორტებზე. ზოგი ფსკერის ძირზე, ფოსოებში ჩამჯდარა, ზოგი ზევით ამართულა ან მარჯნის მეჭეჭივით ჩამოკიდებულა.

კონსეის განვუმარტე, რომ ამ ღრუბლებს ორნაირი წესით აგროვებენ: ან მოსმით, ან ხელით. მათი მოგროვება ხელით სჯობს, თუმცა ამას მყვინთავი სჭირდება. სამაგიეროდ, მისი ქსოვილი შეუცვლელი რჩება, ეს კი ღირებულებას ჰმატებს.

ვნახეთ უამრავი სხვა ზოოფიტი იმავე ღრუბლის ჯიშისა, ლამაზი და ნაზი მედუზები.

9 თებერვალს "ნაუტილუსმა" მეწამული ზღვის უგანიერეს ადგილებს მიაღწია. დასავლეთის ნაპირებზე მდებარეობდა სუაქიმა, აღმოსავლეთის კიდეზე კი კონფოდა. ამ ადგილებში მეწამული ზღვის სიგანე ცხრაას მიღს უდრის.

შუადღისას კაპიტანი ნემო ბაქანზე ამოვიდა. გადავწყვიტე, არ მოვშორებოდი, სანამ გაკვრით მაინც არ ვათქმევინებდი, საით მიგვაქროლებდა. რომ დამინახა, მომიახლოვდა, სიგარა შემომთავაზა და მითხრა:

- რას მეტყვით, პროფესორო, მოგწონთ თუ არა მეწამული ზღვა? კარგად დაათვალიერეთ აյ დაგროვილი საუნჯენი? იხილიეთ მისი ჯადოსნური სანახაობანი, მისი თევზები, ზოოფიტები, მისი ღრუბლების ყვავილნარი და მარჯნის ტყეები? თვალი ხომ გადაავლეთ მის სანაპიროებზე გაშენებულ ქალაქებს?

- ყოველივე ვნახე, და აღტაცებული ვარ. ასეთი გამოკვლევისათვის თქვენი "ნაუტილუს" მეტისმეტად გონივრულად არის მოწყობილი.

- დიახ, პროფესორო არონაკს, ეს გემი გონივრულიცაა, გაბედულიც და დაუზინებელიც! მას ვერ აშინებს ვერც მეწამული ზღვის ქარტეხილი და გრიგალი, ვერც მისი დინება, ვერც წყალქვეშა კლდეები.

- მართლაც, ეს ზღვა ყველაზე უფრო სახიფათო ზღვად მიიჩნევა. ბევრ საშინელებას აწერდნენ მას უწინდელ დროში.

- საძაგელი ზღვა გახლავთ, პროფესორო. ბერძენი და რომაელი მემატიანენი ძალიან ემდურიან მას. სტრაბონი აღნიშნავს, რომ ეს ზღვა განსაკუთრებით სახიფათოა ქარის და წვიმის დროს. არაბი ედრიზი ამ ზღვას კოლცუმის ყურეს უწოდებს და გადმოგვცემს, რომ მის თავთხელ წყლებში აუარებელი გემი დაღუპულა და ღამღამობით მასზე მოგზაურობას ვერავინ ბედავდაო. მისი სიტყვებით, ამ ზღვამ გრიგალი და ქარტეხილი იცის და საერთოდ, "სახეირო არაფერს წარმოადგენს", არც სიღრმეში და არც ზედაპირზე.

- როგორ ეტყობა, რომ ამ ისტორიკოსებს "ნაუტილუსით" არ უმოგზურიათ!

- ეჭვგარეშეა, - ღიმილით მიპასუხა კაპიტანმა, - ამ მხრივ ჩვენმა თანამედროვეებმა ძველებს ბევრად გაუსწრეს. რამდენიმე საუკუნე დასჭირდა ორთქლის მექანიკურ ძალის აღმოჩენას. ვინ იცის, ასიოდე წლის შემდეგ, ქვეყანას მეორე "ნაუტილუსი" ეღირსება?! პროგრესი ძალზე ნელი ნაბიჯით ვითარდება, პროფესორო არონაკს.

- კაპიტანო, თქმა არ უნდა, რომ თქვენმა გემმა ასიოდე წლით კი არა, რამდენიმე საუკუნით მაინც გაუსწრო თანამედროვე ხანას, დიდი უბედურებაა, რომ ასეთი ტექნიკური მიღწევა გამომგონებელთან ერთად უნდა დაიღუპოს.

ფიქრში წასული კაპიტანი ნემო დუმდა.

რამდენიმე წუთის შემდეგ წარმოთქვა:

- მე გიამბობდით ძველი ისტორიკოსების მოსაზრებებს მეწამული ზღვის შესახებ, არა?

- დიახ, მაგრამ შესაძლებელია მათი შიში გაზვიადებულიც იყო.

- ასე გახლავთ, პროფესორო არონაკს, მაგრამ მთლად მასეც არ არი, - მიპასუხა კაპიტანმა ნემომ. ეტყობოდა, "თავისი" მეწამული ზღვა ზედმიწევნით ჰქონდა შესწავლილი. კაპიტანმა განაგრძო:

- ის, რაც დღეს სახიფათო აღარ არის თანამედროვე გემისთვის, რომელიც მკვიდრად არის ნაგები და ორთქლის საშუალებით ყველა მიმართულებით შეუძლია გაცუროს, ძველებური გემისთვის მეტად საბედისწერო საქმე იყო. წარმოიდგინეთ, პროფესორო, პირვანდელი მეზღვაურები, რომელთაც ფიცრისგან შეკრული მომცრო ხომალდები ჰქონდათ, დანაკის კუდის ბაგირებით შეკრული, ხის დანაყილი წებოთი დაგმანული და ნათელთევზას ქონით გაპოხილი! არც გზის მაჩვენებელი ხელსაწყო გააჩნდათ და პირველყოფილი საშუალებით ვარაუდობდნენ გზის მიმართულებას. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ხომალდები ხშირად ეღუპებოდათ. დღეს კი სწრაფი ორთქლმავლისათვის საშიში აღარ არის არც ის ყურე, არც მისი გამუდმებული ქარის ქროლა. ასეთი გემები ახლა მიმოდიან სუეცისა და სამხრეთის ზღვის კიდეებზე მდებარე ნავსადგურებს შორის.

- გეტყობათ, ეს ზღვა საგულდაგულოდ შეგისწავლიათ, კაპიტანო. ნეტავ, რისთვის დაურქმევიათ მეწამული ზღვა?

- მაგის თაობაზე სხვადასხვა მოსაზრება არსებობს.

- მე მინდოდა, თქვენი აზრი გამეგო, კაპიტანო...

- ჩემი აზრით, ამ სახელწოდებაში სიტყვა "მეწამული" გადმოთარგმნილია ებრაული სიტყვიდან "ედომ", რაც ნიშნავს წითელს. წითელი კი იმიტომ დაურქმევიათ, რომ ამ ზღვას წითელი ანუ მეწამულისფერი დაკვრავს.

- რაც დღემდე გამოვიარეთ, სულ კამკამა წყლები იყო, კაპიტანო, მეწამული ფერი არსად დაჰკრავდა!

- დღემდე მართლა ასე იყო, მაგრამ რაც უფრო შორს შევალთ ამ ყურის სიღრმეში, წითელ ფერს შეამჩნევთ. თარას ნავსადგური რომ ვნახე, ისეთი წითელი ფერისა იყო, სისხლის ტბა გეგონებოდათ.

- თქვენი აზრით, ასეთი ფერი მიკროსკოპული მცენარეულობისკან იქმნება?

- დიახ, ეს არის პაწია მცნარეების გამონაჟონი ლორწოვანი ნივთიერება. მცენარე ისეთი პაწაწაა, რომ ერთ კვადრატულ მილიმეტრს ორმოცი ათასი მათგანი ძლივს დაფარავს. თქვენც იხილავთ ასეთფერად შეღებილ ზღვას, თუ თარას ყურეში მოხვდებით.

- მაშ პირველად არ ხართ მეწამულ ზღვაში თქვენი "ნაუტილუსით" -

- არა, პროფესორო, ეს მოგზაურობა პირველი არ არის.

- მითხარით, გეთაყვა, რა აზრისა ბრძანდებით სუეცის არხის შესახებ, ახლა რომ გაჰყვეთ? თუმცა თქვენს "ნაუტილუსს" რაში გამოადგება.

- მართალი ბრძანებაა, პროფესორო, ეს არხი "ნაუტილუსთვის" უსარგებლოა, მაგრამ მთელი მსოფლიოსათვის კი - სასარგებლო, მიპასუხა კაპიტანმა ნემომ, - უწინდელ ხალხს, ჩინებულად ესმოდა მეწამულ ზღვასა და ხმეთალშუა ზღვას შორის სავაჭრო ნაოსნობის მნიშვნელობა, მაგრამ სუეცის არხის გათხრა ვერავინ მოისაზრა. მაშინ მდინარე ნილოსით სარგებლობდნენ და უნდა ვივარაუდოთ, რომ გადმოცემის თანახმად, მეწამული ზღვისა და ნილოსის შემაერთებელი არხი მართლაც გათხრილი იყო. დანამდვილებით ვიცით, რომ არხი მართლაც არსებობდა და მას ნილოსი აწვდიდა წყალს. ეს არხი ეგვიპტის ველს გარდიგარდმო სერავდა არაბეთის გასწვრივ. ამ არხის ზევითაც შეიძლებოდა ნაოსნობა ოთხი დღის სავალზე. იგი ისეთი ფართო იყო, რომ ორი გემი მხარდამხარ გაეტეოდა. ისტორიკოს სტრაბონს საკუთარი თვალით უნახავს ამ არხში მოცურავე გემები. მაგრამ ჰუბასტადან მეწამულ ზღვამდე არსებული ძალზე მცირე დაქანების გამო ამ არხით წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვეს სარგებლობდნენ. მერე ეს არხი თანდათან სილით ამოივსო, მაგრამ კვლავ აღადგინეს. ბოლოს 761 თუ 762 წელს, არხი განზრახ ამოავსეს, რომ ერთი აჯანყებული ქალაქისათვის სურსათის მიწოდების გზა მოესპოთ. როდესაც ბონაპარტე ეგვიპტეს შეესია, სუეცის უდაბნოში ნახა ამ არხის ნაშთი. იქ მიუსწრო ზღვის მოქცევამ და კინაღამ დაიღუპა, სანამ მაჯაროტს მიაღწევდა.

- ახლა კი ლესეპსი გააკეთებს იმას, რაც ძველმა ხალხმა ვერ შეძლო. იგი ცხრა ათასი კილომეტრით შეამოკლებს მანძილს ყადიქსასა და ინდოეთს შორის და საცაა აფრიკასაც კუნძულად აქცევს.

- პროფესორო, თქვენ სრული უფლებით შეგიძლიათ თქვენი თანამემამულის სახელით იამაყოთ. მან უფრო მეტი დიდება მოუხვეჭა თქვენს ერს, ვიდრე უდიდესმა სარდლებმა. დიდი გაჭირვებით და მარცხით დაიწყო ეს საქმე, მაგრამ თავისი ნებისყოფით მაინც გაიტანა ლელო. მან მთელი სახელმწიფოს საქმე ერთი პიროვნების საქმედ აქცია და შარავანდედიც თვითონ მოიხვეჭა. ამისთვის დიდება და პატივისცემა ლესეპს!

- მართლაც, დიდება და პატივისცემა ლესეპს, - გავიმეორე მეც. გამაოცა კაპიტან ნემოს ასეთმა აღტაცებამ.

- სამწუხაროდ, სუეცის არხით ვერ გაგატარებთ, პროფესორო არონაკს. ისე კი უნდა მოგახსენოთ, რომ ზეგ დილით თქვენი თვალით იხილავთ პორტსაიდის ნაპირებზე ნაყარ მიწას, როდესაც ხმელთაშუა ზღვაში შევცურავთ.

- ხმელთაშუა ზღვაში?! - განცვიფრებით შევძახე მე.

- დიახ, პროფესორო, - მომიგო დინჯად, - განა ეს გაოცებთ?

- მე ის მაოცებს, კაპიტანო, რომ ბრძანეთ, ზეგ იქ ვიქნებითო.

- ნუთუ მართლა გასაოცარია?

- რა თქმა უნდა. თუმცა, მას შემდეგ, რაც "ნაუტილუსზე" ვიმყოფები, გაკვირვებასაც გადავეჩვიე.

- პროფესორო, მაინც რა უფრო გაკვირვებთ?

- უმთავრესად, სწრაფი სვლა, რომელიც "ნაუტილუსმა" უნდა განავითაროს. თუკი, ზეგ ხმელთაშუა ზღვაში შევცურავთ, მაშასადამე, უნდა შემოვუაროთ კეთილი იმედის კონცხს და თითქმის მთელ აფრიკაც!

- ვინ მოგახსენათ, კეთილი იმედის კონცხს შემოვუვლითო?

- დარწმუნებული ვარ, რომ "ნაუტილუსი" არც ხმელეთზე ცურავს და ვერც სუეცის ყელს გადააფრინდება.

- სუეცის ყელის ქვეშ!

- ყელის ქვეშ?

- დიახ, პროფესორო, ყელის ქვეშ, - დინჯად მიპასუხა კაპიტანმა ნემომ, - ბუნებამ დიდი ხნის წინ შექმნა სუეცის ყელის ქვეშ ის, რასაც დღეს ადამიანები ასეთი მძიმე შრომით აკეთებენ მის ზედაპირზე.

- როგორ, კაპიტანო? განა გასასვლელი გვირაბი არსებობს?

- დიახ, არსებობს მიწისქვეშა გასასვლელი, რომელსაც მე არაბეთის გვირაბს ვუწოდებ. გვირაბი იწყება სუეცის ყელთან და პელუზის ყურეში გადის.

- სუეცის არხში ხომ მოძრავი შლამი და ქვიშა?

- მოძრავი შლამი ერთგვარ სიღრმემდე აღწევს, ორმოცდაათი მეტრის ქვევით კი პიტალო კლდის ფენა იწყება...

გაშტერებული შევეკითხე კაპიტანს:

- კაპიტანო, შემთხვევით წააწყდით ამ გვირაბს?

- შემთხვევაც იყო, მაგრამ უფრო მოსაზრებით მივედი ამ დასკვნამდე ვიდრე შემთხვევით.

- კაპიტანო, გისმენთ, თუმცა მიძნელდება დავიჯერო.

- ეჭ, პროფესორო არონაკს, არათუ არსებობს ეს გვირაბი, არამედ რამდენჯერმე გამივლია კიდეც. ასე რომ არ იყოს, დღეს ვერ გავტედავდი ამ გვირაბით გავლას ხმელთაშუა ზღვაში.

- თუ კადნიერებაში არ ჩამომართმევთ, მითხარით, როგორ მიაგენით ამ გვირაბს?

- იმ ადამიანებს შორის, რომელთა ბედიც სამუდამოდ განუყრელია, არ უნდა არსებობდეს საიდუმლოება, - მიპასუხა კაპიტანმა ნემომ და განაგრძო:

- პროფესორო არონაკს, პირველად აზრი ამ გვირაბის არსებობის შესახებ დამებადა როგორც ნატურალისტს. ეს გვირაბი ჩემს გარდა არც ერთმა სულიერმა არ იცის. მოგზაურობი დროს შევამჩნიე, რომ მეწამულ ზღვასა და ხმელთაშუა ზღვაში მრავლად იყო ერთნაირი ჯიშის თვეზები. ამაში რომ დაგრწმუნდი, ჩემს თავს ვკითხე: ამ ორ ზღვას ხომ არაფერი აერთიანებს-მეთქი? თუ მათ შორის კავშირი არსებობს, მაშინ დინება ხმელთაშუა ზღვიდან მეწამულ ზღვისაკენ უნდა მიემართებოდეს, რადგანაც ხმელთაშუა ზღვის დონე უფრო დაბალია.

აუარებელი თევზი დავიჭირე სუეცის მიდამოებში, ბოლოებზე სპილენძის რგოლები შევაბი და ისევ ზღვაში გადავისროლე. რამდენიმე თვის შემდეგ, ჩემი რგოლებიანი თევზები ბადეს ამოჰვა სირიის ნაპირებთან. ამან საბოლოოდ დამარწმუნა, რომ ამ ორ ზღვას შორის მიწისქვესა კავშირი არსებობს. ჩემი "წაუტილუსით" ვეძებე ეს გასასვლელი, ბოლოს მივაგენი და გავცურე კიდეც ხმელთაშუა ზღვაში.

ორიოდე საათის შემდეგ თქვენც გაგატარებთ, პროფესორო, არაბეთის გვირაბით!

თავი V

არაბეთის გვირაბი

ეს ახალი ამბავი, რომ ორი დღის შემდეგ ხმელთაშუა ზღვაში ვიქწებოდით, იმავე დღს, კონსეის და ნედ ლენდს გავუზიარე. კონსეიმ გაოცებით ტაში შემოჰკრა, ნედ ლენდმა მხრები აიჩეჩა და ჩაილაპარაკა:

- წყალქვეშა გვირაბი?! ზღვებს შორის კავშირი! სად თქმულა, სად გაგონილა?!
- მეგობარო ნედ, განა თქვენ ადრე იცოდით რამე "წაუტილუსის" არსებობაზე? ხომ არ იცოდით? მაგრამ ხომ ნახეთ, რომ არსებობს! მაშასადამე, მხრებს ნუ იჩეჩავთ, სანამ საქმეს არ აწონ-დაწონით, უარს ნუ იტყვით მხოლოდ იმის გამო, რომ მის შესახებ ჯერ არაფერი გსმენიათ!
- ვნახოთ კონსეი, ვნახოთ! - თავის ქნევით უპასუხა ნედმა, - ყოველ შემთხვევაში ვთქვათ, რომ ასეთი გვირაბი, რომლის შესახებაც თქვენს კაპიტანს უბრძანებია, მართლაც არსებობს... გულით და სულით მინდა, რომ მოახერხოს როგორმე და ხმელთაშუა ზღვაში ამოგვაყოფინოს თავი!

"წაუტილუსი" ზედაპირზე მიცურავდა და იამვე საღამოს ჩრდილო განედის 21°30'-ზე მიუახლოვდა არაბეთის ნაპირებს. გამოჩნდა ქალაქი ჯედა. ეს ქალაქი თვალსაჩინო სავაჭრო ადგილია ეგვიპტეს, სირის, ოსმალეთსა და ინდოეთს შორის.

გარკვევით მოჩანდა ზღვისპირას გაშენებული თეთრი შენობები და ჩამწკრივებული გემები, რომელთა უმეტესობაც ღუზაჩაშვებული, რეიდზე იდგა. თეთრ შენობებს მზის სხივები პირდაპირ სცემდა და მკაფიო ელფერით აელვარებდა. ქალაქის განაპირას ფიცრული და ჩალის ქოხმახები მოჩანდა. ალბთ, ბედუინების უბანი თუ იყო.

ქალაქი ჯედა მალე თაინთქა საღამოს ბინდბუნდში და "წაუტილუსი" ტალღებში ჩაიმალა.

მეორე დღეს, 10 თებერვალს, გზად რამდენიმე გემი შემოგვეყარა. მათ დანახვაზე "წაუტილუსმა" სწრფად ჩაყვინთა. შუადღისას ზღვაზე სულიერი არ ჭაჭანებდა და "წაუტილუსი" ზედაპირზე ნახევრად ამოტივტივდა.

ნედ ლენდი, კონსეი და მე ბაქანზე ავედით, აღმოსავლეთის მხარეს ნისლში მოჩანდა ნაპირი.

მოაჯირზე დაყრდნობილი გავცეროდით ზღვას და ვსაუბრობდით.

უცებ ნედ ლენდმა რაღაც საგანზე მიმითითა:

- პროფესორო, იქ ვერაფერს ამჩნევთ?

- ვერა, ნედ, ვერაფერს, მე ხომ თქვენისთანა გამჭრიახი თვალი არა მაქვს.

- აბა, კარგად დააკვირდით, - მითხრა მან, - აგერ იქ, ჩვენს პიდაპირ მარჯვენა მხარეს, ჩვენი შუქურის გასწვრივ!... ნუთუ ვერაფერს ამჩნევთ? თითქოს მოძრაობს კიდევ.

- მართალი ხართ, ნედ, ისე მეჩვენება, თითქოს ზღვის ნაპირზე მოგრძო სხეულს ვხედავდე შავად, - ვუპასუხე კარგა ხნის დაკვირვების შემდეგ.

- ახალი "ნაუტილუსი"! - წამოიძახა კონსეიმ.

- არა, კონსეი, თუ არ ვცდები, ეგ ზღვის რომელიმე ცხოველი უნდა იყოს.

- განა მეწამულ ზღვაში ვეშაპი ბუდობს? - იკითხა კონსეიმ.

- დიახ, საყვრელო მეგობარო, ამ ზღვაში ვეშაპები იცის...

- უკაცრავა, ეგ ვეშაპი არ გახლავთ, პროფესორო! - თქვა ნედმა და თან თვალს არ აშორებდა საოცარ ცხოველს, - ვეშაპი რომ ყოფილიყო მაშინვე ვიცნობდი, მათზე დიდი ხანია თვალი მაქვს შეჩვეული.

- დავიცადოთ და მალე შევიტყობთ, - ჩაურთო კონსეიმ, - "ნაუტილუსი" იმ მხარეს უახლოვდება.

მართლაც, ერთი მილის მანძილზე მივუახლოვდით იმ მოშავო საგანს. უშველებელი იყო. წყალქვეშა კლდე გეგონებოდათ, მაგრამ ვერ გავარჩიეთ, რა ცხოველი იყო.

- შეხედეთ ერთი, როგორ დაცურავს! როგორ ყვინთავს! - წამოიძახა ნედ ლენდმა, - ეშმაკის კერძი! ნეტავ, რა ცხოველია? ბოლო ორად გაყოფილი არა აქვს, როგორც ვეშაპს ან კაშალოტს... ფარფლებიც დამორილი აქვს... ერთი უყურეთ! ზუგზე გადაბრუნდა! გულაღმა დაწვა!

- სირინოზი! - უცებ წამოიძახა კონსეიმ, - პროფესორმა რაც არ უნდა ბრძანოს, ეს ნამდვილი სირინოზია.

ამ სიტყვამ ჭეშმარიტ აზრზე დამაყენა და მივხვდი, რომ ცხოველი იმ ჯიშისა იყო, რომელსაც ხალხური ფანტაზია სირინოზს ანუ ქალთევზას უწოდებს.

- არა, კონსეი, სირინოზი როდია, ქალთევზას რომ უწოდებენ. ეგ არის მეტად საგულისხმო ცხოველი და მეწამულ ზღვაში ბევრია. მას დიუგონი ეწოდება. ეს არის ზვღვის ფური.

- სირინოზის ჯიშის, თევზის ჯურის, ძუძუმწოვარათა კალსის, ხერხემლიანთა ჯგუფის! - ჩაურთო კონსეიმ. მისი განმარტებას დამატება აღარ სჭირდებოდა.

ნედ ლენდი გატაცებით მისჩერებოდა დიუგონს. თვალებში ცეცხლი ენთო. მუშტი მოეკუმა, თითქოს ბარჯი უნდა სტყორცნოსო. გეგონებოდათ, მარჯვე წუთს ელოდება, რომ ზღვაში გადაეშვას და ცხოველს შეებასო.

- პროფესორო, ჩემს დღეში ასეთი ცხოველი არ მომიკლავს! - მღელვარებისაგან ათრთოლებული ხმით მომმართა მან.

ამ სიტყვებში გამოიხატა მთელი მისი ბუნება.

ბაქანზე კაპიტანი ნემო ამოვიდა. თვალი მოჰკრა დიუგონს. ნედ ლენდს ალექსილ სახეზე შეატყო გულისწადილი და უთხრა:

- მისტერ ლენდ, ახლა ბარჯი რომ გეჭიროთ, ალბათ ხელს დაგწვავდათ...

- მართალს ბრძანებთ, კაპიტანო!

- გულით გინდათ, თქვენ მიერ დახოცილი ვეშაპებს ეს ცხოველიც მიუმატოთ?

- გულით და სულით!

- თუ გნებავთ, სცადეთ!

- გმადლობთ, კაპიტანო! - უპასუხა ნედმა და თვალები გაუბრწყინდა.

- ოღონდ გირჩევთ, არ ააცდინოთ!

- განა დიუგონზე ნადირობა სახიფათოა? - შევეკითხე კაპიტანს.

კანადელმა მხრები აიჩეჩა.

- ზოგჯერ სახიფათოა, - მიპასუხა კაპიტანმა ნემომ, - ხდება ხოლმე, რომ ეს ცხოველი მონადირეს აქეთ შემოუტევს და ნავიანად გადააბრუნებს, მაგრამ ნედ ლენდს ეს არ აფიქრებს. მას ფხიზელი თვალი აქვს, მტკიცე მარჯვენა. ვურჩევ, ხელიდან არ გაუშვას ეს ცხოველი, რადგანაც საუცხოო ხორცი აქვს.

- ერთი უყურე მაგას! მაშ, ხორციც გემრიელი აქვს?

- დიახ, მისტერ ლენდ, მისი ხორცი ძვირად ფასობს და ამ საუცხოო ცხოველზე თავგამოდებით ნადირობენ. რაც დრო გადის, თანდათან იშვიათად გვხვდება, როგორც ამავე ჯიშის ლამანტინი.

- თუ ასეა, - სერიოზული კილოთი დიწყო კონსეიმ, - უმჯობესი იქნება, ეს ცხოველი შევიბრალოთ და მეცნიერებს ცოცხალი დავუტოვოთ! ვინ იცის, იქნებ თავისი ჯიშის უკანასკნელი ნიმუშია.

- მეცნიერბისათვის იქნებ ასე სჯობდეს, მაგრამ ჩვენი სამზარეულოსთვის მისი ხორცი აუცილებელია! - ჩაურთო კანადელმა.

- მაშ, საქმეს შეუდექით, ნედ! - უპასუხა კაპიტანმა.

ბაქანზე ამოვიდა მუდამ უსიტყვო და უშფოთველი შვიდი მეზღვაური. ერთს ბარჯი ეჭირა წვრილი ბაგირით, როგორიც ვეშაპზე სანადიროს აქვთ ხოლმე. ნავი ზღვაში ჩაუშვეს. მეზღვაურები ნიჩბებს მიუსხდნენ, მესაჭე საჭესთან მოთავსდა. კონსეი, ნედ ლენდი და მე ნავის თავში მოვექეცით.

- თქვენ არ მობრძანდებით, კაპიტანო? - ვკითხე ნემოს.

- არა, პროფესორო, ბედნიერ ნადირობას გისურვებთ!

ნავი მოსცილდა "ნაუტილუსს" და სწრაფად გასრიალდა დიუგონისკენ, რომელიც ორი მილის მოშორებით მოჩანდა.

რამდენიმე კაბელტოვის მანძილზე რომ მივუახლოვდით, ნავმა სვლას უკლო. ნიჩბები უხმაუროდ და მწყობრად ეშვებოდა დაწყნარებულ ზვირთებში. ბარჯმომარჯვებული ნედ ლენდი ნავის ცხვირთან იდგა.

ვეშაპზე სანადიროდ ბარჯს გრძელი ბაგირის გორგალი აბია ხოლმე, რადგანაც დაჭრილი ცხოველი ბარჯს შორს იტაცებს. ნედის ბარჯს კი ათიოდე საჟენის სიგრძის ბაგირი ება, ბაგირის მეორე წვერზე გამობმული იყო პატარა კასრი. როდესაც დაჭრილი ცხოველი ბარჯს თან გაიტაცებს, მოტივტივე კასრი უჩვენებს ცხოველის გეზს.

ფეხზე წამოვდექი და გულდასმით დავუწყე თვალთვალი ნედ ლენდის მოწინააღმდეგეს. დიუგონი ძალზე წააგავს ლამანტინს. მისი გრძელი ტანი მოგრძო ბოლოთი თავდება, გვერდითა ფარფლები თითებს მიუგავს, ლამანტინისაგან იმით განსხვავდება, რომ ზედა ყბაში ორი მოგრძო და ბასრი ეშვი აქვს გამოშვერილი.

ეს დიუგონი უშველებელი რამ იყო, სიგრძით შვიდ მეტრი იქნებოდა. არც კი ინძრეოდა, თითქოს ტალღებზე მისძინებიაო. ეს კი მონადირეს საქმეს უადვილებდა.

ნავი სიფრთხილით მიუახლოვდა სამი საჟენის მანძილზე. ნიჩბების მოსმა შეაჩერეს. ოდნავ უკან გადაზნექილი ნედ ლენდი, გამოცდილ მარჯვენაში ბარჯს ატრიალედა.

უცებ გაისმა სტვენა და დიუგონი თვალს მიეფარა. ღონივრად ნატყორცნი ბარჯი ალბათ წყალზე ასხლტა.

- ავაცდინე! - შეჰევირა გააფთრებულმა კანადელმა.

- არა, ნედ, არ აგიცდენიათ, ცხოველი დაჭრილია. აი, მისი სისხლი... მაგრამ ბარჯი ტანში არ ჩარჩენილა, - ვუთხარი მე.

- ბარჯი! ჩემი ბარჯი! - გაყვიროდა ნედ ლენდი.

მეზღვაურებმა ნიჩბებს მოუსვეს, მესაჭემ კასრისკენ მიმართა გეზი. ბარჯი ამოიღეს და ნავი ცხოველს დაედევნა.

დიუგონი დროდადრო ზედაპირზე ამოცურდებოდა, რათა ესუნთქა. ეტყობა, ჭრილობამ ვერ დაასუსტა, რადგანაც, ქარივით მიქროდა. მძლავრი მკლავებით მოსმული ნიჩბები ნავს ელვასავით მიქანედა ცხოველისაკენ, რამდენჯერმე მივუახლოვდი კიდევ ორიოდე საჟენის მანძილზე. ნედ ლენდს ბარჯი ამართული ჰქონდა, მაგრამ ცხოველი თვალის დახამხამებაში ჩაყვინთავდა ხოლმე და კანადელს პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებდა.

ადვილი ჩარმოსდგენია, თუ რა მრისხანება დუღდა ნედ ლენდის გულში. მეც სანანებლად მრჩებოდა, რომ დიუგონი გვჯაბნიდა.

ნავმა შეუჩერებლივ სდიამთელი ერთი საათი. ეს იყო, უკვე მისი ხელში ჩაგდების იმედი გადამეწურა, რომ ცხოველი უცებ მობრუნდა და აქეთ შემოგვიტია.

მისი მოძრაობა კანადელის გამჭრიახ თვლს არ გამოჰქონდა და დაგვიძახა:

- ფრთხილად!

მესაჭემ მეზღვაურებს მათ ენაზე რაღაც გადაულაპარაკა, ალბთ გააფრთხილა.

დიუგონი ასიოდე ფუტზე მოგვიახლოვდა, შეჩერდა, განიერი ნესტოებით ჰერი მძლავრად ჩაისუნთქა და მთელი ძალით ჩემკენ გამოქანდა. ნავმა განზე გარიდება ვერ მოასწრო, მაგრამ მესაჭემ მაინც მარჯვედ მიაბრუნა ნავი. დიუგონი ნავს ეძერა, დასწვდა პირით, მძლავრად შეარყია და გადაიზნიქა.

ნედ ლენდი ნავის ცხვირთან იდგა და ბარჯს ურტყამდა დიუგონს. გაფიტრებულმა ცხოველმა ნავი კბილებით ციმციმ ასწია, ყველანი ერთმანეთს დავეჯახეთ და გადავკოტრიალდით. ვინ იცის, რით დამთავრდებოდა ჩვენი ამბავი, კანადელს შიგ გულში, რომ არ გაეტარებინა მისთვის ბასრი მახვილი.

დარკინული ნავის კდელზე კბილების ღრაჭუნი გაისმა, დიუგონი თვალწინ გაგვიქრა და ბარჯიც თან გაიტაცა. წყალმა მალე ამოატივტივა გულაღმა ამოტრიალებული განგმირული ცხოველი. მეზღვაურებმა დიუგონი ნავს გამოაბეს და "ნაუტილუსკენ" გავეშურეთ.

დიუგონი ტვირთის ასაწევი მანქანებით ძლივს ამოათრიეს გემის ბაქანზე. ხუთი ათასი კილოგრამი გამოვიდა. კანადელის მონაწილეობით ასო-ასო აკუწეს, ნაწილი შეინახეს, ნაწილი კი - მზარეულს გადასცეს. იმავე დღეს, სადილზე, გემოვნებით მომზადებული რამდენიმე ნაჭერი დიუგონის ხორცი შემოიტანეს.

მასთან ხბოს ხორცი მოსატანიც არ იყო!

მეორე დღეს, 11 თებერვალს, "ნაუტილუსის" სურსათს კიდევ ახალი ხორცეული მიემატა. გემის ბაქანზე აუარებელი ზღვის მერცხალი დაეშვა. ამას გარდა, რამდენიმე ათეული ნილოსის იხვიც მოვინადირეთ.

"ნაუტილუსი" ზომიერი სვლით მიცურავდა. შევამჩნიე, რომ რაც უფრო ვუახლოვდებოდით სუეცის ყელს, ზღვის წყალს სიმღაშე აკლდებოდა.

საღამოს ხუთ საათზე ჩრდილოეთის მხარეს გამოჩნდა რასმოჰმედის კონცხი. ამ კონცხით თავდება კლდოვანი არაბეთი, რომელიც სუეცის ყურესა და აქაბას შუა მდებარეობს.

"ნაუტილუსი" ჟუბალის სრუტესი შეცურდა. ეს არის სუეცის ყურეს შესავალი. ექვს საათზე წინ გავუარეთ თარას, რომელიც ამ ყურეს სიღრმეშია გაშენებული. აქ წყალი სისხლისფერი იყო, ზუსტად ისეთი, როგორიც კაპიტანმა ნემომ აღმიჩერა.

დაღამდა. ღამის მყუდროებაში აქა-იქ გაისმოდა ვარხვის ყრანტალი ან რომელიმე ღამის ფრინველის კივილი. ისმოდა კლდებზე შენარცხებული ტალღების ტყლაშუნი და გემის ბორბლების ჭრიალი.

რვიდან ცხრა საათამდე "ნაუტილუსი" წყალქვეშ მიცურავდა. ჩემი ვარაუდით, სუეცის ყელთან ახლოს უნდა ვყოფილიყავით. დარბაზის ფანჯრებიდან ვხედავდი უზარმაზარი კლდეების ფუძეს, რომელსაც ჩვენი ელექტროსუქურა ანათებდა. ისე მომეჩვენა, თითქოს ზღვის მოქცევა ვიწრო კალაპოტში ექცეოდა.

ათის თხუთმეტ წუთზე "ნაუტილუსი" ზედაპირზე ამოცურდა. მაშინვე ბაქანს მივაშურე. ღამის სიოს ხარბად ვისუნთქავდი. ჩამოწოლილ ბინდუნდში მოშორებით თვალი მოვკარი მკრთალ სინათლეს, რომელიც სქელ ნისლში ოდნავ კრთოდა ერთი მილის მანძილზე.

- მცურავი შუქურა! - ყურში ჩამილაპარაკა ვიღაცამ. მივტრიალდი და ჩემს წინ კაპიტანი ნემო იდგა.

- ეს არის სუეცის ყელის მცურავი შუქურა, - გაიმეორა მან, - ჩვენ მალე მივაღწევთ გვირაბის შესასვლელს.

- გვირაბში შესვლა, ვგონებ, მნელი უნდა იყოს...

- დიახ, პროფესორო, ძნელია. ამიტომც მუდამ თვითონ ვიმყოფები მესაჭის კაიუტაში და საჭესაც თვითონ ვმართავ. ახლა კი კეთილი ინებეთ და ქვემოთ ჩამობრძანდით. "ნაუტილუსი" ჩაყვინთავს და მხოლოდ მაშინ ამოცურდება, როდესაც არაბეთის გვირაბს გავივლით.

კაპიტან ნემოს უკან გავყევი. ასაწევი კარი დაიკუტა. აუზები წყლით გაივსო. გემი ათი მეტრის სიღრმეზე ჩაეშვა.

ჩემი ოთახისკენ გავწიე, მაგრამ კაპიტანმა შემაჩერა:

- პროფესორო, არ გნებავთ ჩემთან წამობრძანდეთ შტურმანის კაიუტაში?

- მე ვერ შემოგბედეთ, კაპიტანო, თხოვნა.

- მაშ, მობრძანდით და საკუთარი თვალით იხილეთ ეს წყალქვეშა და ამავე დროს, მიწისქვეშა მოგზაურობა.

კაპიტანმა შუა კიბესთან მიმიყვანა, კარი ნახევრად შეაღო, ზემო კიბე ამატარა და მესაჭის ოთახში მოხვდით. ეს ოთახი ბაქნის ბოლოს მდებარეობდა. კაიუტას ოთხივე მხარეს ფანჯრები ჰქონდა დატანებული, რომელშიც ოსპის მოყვანილობის სქელი შუშები ჩაესვათ.

მესაჭეს ყველა მხრეს შეეძლო ცქერა.

კაიუტაში ბნელოდა. ბოლოს თვალი შევაჩვიე და შტურმანი გავარჩიე. მხარბეჭიანი, ღონიერი ვაჟკაცი იყო, ფეხები ბორბლის კუთხეებზე ედგა. ზურგის მხარეს მოთავსებული შუქურა ზღვას კაშკაშა სინათლეს ჰქონდა.

- ახლა კი გვირაბის შესასვლელი მოვნახოთ, - თქვა კაპიტანმა ნემომ. შტურმანის კაიუტიდან ელექტრონის შუქი სამანქანო განყოფილებაში გადიოდა, კაპიტანს აქედანვე შეეძლო მისთვის მიმართულების მიცემა. ლითონის ზუმბარაკს თიტი დაადოდა ბორბალმა სვლას უკლო.

დამუნჯებული გავცეროდი მაღალ, დაქანებულ კედლებს, რომელთა გვერდითაც ახლა მივცურავდი. ეს იყო სუეცის ყელის შლამიანი ნაპირების ურყევი პიტალო კლდის საძირკველი. მთელი საათი ვიცურეთ ამ კლდეების გასწვრივ რამდენიმე მეტრის მოშორებით. კაპიტანი მისჩერებოდა ორ კონცენტრირებულ წრეზე მიმაგრებულ ყიბლანს. კაპიტნის მითითებით, შტურმანი ყოველ წუთს ცვლიდა "ნაუტილუსის" გეზს.

ათ საათსა და თხუთმეტ წუთზე, კაპიტანმა თვითონ მოჰკიდა ხელი საჭის ბორბალს. ჩვენ თვალწინ გამოჩნდა ფართო და ჩაბნელებული გვირაბის პირი. "ნაუტილუსი" გაბედულად შეცურდა მასში. გარედან მოგვესმოდა უჩვეულო შხრიალ-შხაპუნი. გვირაბი კალაპოტში დაქანებული მეწამული ზღვის ტალღები

შხუილითა და ხეთქებით მიექანებოდა ხმელთაშუა ზღვისკენ. ეს მძლავრი დინება "ნაუტილუსსაც" ნატყორცნი ისარივით მიაქროლებდა, თუმცა მისი მანქანების ძალ-ღონე გემს პირაღმა ეზიდებოდა.

ამ ვიწრო ტალანის კედლებზე ვამჩნევდი მხოლოდ მოელვარე ხაზებს, რომელთაც ჩქარ მოძრაობაზე ელექტრონის სინათლე აჩენდა. გული ისე მიცემდა, თითქოს ბუდიდან ამოვარდნას აპირებსო.

ათ საათსა და ოცდათხუთმეტ წუთზე კაპიტანი მოსცილდა საჭეს და მომიბრუნდა:

- ხმელთაშუა ზღვა!

მძლავრი დინებით გაქანებულმა "ნაუტილუსმა" სუეცის გვირაბი ოც წუთში გაცურა.

თავი VI

საბერძნეთის არქიპელაგი

მეორე დღეს 12 თებერვალს, კონსეი, ნედ ლენდი და მე ბაქანზე ავედით. კანადელი ისევ ჯიუტობდადა არ იჯერებდა, რომ ხმელთაშუა ზღვაში ვიყავთ. ბოლოს, როდესაც ცის დასავალთან ეგვიპტის სანაპიროები გადაგვეშალა, მხოლოდ მაშინ დაიჯერა.

- მაშ, ხმელთაშუა ზღვაში ვიმყოფებით, პროფესორო? კეთილი და პატიოსანი... ახლა კი სიმარჯვე გვმართებს. სანამ თონე ცხელია, პური უნდა ჩაიკრას. დროის დაკარგვა არ შეიძლება! ამაზე ხელსაყრელ დროს ვეღარ ვეღირსებით გასაქცევად...

ჩემს გულში ორი გრძნობა ამოძრავდა: პირადი ინტერესი და მეცნიერის ცოდნისმოყვარეობა. ჩემში ამ უკანასკნელმა გრძნობამ სძლია, მაგრამ არ მინდოდა ნედ ლენდისათვის მეგრძნობინებინა, რომ გაპარვა არ მსურდა და ვუპასუხე: პირევლივე მოხერხებულ წუთში მეც მივატოვებ კაპიტან ნემოს-მეთქი. თუმცა კი დარწმუნებული ვიყავი, ასეთი შემთხვევა არ მოგვეცემოდა. ალბათ კაპიტანი ნემო ამ დასახლებულ სანაპიროებთან ჩვენზე მეთვალყურეობას გააორკეცებდა.

- ნედ, თქვენ განა ნანობთ, რომ "ნაუტილუსზე" მოხვდით?

- სანანებელი არაფერია, პროფესორო, პირიქით, ძალზე საინტერესოც კი არის, მაგრამ სამუდამოდ აქ ხომ არ დავრჩებით? ესეც არ იყოს, გულახდილად მოგახსენებთ, მომბეზრდა კიდეც...

- მოგზაურობასაც ოდესმე ხომ ექნება დასასრული?

- არა, პროფესორო. ჩვენ მაგ დასასრულს ვერ ვეღირსებით... თქვენი კაპიტნის ხელში ხეირს ვერ შევეყრებით.

"ნაუტილუსი" კუნძულ კრეტას მიუახლოვდა. ეს კუნძული ბერძნებითაა დასახლებული. გამახსენდა, რომ "აბრაამ ლინკოლნით" მოგზაურობამდე გაზეთებში წერდნენ, - კრეტელები ოსმალეთის წინააღმდეგ აჯანყდნენო.... ნეტავ, რითი დასრულდა ეს აჯანყება? ვინ იცის, იქნებ კიდეც გრძელება? მინდოდა კაპიტნისათვის მეკითხა, მაგრამ გადავიფიქრე, - ალბათ მასაც არაფერ ეცოდინება-მეთქი.

ერთ დილას მე და კაპიტანი ნემო დარბაზში ვისხედით. კაპიტანი ღრმა ფიქრებს მისცემოდა და დუმდა. მისი ბრძანებით ფანჯრის დარაბები გასწიეს. კაპიტანი მალიმალ ფანჯარაში იყურებოდა, თითქოს ვინმეს მოელისო. მეც ფანჯარას მივუახლოვდი და ცქერა დავიწყე, მაგრამ მოსრიალე თევზების გარდა ვერაფერი

დავინახე. ხმელთაშუა ზღვის თევზები ძალიან ლამაზები არიან, ფერად-ფერადი ელფერი დაპორავთ.

უცებ მოულოდნელობისაგან შევყვირე: ფანჯრის გასწვრივ შიშველი კაცი დავინახე. წელზე ტყავის პარკი ეკიდა.

- დამხრჩალი!... - გამიელვა თავში, მაგრამ წარმოიდგინეთ, ცოცხალი იყო, ჩვენკენ გამოცურა და სახე ფანჯრის მინას მიაყრდნო.

- კაპიტანო, შეხედეთ! ადამიანი! იხრჩობა, უნდა მივეშველოთ!...

გაშტერებული დავრჩი, როდესაც იმ კაცმა და კაპიტანმა ერთმანეთს რაღაც ანიშნეს და ისიც თვალს მიეფარა.

- პროფესორო, ნუ სწუხართ, - მომიბრუნდა კაპიტანი ნემო, - ეგ კაცი მყვინთავი ნიკოლაა, მატაპანის კონცხიდან. მეტსახელად თევზკაცას ეძახიან. წყალი მისი მბრუნავი სტიქიაა. თავისი დღენი წყალში აქვს გატარებული და ერთი კუნზულიდან მეორემდე იოლად დაცურავს. ათეულ ვერსს ისე გაცურავს, რომ არც კი შეამჩნევს...

- თქვენ იცნობთ მას?

- დიახ, ვიცნობ.

ამ სიტყვების შემდეგ, საწერ მაგიდასთან მივიდა. გვერდით კედელთან დიდი დარკინული კარადა იდგა, რომლის კარზეც ლითონის ფიცარი იყო მიკრული და ზედ ეწერა: *Mobilis in mobile* ("მოძრავი მოძრავში").

კაპიტანმა ნემომ ჩემს იქ ყოფნას ყურადღება არ მიაქცია და კარადა გააღო. იგი მთლად ოქროს ზოდებით იყო გამოჭედილი.

- სად იშოვა ამდენი ძვირფასი ლითონი? ან რისთვის სჭირდება? - გამიელვა თავში...

კაპიტანმა მოზრდილი ყუთი გადმოიღო და პირამდე ოქროთი გაავსო. ვიჯექი და უსიტყვოდ შევყურებდი. ჩემი ვარაუდით ხუთი მილიონი ფრანკი მაინც ჩათვალა. მერე ყუთი დახურა და მისამართი წააწერა, ვგონებ ახალ ბერძნულ ენაზე. ამის შემდეგ, მაგრძნობინა, მარტო დამეტოვებინა. მეც ჩემს კაუტაში გავედი.

- როგორც ჩანს, იმ თევზკაცა ნიკოლასთან ურთიერთობა ჰქონია, - ვფიქრობდი ჩემთვის, - მაგრამ რა საქმეში?

ცოტა ხნის შემდეგ ბაქანზე ფეხის ხმა გაისმა. მესმოდა, რომ გემიდან ზღვაში ნავი ჩაუშვეს. ნავი "ნაუტილუს" მოეჯახუნა და მერე ყველაფერი მიწყნარდა...

ორი საათის შემდეგ ბაქანზე კვლავ გაისმა ფეხის ხმა. მესმოდა, რომ ნავი ნაპირზე ამოათრიეს და თავის ბუდეში ჩადგეს. "ნაუტილუსმა" ზღვაში ჩაყვინთა.

მაშასადამე, კაპიტანმა ნემომ ის ყუთი ხმელეთზე გადაგზავნა, - გადავწყვიტე მე, - მაგრამ ვისთან? რა მიზნით? მაშ, კაპიტან ნემოს საბოლოოდ არ გაუწყვეტია ხმელეთთან კავშირი?

ამ აბეზარი ფიქრების გასაქარვებლად, ჩემს დღიურს ჩავუჯექი.

საღამოს ხუთი საათი იქნებოდა. საშინელი სიცხე და ბუღი ვიგრძენი. თერმომეტრი +30°-ს უჩვენებდა. სიცხე მატულობდა. შევფიქიანდი და კაპიტნისკენ გავემართე. კარში შემხვდა. შემოვიდა, თერმომეტრს შეხედა და ჩაილაპარაკა:

- ორმოცდაორი.

- დიახ, კაპიტანო, ეგ მეც შევნიშნე. რა არის ამის მიზეზი?

- პროფესორო, ჩვენ ვიმყოფებით წყალქვეშა ცეცხლისმფრქვევა მთაზე, რომელიც ამჟამად ღველფს ისვრის. "ნაუტილუსი" მდუღარე წყლის ტალღებში მიცურავს. აბა, გაიხედეთ!

ფანჯრის დარაბები მაშინვე გასწიეს. დუღილისაგან თეთრად აქაფებული წყალი ისე ჭარბად აორთქლებდა გოგირდის გაზს, რომ ჰერმეტულად დახშულ

"ნაუტილუსში" ვიგრძენი გოგირდის სუნი. ზღვა ისე თუხთუხებდა, როგორც ადუღებული წყაბში, თანაც წითლად ღუოდა, ალბათ რკინის მარილისაგან.

სიცხე აუტანელი გახდა. ფანჯრის მინას ხელი რომ მივაკარე, თითები დამეწვა.

- ჩვენ ვიმყოფებით კუნძულ სანტორინოს მახლობლად, - მითხრა კაპიტანმა. - მინდოდა თქვენთვის ვულკანის ამოფრქვევა წყალქვეშ მეჩვენებინა.

- ჩინებულია, მაგრამ ამ მდუღარესი ყოფნა ყოვლად აუტანელია.

- მართალს ბრძანებთ, პროფესორო, უნდა გავერიდოთ, - დინჯად მიპასუხა კაპიტანმა ნემომ და მისი განკარგულებით "ნაუტილუსმა" გეზი იცვალა.

სიცხით ერთიანად გახვითქულმა, კაიუტას მივაშურე. თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ შესაძლებელი გახდა თავისუფლად სუნთქვა.

თავი VII

ერთი დღე-ღამე ხმელთაშუა ზღვაში

"ნაუტილუსი" შეუჩერებლივ და გაშმაგებით მიქროდა დასავლეთისკენ. ნედმა, კონსეიმ და მე რამდენჯერმე ვცადეთ გაპარავა, მაგრამ მუდამ მოულოდნელი გარემოება გიშლიდა ხელს.

ეტყობოდა, კაპიტან ნემოს სრულებით არ უყვარდა ეს ზღვა. რადგანაც ყოელი მხრიდან დასახლებული ნაპირები ესაზღვრებოდა და თითქმის ჩაკეტილი იყო. მხოლოდ ჰიბრალტარის სრუტე აკავშირებდა მას ოკეანესთან. იქნებს, ეს ზღვა რაიმე მწვავე მოგონებებსაც უღვიძებდა გულში?

ხმელთაშუა ზღვის გაშლილი სივრცე კი მეტისმეტად მაინტერესებდა, ამ ზღვის გარშემო მდებარე ქვეყნები ხომ აკვანი იყო კაცობრიობის ისტორიისა და ცივილიზაციისა. აქ მდებარეობს ეგვიპტე, პალესტინა, ქვეყნის პირისაგან აღგვილი ფინიკია და კართაგენი, აქვეა საბერძნეთი და რომი!

ხმელთაშუა ზღვა სხვა მხრივაც საგულისხმო იყო. მას გარს აკრავს ფორთოხლის ჭალები, კაქტუსისა და ალოეს მდელოები, სურნელოვანი მირიტსა და კვიპროსის წალკოტები, რომელთაც გულუხვად ასაზრდეობს ლურჯად მოკამკამე ზღვა და გამჭირვალე ჰავა.

ხმელთაშუა ზღვა მუდმივი ბრძოლისა და შეჯახების ადგილი იყო. აქ საშინელი ძალით ებრძოდა ერთმანეთს ქვესკნელიდან ამოხეთქილი ღველფი და წყლის სტიქია. მის კიდეებზე აზიდულია ცეცხლისმფრქვეველი ვეზუვი და ეტნა, სადაც საზარელი და გამანადგურებელი მიწისძვრები ხდებოდა.

"ნაუტილუსის" ფანჯრებიდან ვხედავდი სხვადასხვა ჯიშის თევზს. ელექტრომუქურის სინათლეზე თვალწინ დაცურავდნენ უშველებელი სკაროსები, გრძელი და უქერცლო ზღვის მინოგები, ზღვის მოლურჯო მელიები, თორმეტი ფუტის სიგრძის საშილენი სტვენია ნათელთევზები, ლამაზი ხმელთევზები,

სარქენივით წაგრძლებულთავიან მოხდენილი ზუთხები, გემს ადევნებული თინუსები. ვნახეთ აგრეთვე სამი ვეშაპიკაშალოტი. კონსეიმ ერთი უშველებელი კუც დამანახა.

როდესაც ჰიბრალტარის სრუტეს მივუახლოვდით, ზღვის ფსკერამდე ჩავეშვით, სადაც თვალწინ საზარელი სანახაობა გადაგვეშალა. ეს იყო თავლუწვდენელი სასაფლაო აუარება ჩამირული გემებისა. აქ იყო თითქმის მრთელი გემები, ჭახრავები, ღუზები, ბორბლები, ერთმანეთში არეული საორთქლე ქვაბები.

ზოგი თავდაყირა ჩამირულიყო და იმავე მდგომარეობაში იდგა. ზოგი არხეინად გაჩერებულიყო, ჩაშვებული ღუზით, თითქოს დროშები ფრიალითა და ზარბაზნით შედლუხის მიცემას აპირებსო.

ვაი, რომ ეს მხოლოდ ასე ჩანდა! მყუდროება და სიკვდილი გამეფებულიყო ამ უბედურების ადგილას! ხმელთაშუა ზღვის ეს მიდამოები ცნობილია ხშირი უბედურებით, საფრანგეთიდან აფრიკისაკენ მიმავალ ან უკან დაბრუნებულ რამდენიმე გემს უპოვია აქ თავისი სამარე, რამდენი სიცოცხლე გამქრალა ამ ჯურღმულებში! რამდენი კვნესა და ქვითინი ჩამკვდარა ამ ტალღებში!

ოკეანესთან შედარებით, ხმელთაშუა ზღვა ტბის მსგავსია. მაგრამ ეს ტბა მეტად დაუნდობელი და გადარეულია. დღეს გულღიად გადაუშლის მკერდს მის ანკარა ტალღებზე მოსრიალე გემებს, ხვალ კი გაშმაგდება, ყალყზე შედგება და ფაფარაშლილი, მოსხლეტილი ტალღებით ანადგურებს და ნაფოტად აქუცმაცებს მკვიდრსა და გამძლე გემებსაც კი!

თავი VIII

კაპიტან ნემოს წყალქვეშ ხაზინა

ატლანტის ოკეანეში რომ შევცურეთ, მაშინვე ჩრდილოეთისკენ ვიბრუნე პირი და პორტუგალიის სანაპიროებს გავყევით. გაქცევის იმედი ჯერ კიდევ გვქონდა: ან აქ, ან საფრანგეთის თუ ინგლისის სნაპიროებთან.

ერთ საღამოს გადაჭრით გადავწყვიტეთ გაპარვა "ნაუტიოლუსის" ნავი უნდა გაგვეტაცა. ნედ ლენდის ნიშანს ველოდი. უცებ დაჯახება ვიგრძენი და მივხვდი "ნაუტიოლუსი" ფსკერზე დაეშვა.

ჩემს კაიუტაში ვიჯექი, კაპიტანთან შეხვედრას ვერიდებოდი. მეშინოდა, მღელვარებას არ გავემუდავნებინე. მთელ დღეს ჩემს გულში ორი გრძნობა იბრძოდა, ერთს ამხანაგებთან ერთად გაპარვა უნდოდა, მეორეს კი - "ნაუტიოლუსის" მიტოვება ენანებოდა... როგორ მიმეტოვებინა "ატლანტის" ოკეანე, "ჩემი" ატლანტის ოკეანე, სანამ არ ვიხილავდი მის ყველა ქვედა ფენას, სანამ არ ჩვწვდბოდი მის საიდუმლობებს, სანამ ისიც არ გადამიშლიდა გულს, როგორ წყნარმა და ინდოეთის ოკეანეებმა გადამიშალა!...

საათის საათს ტანჯვით მისდევდა... ზოგჯერ წარმოვიდგენდი, რომ ხმელეთზე ვიყავი, საფრთხეს თავდაღწეული, ამხანაგებთან ერთად. თან გულში ვნატრობდი, რაიმე გარემოებას ნედ ლენდის გეგმისთვის ხელი არ შეეშალა.

ორჯერ შევიარე დარბაზში, კომპასს შევხედე. მინდოდა შემეტყო, თუ საით მიემართებოდა "ნაუტიოლუსი", ვშორდებოდი თუ ვუახლოვდებოდით ხმელეთს. "ნაუტიოლუსი" ისევ პორტუგალიის სანაპიროების გასწვივ, ჩრდილოეთისკენ მისრიალებდა. ამით უნდა გვესარგებლა, ჩემი ბარგი, მხოლოდ ჩემი დღიური იყო... ჩემს თავს ვეკითხებოდი:

- რას იტყვის კაპიტანი ნემო, ჩვენს გაპარვას რომ შეიტყობს? რამდენი მღელვარება და წუხილი უნდა ვაგრძნობინოთ მას! როგორ მოვეპყრობა, ჩვენი განზრახვა ადრეულად რომ გამჟღავნდეს? მე ხომ არავითარი საბაბი არა მაქვს, რამეთი უკმაყოფილი ვიყო. პირიქით! იშვიათია ასეთი გულღია და ხელგაშლილი მასპინძლობა!... ჩვენ ხომ არავითარი ფიცი და სიტყვა არ მიგვიცია მისთვის! სწორედ ეს გვაძლევს გაპარვის საბაბს, თავისუფლების წყურვილს...

კაპიტანი ნემო კუნძულ სანტარინოს შემდეგ აღარ მენახა. ნუთუ გარემოება უკანასკნელად აღარ შემახვედრებდა მასთან? თან მენატრებოდა მისი ნახვა, თან მეფიქრებოდა. მისი ოთახის კარს ყურს ვადებდი... ჩამიჩუმი არ ისმოდა. ეტყობა, ოთახსი არ იყო... მაგრამ ვინ იცის, გემზე იყო კი საერთოდ ეს გამოუცნობი ადამიანი?

მას შემდეგ, რაც იმ ღამეს "ნაუტილუსის" ნავი სადღაც გაისტუმრეს საიდუმლო დავალებით, კაპიტან ნემოზე აზრი შემეცვალა. თუმცა ირწმუნებოდა, ხმელეთთან კავშირი სავსებით გავწვიტეო, მაგრამ როგორც ჩანს, კავშირი მთლად არ გაეწყვიტა. ნუთუ მართლა არასოდეს სცილდებოდა "ნაუტილუსი"? ზოგჯერ რამდენიმე კვირა რომ არსად ჩანდა? ვინ გაიგებდა და გამოიცნობდა?! თავის კაბინეტში მუშაობაში გართული რომ მეგულებოდა, იქნებ იმ დროს სადმე შორს იყო იმ საიდუმლო საქმის გამო, რომელსაც ემსახურებოდა და რომელსაც მე ვერ მივხვედრილიყავი?!

ათასი ასეთი ფიქრი მიტრიალებდა თავში. სულის სიმშვიდე დამეკარგა, მოუსვენრობა დამეუფლა, მოლოდინში გატარებული დღე დაუსრულებელ ტანჯვად გადამეცა.

სადილი ჩვეულებრივ კაიუტაში შემომიტანეს. ფიქრებში გართული, უგემურად ვილუკმებოდი.

შვიდ საათზე წამოვდექი. ას ოცი წუთი კიდევ რჩებოდა, სანამ ნედ ლენდი მანიშნებდა. გულს ბაგაბუგი გაჰქონდა... ოთახში ბოლთას ვცემდი, ეგებ სულის მღელვარება შემეკავებინა.. მეშინოდა საბედისწერო არ გამხდარიყო ჩვენი ნაბიჯი... ჩვენი განზრახვა ადრე არ გამომჟღავნებულიყო... სანამ "ნაუტილუსი" გავეცლებოდით, რომ გაიგონ და კაპიტანთან მიგვიყვანონ.. რა პირობით შევხედო კაპიტან ნემოს, ასე გულნატკენს ჩემგან?! გული მიკვნესოდა... უცებ მომენატრა, უკანასკნელად თვალი მოვალო დარბაზისთვის... ტალანტი გამოვედი, სამუზეუმო დარბაზში შევდგი ფეხი...

რამდენიმე სასიამოვნო საათი მქონდა გატარებული აქ სამეცნიერო მუშაობაში. იშვიათ და უბადლო ნივთებს ვეალერსებოდი, თვალი ვერ მომეშორებინა... ვუცექერდი ისე, როგორც სამუდამო განშორებისას შეჰყურებს ადამიანი უძვირფასეს საუნჯეს, რომელსაც ვეღარასოდეს იხილავს.

დიახ, სამუდამოდ უნდა გამოვეთხოვებოდი აქ დაგროვილ მომხიბლავ საოცრებას. ჯადოსანი ბუნების ამ წარმტაც ხელოვნებას, დიადი შემოქმედების ნიმუშს, რომელთა შორის გავატარე სიცოცხლის საუკეთესო დღენი. მომენატრა, კვლავ გამეხედა დარბაზის ფანჯრიდან, მეცქირა ატლანტის ოკეანის უფსკრულში! ... მაგრამ დარაბები ჰერმეტულად დაეხურათ, რკინის კედელი აღმართულიყო ჩვენს შორის და ჩემი თვალები ვეღარ უმზერდა ოკეანის წიაღს, ფსკერზე სიცოცხლეს, რომელიც შეუსწავლელი დამრჩა.

დარბაზის თვალიერების დროს უცებ, ირიბ კედელში დატანებულ ოთახს წავადექი... კარი ნახევრად ღია იყო... შევკრთი... უნებურად უკან უკან დავიწიე... კაპიტნის ოთახი იყო.. ოთახში ჩამიჩუმი არ ისმოდა. ნაბიჯი წავდგი. ოთახის კარი შევაღე და შევედი. აქ ყველაფერი წინანდებურად მოქუშულიყო, მაგრამ კედლებზე შევამჩნიე პორტრეტები, რომლებისთვისაც პირველად ყურადღება არ მიმიქცევია. აქ

იყო ისტორიული პირების სურათები, რომელთაც თავისი სიცოცხლე ჰუმანურ იდეებს შესწირეს: აგერ კოსტიუშვილი. ეს ის გმირია, რომელმაც დაღუპვისას წამოიძახა: "თავისუფლებას ეღება ბოლო!" ესეც ბოცარისი - თანამედროვე საბერძნეთის ლეონიდე; ოკონელია, ირლანდიის დამოუკიდებლობისთვის მებრძოლი; ვშინგტონი - ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებული შტატების დამარსებელი; ამანინი - იტალიელი მამულიშვილი; ლინკოლნი - მონათმფლობელის ხელით განმგმირული. ესეც ჯონ ბრუნი - შავი რასის განთავისუფლებისათვის თავგანწირული, რომელსაც ჩამოხრჩობა მიუსაჯეს. მისი ჩამოხრჩობის ამბავი ხომ ასე ტრაგიკულად დაგვიხატა ვიქტორ ჰიუგომ.

ნეტავ, რა საერთო აქვს ამ გმრებს და კაპიტან ნემოს? ამ პორტრეტების მიხედვით განა შემიძლია ჩავიხედო მისი გულის საიდუმლოებაში, მივხვდე მისი სულის სწრაფვას? ... იქნებ ესეც ჩაგრულია მფარველია? იქნებ მონაწილეობს ჩვენი საუკუნის პოლიტიკურ და სოციალურ გადატრიალებაში?!

საათმა რვას ჩამოჰკრა. შევკრთი. ოცნება გამეფანტა... უხილავმა თვალმა ჩამოიხედა ჩემი გულის სიღრმეში... ოთახიდან გამოვვარდი... დარბაზში კომპასს შევხედე. ისევ ჩრდილოეთისკენ მივქროდით. ლაგი საშუალო სიჩქარეს აღნიშნავდა, მანომეტრი სამოცი ფუტის სიღრმეს აჩვენებდა... ხელსაყრელი დრო იყო კანადელის განზრახვის სისრულეში მოსაყვანად. ოთახში დავბრუნდი. თბილად გამოვეწყვე: ჩავიცვი საზღვაო ჩექმა, დავიხურე წავის ქუდი, გავეხვიე სელაპის ქურთუკში და ნედის ნიშანს დავუწყე ლოდინი. მყუდროებას მხოლოდ ბორბლის ჭრიალი არღვევდა. სულგანაბული ვუგდებდი ყურს, მაგრამ არავითარი ხმა არ ისმოდა...

სიკვდილის ჟრუანტელი მივლიდა... მღელვარებას ვერ ვიოკებდი...

ათ საათს ორიოდე წუთი აკლდა. კაპიტნის ოთახის კედელს ყური მივადე. ჩამიჩუმი არ ისმოდა. ოთახიდან გამოვედი, დარბაზში კაციშვილის ჭაჭანება არ იყო. შუა კიბისკენ მიმავალ კართან დავდექი და ნედის ნიშანს ლოდინი დაუწყე.

საჭის ხრახნილმა დგანდგარს უკლო და მიყუჩდა. რა მოხდა, ვერაფერს მივხვდი. ეს გარემოება ხელს შეგვიწყობდა თუ შეგვაფერხედა? სამარისებურ სიჩუმეში ჩემი გულის ხმა მესმოდა. ოდნავი დაჯახება ვიგრძენი და მივხვდი "ნაუტილუსი" ოკეანის ფსკერზე გაჩერდა. მინდოდა როგორმე მეთქვა კანადელისათვის, რომ ხელისშემწყობი პირობები შეიცვალა.

უცებ დარბაზის კარი კაპიტანმა ნემომ შემოაღო. რომ დამინახა, ჩემსკენ წამოვიდა.

- პროფესორო, თქვენ გეძებდით! - სალმის ნაცვლად მითხრა მან, - ესპანეთის ისტორია იცით?

ისეთი აღელვებული ვიყავი, რომ კრინტიც ვერ დავძარი.

- ჩემი კითხვა ვერ გაიგეთ? - შემეკითხა ისევ კაპიტანი, - იცით თუ არა ესპანეთის ისტორია?

- მოვიკოჭლებ, კაპიტანო.

- მაშ, დაბრძანდით. მე გიამბობთ ერთ საგულისხმო ეპიზოდს ამ ისტორიიდან.

თვითონ დივანზე გადაწვა. მეც ანგარიშმიუცემლად მის გვერდით ჩამოვჯექი.

- პროფესორო, კარგად მომისმინეთ... ეს ისტორია დაგაინტერესებთ და პასუხს იმ კითხვაზე გაგცემთ, რომელიც თქვენ ვერ გადაგიწყვეტათ...

- გისმენთ, კაპიტანო, - ვუპასუხე, თუმცა ვერ გამეგო, რის თაობაზე ლაპარაკობდა. გულში გამიელვა, იქნებ ეს ამბავი ჩვენი გაპარვის განზრახვასთან არის დაკავშირებული-მეთქი!

- პროფესორო, თუ თქვენი ნება იქნება, ავიღოთ თუნდაც 1702 წელი. იმ დროს ესპანეთი მთელ ევროპას ეომებოდა და ამერიკიდან დიდიალ იარაღს მოელოდა. განძეულობით დატვირთულ გემებს საფრანგეთის ფლოტი მოაცილებდა, რომლის ამირბარად იყო ადმირალი შატო-რენო. ესპანეთის ტრანსპორტი ამერიკიდან კადისკისკენ გაემართა, მაგრამ ადმირალმა შატო-რენომ შეიტყო, რომ კადიკსის მიდამოებში ინგლისის სამხედრო გემები დაცურავდნენ. ამიტომ გადაწყვიტა, შებრუნებულიყო საფრანგეთის რომელიმე უახლოეს ნავსადგურში. ამაზე ესპანეთის გემების უფროსები აუხირდნენ და მოსთხოვეს ტრანსპორტი ესპანეთის ერთ-ერთ ნავსადგურში მიებრუნებინათ. რადგანაც კადიკს ვეღარ მიაღწევდნენ, ტრანსპორტი გაემართა ესპანეთის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ვიგოს ნავსადგურში, რომელიც ჯერ არ იყო ალყაშემორტყმული.

სამწუხაროდ, ეს ნავსადგური ღია რეიდს წარმოადგენს და არავითარი სიმაგრე ან საფარი არ გააჩნია. ამიტომაც საჩქაროდ უნდა გადმოეტვირთათ ოქროთი სავსე გემები, სანამ კოალიციური ფლოტი გამოჩნდებოდა. საკმარისი დრო ჰქონდათ საამისოდ. მაგრამ მოულოდნელად მეტოქეობის საკითხი წამოიჭრა.

- ხომ კარგად ადევნებთ თვალყურს გარემოებათა მსვლელობას, პროფესორო? - შემეკითხა კაპიტანი ნემო.

- უკეთესად არ შეიძლება, - ვუპასუხე მე, თუმცა ვერ გამეგო, რამ გადაწყვეტინა კაპიტანს ჩემთვის ისტორიაში ლექციის წაკითხვა.

- მაშ განვაგრძობთ, პროფესორო... მერეაი, რა მოხდა; კადიკის სოვდაგრებს ისთი უპირატესობა ჰქონდათ, რომ დასვლეთ ინდოეთიდან რა საქონელიც შემოდიოდა, მათ ხელში უნდა გაევლო. ოქროთი დატვირთული გემები ვიგოს ნავსადგურში რომ გადმოეტვირთათ, ამით მათი უფლებები ირღვეოდა. ამისთვის მადრიდში იჩივლეს და იქიდან ბრძანება გამოაგზავნინეს, რომ ეს გემები განუტვირთავად საიდუმლოდ შეენახათ ვიგოს ნავსადგურში.

ეს ბრძანება 1702 წლის 22 ოქტომბერს მოვიდა, სწორედ იმხანად, ინგლისის გემებიც მოადგა ვიგოს ნავსადგურს. ადმირალი შატო-რენო თავისი სუსტი ძალებით მამაცურად შეებრძოლა ინგლისელებს. მაგრამ როდესაც დარწმუნდა, რომ მტრის შემოტევას ვეღარ გაუძლებდა და ესპანეთის სამხედრო გემები მთელი ქონებით ნადავლად რჩებოდა მტრს, გემებს ცეცხლი მოუკიდა და ჩაძირა. აქ, ვიგოს ნავსადგურსი, მთელი ავლადიდებით ჩაიძირა ეს გემები.

კაპიტანი ნემო შეჩერდა. ვერ გავიგე, ეს ამბავი ჩემთვის საყურადღებო რატომ უნდა ყოფილიყო.

- ასე და ამგვარად... - წარმოვთქვი უნებლიერ.

- ასე და ამგვარად, პროფესორო არონაკს, ჩვენ ახლა ვიგოს ნავსადგურში ვიყოფებით და გამოსაკვლევი გვაქვს მისი საიდუმლოებანი. - ნემო წამოდგა და მთხოვა გავყოლოდი.

ამ ხნის მანძილზე გონება მოვიკრიბე, დავწენარდი და უკან გავუევი. დარბაზში ბნელოდა. გამჭირვალე შუშებიდან მოჩანდა გაკაშკაშებული ზღვის წყალი. ფანჯარაში გავიხედე.

"ნაუტილუსის" ირგვლივ, ნახევარი მილის მანძილზე წყალი ისე გაკაშკაშებულიყო, თითქოს ელექტრონის სინათლით გაუღენთილაო. შლამიანი ფსკერი სუფთა და ნათელი ჩნდა. ჩაბნელებული გემებიდან ჩონჩხები მოჩანდა. იმ ჩონჩხებსი სკაფანდარჩამოცმული "ნაუტილუსის" მეზღვაურები ფუსფუსებდნენ. ნანგრევებიდან ზანდუკები გამოჰქონდათ, საიდანაც ვერცხლი, ოქროს ზოდები,

პიასტრები და თვალმარგალიტი ცვიოდა. განძეულს მთელი ფსკერი დაეფარა. მეზღვაურები "წაუტილუსზე" ეზიდებოდნენ განძს და უკანვე ბრუნდებოდნენ.

ახლა ყველაფერს მივხვდი:

1702 წლის 22 ოქტომბერს აქ მოხდა ზემოხსენებული ბრძოლა. აქ დაიღუპა ესპანეთის გალიონები, რომლებიც სახელმწიფო საუნჯით იყო დატვირთული. კაპიტანი ნემო, როგორც ეტყობოდა, საჭიროების დროს სტუმრობდა ამ წყალქვეშა ხაზინას და მილიონებს ეზიდებოდა.

- პროფესორო, ეჭვით მაინც წარმოიდგენდით, რომ ზღვაში ამდენი საუნჯე მოიპოვებოდა? - ღიმილით შემევითხა კაპიტანი ნემო.

- ვიცი, კაპიტანო, რომ ზღვებში ორ მილიონამდე ტონა ოქტო-ვერცხლია ჩამარხულია.

- ეგ მართალია, მაგრამ მისი ამოღება მაგაზე მეტი ნამდვილად დაუჯდებოდთ. ჩემთვის, კი, პირიქით, მისი ამოღება უბრალო საქმეა. საკმარისია, დავწვდე და ავიღო განძი, რაც ადამიანს დაუკარგავს. თქვენ გგონიათ, მარტო ვიგოს ნავსადგურშია ასეთი საუნჯე... ათასგან, სხვა ადგილებშიც, სადაც გემები დაღუპულა. ეს ადგილები სულ აღნიშნული მაქვს ზღვის ფსკერს რუკაზე. ახლა ხომ მიხვდით, პროფესორო, რა მილიარდების პატრონი ვარ?

- მივხვდი, კაპიტანო, თუმცა გულახდილად უნდა მოგახსენოთ, არ მესმის, რისთვის გჭირდებათ ეს დოვლათი?

კაპიტანმა ნემომ მიპასუხა:

- ნუთუ თქვენ გგონიათ, რომ ამ სიმდიდრეს მხოლოდ ჩემთვის ვაგროვებ?! ვინ მოგახსენათ, რომ ეს დოვლათი სასარგებლო საქმის არ ხმარდება? რატომ გგონიათ, ვითომ მე არ ვიცოდე, რომ ქვეყნად მარავლადა ტანჯული და დაბეჩავებული ხალხი, დაჩაგრული და გაუბედურებული ერი, რომელთაც ნუგეში ესაჭიროებათ; ვისაც მსხვერპლი გაუღია და შურისძიებას მოითხოვენ. ნუთუ თქვენც არ გესმით, რომ...

სიტყვა შუაზე გაწყვიტა... თითქოს ინანა, რომ ზედმეტი წამოსცდა.. მე კი მხოლოდ ახლა ვიგრძენი, თუ როგორი ადამიანი იყო კაპიტანი ნემო.

რა მიზეზსაც არ უნდა გადაეწყვიტინებინა მისთვის თავისი არსებობა ზღვის უფსკრულებში ეძებნა, ჩემთვის ახლა ერტი რამ მაინც ცხადი გახდა: მისი დამხმარე ხელი დაჩაგრული ერებისკენ იყო გაწვდილი.

ახლა კი მივხვდი, თუ ვისთვის იყო განკუთვნილი ის მილიონები, კაპიტანმა ნემომ "წაუტილუსიდან" რომ გააგზავნა ნიკოლა თევზკაცასთან შეხვედრის შემდეგ.

თავი IX

ჩაძირული ხმელეთი

მეორე დღეს, 18 თებერვალს, ჩემს კაიუტაში კანდელი შემოვიდა. მოველოდი კიდეც. ჩვეულებრივ ახლაც გუნებაზე ვერ იყო.

- აბა, პროფესორო, როგორაა ჩვენი საქმე?
- როგორ უნდა იყოს, ნედ, გუშინ გარემოებამ ხელი შეგვიშალა.
- რაღა სწორედ მასინ მოეგუნება კაპიტანს ფსკერზე გაჩერება, როდესაც გაპარვას ვაპირებდით! ..
- თავის ბანკრთან ჰქონდა საქმე, ნედ, - ვუპასუხე მე.

- რომელ ბანკირთან, რას ბრძანებთ?
- უკეთ რომ ვთქვათ, საკუთარ ხაზინაში შეიარა, ესე იგი ოკეანის ფკსერზე, სადაც მისი სიმდიდრე უფრო საიმედოდ ინახებოდა, ვიდრე ბანკში.

ვუამბე ნედს ყველაფერი, რაც წუხელ ვნახე. ვფიქრობდი, იქნებ ამ ამბავმა მაინც შეუცვალოს გუნება, გადააფიქრებინოს გაპარვის მცდელობა-მეთქი, მაგრამ მიზანს ვერ მივაღწიე. ნედი მხოლოდ იმას ნანობდა, რომ ვიგოს ყურესი თვითონ არ იყო და იმ დოვლათზე ცოტა ხელი არ მოითბო.

- რაც არ უნდა იყოს, პროფესორო, ყველაფერი ჯერ კიდევ არ დამთავრებულა! - მითხრა მან ბოლოს, - გუშინდელი ცდა მხოლოდ უშნოდ მოქნეული ბარჯის ტყორცნა იყო და მეტი არაფერი! როგორმე სხვა დროს ისევ ვიხელთებ. თუნდაც დღეს საღამოს.

- მერე, ნედ, იცით კი, საით მიემართება "ნაუტილუსი"?
- ეგ კი არ ვიცი! - ჯიუტად მიპასუხა ნედმა.
- კეთილი, ნედ, სად იმყოფება ჩვენი გემი, შუადღისას შევიტყობ.

კანადელი კონსეისთან ჩავიდა. ჩავიცვი და დარბაზში გავედი. კომპასი სანუგებოს არაფერს მიჩვენებდა. "ნაუტილუსი" ახლა სამხრეთ-დასავლეთისკენ მიცურავდა. თურმე ნუ იტყვით და, ევროპისთვის ზურგი შეგვექცია.

თორმეტის ნახევარი იქნებოდა, როცა წყლის აუზები დაცალეს და "ნაუტილუსი" ოკეანის ზედაპირზე ამოცურდა. მაშინვე ბაქანს ვეცი. ნედი იქ დამხვდა.

ჩვენ თვალწინ ხმელეთის ნასახიც არსად ჩანდა, ირგვლივ უსაზღვრო ოკეანე გადაშლილყო. შორს, ჰორიზონტის დასავლეთთან, რამდენიმე იალქნიანი გემი მოჩანდა. ალბათ ზურგის ქარის მოლოდინში იყვნენ, რომ კეთილი იმედის კონცხისთვის შემოევლოთ.

მოღუშული დღე იდგა.

მოსალოდნელი იყო უეცარი გრიგალი.

ნედი მოუსვენრად ბდლვინავდა. დაჟინებით გასცეროდა სივრცეს სა თავისი გამჭრიახი თვალით ცდილობდა, შორეული ჰორიზონტი დაენახა. იმედი ჰქონდა, რომ ჩამოწოლილი ნისლის გადაღმა ხმელეთი იქნებოდა გადაჭიმული.

შუადღისას მზემ ერთი წუთით გამოანათა. შვიპერის თანაშემწემ ამ წუთით ისარგებლა და მაშინვე მზის სიმაღლე გაზომა.

ზღვის ღელვამ იმატა. ასაწევი კარი დახურეს. "ნაუტილუსი" ისევ ოკეანის სიღრმეში ჩაეშვა.

ერთი საათის შემდეგ რუკას დავხედეთ. "ნაუტილუსი" იმყოფებოდა გრძედის $16^{\circ}17'$ -ზე და განედის $22^{\circ}22'$ -ზე. აღმოჩნდა, რომ ყველზე უახლოესი ნაპირი 145 მილით იყო ჩვენგან დაშორებული.

გაპარვაზე ფიქრიც კი შეუძლებელ გახლდათ. თვითონ წარმოიდგენს მკითხველი კანადელის განრისხებას, როდესაც ეს ამბავი გავუმხილე.

მე კი, მაინცდამაინც გული არ დამწყვეტია. თითქოს თვისუფლადაც ამოვისუნთქე და დამშვიდებული ჩავუჯექი ჩვეულებრივ მუშაობას.

ღამის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც კაპიტანი ნემო მოულოდნელად მესტუმრა კაიუტაში. დიდი თავაზიანობით გამომკითხა, ხომ არ დამქანცა წინა ღამის უძილობამ. ვუპასუხე, დაქანცულობა არ მიგრძენია-მეთქი.

- პროფესორო არონაკს, თუ ასეა, გთხოვთ ერთ საინტერესო ექსკურსიაში მიიღოთ მონაწილეობა.

- დღიდი სიამოვნებით!

- ზღვის ფსკერი თქვენ მხოლოდ დღისით, მზის სნათლეზე გინახავთ, არ გსურთ იგი ღამის წყვდიადშიც ნახოთ?

- დიდი ხალისით.

- წინასწრა უნდა გაგაფრთხილოთ, ეს გასეირნება მეტად მომქანცველია. დიდი გზა გვექნება გასავლელი და მთებზეც დაგვჭირდება ფოფვა. აქაური გზები ცუდი სავალია.

- კაპიტანო, თქვენი სიტყვები ჩემს ცნობისმოყვარეობას აორვეცებს. მზდ ვარ გეახლოთ.

- მაშ, წამობრძანდით, სკაფანდრები ჩავიცვათ.

საფარეშოში შევედით. იქ დავრწმუნდი, რომ ჩვენთან არც ჩემი ამხანაგები იქნებოდნენ, არც კაპიტნის მეზღვაურები. კაპიტანმა ნემომ არც კი გამახსენა, რომ ნედ ლენდი და კონსეი თან წაგვეყვანა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სკაფანდრები ჩავიცვით. ზურგზე დავიმაგრეთ შეკუმშული ჰაერის რეზირვუარები, მაგრამ ელექტრონის ლამპები კი არსად ჩანდა. ეს გარემოება კაპიტანს გავახსენე.

- არ დაგვჭირდბა, - მიპასუხა მან.

მეგონა, გარკვევით ვერ გავიგე მისი პასუხი-მეთქი, მაგრამ ვეღარც ხელმეორედ შევეკითხე, რადგანაც კაპიტანს უკვე ლითონის ზურში შეერგო თავ. ჩემს უცნაურ სამოსში გამოვეწყვე და ვიგრძენი ხელში რკინისწვერიანი ჯოხი რომ მომაჩეჩეს. რამდენიმე წუთის შემდეგ ატლანტის ოკეანის ფსკერზე დავდგით ფეხი, სამასი მეტრის სიღრმეზე.

შუალამე მოტანებული იყო.

ზღვა ჩაკუპრულიყო.

კაპიტანმა ნემომ მოწითალო წერტილი დამანახა, რომელიც ფართოდ კიაფობდა ორი მილის მანძილიდან. რა სინათლე იყო? რითი ენთო? რისთვის? ან წყალში როგორ არ ქრებოდა?

ვერ მივხვდი და ვერ გავარვი.

ასე იყო თუ ისე, ეს შორეული მოწითალო წერტილი ბუნდოვნად მაინც გვინათებდა გზას. თვალი მალე შევაჩვი უკუნ სიბნელეს და მივხვდი, რომ რუმკორფის აპარატები მართლაც ზედმეტი ბარგი იქნებოდა ჩვენთვის.

მე და კაპიტანი მხარდამხარ მივდიოდით შორეული სინათლისაკენ. ნიადაგი თანდათან მაღლდებოდა, ორივენი ჯოხებზე დაბჯენილი, მძიმე ნაბიჯით მვაბოტებდით. ფხები სიპ ქვებზე გვისხლტებოდა, გაბადრულ მცენარეებში გვეხლართებოდა და შლამში გვეფლობოდა.

ნახევარი საათი მაინც ვიარეთ ასე. ნიადაგი ქვიანი გახდა. მედუზები და კიბოს მაგვარი მიკროსკოპული პენატულები ფოსფორული შუქით მკრთალ სინათლეს ჰფენდა მიდამოს. ძლივს გავარჩი ქვის გროვა, მილიონი ზოოფოტით და ხვიარა მცენარეულობით დაფარული. ხშირად მისხლტებოდა ფეხი ამ მცენარეთა ხალიჩაზე. ვინ იცის, რამდენჯერ დავეცემოდი, რკინისწვეტიანი ჯოხი რომ არ მჭეროდა ხელში! მივტრიალდი ზურგისკენ და მოშორებით, "ნაუტილუსის" ელექტრონის შუქურას მოთეთრო დისკო შევამჩნიე.

ოკეანის ფსკერზე ქვები თითქოს მწყობრად ელაგა, ვერაფრით გამეგო, ასეთი სიმწყობრით რამ დაალაგა!... გავცეკეროდი შორეულ, ჩაბნელებულ წყვდიადამდე გადაჭიმულ მინდორ-ველს, რომლის გაზომვაც შეუძლებელი იყო. ისე მეჩვენებოდა, თითქოს ძვლებით მოფენილ იატაკზე ვადგამდი ფეხს და ძვლებს ტკაცატკუცი გაჰქონდა. მინდოდა კაპიტნისთვის მეკითხა, მაგრამ არ ვიცოდი, ის ნიშნები,

რომლითაც კაპიტანი და მისი მხლებლები ლაპარაკობდნენ ხოლმე ზღვის ფსკერზე მოგზაურობის დროს.

ჩვენი გზის მანთობელი შორეული წითელი შუქი თანდათან ძლიერდებოდა და ჰორიზონტს წითელ სინათლეს ჰყენდა. ნუთუ ეს რომელიმე ახალი ქვეყანაა, რომელიც ჯერ არავინ იცის? იქნებ ბუნების ისეთ მოვლენას წავაწყდით, რომელიც ჯერ არავის გამოუვლევია ხმელეთზე? თან მეტად ახირებული აზრიც დამებადა: ვინ იცის, იქნებ ეს სინათლე ადამიანის შემოქმედებაა?... იქნებ ადამიანის ხელითვე მატულობს მისი შუქი? ... ნუთუ აქ, ოკეანის სიღრმეში ვნახავ კაპიტან ნემოს ამხანაგებს, რომლებიც მასავით წყალქვეშ ატარებენ ცხოვრებას? .. ვინ იცის, იქნებ აქ ერთბაშად თავს წავადგეთ უარყოფილი ადამიანების ახალშენს... იმ ადამიანების, რომელნიც ამქვეყნიური ცხოვრებით გაწამებულნი, დამოუკიდებელ ცხოვრებას ეძებენ და აქ, ოკეანის ამ ღრმა უფსკრულებში, მიაგნებს მას?!

ათასი ასეთი ფიქრი მიტრიალებდა აფორიაქებულ ტვინში.

ჩვენი სავალი გზა კი თანდათან ნათდებოდა, მოკაშვაშე სინათლ მთის მწვერლვაიდან მიდამოს ეფინებოდა. მთა რვაასი ფუქტის სიმაღლეზე მაინც იქნებოდა აზიდული, მაგრამ თვით ის, რასაც ვხედავდი, მხოლოდ წყლის ფენებში ანარეკლად ასხული სანახაობა იყო.

ამ გამოუცნობი სინათლის სათავე კი ალბათ ჩვენს გადაღმა, მთის კალთებზე იყო მოთავსებული. კაპიტანი თამამად და უყოფმანოდ მიაბიჯებდა ატლანტის ოკეანის ამ ოღროჩოღრო ფსკერზე. ეტყობა, კარგდ იცოდა ეს ჩაბნელებული ბილიკები, ალბათ ხშირად დადიოდა ამ ადგილებში და გზი არ ეშლებოდა. მეც სრული ნდობით უკან მივყვებოდი. სიამოვნებით და აღტაცებით ვაყოლებდი თვალს კაპიტნის მაღალ ტანს, რომელიც ჰორიზონტის ნათელ ფონზე შავად ისხებოდა.

ღამის პირველი საათი იქნებოდა, როდესაც პირველ წყება მთების კალთებს მივადექით. მთაზე ასასვლელად საჭირო იყო უშველებელი ტყის მიხვეულ-მოხვეული ბილიკებით სიარული.

ეს იყო ნამდვილი მკვდარი ხეების ტყე, უფოთლო, გამოფიტული და წყლის გავლენით შავად გაქვავებული. აქა- იქ მოჩანდა ქვანახშირად ქცეული უზარმაზარი ფიჭვები, მათი ფესვები ქვაღორღიან ნანგრევებში მოქცეულიყო. წარმოიდგინეთ მთის კალთებზე გაშენებული აყრილი ტყე, რომელიც წყალქვეშ ჩაძირულა. ბილიკები ზღვის მცენარეულობით დაფარულიყო. უამრავი კიბოს მაგვარი ცხოველი ფუთფუთებდა. კლდეებზე აფხოტებსი დროს, ნაყარ ტოტებს ზედ ვაბოტებდით, ზღვის ფოთლებს ვამსხვრევდით, მისი ნაწყვეტი შტოები ერთი ხიდან მეორეს ენარცხებოდა. დაფრთხალი თევზების ქარავანი ერთი მხრიდან მეორეისაკენ მისრიალებდა.

ამ სანახაობამ ისე გამიტაცა, რომ დაღლილობას ვერ ვგრძნობდი, ფეხდაფეხ მივდევდი ჩემს წინამძღოლს, რომელმაც დაღლა რა იყო არ იცოდა. ისეთ კლდეებზე მივფოფხავდით, რომ ლოდი ლოდზე იმსხვრეოდა და ქვემოთ საშინელი ხმაურით ექანბოდა. ორივე მხრიდან პირქუში და ჩაბნელებული ტალანები მოჩანდა. ალაგ-ალაგ უზრმაზარი ტაფობი გადაშლილიყო, თითქოს ადამიანის ხელს მოუსუფთავებიაო. ზოგჯერ თავს ვეკითხებოდი: ხომ შეიძლება მოულოდნელად თავს წამოადგეს ამ წყალქვეში მცხოვრები ვინმე?!

ორი საათი გავიდა, რაც "ნაუტიოლუს" გამოვცილდით, ხშირ ტყესა და ხეებს გავცდით. ჩვენს ზემოთ წვეტიანი მთის წვერი აზიდულიყო, რომელიც კაშვაშად განათებულ ფერდობზე ჩრდილს აჩენდა. ფეხების ქვეშიდან თევზების ქარავანი ქარავანზე იშლებოდა, თითქოს მაღალ ბალახებში ფრინველების გუნდი წამოიშალაო.

ფრიალო ფერდობი ქანჩახებით იყო დასერილი. გზაში გვხვდებოდა ღრმა ეხები, გამოქვაბული მღვიმები, უძირო პირდაღრენილი დოლაბები. მათი სიღრმიდან საშინელი ცხოველების მოძრაობა და ფუსფუსი მოისმოდა, სისხლი თავში მივარდებოდა, როდესაც უშველებელ ულვაშს ვხედავდი, რომელიც ჩვენს გზაზე გახიდულიყო. ათასი უშველებელი წერტილი ბრიალებდა სიბნელეში. ეს იყო კიბოსმაგვარი უზარმაზარი ცხოველების თვალები, რომლებიც თავის ბუნაგში შემალულნი იყურებოდნენ... აქ იყო გიგანტური კიბოები, რომელთა უზარმაზარი თათების მოძაობა ისეთ ხმაურს გამოსცემდა, თითქოს რკინამ დაიუღარუნაო. ვნახეთ ზრვის უშველებელი კიბოებიც, რომლებიც საჭმელად ვარგისია.

დავინახეთ საზრელი რვაფეხაც, კაპიტანი ნემო შეჩვეულია ამ საზარელი ცხოველების ხილვას, ყურადღებას არ აქცევს და შეუჩერებლივ მიაბოტებს წინ.

პირველ ბექობს მივაღწიეთ, სადაც ახალი საოცრებანი გადაგვეშალა.

თვალწინ წარმტაცი და მომზიბლავი ნანგრევები დავინახეთ, რომელსაც ადამიანის გარჯილობის კვალი ეტყობოდა.

ამ უზარმაზარი ლოდების გროვაში მოჩანდა სახლების გარკვეული მოხაზულობაც.

ნეტავ, დედამიწის რომელი ნაწილი წაულევავს წყალდიდობას? სად ვიმყოფებით, სად მომიყვანა კაპიტანმა ნემოს ფანტაზიამ?

მინდოდა მეკითხა, მაგრამ თავი ზურმი მაქვს შერგული და ვერ ვახერხებ. უკანასკნელი ძალ-ღონეს ვიკრებ და მაინც მივდევ კაპიტანს. რამდენიმე წუთიც და წვეტიანი მთის ქოჩორს მივაღწევთ, რომელიც ამ სალი კლდის მასას ათიოდე მეტრით მაღლა ასცილებოდა.

გამოვხედეთ ამ მიდამოს, რომელიც ახლახან გამოვიარეთ. ეს მთა შვიდასიოდე ფუტით აზიდულიყო დაცემულ ველზე, მაგრამ გაღმა კალთები ამაზე უფრო მაღალი იყო და ირიბად ეშვებოდა ატლანტის ოკეანის დაბლობი ფსკერისაკენ.

თვალი შორს გამექვა. თვალწინ გადამეშალა გაკაშკაშებული უზარმაზარი მდელო.

ეს იყო ცეცხლისმფრქვეველი მთა.

წვეტიანი მწვერვალს ძირში, ორმოცდაათი ფუტის სიმაღლეზე, ქვაღორსა და ნაცრტუტს შორის, ცეცხლისმფრქვეველი განიერი ხახა ღველფის თქეშს ისროდა და ეს თქეში ცეცხლის შადრევნად ეფინებოდა გარშემო მომდგრ თხიერი წყლის მასას. ვულკანი უშველებელი ლამპარივით ანათებდა მთელ დაცემულ ვაკეს ჰორიზონტის დასავლამდე.

ალბათ წყალქვეშა ვულკანი ისროდა ღველფს და არა ალს. ალის გაჩენას ჰაერის ჟანგბადი სჭირდეოდა და რა თქმა უნდა, წყალქვეშ ის ვერ იბოგინებს. ღველფის თქეში კი შეიძლება ისე გახურდეს, რომ თეთრად იწყოს ვარვარი. წყალს მიეძალოს და ორთქლად იქცეს...

თვალწინ გადაშლილა დანგრეული, პირქვე დამხობილი, გაპარტახებული ქალაქი: ჭერგამოგლეჯილი სახლები, მიფანტულ-მოფანტული კამარები, ფსკერზე დნარცხებული სვეტები, რომლებსაც კიდევ ემჩნევათ ტოსკანური ხუროთმოძღვრების კვალი. მოჩანდა თვალუწვდენელი წყალსადენის ნანგრევები, შლამით დაფარული პარათენონისა და აკროპოლის ბუნდოვანი მოხაზულობა. აქეთ კი, ზღვის კიდურზე, ფართო ქუჩა. ალბათ აქ იყო უდიდესი ნავსადგური, რომელიც ოდესაც თავის უბეში იფარავდა ამ ჩაძირული ოკეანის სანაპიროზე მოსულ სავაჭრო თუ სამხედრო გემებს... უფრო მოშორებით მოჩანდ კედლების გრძლად გაჭიმული წყება, მოკირწყულული ფართო ქუჩები.

ოცნებაში გაცოცხლდა ჩაძირული ახალი პომპეი!

მსურდა გაგება, თუ სად ვიმყოფებოდით, მინდოდა სპილენძის ზური თავიდან მომეგლიჯა და რაღაც მეთქვა, მაგრამ კაპიტანი ნემო მომიახლოვდა და ხელით მანიშნა - დაწყნარდიო.

ერთი ცარცის ნატეხი აიღო, შავ ფიქალს კლდესთან მივიდა და მხოლოდ ერთი სიტყვა დაწერა:

"ატლანტისი".

ტვინში ელვასავით დამკრა...

ატლანტისი! პლატონის დროინდელი, უძველესი ატლანტისი ჩემ თვალწინ გადაშლილიყო!

აი, თურმე სად უცხოვრიათ ძლევამოსილ ატლანტებს, რომელთა წინააღმდეგ პირველად ბერძნებმა აღმართეს მახვილი.

თურმე სად მომიყვანა ბრძან ბედისწერამ!... ფეხით ვთელავ მაშინდელ ხმელეთის მთას, ხელით ვეხები ათასი საუკუნის ნანგრევებს, რომლებიც გეოლოგიური ხანის მომსწრეა - ფეხით დავდივარ იქ, სადაც დადიოდნენ პირველი ადამიანის თანამედროვენი.. ჩემი მძიმე ფეხსაცმლის ძირებით ვქელავ და ვამსხვრევ ამ ზღაპრული დროის ცხოველთა ჩონჩხებს, რომლებიც ოდესლაც ამ გაქვავებული ტყის ხეების ჩრდილის აფარებდნენ თავს!...

რა სანახებლად მრჩება, რომ დრო არა მაქვს დავეშვა ამ დაქანებული მთების ფერდობებზე, გავისეირნო ამ უზარმაზარ ხმელეთზე, რომელიც ოდესლაც აფრიკასა და ამერიკას აერთებდა და აქ ვიხილო წარღვნის წინათ აგებული ქალაქი ნანგრევები!

ვინ იცის, იქნებ მიწის გულში მოდუღდუღე ცეცხლმა კვლავ ზღვის ზედაპირზე ამოზიდოს ეს წყალქვეშა ნანგრევები?! ოკეანის ამ ნაწილსი ხომ უკვე მიაგნეს რამდენიმე წყალქვეშა ვულკანს: მრავალ გემს განუცდია არაჩევულებრივი რყევა ამ მშფოთვარე უფსკრულზე გადაცურვის დროს. ვინ იცის, იქნებ ის დროც მოვიდეს, როდესაც ვულკანური ღველფით თანდათან გაზრდილი და ახალ-ახალ ფენებად ამაღლებული ატლანტისი კვლავ მოევლინოს ადამიანის თვალებს?!

ამ ოცნებისას ვცდილობდი ღრმად აღმებეჭდა დიადი სანახაობის ყოველი წვრილმანი. კაპიტანი ნემო კი აღმასივით ამართულ, ხავსმოდებულ სვეტს მიყრდნობოდა და უძრავად მისცემოდა აღტაცებას...

ნეტავ, რას ფიქრობდა? იქნებ მისი გონება თავს დასტრიალებდა ამ დაღუპულ მოდგმას. იქნებ იმითომ მოვიდა აქ ეს ახირებული ადამიანი, რომელსაც არ სურს თანამედროვე ცხოვრებით იცხოვროს და სწადია გარდასულთა სიცოცხლით გახალისდეს? არაფერს დავიშურებდი, ოღონდ შემეტყო მისი აზრი, მივმხვდარიყავი მის გულისთქმას, თანაზიარი გავმხდარიყავი მისი!...

მთელი საათი დავრჩით აქ და გადვცქეროდით ღველფით აელვარებულ უსაზღვრო ველს.

ბოლოს კაპიტანი ნემო დგილიდან დაიძრა, უკანასკნელად გადახედა გადაშლილ ველს და ხელით მნიშნა, გავყოლოდი.

მთიდან მალე დავეშვით. გაქვავებული ტყე გამოვიარეთ. შორს თვალი მოვკარი "ნაუტილუსის" შუქურას, რომელიც ვარსკვლავივით კიაფობდა. კაპიტანი პირდაპირ მისკენ გაემართა.

გემს სწორედ მაშინ მივაღწიეთ, როდესაც ოკეანის ზედაპირზე განთიადის პირველი სხივი აციმციმდა.

თავი X

წყალქვეშა მაღაროები

20 თებერვალს ძალიან გვიან გამეღვიძა. საჩქაროდ ჩავიცვი, მინდოდა გამეგო "ნაუტილუსის" მიმართულება. თურმე ისევ სამხრეთისკენ მივცურავდით, საათში ოცი მიღის სიჩქარით, ასი მეტრის სიღრმეზე.

კონსეი შემოვიდა ჩემთან. წუხანდელი ჩვენი მოგზაურობის ამბავი გავუზიარე. ფანჯრის დარაბები გაწეული იყო და კონსეის შეეძლო ამ ჩაძირული ხმელეთის ერთი ნაწილისთვის მაინც მოეკრა თვალი.

"ნაუტილუსი" წყნარად, აუჩქარებლად მიცურავდა, ხან სიღრმეში ჩაეშვებოდა, ხან ზედაპირზე მისრიალებდა, თითქოს ამ დაღუპულ ქვეყანას თავს ევლებაო. შუქურის სინათლეზე მე და კონსეი გატაცეიტ გავცემდით ოკეანის უფსკრულებში ჩაძირულ ტყის ბუნდოვან მოხაზულობას. ზევიდან კი, როდესაც "ნაუტილუსი" ზედაპირისკენ ამოიჩევდა, ლურჯად მოკამკამე წყალში თავს დაგნათოდა მოწმენდილი ცის კაშკაშად მოციმციმე ვარსკვლავები.

დარაბები დახურეს და ყველა თავ-თავის კაუტაში დაბრუნდა.

მეორე დილით რომ გამეღვიძა, შევატყვე, "ნაუტილუსი" უძრავად იდგა, დარაბები აწეული დამხვდა. გაკვირვებული დავრჩი. "ნაუტილუსი" წყლის ზედაპირზე იდგა, მაგრამ დღის სინათლის ნაცვლად, ფანჯრიდან ღამის ბინდი იცქირებოდა.

- ეს რა უცნაურობაა!.. დრო მატყუებს თუ რა ამბავია?! თუ ისევ ღამეა, ვარსკვლავები მაინც რატომ არ ციმციმებს ცაზე?

ამ დროს დარბაზში კაპიტანი ნემო შემოვიდა.

- კაპიტანო, სად ვიმყოფებით?

- მიწის ქვეშ, პროფესორო, - მიპასუხა მან, - მაგრამ ახლავე შუქურა გაანათებს და ყველაფერს მიხვდებით.

ბაქანზე ავედი. ელექტროშუქურამ ისეთი ჭახჭახით გაანათა, რომ თვალები ამტკივდა. მერე თანდათან გავარჩიე მიდამო. ჩვენ ვიდექით ფრიალო კლდის პირას. უშველებელი ეხში ტბა შეჭრილიყო, გარშემო მაღალი კლდეები აზიდულიყო. ეხის კედლები ყოველი მხრიდან თანდათან ვიწროვდებოდა და სულ ზევით თაღად შეკრული მრგვალი სარკმელივით დოლაბით თავდებოდა. თურმე იმ დოლაბიდან ეფინებოდა ის ბუნდოვანი სინათლე, თავდაპირველად რომ შევამჩნიე.

- კაპიტანო, მაინც სად ვიმყოფებით? - შევეკითხე კიდეც.

- პროფესორო, ჩვენ ვიმყოფებით ძველისძველ, ჩამქრალი ვულკნის გულში. ალბათ, მიწისძვრის დროს წყალმა დაფარა ერთ-ერთი კუნძული, რომლებითაც მოფენილია ეს ზღვა და ამ ვულკანის გულში გაჩნდა ტბა, რომელიც ოკეანეს უერთდება უფსკრულის სიღრმეში. "ნაუტილუსი" იმ დროს შემოცურდა ამ ტბაში, როდესაც ჩვენ გვეძინა. პროფესორო, ეს არისნ "ნაუტილუსის" ნავსადგური და ძალიან მარჯვე და მოხერხებულია ჩემთვის: მყუდროა და გარეშე თვალისთვის უჩინარი.

- განა იმ დოლაბიდან გასვლა არ შეიძლება?

- ყოვლად შეუძლებელია, პროფესორო. იმ სარკმლიდან არც ჩამოსვლა შეიძლება, არც აქედან ასვლა. ხომ ხედავთ, რომ ეხის კედლები წამოზნექილად მისდევს ზევით, თანდათან ვიწროვდება და დოლაბის პირთან ერთანდება.

- მართლაც, თითქოს ბუნებას საგანგებოდ მოუწყვია ეს ნავსადგური "ნაუტილუსისთვის", მაგრამ განა "ნაუტილუსი" უნავსადგუროდ ვერ გაძლებს?

- სწორედ რომ ვთქვათ, "ნაუტილუსს" ნავსადგური არ სჭირდება, მაგრამ ჩემთვის ხომ აუცილებელია ელექტრონი. ელექტრონის მოსაპოვებლად კი ზღვის მარილისგან ნატრიუმი უნდა დავამზადო. ამას სათბობი მასალა სჭირდება, ე.ი. ქვანახშირი. აქ კი, წყალქევშ, ქვანახშირად ქცეული პირველყოფილი ტყეებია: ეს არის ნამდვილი ქვანახშირის მაღაროები, სხელდობრ ამისთვის მოვდივარ ხოლმე ამ ნავსადგურში.

- და მაშინ მთელი თქვენი ეკიპაჟი, სკაფანდრებში გამოწყობილი, ალბათ წყალქეშა მეშახტებად იქცევიან ხოლმე? - ვკითხე კაპიტანს.

- სწორი ხართ პროფესორო, ჩემი ხალხი აქ ზღვის ფსკერზე ამუშავებს ქვანახშირს. ასე რომ, სათბობი მასალისათვის აღარ მჭირდება ხმელეთს მივმართო. აქვე ვამზადებ ნატრიუმს. როდესაც ამ დოლაბიდან ბოლი ამოდის, გარედან შემხედვარეს ეგონება, ეს ცეცხლისმფრქვეველი მთა კლვავი იწყებს მოქმედებასო. ახლა ვეშურები ქვეყნის გარშემო ჩვენი მოგზაურობის გაგრძელებას და ნატრიუმს აქ ადრევე ამოღებული ქვანახშირით დავამზადებ. პროფესორო, თუ გნებავთ, ისარგებლეთ შემთხვევით და თქვენი ამხანაგებით "ხმელეთზე" გაისეირნეთ ამ ტბის ნაპირებზე.

- გმადლობთ, კაპიტანო, - ვუპასუხე მე და კონსეისა და ნედსაკენ გავწიე.

ორივეს ძალიან ესიამოვნა ეს წინადადება და ნაპირზე გადავედით. კანადელი მაშინვე შეუდგა გაპარვის გეგმის შემუშავებას, მაგრამ თვითონაც მალე დარწმუნდა, რომ ეს გაზრახვ ვერ განხორციელდებოდა.

ტბის გარშემო ვიწრო შლამიან ნაპირს გავყევით. განსაკუთრებული და ღირშესანიშნავი არფაფერი გადაგვხდენია. კონსეი ახლაც ჩვეულებრივ დინჯი და აუჩქარებელი იყო. ნედ ლენდი კი სულ იმის ძიებაში იყო, ეგებ ამ გამოქვაბულს სადმე გასასვლელი გზა ჰქონდესო.

აქა-იქ ვულკანური ნატეხები იყო მოფენილი, პემზის სურათოვანი ლოდები. მათი ზედაპირი მიწისქვა ცეცხლის გავლენით ელექტროშუქზე ისე ლაპლაპებდა, თითქოს ლაქი წაუსვამთო. ჩვენი ფეხის დაკარებაზე ელვარე ნაპერწკლებივით გამჭირვალე მინის ბუქი ადიოდა. მიხვეულ-მოხვეულ და დაქანებულ კლდის ფერდობზე მივდიოდით, ღრმა ხრამებზე ვხტებოდით, კლდის გამოშვერილ ქიმებზე მივბობლავდით. მცენარეულობა იშვიათად გვხვდებოდა და რაც იყო, ისიც უმზეოდ და უსინათლოდ მწირი და აწოწილი. კანადელი გარეულ ფუტკარს წააწყდა და თავისი ჩანთა თაფლით სავსე ფიჭით გატენა. თურმე ამ ვულკანის გულში ფუტკრის გარდა სხვა მწერებიც მოიპოვებოდა. კლდის ნაპრალებში მიმინოები ბუდობდნენ. ფერდობებზე სავათები შევამჩნიეთ. ძნელი სათქმელია, თუ საიდან გაჩდნენ აქ, თოფები თან არ წაგვიღია და ნედ ლენდი სიბრაზისაგან წვრებს იგლეჯდა. სამაგიეროდ, უნდა გენახათ, რა აღტაცებაში მოვიდა, როცა ნასროლი ქვით ერთი სავათი დაჭრა. კინაღამ გაიჩეხა ფრიალო კლდეზე ამ ფინველის დევნაში. აქ ერთი რამ გადაგვხდა და არ შეიძლება არ მოვიხსენიო. კლდეებში დავინახეთ მიმყუდორებული ეხი, რომეციც რბილი და წმინდა შლამით იყო მოფენილი. სიამოვნებით ჩაგვთვლიმა. უცებ კონსეის ყვირილზე გამომეღვიძა.

- არიქა, ჩქარა, თავს ვუშველოთ, წყალი მოვარდა!

წამოვხტი. მართლაც, ტბას ნაპირები გადმოელახა, აგორებული ტალღები ჩვენი ბინისკენ მოექანებოდა. საბედნიეროდ, იოლად გადავრჩით. მართალია, წყალში კი ვტოპეთ, მგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ მაღალ ბორცვზე აფოფხდით და

საფრთხეს თავი დავაღწიეთ. გაოცებულ ამხანგებს ავუხსენი, რომ აქ გასაოცარი არაფერი იყო რა. ტბა ოკეანეს უერთდებოდ მიწის ქვეშ და როდესაც ამ მიდამოებში ზღვის მოქცევა მოხდა, წყლის დონემ აიწია, როგორც ოკეანეში, ისევე ამ ტბაშიც, და მაშასადამე, ჩვენს გამოქვაბულშიც. ეს იყო უბრალო, ჩვეულებრივი ზღვის მოქცევა და მეტი არაფერი. სველი ტანისამოსის გამოსაცვლელად "ნაუტილუს" მივაშურეთ.

მეორე დღეს "ნაუტილუსმა" მიატოვა თავისი ნავსადგური და ისევ სამხრეთისკენ გაემართა.

თავი XI

სარგოსის ზღვა

"ნაუტილუსი" აღებულ გეზს არ ცვლიდა. ყოველივე იმედი დავკარგეთ ევროპის ზღვებისკენ გაბრუნებისა. კაპიტანი ნემო სამხრეთისაკენ მიემურებოდა.

ნეტავ საით მიგვაქროლებს?

ამის გამოცნობას აღარც კი ვცდილვარ. იმ დღეს "ნაუტილუსი" ოკეანის ღირშესანიშნავ ადგილზე მიცურავდა.

ყველას მოეხსენება, რომ ოკეანეში არის თბილი წყლის უდიდესი დინება, ეგრეთ წოდეული გოლფსტრემი.

ეს თბილი დინება ფლორიდის არხიდან იწყება და შპიცბერგენისაკენ მიიღწვის. მაგრამ, სანამ მექსიკის ყურეს შეერევა, ორ ტოტად იყოფა: უმთავრესი ტოტი ირლანდიისა და ნორვეგიისაკენ მიექანება, მეორე ტოტი კი სამხრეთით უხვევს, აზორის კუნძულებამდე, აფრიკის ნაპირებს რომ მიაღწევს, ისევ უკან ბრუნდებოდა ანტილის კუნძულისკენ.

ეს მეორე ტოტი თავისი თბილი დინებით გარს უვლის ოკეანის იმ ცივსა და მიწყნარებული ზღვის ნაწილს, რომელსაც სარგოსის ზღვა ეწოდება. ეს არის ნამდვილი ველი ატლანტის ოკეანეში. პირველი შტოს უდიდეს დინებს სამი წელიწადი სჭირდება, რომ ერთი შემოვლა გააკეთოს.

სწორედ რომ ითქვას, სარგოსის ზღვა ფარავს ატლანტისის მთელ ამ ნაწილს, რომელიც წყალქვეშაა ჩამირული. ზოგიერთის აზრით, ის უამრავი მცენარეულობა, რომელითაც უხვადაა მოფენილი ზღვა, ჩამირული ხმელეთის ნაშთია. მაგრამ უფრო სარწმუნოა მოსაზრება, რომ ეს მცენარეულობა და ბალახები ევროპისა და ამერიკის ხმელეთიდან არის მოგლეჯილი გოლფსტრემის მიერ და მისი დინების მიერ არის აქეთ წამოღებული. კოლუმბს, როდესაც ამ გაბედავი მკვლევარის გემებმა სარგოსის ზღვას მიაღწიეს, ამ გრემოებამ აფიქრებინა ახალი ქვეყანა არსებობსო. მისი გემები ძლივს იკვლევდა გზას ამ გაბარდული და გახლართულ მცენარეულობაში. მათ სრული სამი თვე მოანდომეს, რომ ამ ზღვისთვის გარს შემოევლოთ.

აი, ასეთია ადგილი, სადაც ამჟამად "ნაუტილუსი" მიცურავს. ეს არის ნამდვილი ველი, მტკიცედ მოქარგული ხალიჩა ბალახ-მცენარეულობისა და ტროპიკული ვაზისა. ეს ხალიჩა იმდენად მტკიცე და მკვრივია, რომ ჩვენს გემსაც კი უძნელდება მისი გარღვევა. კაპიტან ნემოს არ უნდოდა, რომ საჭის ბორბალი ამ ჩახლართული ხალიჩის რღვევაში შეყოვნებლულიყო და ამისათვის "ნაუტილუსი" რამდენიმე მეტრით ძირს მიცურავდა აბალახეული ზედაპრიდან.

სახელწოდება - "სარგოსის ზღვა" - იაპონური სიტყვისაგან წარმოდგება და ნიშნვს ზღვის მცენარე-ცხოველებს. უმთავრესად სწორედ ასეთი გადახლართული და გაბარდნილი მცენარეულობისაგან შედგება ეს თვალუწვდენელი მოძრავი კაბადონი.

22 თებერვალს მთელი დღე სარგოსის ზღვაში მივცურავდით. თევზები და კიბოს ჯიშის ცხოველები ამ მწვანე წავერდსი ბლომად ბუდობდნენ და საზრდოც უხვად მოეპოვებოდათ.

მეოერ დღეს ოკეანემ ჩვეულებრივი სახე მიიღო.

ამ დღიდან, ე.ი. 23 თებერვლიდან 12 მარტმდე "ნაუტილუსი" შეუჩერებლივ მიცურავდა შუაგულ ატლანტის ოკეანეში, დღეში ასი ლეის სიჩქარით.

ახლა კი ეჭვი აღარ იყო, კაპიტან ნემოს განზრახული ჰქონდა, ჰორნის კონცხისათვის შემოევლო და ოკეანის ტროპიკული ნაწილისკენ გაბრუნებულიყო.

ამის გამო ნედ ლენდი საგონებელში ჩავარდა: ამ თვალუწვდენელი ზღვების სივრცეში, სადაც არც ერთი კუნძულიც კი არსად მოჩანდა, გაპარვაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. ბედს უნდა დავმორჩილებოდით. თუმცა მე ვიმედოვნებდი, რომ თუ ძალით და მოხერხებით ვერაფერს გავხდებით, შეიძლება კაპიტნის დარწმუნებამ იმოქმედოს-მეთქი. ვინ იცის, იქნებ თავისი მოგზაურობის დასრულების შემდეგ კაპიტანს თვითონვე მიეცა ჩვენთვის თავისუფლება და სიტყვა ჩამოერთვა, რომ არასოდეს და არავისთან არ გაგვემჟღავნებინა მისი არსებობის საიდუმლოება. ამ საჩოთირო საკითხის თაობაზე საჭირო იყო მასთან მოლაპარაკება, მაგრამ არ ვიცოდი, როგორ შეხედავდა კაპიტანი ჩვენი გათავისუფლების საკითხს.

მან ხომ თავიდან გადაჭრით გამოგვიცხადა, რომ მისი საიდუმლოების შესანახდ აუცილებელი იყო ჩვენი სამუდამო ტყვეობა "ნაუტილუსზე". მაგრამ ოთხი თვის განმავლობაში ჩემი სიჩუმეც შეიძლება ისე ჩაეთვალა, ვითომც სავსებით შევურიგდით ბედს. რომ დავლაპარაკებოდი გათავისუფლების შესახებ, შეიძლება მეთვალყურეობა გაეძლიერებინა ჩვენზე და გაპარვის შესაძლებლობა სამუდამოდ დაგვეკარგა.

ჩვენს მოგზაურობაში ამ ცხრამეტ დღეს არაფერი განსაკუთრებული არ გადაგვხდენია თავს. კაპიტან ნემოს იშვიათად ვხედავდი. ის უფრო ხშირად ბიბლიოთეკაში მუშაობდა. ზოგჯერ მის მიერ ბიბლიოთეკაში დატოვებული გადაშლილი წიგნები მხვდებოდა. ეს იყო ბუნებისმეტყველების ისტორია. როგორც შევატყე, კაპიტანი კმაყოფილი იყო ჩემი თხზულებით ზღვის ფსკერის შესახებ. წიგნის არშიაზე მიწერილი ჰქონდა მრავალი დასაბუთებული შენიშვნა, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგებოდა ჩემს თეორიებს და სისტემას. ამით დაკმაყოფილდა და იშვიათად თუ ჩამომიგდებდა საუბარს ჩემი ნაშრომის შესახებ.

ჩვენი მოგზაურობის ეს ნაწილი უმეტესად ზღვის ზედაპირზე გვატარეთ. ზღვაზე ჭაჭანება არ იყო, იშვიათად თუ სადმე თვალს მოვკრავდით იალქნიან გემებს, რომლებსაც ინდოეთისაკენ მიჰქონდათ ტვირთი და კეთილი იმედის კონცხისკენ აეღოთ გზი.

გვქონდა შემთხვევა, როდესაც ვეშაპზე მონადირე იალქნიანი გემები დაგვედევნენ, ალბათ "ნაუტილუსი" ვეშაპად მიიჩნიეს. კაპიტანმა ნემომ ეს რომ შეიტყო, არ უნდოდა, ამ საწყალი ადამიანებისათვის დრო და შრომა დაეკარგვინებინა და "ნაუტილუსი" ისევ წყალქვეშა ცურვით წაიყვანა. არ შევცდები, თუ ვიტყვი, ნედ ლენდს სანახებლად რჩებოდა, "ნაუტილუსი" ფოლადისა და რკინისაგან რომ იყო შეჭედილი და ნამდვილი ვეშაპი არ იყო, რომ ვეშაპზე მოანდირებს ბარჯით გაეგმირათ.

მე და კონსეი გულდასმით ვაკვირდებოდით ამ მიდამოების თევზებს, მაგრამ სხვა განდებზე შემჩნეული თევზებისაგან ისინი არაფრით განირჩეოდნენ. ჩვენი ყურადღება მხოლოდ ზოლიანმა ნათელთევზებმა მიიზიდა, რომლებიც სიგრძით ხუთი მეტრი იქნებოდა, თავი ბრტყელი ჰქონდათ და უფრო განიერი, ვიდრე ტანი, ბოლო მომრგვალებული, ზურგზე კი შვიდ-შვიდი დიდრონი ზოლი ჩასდევდათ შავად.

გვხვდებოდა აგრეთვე დიდრონი "ზღვის ძაღლები". ეს ცხოველი მეტად ღორმუცელაა. შეიძლება არ დავიჯეროთ მებადურის ნაამბობი, მაგრამ ია რას გადმოგვცემენ: ერთი ასეთი ღორმუცელა "ზღვის ძარლის" კუჭში უნახავთ კამეჩის თავი და მთელი ხბო; მეორის კუჭში - ორი თინუსი და ერთი მეზღვაური თავისი ფორმის ტანისამოსით. მესამის კუჭიდან ამოუღიათ ერთი ჯარისკაცი, მეოთხის კუჭიდან კი - ცხნოსანი ყოფილა. მაგრამ ჩვენს ბადეს არც ერთი ცხოველი არ მოხდა, თავად რომ შეგვემოწმებინა მათი ღორმუცელობა.

ჩვენს გემს მოსდევდა მთელი ხროვა მარდი დელფინებისა. ისინი ჯგუფ-ჯგუფად დათარეშობდნენ ზღვაში, როგორც მგლები მინდვრად. კონპენჟაგენის პროფესორს თუ დავუჯერებთ, ერთი დელფინის კუჭში უნახავთ ცამეტი ზღვის ბაჭია და თხუთმეტი სელაპი. ეს ყოფილა "დელფინი-ფალავანი" ყველაზე მსხვილი ჯიშისა, რომლის სიგრძეც ოცდაოთხ ფუტს უდრიდა თურმე.

კონსეი, მფრინავი თევზების კლასიფიკაციას აწარმოებდა. საგულისხმო სურათს წარმოადგენდა დეფლინების ნადირობა თევზებზე. რომელ მხარესაც არ უნდა გაფრინდეს ეს თევზი, ყველგან წინ ხვდება დელფინის დალებული ხახა.

13 მარტამდე ჩვენი მგზავრობა იმავე პირობებში გაგრძელდა. ხოლო იმ დღეს, "ნაუტილუსი" ოკეანის სიღრმის გამოკვლევას შეუდგა. ამ საქმემ მეც დიდად დამაინტერესა.

დღემდე ჩვენ ცამეტი ათასი ლიე გვქონდა გავლილი ((52.000 ვერსი). ამჟამად სამხრეთ განედის $45^{\circ}37'$ -ზე ვიყოფებოდით და დასავლეთსი გრძედის $37^{\circ}35'$ --ზე. ეს ის ადგილია სწორედ, სადაც "ჰეროლდის" კაპიტანმა დენგამმა სიღრმის საზომი ზონდი ჩაუშვა თოთხმეტი ათასი მეტრის სიგრძეზე და ოკეანის ფსკერს მაინც ვერ მიაწვდინა. ამ ადგილას ამერიკის სამხედრო გემის კაპიტანმა, ლეიტენანტმა პეკარმაც გაზომა სიღრმე მისი თხუთმეტი ათას მეტრიანი ზონდები ფსკერამდე ვერ ჩაწვდა.

კაპიტანმა ნემომ გადაწყვიტა "ნაუტილუსით" ჩაშვებულიყო უღრმეს უფსკრულამდე, რათა წინანდელი გაზმოვის სისწორე შეემოწმებინა. მე ამ გამოკვლევის შედეგებს ჩასაწერად გავემზადე. დარბაზში დარაბები გაწეული იყო, კაპიტანი ცდილობდა გემისთვის ისეთი გეზი მიეცა, რომ უღრმეს ფენამდე დაშვებულიყო.

კაპიტანმა, სიღრმეში ჩაშვება გრძელი დიაგონალური გადაწყვიტა. ამ მიზნით გემი ირიბად მიმართა - ისე, რომ მისი სიგრძის შუახაზი ორმოცდახუთ გრადუსამდე გაუსწორა, მოსასმელი ბორბლის სიჩქარე უაღრესად განავითარა და მისი ოთხივე ნიჩბის პირი საოცარი გააფთრებით მიარღვევდა წყალს.

მძლავრი წნევისაგან "ნაუტილუსი" ისე თრთოდა, როგორც აუღერებული დაჭიმული სიმი და თანაბრად ეშვებოდა წყლის უფსკრულში; მე და კაპიტანი დარბაზში ვიდექით და თვალს ვადევნებდით მანომეტრის ისარდ. მალე იმ სარტყელს ჩავცილდით, სადაც თევზების უმრავლესობა ბუდობს. თუ ზოგიერთი თევზი მხოლოდ ოკეანის ღრმა ფენებშია, სხვა ცხოველები უფრო ნაკლებ სიღრმეზე ძლებენ. ამ უკანასკნელთა შორის შევამჩნიე ექვსასუნთქიანი ნათელთევზები,

უშველბელთვალება "ტელესკოპი" და "გრენადერი", რომელიც მხოლოდ ათას ორასი მეტრის სიღრმეზე ბუდობს და ამგვარად, ას ოცი ატმოსფეროს წნევას უძლებს.

კაპიტანს ვკითხე, - დიდ სიღრმეებში თევზები თუ გინახავს-მეთქი?

- თევზები? იშვიათად! - მიპასუხა მან, - ამ მოვლენის შესახებ თანამედროვე მეცნიერება რა პასუხს იძლევა?

- მეცნიერება გვეუბნება, კაპიტანო, რომ რაც უფრო ღრმად ვეშვებით ოკეანის უფსკრულებში, მცენარეულობა უფრო ადრე ქრება, ვიდრე ცხოველები, და იქ, სადაც ცხოველები კიდევ გვხვდება, უკვე აღარც ერთი ზღვის მცენარე არ მოიპოვება. ისიც ვიცით, რომ ლოკოკინები ორი ათასი მეტრის სიღრმეზე გვხვდება. მაგალითად, "ბულდოგის" ეკიპაჟმა ზღვის ვარსკვლავი ორი ათას ექვსას ოცი ბრას (6 ფუტია) სიღრმიდან ამოათრია. მაგრამ თქვენ ალბათ, კაპიტანო, იტყვით, არაფერი გცოდნიათო.

- არა პროფესორო, - მიპასუხა კაპიტანმა, - მე არ გამოვიჩენ მაგისტანა უზრდებლობას, მაგრამ მინდოდა გამეგო, რითი ახსნით ცხოველთა იმ უნრს, ასეთ სიღრმეზე რომ ძლებენ?

- ამას ორი მიზეზი აქვს, - ვუპასუხე მე, - ჯერ ერთი ის, რომ შვეულხაზა მდინარობა, რომელსაც იწვევს წყლის სიმლაშე და სიმკვრივე, საკმარისია, რომ სიცოცხლე აძლიოს ზღვის ზამბახებ და ზღვისარსკვლავას.

- მართალია, - ჩაურთო კაპიტანმა.

- მეორეც, უანგბადი ხომ სიცოცხლის წყაროა და ჩვენ კი ვიცით, რომ დიდ სიღრმეზე უანგბადი კი არ კლებულობს, არამედ მატულობს კიდეც. ვიცით ისიც, რომ ქვედა ფენებში წნევა უანგბადის შეკუმშვას იწვევს.

- როგორ?! ეგეც იცით? - წამოიძახა კაპიტანმა ნემომ გაოცებით. - დიახ, ყველაფერი ეგ სრული სიმართლეა. მე მხოლოდ უნდა დავუმატო, რომ თევზების საცურაო ბუშტში უფრო მეტი აზოტია, ვიდრე უანგბადი, თუ ეს ცხოველი წყლის ზედაპირზე დაიჭირეთ; და პირიქით - დიდ სიღრმეზე დაჭირილი თევზის ბუშტში უფრო მეტი უანგბადია, ვიდრე აზოტი, რაც თქვენ მოსაზრებას ადასტურებს. მაგრამ ახლა ჩვენი დაკვირვებანი განვაგრძოთ.

მანომეტრს შევხედე. მისი ისარი ექვსი ათასი მეტრის სიღრმეს გვიჩვენებდა. უკვე მთელი საათი იყო, რაც ძირს, უფსკრულებისკენ ვეშვებოდით. "ნაუტილუსი" სიღრმისკენ მიცურავდა. ეს წყლები მეტისმეტად გამჭვირვალე და კაშკაშა. თხუთმეტი წუთის შემდეგ, ცამეტი ათასი მეტრის სიღრმეს მივაღწიეთ, მაგრამ ზღვის ფსკერის სიახლოვის არავითარი ნიშანი არ იყო.

თოთხმეტი ათასი მეტრის სიღრმეზე უავე დავინახეთ მოშავო მთის მწვერვალები, რომლებიც წყალში ამოზიდულიყო. ეს მთები ისეთივე მაღალი უნდა ყოფილიყო, როგორც მონბლანი ან ჰიმალაის მთები. აქ ოკეანის სიღრმე განუზომელია.

წინააღმდეგობის მიუხედავად, "ნაუტილუსი" კვლავ ქვევით ეშვებოდა. მისი რკინის კოჭები იზნიქებოდა, კაუტებს შუა კედლები იგრიხებოდა, წყლის წნევისაგან დარბაზის ფანჯრის ჩარჩოებიდან სქელი შუშები თითქოს შიგნით შემოზნექილიყო და ეს მკვიდრად ნაგები გემი, უეჭველია დაიმსხვრეოდა, რომ მას, კაპიტანი ნემოს თქმით, მთელი თავისი ტანით არ ჰქონდა გამძლეობის უნარი.

მაღალ მთლად გაქრა ყოველი ნიშანწყალი რაიმე ცოცხალი არსებისა. როდესაც "ნაუტილუსმა" ცამეტი ვერსის სიღრმეს მიაღწია, უკვე ჩასცილდა წყალქვეშა სიცოცხლის ხაზს, სწორედ ისე, როგორც ჰაერში იმ მიდამოს მიღწევისას, სადაც სუნთქვა აღარ შეიძლება. ჩვენ უკვე თექვსმეტი ათასი მეტრის, ე. ი. ოთხი ლიეს

სიღრმეზე ვიმყოფებით. "ნაუტილუსის" კედლები თექვსმეტი ათას ატმოსფეროს წნევას უძლებს, ანუ მთელი მისი ზედაპირის თითოეული კვადრატული სანტიმეტრი ათას ექვსასი კილოგრამის წნევას უძლებდა.

- შესანიშნავია! - შევძახე მე, - იმყოფებოდე ისეთ სიღრმეში, სადაც არასოდეს არც ერთი ადამიანს არ ჩაუღწევია! შეხედეთ, კაპიტანო, უცქირეთ ამ წარმტაც კლდეებს, ამ ეხებს, სადაც სიცოცხლე შესაძლებელი აღარაა!.. დასანანია, რომ ჩვენ ამ სანახაობის მხოლოდ მოგონებით უნდა დავკმაყოფილდეთ!

- პროფესორო, გნებავთ აქედან თან გავიყოლოთ უფრო მეტი, ვიდრე მოგონება? - შემეკითხა კაპიტანი ნემო.

- რისი თქმა გნებავთ?

- მე მინდოდა მეთქვა, რომ ძალზე ადვილია ფოტოგრაფიული აპარატის ამუშავება და ამ წყალქვეშა სამეფოს გადაღება.

განცვიფრების გამოთქმაც ვერ მოვასწარი, რომ დარბაზში ფოტოგრაფიული აპარატი შემოიტანეს. ფართოდ გაღებული დარაბებიდან ელექტრონით გაკაშკაშებული წყლის მიდამო ნათლად მოჩანდა. "ნაუტლიუსის" მოსასმელი ხრახნი სწრაფად ამუშავდა, გვერდის სიბრტყეები მას იკავებდა და უძრავად რჩებოდა. აპარატი ისე მოვმართეთ, რომ შესაძლებელი ყოფილიყო ოკეანის ფსკერის ლანდშაფტის გადაღება და რამდენიმე წუთის შემდეგ ხელთ გვჭონდა მკაფიო და ნათელი ნეგატივი.

ამონაბეჭდზე, რომელიც შემდეგ გავამზადე, მოჩანს პირვანდელი კლდეები, რომლებსაც ცის სინათლე არასოდეს ღირსებია, პიტალო კლდეთა ძირების ფენები, რომელიც დედამიწის ურყევ საძირკველს წარმოადგენს, პიტალო კლდეებში შეჭრილი უღრმესი ეხები და მღვიმეები, მთის მწვერვალების შესანიშნავი და მკაფიო მოხაზულობა, რომლებიც ისე ჩაშვებულა, თითქოს გამოჩენილი ფლამანდიელი მხატვრის ხელით ნახატიაო. ჩანს, ჰორიზონტი თავდება დაკლაკნილი მთაგრეხილით, რომელიც ამ ლანდნშაფტის ზურგის გეგმას წარმოდგენს.

კაპიტანი ნემო თავის საქმეს რომ მორჩა, მომიბრუნდა:

- პროფესორო, დავიძრათ ზევითკენ, "ნაუტილუსი" ასეთ წნევაში დიდხანს არ უნდა ვამყოფოთ, მისი გამძლეობით ბოროტად არ უნდა ვისარგებლოთ.

- დიახ კაპიტანო. - ვუპასუხე მე.

- მაგრად დადექით!

ვერც კი მოვისაზრე, რატომ მომცა კაპიტანმა ასეთი გაფრთხილება, რომ ხალიჩაზე გავიშხლართე.

თურმე კაპიტნის ნიშანზე მოსასმელი ხრახნი გაეჩერებინათ და გემისთვის შვეული ხაზის მდგომარეობა მიეცათ. "ნაუტილუსი" საპარო სფეროსავით ზევით აქანდა წარმოუდგენელი სიჩქარით. ოთხ წუთში ჩვიდმეტ ვერსამდე გაცურა, ე. ი. ის მანძილი, რაც ოკეანის ზედაპირს გვაშორებდა. როგორც ჰაერში შეფრთხიალებული თევზი, ზედაპირზე ისე მძლავრად ამოსხლტა და ზედ რომ დაენარცხა, წყლის შეფები თვალუწვდენელ სიმაღლეზე აიტყორცნა.

თავი XII

კაშალოტები და ვეშაპები

13 მარტს, ღამე "ნაუტილუსი" ისევ სამხრეთისკენ გაეშურა. ვფიქრობდი, რომ ჰორნის კონცხის გასწვრივ დასავლეთისკენ იბრუნებდა პირს, რათა წყნარ ოკეანეს მიახლებოდა და აქ დაესრულებინა თავისი მოგზაურობა დედამიწის გარშემო. მაგრამ ასე არ მოხდა. გემი ისევ სამხრეთისკენ მიცურავდა.

კარგა ხანია, კანადელს ჩემთვის გაპარვის გეგმები აღარ გაუხსენებია. ვატყობდი, როგორ უძინებდა ამდენი ხნის ტყვეობა. კაპიტანთან შეხვედრის დროს მის თვალებში პირქუში ცეცხლი გაიელვებდა ხოლმე, ვშიშობდი, გულფიცხობას უკიდურეს ნაბიჯამდე არ მიეყვანა.

14 მარტს ნედი და კონსეი ჩემთან შემოვიდნენ კაიუტაში.

- ნება მიბოძეთ, ერთი რამ გვითხოთ, პროფესორო, - დაიწყო ნედ ლენდმა.

- მითხარით, ნედ.

- თქვენი აზრით, რამდენი კაცი იქნება "ნაუტილუსზე"?

- არ ვიცი, ჩემო მეგობარო, - ვუპასუხე მე.

- მე ვფიქრობ, რომ ამ გემს ბევრი ხალხი არ უნდა სჭირდებოდეს, - თქვა ნედმა.

- მართლაც, იმ პირობებსი, როგორშიაც ეს გემი იმყოფება, მისთვის ათი კაციც საკმარისი უნდა იყოს, - წარმოვთქვი მე.

- თუნდაც ასე იყოს, - თქვა კანადელმა, - რატომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ ბევრად მეტი არიან?!?

- რატომ? - შევეკითხე და გაშტერებით მივაჩერდი ნედ ლენდს, რომლის განზრახვაც ადვილი მისახვედრი იყო.

- თუკი კარგად მივხვდი კაპიტნის ცხოვრებას, "ნაუტილუსი" არა მარტო გემი, არამედ თავშესაფარია ყველა იმისთვის, ვისაც თავისი მეთაურივით კავშირი გაუწყვეტია ხმელეთთან.

- შეიძლება, - ჩაურთო კონსეიმ, - ყოველ შემთხვევაში, "ნაუტილუსი" ადამიანთა მხოლოდ განსაზღვრულ რაოდენობას დაიტევს. იქნებ პროფესორმა განგვიმარტოს, სულ რამდენ ადამიანს დაიტევს ეს გემი?

- როგორ, კონსეი?

- ისე, ვარაუდით. თუ მხედველობაში მივიღებთ გემის ტევადობას, რომელიც პროფესორს კარგად მოეხსენება და აგრეთვე მასში მოთავსებულ ჰაერის რაოდენობას, მეორე მხრივ, ერთი ადამიანისთვის რამდენი ჰაერია სასუნთქად საჭირო, მაშინ ამ ცნობებს შევაფარდებდით იმ გარემოებასთან, რომ "ნაუტილუს" ყოველ ოცდაოთხ საათში ერთხელ სჭირდება ზედაპირზე ამოსვლა ჰაერის გასახლებლად.

კონსეის ჯერ არ დაემთავრებინა სიტყვა, რომ მივხვდი, რაც სურდა გაეგო.

- მივხვდი, რაც გინდა, - ეს გამოანგარიშება თუმცა ადვილი საქმეა, მაგრამ ზუსტ ციფრს მაინც ვერ მოგვცემს.

- არა უშავს რა, დაახლოებით იყოს!... - დაჟინებით მიპასუხა ნედ ლენდმა.

- კეთილი! აი, ვინგარიშოთ, - ვუპასუხე, - თითოეული ადამიანი ერთი საათის განმავლობაში სუნთქავს იმდენ ჟანგბადს, რამდენსაც შეიცავს ასი ლიტრი ჰაერი, ე.ი. ოცდაოთხ საათში სჭირდება ის ჟანგბადი, რომელსაც შეიცავს ორი ათას ოთხასი ლიტრი. მაშასადამე, უნდა გამოვიანგარიშოთ, "ნაუტილუსი" რმდენჯერ შეიცავს ორი ათას ოთხას ლიტრ ჰაერს!

- სწორია... - თქვა კონსეიმ.

- "ნაუტილუსი" შეიცავს ათას ხუთას ტონა ჰაერს, თითო ტონა კი - ათას ლიტრს. თუ ამას ორი ათას ოთხასზე გავყოფთ (ფანქრით დავიწყე ანგარიში), მივიღებთ ექვსას ოცდახუთს. მაშასადამე, "ნაუტილუსი" იმდენ ჰაერს შეიცავს, რომელიც საკმარისია ექვსას ოცდახუთი კაცისთვის ოცდაოთხი საათის განმავლობაში.

- ექვსას ოცდახუთი! - გაიმეორა ნედმა.
- მაგრამ დარწმუნებული იყავით, რომ ამ გემზე მეთაედიც არ ვიქნებით. - დავუმატე მე.

- ეგეც ძალზე ბევრია სამი ადამიანისათვის! - ჩაილაპარაკა კონსეიმ.
- ასე რომ, ჩემი საბრალო ნედ, მხოლო მოთმინებას გირჩევთ...

- მოთმინებას კი არა, მორჩილებასაც. - მითხრა კონსეიმ, - მაგრამ კაპიტანი ნემო სულ სამხრეთისაკენ ხომ ვერ ივლის, ხომ უნდა გაჩერდეს სადმე, თუნდაც ყინულეთის წინ და უფრო განათლებული ქვეყნების ზღვებისკენ იბრუნოს პირი. აი, მაშინ კიდევ დაგვიდგება დრო ნედ ლენდის წინადადების ასასრულებლად.

კანადელმა თავი გადაიქნია, შუბლზე ხელი გადაისვა და ხმის ამოულებლად გავიდა კაიუტიდან.

რა თქმა უნდა, გემის ერთფეროვანი ცხოვრება თავს მოაბეზრებდა ნედ ლენდს, რომელიც თავისუფალ და მომრავ სიცოცხლეს იყო შეჩვეული.

მაგრამ დღეს კი ერთმა შემთხვევამ გაახსენა ვეშაპებზე მონადირეს თავისი ბედნიერი ცხოვრება.

დილის თერთმეტი საათი იქნებოდა, როდესაც ოკეანის ზედაპირზე მოსრიალე "ნაუტილუსი" ვეშაპების ქარავანს შეერია. მათი დანახვა არ გამკვირვებია, რადგანაც ვიცოდი, რომ ეს ცხოველები, რომლებსაც მონადირები ასეთი თავგამოდებით სდევნიან, მაღალ განედებს ეტანებიან და იქ აფარებენ თავს.

ბაქანზე ვისხედით. ზღვა დაწყნარებულიყო. ეს განედი გაზაფხულის მშვენიერი დღეებით გვიმასპინძლდებოდა. კანადელმა ცის დასავალთან თვალი შეასწრო ვეშაპს. კარგად თუ დააკვირდებოდით, შეიძლებოდა გაგერიჩიათ მისი მოშავო ზურგი, რომელიც ხან ტალღებში იმალებოდა, ხან ზემოთ ტივტივებდა. ხუთიოდე მილის მანძილზე იყო "ნაუტილუსიდან"

- ნეტავ ახლა ვეშაპებზე მონადირე გემზე მამყოფა! - წამოიძახა ნედ ლენდმა, - ეს შეხვედრა სასიამოვნოდ დამრჩებოდა! ეტყობა, ზორბა რამ არის. შეხეთ, ნესტოებიდან რა მძლავრად ისვრის წყალს, ჰაერისა და ორთქლის სვეტებს!... დასწყევლოს ღმერთმა!... რატომ უნდა ვიყო ამ რკინის ნაგლეჯზე მიჯაჭვული!

- როგორ, ნედ, კიდევ ხელს არ იღებთ თქვენს ძველ ოცნებაზე ვეშაპზე ნადირობასთან დაკავშირებით? - გამოველაპარაკე ნედს.

- განა ვეშაპზე მონადირეს ოდესმე შეუძლია თავისი ხელობა დაივიწყოს? განა ოდესმე მოსაწყენი გახდება ნადირობა? არასოდეს, პროფესორო!...

- ამ ზღვებში გინადირით, ნედ?

- არასდროს, პროფესორო, მე მხოლოდ ჩრდილოეთის ზღვებში მინადირია, ბერინგისა და დევისის ზღვებში.

- მაშ, თქვენ არ იცნობთ სამხრეთის ვეშაპს. აქამდე მხოლოდ ჩრდილოეთის ვეშაპებზე გინადირიათ, ისინი ვერ გავედავდნენ ეკვატორის თბილი დინების გადმოლახვას.

- ეჰ, პროფესორო, რას ბრძანებთ?! - უნდობლად მკითხა კანადელმა.

- რაც ვიცი, იმას გეუბნებით.

- აბა, რა ბრძანებაა! - მიპასუხა ნედმა, - სამოცდახუტ წელს, ესე იგი, ამ ორნახევარი წლის წინ, გრენლანდიის მახლობლად ჩემი ხელით მოვალი ვეშაპი, რომელსაც ზურგში ბარჯი ჰქონდა ჩარჩენილი სამებადურო გემის დამღით, რომელიც ბერინგის სრუტეში ყოფილიყო. მაშ, ახლა თქვენ გეკითხებით: როგორ მოხდა, რომ ამერიკის დასავლეთის ზღვებში დაკოდილი ცხოველი აღმოსავლეთის ზღვებში

მოვკალი, თუკი მან არ გაიარა ეკვატორი, არ შემოუარა ჰორნის ან კეთილი იმედის კონცხს?

- ნედის აზრს ვიზიარებ და ველი, რა უპასუხებს პროფესორი, - თქვა კონსეიმ.
 - ვეშაპები იყოფიან ჯიშისდაგვარად სხვადასხვა ზღვაში და ამ ზღვებს არც სცილდებიან. და თუ ერთმა მათგანმა ბერინგის სრუტიდან დევისის სრუტეში გადაინაცვლა, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ამერიკისა და აზიის სანაპიროებთან, ალბათ სადმე მდებარეობს მიწისქვეშა გასასვლელი გვირაბი.
 - არ ვიცი, გერწმუნოთ თუ არა, - მიპასუხა კანადელმა და თან ცალი თვალი მოჭუტა.
 - პროფესორს უნდა ვერწმუნოთ, - უპასუხა კონსეიმ.
 - მაშასადამე, რავი ამ ადგილებში არ მინადირია, აქაურ ვეშაპებსაც ვეღარ ვიცნობ? - თქვა კანადელმა.
 - რა თქმა უნდა, ვერ იცნობთ, ნედ.
 - მით უმეტეს, საჭიროა მათი გაცნობა! - განაცხადა მან.
 - შეხეთ, შეხეთ, ერთი! - წამოიძახა კანადელმა, - გვიახლოვდება! პირდაპირ ჩვენკენ მოდის! იცის, რომ ვერაფერს დავუშავებთ და!
- ნედი ფეხებს აბრახუნებდა სიბრაზისაგან, ბარჯის სასროლად მომარჯვებული ხელი უცახცახებდა.
- აქაური ვეშაპებიც იმ სიდიდისაა, როგორიც ჩრდილოეთის ზღვებისა? - შემეკითხა ნედი.
 - თითქმის ისეთივე, ნედ.
 - საქმე ისაა, პროფესორო, რომ მე დიდი ვეშაპებიც მინახავს, თითქმის სი ფუტის სიგრძისა. გამიგონია, რომ ალეუტის კუნძულებთან ას ორმოცდაათ ფუტზე დიდებიც ბინადრობენ თურმე.
 - არა, ნედ, გაზვიადბული უნდა იყოს, - ვუპასუხე მე, - ამ ცხოველებს ზურგის ფრთები აქვთ და კაშალოტების მსგავსად, ნამდვილ ვეშაპებზე უფრო პატარები არიან.
- კანადელი ოკეანის ზედაპირს თვალს არ აშორებდა.
- "წაუტილუსის" ნაკვალევს მოსდევს! - უცებ შეყვირა ნედმა და შეწყვეტილი საუბარი გააგრძელა:
 - თქვენ კაშალოტებზე ლაპარაკობთ, როგორც პატარა ცხოველებზე? მე ვი გამიგონია, რომ უშველებელი კაშალოტებიც არსებობენ. ზოგი მათგანი თურმე ზღვის მცენარეულობითაა დაფარული და პატარა კუნძულად მოჩანს. გემს მიაყენებენ, ზედ გადავლენ. ცეცხლს დაანთებენ...
 - ნედ, როგორც გატყობთ, თქვენც გყვარებიათ არაჩვეულებრივი ისტორიები, - სიცილით ვთქვი მე, მგონი ეგ თქვენც არ გჯერათ.
 - ბატონო ნატურალისტო, როცა საქმე ვეშაპს ეხება, ყველაფერი უნდა გჯეროდეს,
 - სერიოზულად მიპასუხა ნედმა, - რა მარდად დაცურვს! ამტკიცებენ, რომ ამ ცხოველებს თხუთმეტ დღეში შეუძლიათ ქვეყნიერებას გარს შემოუარონ.
 - არ ვიცი, ნედ, გერწმუნოთ თუ არა.
 - არც იმდენად, - მიპასუხა ნედმა, - მინდა გითხრათ, რომ ზოგი ვეშაპი სამასი ფუტის სიგრძისაა და ათას გირვანქას იწენის. ამასი მე თვითონ დავრწმუნდი.
 - ეგ მეც მჯერა, ნედ. ამბობენ, ზოგიერთი ვეშაპი ასი სპილოს ოდენაა. წარმოგიდგენიათ, თუ რა ძალით ეძერება ასეთი ცხოველი მეორე ცხოველს.
 - პროფესორო, მართალია, რომ ვეშაპს გემის დაღუვა შეუძლია? - იკითხა კონსეიმ.

- არა მგონია, - ვუპასუხე მე, - თუმცა გადმოგვცემენ, რომ 1820 წელს სამხრეთის ზღვებში ვეშაპი დაეძგერა "ესეკსი" და თვალის დახამხამებაში ოთხი მეტრის მანძილზე გადაისროლა. ტალღები გემს დაეძგერა და "ესეკსი" თითქმის იმავე წამს დაიღუპა.

ნედ ლენდმა ეშმაკურად გადმომხედა.

- ასეთი ამბავი მეც დამემართა, - ვეშაპმა ჩემს ნავს ბოლო სთხლიშა. მე და ჩემი ამხანაგები ექვსი მეტრის სიმაღლეზე აგვისროლა ჰაერში, მაგრამ პროფესორის ვეშაპთან შედარებით, ჩემი ვეშაპი კატის კნუტის ოდენაც არ გამოჩნდებოდა.

- ვეშაპი დიდხანს ცოცხლობს? - იკითხა კონეიმ.

- ათას წელიწადს! - უყოყმანოდ მიუგო კანადელმა.

ის უკვე ყურს აღარ გვიგდებდა. ვეშაპი გვიახლოვდებოდა და ნედი თვალებით ჭამდა მას.

- უჰ! - წამოიძახა ნედმა, - აქ ერთი ვაშაპი კი არა, ათი, ოცი, მთელი ქარავანი ყოფილა, მე კი ჩემებურად რომ დავტრიალდე არ შემიძლია!... აქ უნდა ვეგდო ხელფეხშეკრული!...

- მეგობარო ნედ, - უთხრა კონსეიმ, - განა არ შეიძლებოდა კაპიტნისათვის ნებართვა გეთხოვა?

კონსეის სიტყვა არ დაემთავრებინა, რომ ნედი ელვასავით გაქანდა ქვევით, კაპიტნის საძებნელად. რამდენიმე წუთის შემდეგ, ორივენი ერთად ამოვიდნენ ბაქანზე.

კაპიტანმა ვეშაპებს გადახედა, რომლებიც ზღვის ზედაპირზე დანავარდობდნენ, ერთი მეტრის მანძილზე "ნაუტილუსიდან".

- სამხრეთის ვეშაპია, - თქვა მან, - აქ ვეშაპებზე მონადირე მთელი ფლოტი გამდიდრდებოდა.

- კაპიტანო, - შეეკითხა კანადელი, - არ შეიძლება ერთი გავინადირო მათზე, თუნდაც იმისთვის, რომ ჩემი მებარჯეობა არ დაამავიწყდეს?

- რისთვის? - უპასუხა კაპიტანმა ნემომ, - მხოლოდ იმ მიზნით, რომ გაველიტოთ? ჩვენს გემს სრულებით არ სჭირდება ვეშაპის ქონი.

- მაგრამ კაპიტანო, მეწამულ ზღვაში აკი ნება მოგვეცით დიუგონზე ნადირობისა? - კითხვა შეუბრუნა კანადელმა.

- მაშინ სხვა იყო, მაშინ ჩემს ეკიპაჟს ახალი ხორცი სჭირდებოდა. აქ კი მათი დახოცვა არ გვჭირდება. თქვენი ხელობის ადამიანები, ნედ, სამხრეთის უვნებელ და უწყინარ ვეშაპებს რომ ჟლეტენ, ძალიან ცუდად იქცევიან. დაანებეთ თავი, მათ ჩვენ გარდაც მრავლად ჰყავთ მტრები: ვეშალოტები, ხმალა-თევზები, ხერხა-თევზები.

მკითხველმა ალბათ წარმოიდგინა, თუ რა გამომეტყველება ექნებოდა კანადელს ასეთი დარიგების დროს. რჩევის მიცემ მონადირისთის უბრალოდ დროის კარგვაა. ნედ ლენდი უსიტყვოდ მისჩერებოდა კაპიტან ნემოს და ეტყობოდა, ვერ მიმხვდარიყო, რას ეუბნებოდნენ. მერე ჯიბეებში ჩაიწყო ხელები და ზურგი შეგვაქცია.

კაპიტანი ნემო კი კვლავ შესცეროდა. შემდეგ მე მომიბრუნდა:

- მართალი მოგახსენოთ, ადამიანის გარდა, ვეშაპებს მრავლად ჰყავთ ბუნებრივი მტერი. ხედავთ, პროფესორო არონაკს, რვა მილის მანძილზე შავად მოძრავ წერტილებს?

- დიახ, კაპიტანო, ვხედავ.

- ეგ არის კაშალოტები, საშინელი და ონავარი ცხოველები. რამდენჯერმე შევხვედრივართ მთელ ქარავანს, მონადირეებს არ გაემტყუნებათ, რომ ჟლეტენ ამ ონავარ ცხოველებს.

ამ სიტყვებზე ნედ ლენდი სწრაფად მოტრიალდა ჩვენკენ.

- კეთილი, კაპიტანო, - ვუთხარი მე, - შეიძლებოდა თუნდაც ვეშაპების გადასარჩენად მათზე გვენადირა?

- უსარგებლოა ასეთი თავგანწირვა, პროფესორო! "ნაუტილუსიც" კმარა კაშალოტების გასაჟღეტად. ის შეიარაღებულია ფოლადის სარქენით, რომელიც, ვგონებ, ნედ ლენდის ბარჯს არ ჩამოუვარდება.

- სარქენით ბრძოლა კაშალოტებთან?! გაგონილა ასეთი რამ?- მოურიდებლად ჩაილაპარაკა კანადელმა.

- მოთმინება იქონიეთ, პროფესორო, - მითხვა კაპიტანმა ნემომ, - ჩვენ გიჩვენებთ ისეთ ნადირობას, რომლის მსგავსიც თავის დღეში არ გინახავთ. ეს ონავარი ცხოველები არ უნდა დაინდოს ადამიანმა. კაშალოტი დაღრენილი ხახა და კბილებია!

"ხახა და კბილები" - ამაზე უკეთესად შეუძლებელია დიდთავა კაშლოტის დასურათება, რომლებიც ზოგჯერ ოცდახუთ მეტრს აჭარბებს. ის ვეშაპზე უკეთ არის შეიარაღებული. ვეშაპს ზემოთ ყბაზე მხოლოდ ულვაშები აქვს, კაშალოტს კი - ოცდახუთი ბასრი კბილი. თითო ოცი სანტიმეტრის ოდენაა და ორ გირვანქას იწონის. მეტისმეტად უშნო მოყვნილობისა. მარცხენა თვალი მახინჯი აქვს და მხოლოდ მარჯვენა თვალით ხედავს.

კაშალოტების ქარავანი გვიახლოვდებოდა. მათ შევამჩნიე ვეშაპები და მათზე სათანადოდ მოემზადნენ. წინასწარვე შეიძლებოდა გვეთქვა, რომ კაშალოტები გაიმარჯვებდნენ. მათ თავდასხმა უკეთ იციან, ვიდრე უწყინარმა ვეშაპებმა. უფრო დიდხანს შეუძლიათ წყალქვეშ გაძლება და ჰაერის ჩასასუნთქავად ისე მალ-მალე არ სჭირდებათ ზედაპირზე ამოსვლა.

დრო იყო, ვეშაპებს მივშველებოდით. "ნაუტილუსი" სიღრმეში ჩაეშვა. კონსეი, ნედი და მე დარბაზის ფანჯარას მივადექით. კაპიტანი ნემო მესაჭესთან გაეშურა, რომ თავისი ხელით მიემართა გემი გამანადგურებელი სარქენით.

ხრახნები აჩქარებით ამოძრავდა. გემი სწრაფად წავიდა წინ.

როდესაც "ნაუტილუსი" მიუახლოვდა, კაშალოტებს და ვეშაპებს ბრძოლა უკვე გაეჩაღებინათ. გემმა მიუხვ-მოუხვია და კაშალოტების ქარავანში შეიჭრა. თავდაპირველად, არც მიაქციეს ყურადღება ამ ახალგამოჩენილ ცხოველს, რომელიც ბრძოლაში ჩაერია, მაგრამ მალე იკადრეს უკან დახევა.

რა ბრძოლა იყო!... ნედ ლენდიც კი აღტაცებაში მოვიდა და სიამოვნებისაგან ტაში შემოჰკრა. "ნაუტილუსი" მომაკვდინებელ ბარჯად იქცა კაპიტნის ხელში. ერთ კაშალოტს რომ გაფატრავდა, მეორეს ეძგერებოდა, შემოტრიალდებოდა, რომ მსხვერპლი არ გასხლტომოდა; ხან წინ გაქანდებოდა, ხან უკან, ხან ჩაყვინთავდა, ხან ზედაპირზე ამოსრიალდებოდა, სარქენს აძგერებდა პირდაპირ გვერდში, ფატრავდა, გლეჯდა და ფლეთთდა ყველა მიმართულებით.

ბოლოს კაშალოტები გაიფანტნენ. წყლის ზედაპირზე ამოვცურდით. ასაწევი კარი აიხადა და ყველანი ბაქანს ვეცით.

ზღვა მათი დაფლეთილი სხეულით იყო დაფარული. ზურგი მოლუჯო ჰქონდათ, მუცელი - მოთეთრო და მთლად იარებით დასერილი. ორიოდე კაშალოტი დამფრთხალი და შეშინებული მიცურავდა მოშორებით. ტალღები რამდენიმე მილის მანძილზე სისხლისფრად შეღებილიყო და "ნაუტილუსი" ამ სისხლის ზღვაში მიცურავდა.

კაპიტანი ნემოც ბაქანზე ამოვიდა და ჩვენ შემოგვიერთდა.

- აბა, რას იტყვით, ნედ? - უთხრა მან.

- რა მეთქმის, კაპიტანო, - უპასუხა კანადელმა, - მართლაც საშინელი სანახაობა იყო! ... მაგრამ მე ყასაბი არ გახლავართ... მონადირე ვარ... ეს კი ნამდვილი სასაკლაო იყო!

- ეს მავნე ცხოველების გაჟღეტა იყო, - უპასუხა კაპიტანმა, - "ნაუტიოლუსი" ყასბის დანა არ გახლავს!

- მე ჩემი ბარჯი მირჩევნია! - სიტყვა შეუბრუნა კანადელმა.

- ყველას თავისი იარაღი აქვს! - უპასუხა კაპიტანმა და თვალი თვალში გაუყარა.

შევფიქრიანდი, კანადელს ამ ჯავრიან გულზე რაიმე ძალმომრეობა არ ჩაედინა, რასაც სამწუხარო შედეგი მოჰყვებოდა. მაგრამ ნედს თვალი გაუშტერდა ვეშაპისაკენ და საუბარი აღარ გაუგრძელებია.

ეს ვეშაპი ვერ გადარჩენოდა კაშალოტის კბილებს. მაშინვე ვიცანი სამხრეთის ვეშაპი, ბტყელთავა და სრულებით შავი. ჩვეულებრივი ვეშაპისაგან ანატომიურად იმით განირჩევა, რომ კისრის ორი ხერხემლის ძვალი შეხორცებული აქვს და ორი ნეკნის ძვალი მეტი აქვს, ვიდრე სხვა ვეშაპებს. განგმიური ცხოველი გვერდზე ამობრუნებულიყო, მუცელი რამდენიმე ადგილას გაფატრული ჰქონდა, მისი დაფლეთილი ფარფლის ბოლოს პატარა ვეშაპი ეკიდა, რომელიც სიკვდილისგან ვერ გადაერჩინა.

კაპიტანმა ნემომ "ნაუტიოლუსი" ვეშაპისაკენ მიმართა. ორი მზეღვაური გადახტა ვეშაპის ლეშზე, გაოცებული ვუცქერდი, მისი ცურიდან როგორ წველიდნენ რძეს. ორი თუ სამი კასრი მოწევლეს და უკან დაბუნდნენ.

კაპიტანმა შემომთავაზა ერთი ფინჯანი რძე გამესინჯა, მაგრამ თავი შევიკავე და გამოვუცხადე, გული არ მიმდის მეთქი. კაპიტანი მარწმუნებდა, ეს რზე საუცხოოა, ძროხის რძისგან არაფერით განსხვავდებაო.

მაინც გავუსინჯა გემო და მართლაც დავეთანხმე მის აზრს. ამ რძისაგან დამზადებულ კარაქსა და ყველს მრავალფეროვნება შემოჰქონდა ჩვენს სუფრაზე.

იმ დღის შემდეგ ვამჩნევდი, რომ ნედ ლენდი მტრული თვალით უყურებდა კაპიტანს და მის ყოველ ნაბიჯს გაფაციცებით ვაკვირდებოდი.

თავი XIII

ყინულეთი

"ნაუტიოლუსი" სამხრეთისკენ მიემართებოდა გეზის შესაცვლელად. ორმოცდამეათე მერიდიანს მისდევდა და აჩქარებული სვლით მიცურავდა.

ნუთუ კაპიტანი პოლუსისკენ მიისწრაფვის?

გზად უკვე გვხვდებოდა მთელი კლდეების ოდენა მცურავი ყინულები, რომელთაც ტალღები ტყლაშუნით ეხეთქებოდა.

ნედი ძველებურად უგუნებოდ იყო და აღარაფერს აქცევდა ყურადღებას.

რაც უფრო ქვევით ვიწევდით სამხრეთისაკენ, მით უფრო ხშირად გვეხებოდა ყინულის თოში. ახლა უკვე მცურავი გორები ტივტივებდა. მათთან შედარებით უზარმაზარი გემიც კი ქინქლისოდენა გამოჩნდებოდა.

დიდი თვალწარმტაცი სანახაობა იყო! ყინულის გორები ცისარტყელის ფერებად ელვარებდა, თითქოს ალმასებით მოუჭედიათ.

ამ "ყინულეთზე", როგორც მას ნედი უწოდებდა, უთვალავი ფრინველი ბუდობდა. ქარიშხალას და როჭოს ყრანტალი გვაყრუებდ. ფრინველებს "ნაუტილუსი" მკვდარი ვეშაპი თუ ეგონათ, რადგან ფაქანზე ეშვებოდნენ და ნისკარტით ცდილობდნენ მის კორტნას.

გემს თავად კაპიტანი ნემო მართავდა. "ნაუტილუსი" მშვიდად მისრიალებდა ყინულოვან მთებს შუა, რამდენიმე მილის სიგრძეზე რომ გაჭიმულიყო და სიმაღლით 10-30 საჟენს აღწევდა.

განედის მესამოცე გრადუსზე მთლიანმა ყინულეთმა გზა გადაგვიღობა, მაგრამ კაპიტანმა სადღაც მიაგნო ხვრელს და მასში გააძვრინა გემი, თუმცა კარგად იცოდა, რომ მის უკან ყინული შეიკვრებოდა.

საკმაოდ ციოდა. გარეთ ჩამოკიდებული თერმომეტრი 2-3 გრადუსს გვიჩვენებდა ნულს ქვემოთ, მაგრამ არ ვიყინებოდით, რადგანაც თბილად გვეცა: სელაპებისა და ტყავის ქურქები. "ნაუტილუსაც" კარგად ათბობდა ელექტრონი. გარდა ამისა, საკმარისი იყო რამდენიმე მეტრის სიღრმეზე ჩაგვეყვინთა, რომ შედარებით თბილ წყალში მოვქცეულიყავით.

16 მარტს სამხრეთის პოლარული წრე გადავსერეთ. "ნაუტილუსის" გარშემო ყინულის მთები მოჯარულიყო... მაგრამ კაპიტანმა გასასვლელ ხვრელს მიაგნო და გაცურა. მერე კი თვითონ "ნაუტილუსი" მიიკვლევდა გზას. ზოგჯერ ზედ ყინულოვან ბორცვზე შესრიალდებოდა და ქვეშ მოიქცევდა, ზოგჯერ კი სარქენით ამსხვრევდა ქვეშიდან.

- ზორბად კი მიაპობს, მაგრამ ნეტავი საით მიეშურება ეს თქვენი კაპიტანი? - დაცინვით ამბობდა კანადელი, - წასულია მაგისი საქმე, თუ კიდევ განაგრძო გზა.

- ასე რატომ გგონიათ, ნედ?

- იმიტომ მგონია, პროფესორო, რომ მთლიანი ყინულეთი ჯერ არც ერთ სულიერს არ გაურღვევია და ვერც ეგ გაატანს. ყინულმა ძმობა არ იცის.

- იქნებ მოხერხდეს ნედ, მე ძალიან მინდა ვნახო, თუ რა ხდება ამ ყინულეთის გადაღმა.

მშვენიერი, დიადი სანახაობაა გარშემო!

ბაქანზე რომ ავდივარ, თვალს მჭრის. ათასგვრი სახისა და მომაჯადოებელი მოყვანილობის ყინულის ლოდები კაშკაშებს, ელვარებს და ბრწყინავს. ზოგს ნისლი შემობურვია. ყოველივე ეს სკდება, ჭახჭახებს, ალმასის თვლებივით ნაპერწკლებად იშლება, ყირავდება და მათ შუა ჩნდება მოტრიალე მორევი... რომ იტყვიან, კალმით ვერ აიწრებაო, სწორედ ასე იყო.

კაპიტან ნემოს არავითარი შეშფოთება არ დასტყობია. ალბათ პირველად არ დასეირნობდა ამ ზღვებზე.

18 მარტს კი ყინულეთში გავიჭედეთ. "ნაუტილუსის" გარსემო არც ერთი კვადრატული ფუტი არ იყო თავისუფალი წყლისა. ჩვენ თვალწინ თეთრი ბორცვებით მოფენილი ყინულის ველი გადაშლილიყო. მასზე რამდენიმე მწვერვალი აზიდულიყო.

ჰაერში სრული სიჩუმე იდგა. დროდადრო ქარიშხალას ყრანტალი თუ დაარღვევდა მყუდროებას.

"ნაუტილუსი" იძლევებული გახდა გაჩერებულიყო.

- აბა, ახლა რაღას აპირებს თქვენი კაპიტანი? - ღვარძლიანად იმეორებდა ნედ ლენდი და თითქმის მართალიც არის. ჯერ არ გამოუგონიათ ყინულზე მოცურავე გემები. ამ ყინულეთის ველზე გადასვლა წარმოუდგენლად გვეჩვენება.

- ეს კიდევ არაფერი, ჯერ მხოლოდ გაჩხერილები ვართ... მერე ნახეთ, როცა ყინული მოგვიჭერს... - ჟინიანობს ნედი.

კაპიტანი ბევრნაირად შეეცადა, მაგრამ "ნაუტილუსი" ადგილიდან ვერ დაძრა. პირიქით, უფრო და უფრო მჭიდროდ იჭედებოდა ყინულეთში.

- თქვენ რას ფიქრობთ ამაზე? - მკითხა კაპიტანმა, როდესაც ბაქანზე ერთად ვიდესით.

- მე ვფიქრობ, რომ ყინულეთში გავიჩხირეთ.

- ესე იგი, თქვენი აზრით, "ნაუტილუსი" თავს ვერ დააღწევს ყინულეთს?

- ასე მგონია, კაპიტან.

- დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ჩვენ არამცთუ თავს დავაღწევთ, ქვევითაც წავალთ.

- ქვევით? სად?

- სამხრეთ პოლუსისკენ!

- პოლუსისკენ?! - შევძახე გაკვირვებულმა.

- დიახ, სამხრეთ პოლუსისკენ, იქ, სადაც მთელი ქვეყნის მერიდიანები ერთდება.

- ეგ ხომ შეუძლებელია.

- რატომ? ვგონებ, დროა, იცოდეთ, თუ რა არის "ნაუტილუსი" და როგორ შემიძლია მისი მოხმარება.

- კაპიტანო, ოდესმე თუ ყოფილხართ სამხრეთ პოლუსზე?

- ჯერ არა! მე და თქვენ ერთად აღმოვაჩენთ მას. რაც სხვებმა ვერ შეძლეს, ჩვენ შევძლებთ!

- მინდა გერწმუნოთ, კაპიტანო. თქვენთვის რა თქმა უნდა, დაბრკოლება არ არსებობს. "ნაუტილუსი" გაარღვევს მთლიან ყინულეთს და თუ ვერ დასძლია, მაშინ თვლებზე შეაყენებთ ან ფრთებს გამოაბამთ და გადაგვაფრენთ, - ვუთხარი გამბედავი ირონიით.

- ფრენა რა საჭიროა! თუ წყლის ზედაპირი გაუვალი ყინულით არის დაფარული, ჩემი გემისთვის ზღვის ქვედა ფენები ყოველთვის თავისუფალია, როგორც დავრწმუნდით.

განზრახვას მივუხვდი.

- მხოლოდ ერთი რამ მაბრკოლებს, - განაგრძო ნემომ, - იქნებ ყინულეთის ქვეშ რამდენიმე დღე მოგვიხდეს ყოფნა და ჰაერის გაახლება ვეღარ შევძლოთ.

- ჟანგბადის სათადარიგო აუზები ხომ მოგეპოვებათ, კაპიტანო?

- ხედავთ, პროფესორო, თავადვე როგორ იცილებთ დაბრკოლებას? - ღიმილით თქვა კაპიტანმა, - მე კი სულელობას მწამებთ. მაგრამ ჰაერის მარაგი შეიძლება არ გვეყოს, ზედაპირი კი ყინულეთით იქნება დაბშული. ხომ შეიძლება ასეც მოხდეს?

- გავიწყდებათ, კაპიტანო, ის სარქენი, რომლითაც შეიარაღებულია "ნაუტილუსი". ასეთ შემთხვევაში თქვენ შეგიძლიათ გაარღვიოთ ყინულოვანი ზედაპირი.

- აი, თურმე ზოგჯერ რა ნათელი აზრები გებადებათ, პროფესორო! ხომ ხედავთ, ახლა თქვენ თვითონ ესარჩლებით ჩემს განზრახვას!

დიახ, ის მართალი იყო. მე გამედაობაში თითქმის გადავაჭარბე კიდეც მის განზრახვებს.

- მაშ, შევუდგეთ საქმეს! - თქვა კაპიტანმა, - დაყოვნება აღარ შეიძლება.

კაპიტანმა თანაშემწე მოიხმო და მათებურად გაუგებარ ენაზე გაუბა ლაპარაკი. თანაშემწე თითქოს შეეკამათა, თუმცა რაიმე აღელვება არ გამოუჩენია.

როდესაც კაპიტან ნემოს განზრახვა კონსეის გავუზიარე, ჩვეულებისამებრ დინჯად მიპასუხა: - როგორც ენებოს!

სამაგიეროდ, ნედ ლენდმა ზიზღით აიჩეჩა მხრები.

- პროფესორო, ბოშის კი ვიხდი, მაგრამ თქვენ და თქვენი კაპიტანი საბრალონი ხართ თქვენი უგუნური განზრახვებით. დამერწმუნეთ, თუნდაც მივაღწიოთ პოლუსს, უკან გამობრუნებას ვეღარ ვეღირსებით.

თქვა ეს და გამცილდა. ეტყობა, ჩემთან ლაპარაკი აღარ უნდოდა.

ოთხ საათზე კაპიტანმა წინადადება მომცა, ბაქანი დამეტოვებინა. უკანასკნელად კიდევ გადავხედე მოელვარე ყინულების. კარგი ამინდი იდგა, ყინვა 12 გრადუსს აღწევდა. თუმცა ქარი მიყუჩდა და ყინვა ისე აღარ იკბინებოდა.

ეკიპაჟის რამდენიმე წევრმა გემის გარშემო წერაქვებით შემოამტვრია ყინული. გემმა ჩაყვინთა, ას ორმოცდაათ საჟენზე წყალი სრულიად გათავისუფლდა ყინულისაგან.

კონსეი, ნედ ლენდი და მე დარბაზის ფანჯარასთან მოვთავსდით.

- ჩინებულად მივცურავთ, - თქვა კონსეიმ.

- ეგ ჯერჯერობით, - წაიბურტყუნა კანადელმა.

მეორე დილით, დარბაზში რომ გამოვედი, შევატყე, წყლის აუზები იცლებოდა და "ნაუტილუსი" მძიმედ, ფრთხილად მიიჩევდა ზევით.

- ნუთუ თავისუფალია ზღვა და ზედაპირისკენ მივცურავთ? - გავიფიქრე მე.

მღელვარებისგან გული აჩქარებით მიცემდა. "ნაუტილუსი" კლდეს მიეჯახა. კაპიტანმა რამდენჯერმე სცად ზედაპირზე ასვლა, მაგრამ ზემოდან ყინულის თაღი ამის საშუალებას არ გვაძლევდა.

რაც უფრო შორს მივდიოდით, გაუყინავი სივრცე მით უფრო მცირდებოდა.

19 მარტს, დილით, კაპიტანი ჩემთან შემოვიდა და მახარა:

- თავისუფალი ზღვა!

თავი XIV

სამხრეთის პოლუსი

მაშინვე ბაქანზე ავირბინე. მართლაც, ზღვა თავისუფალი იყო. მხოლოდ აქა-იქ დაცურავდა ყინულის გორები. ჰერში ათასობითფრინველი ირეოდა. ზღვაში კი უამრავი თევზი დასრიალებდა. მოღრუბლული ამინდი იყო. თერმომეტრი 3 გრადუს ყინვას გვიჩვენებდა. ყინულების გამოღმა გაზაფხული გეგონებოდათ.

- პოლუსიდან შორს ვიქნებით? - ვკითხე კაპიტანს.

- ჯერ არ ვიცი, შუადრისას დავაკვირდები.

- მერე, გამოჩნდება კი მზე?

- უნდა გამოჩნდეს, ცოტა ხნით მაინც. ერთი წამითაც რომ გამოჩნდებეს, სრულებით საკმარისია.

ათიოდე მილის მოშორებით რომელიღაც ხმელეთი მოჩანდა, აღმოჩნდა, რომ კლდოვანი კუნძული იყო. "ნაუტილუსი" მისკენ გაემართა და ნაპირიდან სამი საჟენის მოშორებით გაჩერდა. ნავით დაგვჭირდა გადასვლა.

როდესაც ნავი ნაპირს მიადგა, კონსეის უნდოდა შლამზე გადამხტარიყო, მაგრამ შევაჩერე და კაპიტანს მივმართე:

- კაპიტანო, უპირველესად თქვენ გეკუთვნით ამ ხმელეთზე ფეხის დაკარება.

- მართალსა ბრძანებთ, პროფესორო არონაკს, ასე მოვიქცევი, რადგანაც ვიცი, რომ ადამიანის ფეხი ჯერ არ დაჰკარებია ამ მიწას.

შემდეგ მოსხლეტით გადახტა შლამზე. ეტყობოდა, აღელვებული იყო. იქვე, ამაღლებულ ბექობზე აირბინა და გულხელდაკრეფილმა ირგვლივ მოავლო თვალი.

ხუთიოდე წუთი უძრავად და მდუმარედ იდგა. ბოლოს მომიბრუნდა:

- პროფესორო, მობრძანდით!

მე და კონსეი მაშინვე გადავედით მიწაზე, რომელიც როგორც შევატყვე, ვულკანური ნალექისაგან შედგებოდა. ყოველ ნაბიჯზე მოჩანდა შებოლლილი ხვრელები, საიდანაც გოგირდის სუნი ამოდიოდა. კუნძულის მცენარეულობა ძალზე მწირი იყო. აქ-იქ შავ კლდეებზე მოჩანდა ხავსი, ზღვის ბალახი და ორიოდე მიკროსკოპული მცენარე. თვალი მოვკარი კიდევ რამდენიმე წითელ და მწვანე ბალახს, რომელიც ტალღებს გამოერიყათ.

სამაგიეროდ, ჰაერში დუღდა სიცოცხლე. ათასგვარი ფრინველი გუნდ-გუნდად ტრიალებდნენ ალბატროსები და ყველა ჯიშის ქარიშხალა ფრინველები.

ნაპირს ნახევარი მილის მანძილზე რომ გავცილდით, დავინახე, რომ ნიადაგი პინგვინების ბუდებით იყო მოფენილი.

შუადღემდე ერთი საათიღა დარჩა. ნისლი არ იფანტებოდა.

შუადღე დადგა. მზე არსად ჩანდა. ცა უფრო მოიღუშა და თოვა დაიწყო.

- რა გაეწყობა, ხვალამდე! - თქვა კაპიტანმა.

"ნაუტილუსზე" დავბრუნდით, სადაც სიამოვნებით დავათვალიერე თევზებით გავსებული ბადე, რომელიც ჩვენი არყოფნის დროს გადაესროლათ. ცნობილია, რომ სამხრეთის პოლარული ზღვები ათასგვარი თევზის თავშესაფარია. აქეთ მოეშურებიან ზომერი არტყლის მქროლავი ქარტეხილისგან გადასარჩენად. მაგრამ უამრავი მათგანი სელეპების, ზღვის ღორების და ლომთევზების კერძი ხდება.

ატყდა ნამდვილი თოვლის ქარბუქი, რომელმაც დილამდე გასტანა. ჩვენ ირგვლივ უჩვეულო ბინდბუნდი იდგა.

"ხვალაც რომ არ გამოჩნდეს მზე, მაშინ ხომ სულ ვეღარ შევძლებთ დაკვირვებას, რადგანაც 21 მარტიდან 6-თვიანი პოლარული ღამე იწყება", - ვფიქრობდი ჩემთვის.

კაპიტანი ნემო თავისი ოთახიდან არ გამოდიოდა.

ნავი თავისუფალია და მე და კონსეი ნაპირზე გავცურავთ ხოლმე. გუშინდელზე უფრო შორს წავედით. აუარებელი ფრინველის გარდა წავაწყდით სელაპების ჯოგებს. ისინი ნდობით მოგვჩერებოდნენ ხავერდოვანი წყნრი თვალებით. იმდენი იყვნენ, ასიოდე გემს გაავსებდა.

- კიდევ კარგი, რომ ნედი ჩვენთან არ არის! - თქვა კონსეიმ.

- რატომ?

- იმიტომ, რომ ამ სელაპებს სულ გაულეტდა.

სხვადასხვა ჯიშის სელაპები ჯგუფ-ჯგუფად იწვნენ - ზოგი ყინულის ლოდებზე, ზოგი ნაპირზე, ზოგი კი წყალში ყირამალაობდა და დროდადრო ამოყოფდა ხოლმე თავს. ხვადი სელაპები მზურვენლობით დაპურებდნენ ერთმანეთს მშობლების მახლობლად. ჩვეულებრივი სელაპის გარდა აქ ნახავდით ე.წ. ზღვის სპილოებს. მათ მოშავო ფერი, უფრო მოზიდული და წაგრძელებული თავი და მოკლე ხორთუმი ჰქონდათ.

- ეს ცხოველები არას გვერჩიან? - მკითხა კონსეიმ.

- სავსებით უწყინარი ცხოველები არიან, მაგრამ თავს შვილებს კი თავგანწირვით იცავენ.

- ამის უფელბა აქვთ.

- რასაკვირველია.

უნდა ითქვას, რომ სელაპს ძალზე განვითარებული ტანი აქვს. შესანიშნავ გონიერებას იჩენს და ადვილად იწვრთნება.

ფრიალო კლდეებზე თითქმის ერთი მიღი კიდევ გავიარეთ ფოფხვით და შევამჩნევთ ზღვის სპილოების ჯოგი. კლდის აქეთ მოგვესმოდა მათი გამაყრულებელი ყეფა. ზღვის სპილოები ძალიან ჰგვანან სელაპებს. მათგან მხოლოდ სიდიდით და მოგრძო ბეწვით განირჩევიან. არა აქვთ უკანა კბილები, მხოლოდ ზედა ყბაში თითო არშინის სიგრძის ორი ეშვი აქვთ. სწორედ ამ ძვირფასი ეშვის გულისთვის ქლეტენ ისეთი თავგამოდებით, რომ მაღა ალბათ სულ გაწყვეტენ.

მათი ნახვის შემდეგ უკანვე გამოვბრუნდით.

უკან მომავალმა იშვიათი ნიმუშის პინგვინის კვერცხი ვიპოვე. ძალიან დიდი იყო, თეთრი ფერის და უცნაურლაქებიანი. ის კვერცხი კაპიტნის მუზეუმის კარადაში მოვათავსე.

დაძინების დროს, მზეს შევთხოვდი, რომ ხვალ ერთი წამით მაინც მოევლინა ჩვენთვის თავისი მაცოცხლებელი სხივი.

მეორე დღეს დილის ბინდბუნდში ბაქანს მივასურე, კაპიტანი ნემოც იქ დამხვდა.

- იშუქებს, - მითხრა მან, - ვფიქრობ, რომ მზე დღეს დაგვენახება. საუზმის შემდეგ, შესაფერისი ადგილი უნდა შევარჩიოთ დაკვირვებისათვის.

- დღეს უკანასკნელი დღეა, კაპიტანო, - ვუთხარი მე.

- დიახ! თუ დღეს არა, მაშინ, შეიძლება არასოდეს!

საუზმის შემდეგ ნედთან შევედი, მინდოდა ნაპირზე გადამეყვანა, მაგრამ კანადელი მოწყენილი და მოღუშული დამხვდა. წამოსვლაზე გადაჭრით უარი მითხრა.

ეგ უკეთესი, - ვიფიქრე ჩემთვის, - თორემ იმ ნაპირებს სასაკლაოდ აქცევდა.

ნისლი იფანტებოდა და ღრუბლები აქეთ-იქით მიიზლაზნებოდა. კაპიტან ნემომ საჭირო ხელსაწყოები წამოიღო და დილის ათი საათისათვის მისი მეზღვაურების თანხლებით, კუნძულზე გავემგზავრეთ. ჩვენ უნდა მიგვეღწია უმაღლესი მწვერვალისათვის, რომელიც წარმოადგენდა ფრიალო კლდის წვეტინ წვერს და წყლის დონიდან ნახევარი ვერსის სიმაღლეზე აზიდულიყო.

მნელი სავალი იყო, ფეხს ვდგამდით ბასრსა და წყვეტიან ღველფის ნალექს. ამას ზე ერთვოდა გოგირდის მძლავრი, მახრჩობელა სუნი. კაპიტანი სწრაფად ადიოდა მთაზე.

- როგორც ჩანს, ხმელეთზე სიარულს ჯერ არ გადაჩვეულა, - გავიფიქრე ჩემტვის, - შეხედეთ, როგორ მიხტის ალპურ მონადირესაც კი არ ჩამოუვარდბა!

ორის საათის მერე, როგორც იქნა, კლდის წვერს მივაღწიეთ. კაპიტანმა მანომეტრის საშუალებით მაშინვე გამოიანგარიშა ამ ფრიალო კლდის სიმაღლე.

გარშემო მიმოვიხედე. მზე არსად ჩანდა. ჰორიზონტს მხოლოდ მისი ანარეკლი შუქი ეფინებოდა. ყოველ მხარეს ბასრად წაწვეტებული ფრიალო კლდეები ამართულიყო, რომელთა შუა აქა-იქ თვალისმომჭრელი თეთრი ველები მოჩანდა. "ნაუტილუსი" შორიდან მძინარე ვეშაპს ჰგავდა, ჰორიზონტს ცალ მხარეს ფირუზისფრად მიმდგარი, ლეგა ნისლით დაფარული ზღვა მოსდევდა. მეორე მხარეს კი უსაზღვრო, თვალუწვდენელი უცნობი ხმელეთი გადაჭიმულიყო ერთმანეთს მიყრილი ფრიალო კლდებითა და ყინულის გორებით.

თორმეტს 15 წუთი აკლდა, როდესაც ჰორიზონტის უკანა მხრიდან როგორც იქნა, ამოცურდა მზის დისკო. მას უკანასკნელად უნდა მოეფინა სინათლე ამ

უკაცრიელი, უღრანი ხმელეთისა და ზღვისათვის, რომელსაც დღემდე არც ერთი ადამიანის ფეხი არ დაჰკარებოდა.

ასტრონომიული დურბინდით შეიარაღებული კაპიტანი ნემო მზეს აკვირდებოდა, რომელიც ჰორიზონტს იქით ეშვებოდა. ხელში ქრონომეტრი მეჭირა. გული საშინლად მიცემდა. თუ მზე შუადღისას ნახევრად მიეფაროდა, მაშასადამე, ჩვენ პოლუსზე ვიმყოფებოდით.

წუთი წუთს მისდევდა...

- შუადრეა! - დავიძახე მე.
- სამხრეთ პოლუსი! - მიპასუხა კაპიტანმა ნემომ.

ჰორიზონტის ხაზი მზედ ორ თანასწორ ნახევრად სერავდა. კაპიტანმა შავი დროშა გაშალა, რომელზეც ოქროს ასო N--- იყო ამოქარგული. კაპიტანმა მხარზე ხელი დამადო და წარმოთქვა:

- მე, კაპიტანმა ნემომ, 1868 წლს 21 მარტს სამხრეთ პოლუსს მივაღწიე და ამიერიდან დედამიწის ეს ნაწილი "ნაუტილუსის" კუთვნილებად გამომიცხადებია.

თავი XV

დაბრკოლება თუ შეფერხება

მეორე დღეს, 22 მარტს, საღამოს 6 საათზე, სამგზავრო სამზადისში ვიყავით. საღამოს ბინდბუნდს ღამის წყვდიადი შეერია. სუსხიანი ამინდი იყო. ვარსკვლავები საოცრად კაშკაშებდნენ. შუბის ტარზე "მრავალი" კიაფობდა - ეს არის პოლარული სარტყლის ვარსკვლავთა კრებული.

თერმომეტრი 12 გრადუს ყინვას აჩვენებდა. ნიავი სახეს გვისუსხავდა.

ზღვის ზედაპირზე აქა-იქ შავად მოშიშვლებული გაუყინავი ადგილები მოჩანდა, მაგრამ ისინიც თანდათან ქრებოდა. წელიწადის ამ, დროს, სამხრეთის ზღვების აუზი ექვსი თვით იყინება და გაუვალი ხდება. ვეშაპები ალბათ, ყინულით გადალესილი მიდამოს ტოვებენ და თბილი წყლებისკენ მოეშურებიან ამ დროს. სელაპები და ზღვის სპილოები კი თანშეზრდილნი არიან სუსხიან ჰავას და ყინულების სამეფოს არ ტოვებენ. ეს ცხოველები ყინულში ნახვრეტებს აკეთებენ და ღიად ტოვებენ. ამ ღია დოლაბებს ისინი ჰაერის სასუნთქად იტოვებენ.

როდესაც სიცივსაგან შეწუხებული ფრინველები ჩრდილოეთისკენ გადაფრინდებიან, ამ პოლაულ ხმელეთზე ბურთი და მოედანი ძუძუმწოვარა ცხოველს რჩებათ.

აუზები წყლით გაავსეს და "ნაუტლიუსი" მძიმედ ჩაეშვა ზღვაში ათასი ფუტის სიღრმეზე გაჩერდა, მისი მოსასმელი ხრახნი ამუშვდა და გემი პირდაპირ ჩრდილოეტისკენ გაემართა საათში თხუთმეტი მილის სიჩქარით. საღამო ხანს უკვე მთლიანი ყინულის ქვეშ მიცურავდა.

ფანჯრის დარაბები გარედან იყო დაკეტილი, რომ შუბები ზღვაში მოტივტივე ყინულის კლდის დაჯახებისაგან არ შემომტვრეულიყო. მთელი დღე პოლუსის შთაბეჭდილებებზე ვწერდი. ჩვენ ამ უბედურ ადგილებს უხიფათოდ მივაღწიეთ, თითქოს რელსებზე მოსრიალე ვაგონით მივდიოდით. ახლა უკან ვბრუნდებოდით, დარწმუნებული ვიყავი, რომ ეს მგზავრობაც რაიმე მოულოდნელი სანახაობით გაგვამდიდრებდა - ზღვის უფსკრულები ხომ დაუშრეტელი წყაროა სასწაულებისა.

ხუთ-ნახევარი თვეა მას შემდეგ, რაც შემთხვევით მოვხვდით ამ წყალქვეშა ნავზე. ჩვენ უკვე თოთხმეტი ათასი ლიკ (56 235 ვერსი) გამოვიარეთ. რამდენი მომხიბვლელი და საშინელი რამ შეგვემთხვა ამ გზაზე. რომელიც დედამიწის ეკვატორის სიგრძეს აღემატება! კრესპოს ტყეში ნადირობა, უნებლიერ შეჩერება ტორესის სრუტესი, მარჯნის სასაფლაო, სანტარინოს წყალქვეშა ცეცხლი, ვიგოს ნავსადგურის მილიონები, ატლანტისი, სამხრეთ პოლუსი!

მთელი დამის განმავლობაში თვალწინ მედგა ეს სანახაობა და ჯადოსნური სიზმარივით ძილს მიფრთხობდა.

დილის 3 საათზე ძლიერმა შექანებამ გამომაფხიზლა. ლოგინზე წამოვჯექი და ყური დაცულდე უკუნ სიბნელეს. უცებ ლოგინიდან შუა ოთახში გადამისროლა ძლიერმა ძალამ. ალბათ "ნაუტილუსი" დაეჯახა რაღაცას.

ხელის ფათურით, კედელ-კედელ გავიარე ვიწრო ტალანი და დარბაზში შევედი, რომელსაც ჭერიდან კაშკაშა სინათლე ეფინებოდა. მთელი ავეჯი პირქვე დამხობილიყო. საბედნიეროდ, მუზეუმის კარადები დალურსმულ ფეხებზე იდგა და გადარჩენილიყო. მარჯვენა კედელზე ჩამოკიდებული პორტრეტები კედელს მიჰკვროდა, მარცხენა კედლის სურათების ჩარჩოები კი თავისი ქვევითა ნაწილით ერთი ფუტის სიგანეზე იყო კედლიდან გამოწეული. ცხადია, "ნაუტილუსი" მარჯვენა მხარეს იყო გადაზისული და გაჩერებული.

ფეხის ხმა და გაურკვეველი ლაპარაკი მესმოდა გემის შიგნითა ოთახებიდან. ნემო არსად ჩანდა. დარბაზიდან რომ გამოვდიოდი, ნედ ლენდი და კონსეი შემხვდნენ.

- რა მოხდა? - შევეკითხე მათ.

- თქვენთან ამის საკითხავად მოვდიოდი, - მიპასუხა კონსეიმ.

- ჯანდაბა და დოზანა! - წამოიძახა კანადელმა, - კარგად მესმის, რაც მოხდა. "ნაუტილუსი" რაღაცას წაეჯახა და ამ დაჯახებაზე ვატყობ, რომ ისე ადვილად ვერ დააღწევს თავს, როგორც ტორესის სრუტეში!

- ის მაინც გამაგებინეთ, აცურდა თუ არა ზღვის ზედაპირზე? - ვიკითხე მე.

- არ ვიცით, - მიპასუხა კონსეიმ.

- ამის გაგება ადვილია, - ვთქვი მე.

მანომეტრს შევხედე. ჩემდა სამწუხაროდ, მანომეტრი გვიჩვენებდა, რომ სამას სამოცი მეტრის სიღრმეზე ვიმყოფებოდით.

- ეს რას ნიშნავს? - წამოვიყვირე.

- კაპიტან ნემოს შევეკითხოთ! - მიპასუხა ნედ ლენდმა.

- გამომყევით, - ვუთხარი ამხანაგებს.

დარბაზი დავტოვეთ. ბიბლიოთეკაში ჭაჭანება არ იყო. ვფიქრობდი, კაპიტანი მესაჭესთან იქნებოდა და გადავწყვიტე, დაგვეცადა. ისევ დარბაზში დავბრუნდით.

თითქმის ოცი წუთი გავიდა. გაფაციცებით ვუგდებდით ყურს "ნაუტილუსის" შიგნით ხმაურს. ბოლოს დარბაზში შემოვიდა კაპიტანი ნემო, ეტყობოდა, ვერ შეგვამჩნია. მის მშრალ სახეს შეშფოთება აღბეჭდოდა. მდუმარედ შეხედა კომპასს, მანომეტრს და რუკაზე იმ ადგილს დაადო თითი, რომელზეც აღნიშნული იყო სამხრეთის პოლარული ზღვები.

არ მინდოდა ხელი შემეშალა, მაგრამ რამდენიმე წუთის შემდეგ, როცა ჩემკენ მოტრიალდა, ვკითხე:

- უბრალო შემთხვევაა რამე?

- არა, პროფესორო, ამჟამად დაბრკოლებაა, - მიპასუხა მან.

- მნიშვნელოვანი?

- შესაძლოა!

- საფრთხე ხომ არ გველის?

- არა!

- "ნაუტილუსი" მეჩეჩზე დაჯდა?

- დიახ!

- ეს მოხდა რაიმე განსაკუთრებული შემთხვევა?

- გემის მართვასა და მოძრაობაში ერთი ბეწო შეცდომაც არ ყოფილა.

- ნება მიბოძეთ, გვითხოთ, - მივმართე მე, - რა მიზეზით მოხდა ეს ამბავი?

- უზარმაზარი ყინულის ლოდი, მთელი მთისოდენა, აღმა შეტრიალდა, - მიპასუხა კაპიტანმა, - როდესაც ყინულის მთების ფუძე თბილი წყლის გავლენით ატივტივდება, მთელი მისი სიმძიმის ცენტრის ზევით გადაინაცვლებს ხოლმე, მაშინ ყინულის მთა აღმა შეტრიალდება და თავდაყირა დგება. აი, სწორედ ასეთი შემთხვევა მოხდა დღესაც. ერთი ასეთი ყინულოვანი მთა ამოტრიალდა, წყალქვეშ მიმავალ "ნაუტილუსი" დაეჯახა. მერე გემის კორპუსის ქვევით მოექცა და ზევით ამოსწია. "ნაუტილუსი" ამ ყინულის მთაში ჩაიჭედა, გვერდზე გადაიზნიქა და აქამდე იმავე მდგომრეობაში იმყოფება.

- განა არ შეიძლება, წყლის აუზები რომ დაიცალოს წონასწორობის აღსადგენად?

- სწორედ მაგაზე ვმუშაობთ, პროფესორო. თქვენ ალბათ გესმით ტუმბოების შხრიალი. აბა, შეხედეთ მანომეტრს ისარს: ის გვიჩვენებს, რომ "ნაუტილუსი" ზევით მიდის, მაგრამ მას ძირიდან ყინულის მთაც მოსდევს და გემის მდგომარეობა არ იცვლება.

"ნაუტილუსი" მართლაც ისევ ისე, მარჯვნივ გადაზნექილი იდგა... ცხადია, ისევ სწორ მდგომარეობას მიიღებდა, რაწამს ყინულის მთას მოსცილდებოდა. მაგრამ იქნებ მანამდე ჩვენ კიდევ ზემოდან ყინულის სქელი ფენა დაგხვედროდა, რომლითც ზღვის ზედაპირი იყო დაფარული.

უეცრად გემის კორპუსი ოდნავ შეინძრა და "ნაუტილუსმა" ნელ-ნელა გასწორება იწყო. დარბაზში ჩმოკიდებული საგნები თავის პირვანდელ მდგომარეობას იღებდა. კედლები შვეულ ხაზს უახლოვდებოდა. იატაკს თანდათან ჰორიზონატლური მდგომარეობა ეძლეოდა. ასე გაიარა ათმა წუთმა.

- ძლივს! ახლა კი სწორედ ვდგავართ! - შევძახე მე.

- დიახ, - დამიდასტურა კაპიტანმა ნემომდა კარისკენ გაემართა.

- მაშ, გემი გზას განაგრძობს? - დავადევნე კითხვა.

- რასაკვირველია. რაწამს წყლის აუზები დაიცლება, "ნაუტილუსი" ზღვის ზედაპირზე აცურდება.

კაპიტანი გავიდა. მისი განკარგულებით "ნაუტილუსი" მალე შეაჩერეს, ზევით აღარ იწევდა და ისე მიცურავდა წინ. თურმე გემი ქვევიდან გაყინული ზედაპირის მთლიან თაღს შეეჯახა.

- მარჯვედ კი დავაღწიეთ თავი! - წამოთქვა კონსეიმ.

- მართლაც, - ვუპასუხე მე, - თორემ შესაძლებელი იყო, ორი ყინულოვანი მთის შუა მოვმწყვდეულიყავით... მაშინ კი ჰაერი შემოგვაკლდებოდა.. მართლაც ბენდიერად გადავრჩით საფრთხეს.

- გადარჩით კი?! - ჩუმად ჩაილაპარაკა ნედ ლენდმა.

არ მინდოდა კანადელთან უნაყოფო კამათის გაბმა და არაფერი ვუპასუხე, გარდა ამისა, ამ დროს დარაბებს გასწიეს და გარეთა სინათლე დარბაზში შემოიჭრა.

როგორც დუკვე მოგახსენეთ, ჩვენ წყალქვეშ ვიმყოფებოდით. "ნაუტილუსის" ორივე მხარეს სამ მეტრზე ყინულის კედლები აღმართულიყო. ზემოდან მთლიანი

ყინულეთის შეკრული თაღი გვფარავდა. ჩვენ ქვემოთ კი შეტრიალებული ყინულის მთა გვერდით ყინულოვან კედელს მობჯენოდა და გაჩერებულიყო. ასე რომ, ყინულოვან გვირაბში ვმოძრაოდით, რომელსაც ოცი მეტრის სიგანე ჰქონდა. მაშასადამე "ნაუტილუსს" შეეძლო ამ გვირაბით გასვლა წინ ან უკან. ხოლო როდესაც ყინულის გვირაბს გასცილდებოდა, სიღრმეზე ჩაეყვინთა და გზა ისე განეგრძო.

დარბაზის ჭერიდან სინათლე ჩაქრა, მაგრამ იქაურობა ისევ გაკაშვაშებული იყო. სიტყვებით ვერ გადმოიცემა ის ეფექტი, რომელსაც ჯადოსნური მოხაზულობის ყინულოვან მასივში ჩვენი შუქურას ელექტრონის სინათლე ქმნიდა. ყოველი კუნჭული, ყოველი ტაფობი, ყოველი ქიმი ათასფრად ელავდა და ციალებდა.

- რა მშვენიერია! რა ლამაზია! - წამოიძახა კონსეიმ.

- მართლაც, დიდებულია ეს ჯადოსნური სანახაობა, - ვუპასუხე მე, - ხომ მართალია, ნედ?

- ეშმავმა წაიღოს! - დამეთანხმა კანადელი, - მართლაც აღტაცებაში მოიყვანს ადამიანს. ვნანობ, რომ უნდა დაგეთანხმოთ. ვერც ერთი სულიერი ვერ ეღირსება ამის მსგავსი რამის ნახვას. მაგრამ შეიძლება ძვირად კი დაგვიჯდეს ეს ყველაფერი.

ნედი მართალი იყო. ეს სანახაობა მეტისმეტად ლამაზი და წარმტაცი იყო. უცებ კონსეიმ შეჰყვირა. მისკენ მივტრიალდით.

- რა ამბავია?

- თვალები დახუჭეთ!

კონსეიმ სწრაფად დახუჭა თვალები.

ჩემი თვალები უნებლიერ ფანჯარას ეცა, მაგრამ ამ ელვარებას ვეღარ გაუძლო.

მაინც მივხვდი, რაც მოხდა "ნაუტილუსი" სწარფად მიქროდა. ამის გამო ყინულოვანი კედლების თანაბარი და მყუდრო ელვარება ერთბაშად ცეცხლოვან ზოლებად იქცა. ცეცხლისფრად აელვრებული მიღიარდი ბრილიანტი ცეცხლის ზოლებად იქცა. თითქოს "ნაუტილუსი" ელვისაგან მოქსოვილ ბადესი მიცურავსო. ფანჯრის დარაბები დახურეს, მაგრამ ჩვენ ისევ ხელებს ვითარედით თვალებზე.

გავიდა ხანი და გაღიზიანეული თვალები ძლივს დაგვიწყნარდა.

როგორც იყო, ხელები მოვაშორეთ თვალებს.

- ამას არასოდეს დავიჯერებდი! - თქვა კონსეიმ.

- მე კი ახლაც არ მჯერა! - წამოიძახა კანადელმა.

- ბუნების ამ ჯადოსნური სანახაობის შემდეგ, ხმელეთზე რომ დავბრუნდებით, რა საბრალოდ მოგვეჩვენება ხმელეთი და რა არარაობად - ადამიანის ნახელავი, - განაგრძო კონსეიმ, - არა, ხალხით დასახლებული ქვეყნიერება მეტისმეტად საწყალობელია!

გულგრილი ფლამინდიელის სიტყვები საუკეთესოდ მოწმობდა, თუ რამდენად იყო მოხიბლული ჩვენი გონება ამ სანახაობით. მაგრამ კანადელმა აქაც ცივი წყალი გადაგვასხა:

- დასახლებული ქვეყნიერება? - შესძახა მან თავის ქნევით, - დამსვიდებული ბრძანდებოდეთ, მეგობარო კონსეიმ, ჩვენ ამას ვეღარ ვეღირსებით!...

დილის ხუთი საათი იქნებოდა. "ნაუტილუსი" კიდევ რაღაცას დაეჯახა, მაგრამ ახლა ცხვიის ნაწილით. მივხვდი, რომ მსი სარქენი ყინულის მთას დაეძერა. ეს იმის გამო მოხდა, რომ გემი ყინულის გვირაბში მიცურავდა, რომელიც ალბათ ყინულის ზვავით იყო ჩახერგილი. კაპიტანმა წერილი რად აიღო ეს გეზი, არ ვიცი, მაგრამ მარტო იმან გამაოცა, რომ "ნაუტილუსი" უკან-უკან იწევდა.

- უკან მივდივართ! - თქვა კონსეიმ.

- დიახ. - მივუგე მე, - ალბათ გვირაბიდან გასასვლელი არ არის.

- მაშინ?

- მაშინ, უბრალო საქმეა, - ვუპასუხე მე, - ჩვენ იმავე გზით გავტოლებით უკან და სამხრეთის ხვრელით გავივლით. ესაა და ეს.

ამას რომ ვამბობდი, ვცდილობდი, უფრო მეტი დამარწმუნებელი კილოთი გამომეთქვა ჩემი აზრი, ვიდრე ეს სინამდვილეში იყო. "ნაუტილუსი" კი უკან-უკან მიცურავდა და თანდათან სვლას აძლიერებდა.

- მოვემწყვდიეთ, - შენიშნა ნედმა.

ნედ ლენდი და კონსეი წამოდგნენ.

- აქ დარჩით, მეგობრებო, - ვუთხარი მე, - ერთად ვიყოთ, სანამ ამ სახიფათო მდგომარეობას თავს დავაღწევდეთ.

რამდენიმე საათმა განვლო. ხშირ-ხშირად შევცეროდი დარბაზის კედელზე ჩამოკიდებულ ინსტრუმენტს. მანომეტრი გვიჩვენებდა, რომ "ნაუტილუსი" სამასი მეტრის სიღრმეზე იყო. კომპასი გვიჩვენებდა, რომ გემი სამხრეთისაკენ მიდიოდა. ლანგი აღნიშნავდა, რომ საათში ოცი მილის სიჩქარით მოძრაობდა. ამ ვიწრო გვირაბში ასეთი სწრაფი სვლა საოცარი იყო.

ცხრის ოცდახუთი წუთი იყო, როდესაც "ნაუტილუსი" კიდევ რაღაცს წაეჯახა, მაგრამ ახლა ბოლო ნაწილით.

გაფიტრდი. ამხანგები მომცვიდნენ, კონსეის ხელი ვტაცე. ერთმანეთს უხმოდ მივჩერებოდით და მზერით უფრო უკეთ ვუზიარებდით ჩვენს გულისნადებს, ვიდრე სიტყვით.

დარბაზში კაპიტანი ნემო შემოვიდა.

- სამხერთისკენ შეკრული გვაქვს გზა?- ვკითხე მე.

- დიახ, პროფესორო, ყინულის მთა ამოტრიალდა და გზა გადაგვიღობა.

- მაშ, მომწყვდეული ვყოფილვართ?

- დიახ!

თავი XVI

ჰერი შემოგვალდა

"ნაუტილუსი" გარშემო, ზევიდან და ქვევიდან, გაუვალი, მთლიანი ყინულის გალავანი ერტყა. კანადელმა სიბრაზისაგან თავისი მძლავრი მუშტი მაგიდას დაჰკრა. კონსეი დუმდა. მე კაპიტანს მივჩერებოდი. მისმა სახემ ჩვეულებრივი, მშვიდი გამომეტყველება მიიღო. გულხელდაკრეფილი ფიქრს მისცემოდა. "ნაუტილუსი" უძრავად იდგა.

ბოლოს კაპიტანმა დაილაპარაკა:

- მეგობრებო, - თქვა მან წყნარი ხმით, - იმ პირობებში, რომელშიც ჩვენ ვიმყოფებით, ორი საშუალება სიკვდილის.

ეს უცნაური ადამიანი ისე ლაპარაკობდა, თითქოს მათემატიკის პროფესორი მოწაფებს რომელიმე დებულებას უმტკიცებსო.

- ჯერ ერთი, - განაგრძო კაპიტანმა, - ჩვენ შეიძლება ყინულებში გავისრისოთ და ისე მოვკდეთ. მეორეც - შეიძლება უპაერობამ დაგვახრჩოს, შიმშილით სიკვდილზე არას ვამბობ, რადგან "ნაუტილუსის" მარაგი, ალბათ ჩვენ მერეც დარჩება. მაშ ასე, უნდა შევცადოთ და ეს განსაცდელი თავიდან ავიცილოთ.

- კაპიტანო, უჰაერობა არ უნდა გვაფიქრებდეს, რადგანაც ჩვენი სათადარიგო აუზები სავსეა, - ვუთხარი მე.

- მართალია, - მიპასუხა კაპიტანმა ნემომ, - მაგრამ მათში მოქცეულ ჰაერი მხოლოდ ორ დღე-დამეს გვეყოფა. ორმოცდარვა საათის შემდეგ კი, ჰაერი გამოილევა.

- მერე რა, მანამდე როგორმე თავს დავაღწევთ, კაპიტანო!

- რა თქმა უნდა! ამას შევეცდებით, ჩვენ გარშემო მომდგარ ზღუდეებს გავხრეტო მაინც.

- რომელ მხარეს? - ვკითხე.

- მაგას ზონდი გვიჩვენებს. "ნაუტილუსს" ქვედა ყინულეთზე გავაჩერებინებ და სკაფანდრებში გამოწყობილი ჩემი ხალხი იმ მხარეს გაჭრის ყინულის მთას, საითაც უფრო თხელია მისი სისქე.

- დარაბების გაწევა შეიძლება? - ვკითხე მე.

- კი, ჩვენ ახლა ვდგავართ.

კაპიტანი ნემო გავიდა. შხირიალზე შევატყვე, რომ აუზები წყლით ივსებოდა. "ნაუტილუსი" მძიმედ ეშვებოდა ძირს. იგი ქვედა ყინულის ზედაპირზე გაჩერდა, სამას ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე ზედაპირიდან.

- მეგობრებო, ჩვენი მდგომარეობა მეტად მძიმეა, მაგრამ თქვენი ვაჟკაცობისა და ენერგიის იმედი მაქვს. - ვამხნევებდი ამხანაგებს.

- პროფესორო, - მიპასუხა კანადელმა, - ახლა ის დრო არ არის, რომ წუწუნით თავი მოგაბეზროთ. საერთო სიკეთისათვის ყველაფერზე მზად მიგულეთ.

- კეთილი, ნედ! - ვუპასუხე მე და ხელი გავუწოდე.

- ბარჯის გარდა წერაქვსაც კარგად ვხმარობ და თუ კაპიტანს რითიმე გამოვადგები, შეუძლია დამიხმაროს.

- თქვენ დახმარებაზე უარს არ იტყვის, ნედ. წავიდეთ.

კანადელი იმ ოთახში გავიყვანე, სადაც "ნაუტილუსის" მეზღვურები სკაფანდრებს იცვამდნენ. კაპიტანს ნედის წინადადება გადავიცი და ისიც დამთანხმდა.

ნედმა ჩაიცვა. დარბაზში გამოვედი. ფანჯრის დარაბები გაწეული იყო. კონსეის გვერდით ჩამოვჯები. "ნაუტილუსი" იდგა.

რამდენიმე წუთის შემდეგ "ნაუტილუსის" ეკიპაჟის ოციოდე წევრი გამოვიდა ყინულის კუნძულზე. მათ შორის ბრგე და ახოვანი ნედ ლენდი მოჩანდა. კაპიტანი ნემოც იქვე იყო.

სანამ ყინლის ჭრას დაიწყებდნენ, ჯერ განკარგულება გასცა, ბურღით გახვრიტათ, რომ წესიერი გეზი მისცემოდა მუშაობას. გრძელი ზონდები ჰკრეს გვერდის კედლებში, მაგრამ თხუთმეტი მეტრის სიღრმის მერეც სქელი ყინულის კედელი დახვდათ. თაღის მხარეს მუშაობის ცდაც უნაყოფო იქნებოდა, რადგან მთლიანი, მკვრივად შეკრული სქელი ყინული იყო. კაპიტანმა ნემომ ახლა ქვემოთა ფენის ჩახვრეტაც სცადა. აქ კი ათი მეტრის სისქე ყინული გვაშორებდა თავისუფალ წყალს.

მაშინვე შეუდგნენ თავგამოდებულ მუშაობას. კაპიტანმა ნემომ ბრძანა, რომ გემის ცხვირს წინ, რვა მეტრის მოშორებით უზარმაზარი წრე შემოეხაზათ და ყინულის ის ნაწილი ამოეღოთ. ბევრგან ხრახნებით დაბურღეს ყინულის ნიადაგი და დიდრონ ლოდებად აცლიდნენ ყინულის ნატეხებს. ნაკლები ხვედრითი წონის გავლენით ამოტეხილი ყინულის ლოდები, რომლებიც წყალზე უფრო მსუბუქი იყო, გვირაბის თაღისკენ მიექანებოდა და ზემოთ კედელს ასქელებდა იმდენად, რამდენადაც ქვედა ფენა თხელდებოდა.

ორი საათის მუშაობის შემდეგ ნედ ლენდი დაქანცული შემოვიდა. ის და მისი ამხანაგები მეორე წყებამ შეცვალა. მათ შევუერთდით მე და კონსეი. "ნაუტილუსის" მესაჭის თანაშემწე გვიწოდა ხელმძღვანელობას.

თავდაპირველად წყალი ძალიან ცივი მეჩვენა, მაგრამ წერაქვით მუშაობამ გამახურა. სრულიად თავისუფლად ვმოძრაობდი, თუმცა ოცდაათი ატმოსფერო წნევას ვუძლებდი.

როდესაც ორი საათის მუშაობის შემდეგ დასასვენებლად შემოვბრუნდი, ვიგრძენი, თუ რა დიდი განსხვავება იყო რუკეილორის აპარატით მოწვდისილ სალ ჰაერსა და "ნაუტილუსის" დახშულ ჰაერს შორის, რომელიც ნახშირბადით იყო გაუღენითილი. თორმეტი საათის განმავლობაში, შემოხაზულ წრეში ერთი მეტრის სიგანეზე ამოეჭრათ ყინული. ასეთი ხალისით რომ გაგვეგრძელებინა მუშაობა, ხუთი ღამე და ოთხი დღე დაგჭირდებოდა ჩვენი საქმის დასაგვირგვინებლად.

- ხუთი ღამე და ოთხი დღე! - ვუთხარი ამხანაგებს, - ჩვენი ჰერის მარაგი ვი მხოლოდ ორი დღე-ღამის სამყოფია.

- ამ წყეულ საპატიმროს თავი რომ დავალწიოთ, ჯერ კიდევ გამული ყინულეთის ქვეშ ვიქებით და ატმოსფეროსთან არავითარი კავშირი არ გვექნება, - დაუმატა ნედმა.

- სწორი შენიშვნა! შეიძლება იმაზე ადრეც გავიგუდოთ უჰაერობით, სანამ "ნაუტილუსი" მიაღწევდეს დედამიწის ზედაპირს. ვინ იცის, იქნებ, "ნაუტილუსი" განწირულა ამ ყინულეთში დასაღუპავად!

საშინელი მდგომარეობა იყო, მაგრამ ყველა ჩვენგანი პირდაპირ თვალებში უმზერდა საფრთხეს და გადავწყვიტეთ, ჩვენი მოვალეობა ბოლომდე შეგვესრულებინა.

იმ ღამეს კიდევ ერთ მეტრზე ამოიჭრა ყინული ამ უზარმაზარ ორმოში. მეორე დილით სკაფანდრში გამოწყობილი მივდიოდი წყალში, რომლის ტემპერატურა ექვსი გრადუსი მაინც იქნებოდა. შევამჩნიე, რომ გვერდის კედლები ნელ-ნელა უახლოვდებოდა ერთმანეთს. წყლის ის ფენა, რომელიც ადამიანის მუშაობით და იარაღის მოძრაობით არ იყო გამთბარი, თითქოს გამაგრებს იწყებდა.

გემზე რომ დავბრუნდი, ეს გარემოება კაპიტან ნემოს გავუზიარე.

- ვიცი, პროფესორო, - მიპასუხა მან დინჯი კილოთი, რომელსაც ბოლო წუთშიაც არ კარგავდა, - ერთი საფრთხე კიდევ მოგვემატა. მაგრამ საშუალებას ვერ ვპოულობ, რომ შევებრძოლო. ერთადერთი გზას ის არის, რომ შევაჩეროთ ყინულის გამაგრება. ჩვენ უნდა რამე ვიღონოთ, რომ გაყინვა არ გაგრძელდეს. უნდა დავასწროთ მას. ესაა ჩვენი საქმე.

- დავასწროთ მას! ადვილი სათქმელია! - გავიფიქრე გულში, - დროა ასეთ სიტყვებს მივეჩვიო ამ გემზე!

იმ დღეს რამდენიმე საათი თავგამოდებით ვიმუშავე წერაქვით. ეს მუშაობა სიმხნევეს მმატებდა. გარდა ამისა, მუშაობა "ნაუტილუსიდან" გამოსვლის ნიშნად, მაშასადამე, საღი ჰაერით სუნთქვას, რასაც რუკეილორის აპარატი გვაწვდიდა - გემში კი საშინელი დამძიმებული ჰაერი იყო. ყინულის ხვრელი კიდევ ერთი მეტრით ჩაღრმავდა. გემზე რომ დავბრუნდი, კინაღამ გული შემიწუხდა ნახშირმჟავამ, რომლითაც გემის ჰაერი გაუღენითილიყო.

იმ ღამეს კაპიტანი ნემოიძულებული გახდა, სათადარიგო აუზიდან სუფთა ჰაერი გამოეშვა გემის შიგნითა ჰაერის გასაახლებლად. ასე რომ არ მოქცეულიყო, შეიძლება ვეღარც ერთს ვერ გამოგვეღვიძა.

მეორე დღეს, 26 მარტს, მაღაროელის საქმიანობას ისევ შევუდექით. ახლა უკვე მეხუთე მეტრს ვჭრიდით. გვერდის კედლები და ზედა ყინულეთის ქვედა მხარე თვალსაჩინოდ სქელდებოდა! ცხადი გახდა, რომ ეს კედლები მთლიან ყინულად ერთიანდებოდა. სასოწარკვეთილებამ შემიპყრო, წერაქვი კინაღამ ხელიდან გავაგდე. რისთვის ვიმუშაო, თუკი აქ დაღუპვა არ ამცდება, თუკი აქ გავისრისები ყინულებს შუა, ყინულად ვიქცევი?! ასეთი სასჯელი ჯერ არც ერთ ინკვიზიტორს არ გამოუგონია. წარმოვიდგინე, ვითომ საშინელი მხეცის ყბაში ვიყავი მოქცეული, ყბები კი უძლეველის ღონით იხურებოდა.

ამ წუთს გვერდით გამიარა კაპიტანმა ნემომ, რომელიც მუშაობას ხელმძღვანელობდა. ხელში ხელი ვტაცე და ჩვენი საპატიმროს კედლებზე მივუთითე. გემის მარჯვენა მხარეს ყინულის კედელი ოთხი მეტრით მაინც გასქელებულიყო.

კაპიტანი მიმიხვდა და მანიშნა გავყოლოდი. გემში შევედით, სკაფანდრები მოვიხადეთ და დარბაზში გავედით.

- პროფესორო, რაიმე გმირული საშუალება უნდა ვცადოთ, თორემ ეს გაყინული წყალი შიგ ამოგვლესავს, - მითხრა მან.

- დიახ, - ვუპასუხე, - მაგრამ რა ვქნათ, რა ვიღონოთ?

- ოჰ, "ნაუტილუსი" რომ გაუძლებდეს ამ წნევას და არ გაისრისებოდეს! - წამოიძახა მან.

- მერე რა იქნებოდა? - შევეკითხე, რადგანაც ვერ მივუხვდი, რას ფიქრობდა.

- პროფესორო, ნუთუ ვერ მიმიხვდით? - მიპასუხა მან, - მაშინ ეს წყლის გაყინვა შეგვეშვებოდა! ვერ ამჩნევთ, გაყინული წყალი რომ გამაგრდება და მაგრად მოუჭერს, მთლად დაამსხვრევს ამ ყინულოვან ველებს, რომლებშიც ჩვენ ვართ მომწყვდეული. ნუთუ ვერ გრძნობთ, რომ ეს ძალა ჩვენ დაგვიხსნის და არ დაგვღუპავს?!

- დიახ, ბატონო, ეგ შესაძლებელია, მაგრამ რაც უნდა დიდი იყოს ძალა, რომელიც "ნაუტილუსი" შესწევს, ის მაინც ვერ გაუძლებს ამ საშინელ წნევას და გაბრტყელდება.

- ეგ მეც ვიცი, პროფესორო, მაშასდამე, ბუნების დახმარებას არ უნდა ველოდოთ, მხოლოდ ჩვენი თავის იმედი უნდა ვიქონიოთ. ხელი უნდა შევუშალოთ წყლის გამაგრებას, უნდა შევაჩეროთ გაყინვა! მარტო გვერდის კედლები სქელდება, "ნაუტილუსი" გარშემო გაუყინავად ხუთი ფუტიც არ დარჩება. ჩვენ ყინულეთი ყოველი მხრიდან გარს გვერტყმის.

- რამდენ დღეს გაგვწვდება ჰაერის მარაგი, კაპიტანო?

- ზეგ ჩვენი ჰაერის მარაგი მთლინად ამოიწურება.

ცივმა ოფლმა დამასხა. მაგრამ ამ ჰასუხში გასაკვირი არაფერი იყო. "ნაუტილუსი" 2 მარტს ჩაეშვა პოლუსის თავისუფალი წყლების სიღრმეში. დღეს უკვე 26 მარტი იყო.

ხუთი დღე იყო, რაც გემზე ჰერის მარაგით ვსუნთქავდით. სასუნთქავად გამოსადეგი ჰაერი გარეთ მომუშავეებისთვის უნდა გამოგვეზოგა. ახლა, როდესაც ამ სტრიქონებს ვწერ, იმ შთაბეჭდილებას ისე ცოცხლად განვიცდი, რომ შიშის ჟურნატელი მივლის, ჩემს ფილტვებს თითქოს ჰაერი არ ჰყოფნის.

კაპიტანი ნემო კი, მდუღარე და უძრავი, ფიქრებში წასულიყო. ემჩნეოდა, რაღაც აზრი მოსდიოდა თავში, მაგრამ თითქოს უარს ამბობდა ამ აზრზე. ბოლოს ეს ორი სიტყვა მოსწყდა მის ბაგეს:

- მდუღარე წყალი!

- მდუღარე წყალი?

- დიახ, პროფესორო. ჩვენ მომწყვდეული ვართ, შედარებით რომ ვთქვთ, განსაზღვრულ სივრცეში. განა "ნაუტილუსის" ტუმბოებმა შეუჩერებლივ რომ ისროლონ მდუღარე წყალი, ტემპერატურას არ ასწევს და გაყინვას არ შეაჩერებს?

- უნდა ვცადოთ, - გადაჭრით ვუპასუხე.

- ვცადოთ, პროფესორო.

მაშინ თერმომეტრი გარეთ შვიდ გრადუს ყინვას უჩვენებდა. კაპიტანმა ნემომ სამზარეულოში გამიყვანა, სადაც წყლის გამოსახდელი უზარმაზარი აპარატები იდგა. წყალს ორთქლად ხდიდა, რომ შემდეგ სასმელად გამოსაყენებელი ყოფილიყო. ეს ქვაბები წყლით გაავსეს, მთელი ელექტრონის სითბო აპარატების გარშემო მიხვეულ-მოხვეულ მილებში მიუშვეს. რამდენიმე წუთის შემდეგ, წყლის სითბომ ას გრადუსს მიაღწია, მდუღარე წყალი ტუმბოებით გაუშვეს, ქვაბები კი ცივი წყლით ივსებოდა. ელექტრონს ბატარებით განვითარებული სითბო ისეთი მძლავრი იყო, რომ ზღვის ცივი წყალი აპარატში რომ გაივლიდა, ტუმბოებში ქაფქაფად მისჩევდა. მდუღარე წყალი ყინულეთს მიუშვეს. სამი საათის შემდეგ, თერმომეტრი ექვს გრადუსს გვიჩვენებდა. მაშასადამე, ერთი გრადუსი მოვიგეთ. ორი საათის შემდეგ თერმომეტრი უკვე ოთხ გრადუსს აღნიშნავდა.

- გავიმარჯვეთ! - ვუთხარი კაპიტანს, როდესაც მთელი ამ პროცესის მსვლელობა შევამოწმე.

- იმედი მაქს, ახლა აღარ გავიჭყლიტებით, - მომიგო კაპიტანმა, - მაგრამ ერთი საფრთხე კიდევ დაგვრჩა, პროფესორო, უჰაერობით გავიგუდებით.

იმ ღამეს წყლის ტემპერატურა ერთ გრადუსს უდრიდა ნულს ქვემოთ. მეტი მდუღარე წყლის სხურება სითბოს ვეღარ მატებდა, მაგრამ რადგან წყალი მხოლოდ ორ გრადუსის სიცივის დროს იყინება, საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ყინული აღარ ემატებოდა.

მეორე დღეს, 27 მარტს, ყინულის დოლაბებში ექვსი მეტრი ყინული იყო ამოჭრილი. კიდევ ოთხი მეტრი გვრჩებოდა ამოსაჭრელი. კიდევ ორმოცდარვა საათის სამუშაო გველოდა. "ნაუტილუსში" ჰაერი გამოცვლა აღარ შეგვეძლო. იმ დღეს ჩვენი მდგომარეობა უფრო და უფრო უარესდებოდა.

აუტანელი სევდა შემომაწვა გულზე. საღამოს სამ საათზე ჩემმა ტანჯვამ უკიდურეს ზღვარს მიაღწია. ყბები მთქნარებისგან მტებდა, ფილტვები მითრთოდა საღი ჰაერის მოლოდინში.

ზნეობრივად სრულიად გამოვიფიტე. უღონოდ ვეგდე, თითქმის გონებამიხდილი, ჩემი ძვირფასი კონსეი გვერიდან არ მშორდებოდა, თუმცა ჩემსავით იტანჯებოდა.

მაგრამ თუ ჩვენი მდგომარეობა ასეთი აუტანელი იყო გემში, ადვილი წარმოსადგენია, თუ რა გაშმაგებით და ნეტარებით ვიცვამდი სკაფანდრებს სამუშაოდ გასსვლელად. წერაქვი წკრიალით ტეხდა ყინულეთს, მკლავი იქანცებოდა, ხელებზე ტყავი გვასკდებოდა, მაგრამ ვის აგონდებოდა იარები, როდესაც აპარატიდან მაცოცხლებელი ჰაერი ჩდიოდა ფილტვებში! აქ შეიძლებოდა სუნთქვა!

იმ დღეს ჩვეულებრივი სამუშაო უფრო მეტი თავგამოდებით შევასრულეთ. მხოლოდ ორი მეტრიდა გვრჩებოდა ამოსაჭრელი, მაგრამ რეზერვებში ჰაერის მარაგი აღარ იყო. ის მცირეოდენი, რაც იყო, მუშაობისთვის უნდა დაგვეზოგა. "ნაუტილუსისთვის" ვერც ერთ ატომს ვერ მოვაკლებდით.

მეექვსე დღე იყო, რაც ყინულეთში ვიყავით. რადგანაც წერაქვით მძიმედ მიდიოდა საქმე, კაპიტანმა ნემომ გადაწყვიტა, ყინულის დანარჩენი ფენა ჩაეწერია. კაპიტანს არ დაჰკარგვია არც სიდინჯე, არც ენერგია.

ფიზიკურ ტკივილებსაც ზნეობრივი სიძლიერით იმორჩილებდა. მუდამ ფიქრობდა, აზროვნებდა, მოქმედებდა.

მისი ბრძანებით გემიდან ბარგის ნაწილი გადმოტვირთეს და კუთრი წონის შეცვლის გამო, "ნაუტილუსმა" ყინულოვანი ფენიდან ზევით ამოიწია, წინ გასწია და სწორედ იმ უზარმაზარ ხვრელში შეცურდა, რომელიც ჩვენ ამოვჭერით. მისი აუზები კვლავ წყლით გაავსეს და "ნაუტილუსი" სიღრმისკენ ჩასრიალდა. მთელი ეკიპაჟი გემში შეიკრიბა, შიგნითა ორმაგი კარი დაიკეტა. ახლა "ნაუტილუსი" მთელი თავისი სიმძიმით აწვებოდა ათას ადგილას ჩაბურღულ ერთი მეტრის სისქის ყინულის ფენას.

მაშინ აუზების ყველა ონკანი გააღეს, ასი კუბური მეტრი წყალი თქრიალით ავსებდა მათ და "ნაუტილუსის" სიმძიმეს ასი ათასი კილოგრამით ამძიმებდა.

სულგანაბულები ველოდოთ, იმედით თრთოდა გული.

თუმცა თავი მიბრუოდა, მაგრამ ვიგრძენი "ნაუტილუსის" შერხევა... ყინულეთი გზას გვითმობდა, ყინულის ფენას ჭახჭახი გაჰქონდა, თითქოს ქაღალდს ხევენო. ჭახანი გაისმა და "ნაუტილუსი" სიღრმისკენ ჩაქანდა.

- ჩავცილდით! - ყურში ჩამჩურჩულა კონსეიმ.

პასუხის თავი აღარ მქონდა, ხელი ხელში ვტაცე და უნებურად აღელვებით ჩავბლუჯე.

"ნაუტილუსი" თავისი სიმძიმით ისე ჩაექანა უფსკრულისაკენ, როგორც ზარბაზანის ყუმბარა და თითქოს ცარიელ სივრცეში გაჩერდა.

მაშინ მთელი ელექტრონის ძალა წყლის გამოქაჩვისკენ მიმართეს. რამდენიმე წუთის შემდეგ გემის შექანება შეაკავეს. მანომეტრი აღნიშნადა, რომ გემი ზევით მიიწვედა. ხრახნი გაშმაგებით ბრუნადა. სწრაფი სვლისაგან მთელი გემი თრთოდა და ჩრდილოეთისაკენ მიექანებოდა.

ნეტავ, კიდევ დიდხანს იცურებს ამ ყინულეთის ქვეშ? ნეტავ, მალე მივაღწევთ გაშლილ ზღვას? კიდევ ერთი დღე? მანამდე ხომ გავთავდები!

ბიბლიოთეკის დივანზე ვიყავი გადასვენებული, სული მეხუთებოდა. სახე გამიფითრდა, ტუჩები გამილურჯდა, ღონე გამომეცალა. ვეღარც ვხედავდი და აღარც მესმოდა რაიმე. ჩემს მხსიერებაში დროის ცნება გაქრა, ჩემი კუნთები აღარ იკუმშებოდა.

არ დამითვლია ასე გატარებული საათები, მაგრამ ვგრძნობდი კი, რომ ნელ-ნელა კვდებოდი...

უცებ გონს მოვეგე. ჩემს ფილტვებს სუფთა ჰაერი მოხვდა. ნუთუ ტალღების ზედაპირზე ვართ? ნუთუ მთლიანი ყინულეთი გავიარეთ?

არა! ეს თურმე ნედი და კონსეი, ჩემი უერთგულესი მეგობრები, ცდილობდნენ როგორმე გადავერჩინე.

რუკეილორის აპარატის ძირზე ცოტაოდენი ჰაერი დარჩენილიყო და იმის მაგივრად, რომ თვითონ ესუნთქათ, მე მიზოგავდნენ და სიცოცხლეს დროდადრო მაწვეთებდნენ. მინდოდა ხელი მეკრა აპარატისათვის, მაგრამ ხელები დამიჭირეს და რამდენიმე წუთის განმავლობაში ნეტარებით ვსუნთქავდი.

საათს შევხედე, დილის 11 საათი იყო. უკვე 28 მარტი იყო. "ნაუტილუსი" თავგამოდებით მიქროდა, საათში ორმოცი მიღის სიჩქარით.

სად არის კაპიტანი ნემო? ხომ არ დაიღუპა? მასთან ერტად მისი ამხანაგებიც ხომ არ დაიხოცნენ?

ამ დროს მანომეტრი გვიჩვენებდა, რომ ზღვის ზედაპირზე ოცი ფუტი იყო დარჩენილი, მხოლოდ ყინულის ველი გვაშორებდა მისგან. ნუთუ არ შეიძლებოდა ამ ყინულის ველის გარღვევა?

მართლაც ვგრძნობდი, რომ "ნაუტილუსი" უკან იყო დახრილი, სარქენი აემაღლებინა. შემდეგ მძლავრად გაექანა და მთელი ძალ-ღონით ეძგერა ყინულის თაღს, ნელ-ნელა ხვრეტდა მას, უკან-უკან იხევდა და დიდი სიჩქარით ეძგერებოდა სარქენს. ბოლოს სრული გაქანებით დაეძერა, თაღი შეინგრა და ყინულეთის ზედაპირზე ამოსხლტა.

არ ვიცი, კარი ახადეს თუ აგლიჯეს, მაგრამ სუფთა ჰაერის ნაკადი მოეფინა "ნაუტილუსის" ყოველ კუთხეს.

როგორ მოვხვდი ბაქანზე, არ მახსოვს, ალბათ კანადელმა თუ ამიტაცა ზევით. მაგრამ კი არ ვსუნთქავდი, ვყლაპავდი ზღვის მაცოცხლებელ ჰაერს. ჩემს გვერდით ჩემი ამხანაგებიც ეწაფებოდნენ ამ გამახალისებელ ნაკადს. დიდი ხნის დამშეული ადამიანი ერთბაშად არ უნდა მიეძალოს საჭმელსო. ჩვენ კი პირიქით, თავის შეკავება არ გვჭირდებოდა და მთელი მკერდით შეგვეძლო გვეყლაპა საღი ნაკადი ზღვის ჰაერისა, რომელსაც სიო მოაქროლებდა.

- ოჰ, რა კარგია! - წარმოთქვა კონსეიმ, - ყველას გასწვდება, ყველას ეყოფა.

ნედ ლენდი არ ლაპარაკობდა. მას ისე დაეღო ხახა, რომ ნათელთევზებსაც კი დააფრთხობდა. მერე, რა ღონივრად სუნთქავდა! ისე იტაცებდა ჰაერს, როგორც წითლად გავარვარებული ბუხარი.

მალე მოვსულიერდი. მივიხედ-მოვიხედე. ბაქანზე მხოლოდ ჩვენ ვიყავით, არც კაპიტანი ჩანდა. "ნაუტილუსი" ახირებული ადამიანები გემის შიგნით შესული ჰაერითაც კმაყოფილდებოდნენ. არც ერთი არ ამოსულა სუფთა ჰაერის დასატკბობად. პირველი ჩემი სიტყვა, ამხანაგებისადმი სამადლობელი იყო. ნედ ლენდმა და კონსეიმ შემინარჩუნეს სიცოცხლე უკანასკნელი საათების განმავლობაში. ჩემი გულითადი მადლობა მეტად მცირე იყო ასეთი თავდადებისათვის, მაგრამ სხვა არაფერი გამაჩნდა.

- კარგი, პროფესორო, - მითხრა ნედ ლენდმა, - ეგ რა სალაპარაკოა? უბრალო მათემატიკური ანგარიში იყო: თქვენი სიცოცხლე ჩვენს სიცოცხლეზე ძვირფასია. მაშასადამე, უნდა გაგფრთხილებოდით.

- ჩემო მეგობრებო, - ვუპასუხე მეტისმეტი მღელვარებით, - ბედმა სამუდამოდ დაგვაკავშირა ერთმანეთს და თქვენ უფლება გაქვთ, ისარგებლოთ ჩემი სიცოცხლით...

- სწორედ მაგ უფლებით ვისარგბლებ, - მიპასუხა კანადელმა.

- ეგ რას ნიშნავს? - ჰკითხა კონსეიმ.

- დიახ, მე ვისარგებლებ იმ უფლებით, რომ ჩვენთან ერთად გაგიტაცებთ და დაგატოვებინებთ ამ ჯოჯოხეთურ "ნაუტილუსს"! - თქვა კანადელმა.

- ეგ სწორია, - მიუგო კონსეიმ, - მაგრამ იმ მხრისკენ კი მივდივართ, საითაც საჭიროა?

- დიახ, - ვუპასუხე, - ჩვენ მივდივართ მზისკენ. მზე კი აქედან ჩრდილოეთის მხარეზეა.

- ეჭვს გარეშეა! - თქვა ნედ ლენდმა, - ისღა დაგვრჩენია, შევიტყოთ, თუ სად ვიმყოფებით ახლა: წყნარ ოკანეში თუ ატლანტის, ე.ი. დასახლებული სანაპიროებისკენ მივცურავთ თუ უკაცრიელ ზღვებზე?

ამ საკითხის გადაწყვეტა არ შემეძლო. თუმცა მეფიქრებოდა კი, რომ კაპიტანი ნემო უფრო გაშლილ ოკანეში გაგვიყვანდა აზისა და ამერიკის სანაპიროებისაკენ. ალბათ, იქ მოათავებდა თავს მოგზაურობას დედამიწის გარშემო და მერე დაუბრუნდებოდა იმ ზღვებს, სადაც "ნაუტილუსს" მყუდროდ და უხიფათოდ შეეძლო ყოფნა. მაგრამ როგორ განვახორციელებდით ნედ ლენდის განზრახვას, თუ

ჩვენ ახალა ვუბრუნდებოდით წყნარ ოკეანეს, რომელიც დასახლებულ ქვეყნებს დაშორებული იყო?!

რამდენიმე ხნის შემდეგ შეიძლებოდა ამ საკითხის გადაწყვეტა. "ნაუტილუსი" კი სწრაფად მიცურავდა. მალე გავცვილდით პოლარულ წრეს და და ჰორნის კონცხისკენ გავემართეთ.

31 მარტს, საღამოს შვიდ საათზე, ასმხრეთ ამერიკის მიდამოებს გავუსწორდით.

ყველა განვლილი ტანჯვა და მწუხარება დავიწყებას მიეცა. ყინულეთში მომწყვდევის მოგონებები თანდათან ქრებოდა ხსოვნაში. ახლა მომავალზე ვფიქრობდით. კაპიტანი ნემო არ გამოჩენილა აღარც დარბაზში, არც ბაქანზე. მესაჭის თანაშემწე ყოველდღე რუკაზე აღნიშნავდა, სად იმყოფებოდა გემი და მეც შემეძლო, ზედმიწევნით მცოდნოდა "ნაუტილუსის" გეზი.

იმ საღამოს, ჩემდა სასიამოვნოდ, შევიტყვე, რომ ჩვენ ატლანტის ოკეანის ჩრდილოეთისკენ მივცურავდით. ეს ამბავი კანადელსა და კონსეის გავუზიარე.

- ჩინებული ამბავი! - თქვა კანადელმა, - მაგრამ მაინც საით მიდის "ნაუტილუსი"?

- არ ვიცი, ნედ.

- იქნებ კაპიტანს სამხრეთ პოლუსის მერე ჩრდილოეთ პოლუსზე წასვლა მოეგუნებოს? წყნარი ოკეანით დაბრუნება შესანიშნავი ჩრდილო დასავლეთის ხვრელით?

- ვინ არის თავდები, რომ კაპიტანს ეგ არ მოესურვოს? - თქვა კონსეიმ.

- რა გაეწყობა, - უთხრა კანადელმა, - ჩვენ მანამდე გამოვეთხოვებით მას.

- ყოველ შემთხვევაში ჩაურთო კონსეიმ, - კაპიტანი ნემო ყოჩალი ადამიანია და არასოდეს ვინანებთ, რომ გავიცანით.

- განსაკუთრებით მაშინ, როდესაც შორს ვიქნებით მისგან! - დაუმატა ნედ ლენდმა.

თავი XVII

ამერიკის ნაპირები

მეორე დღეს, 1-ელ აპრილს, შუადღე მოტანებული იყო, როდესაც "ნაუტილუსი" ზედაპირზე ამოცურდა. დასავლეთის მხარეს, ხმელეთი მოჩანდა. ეს იყო ცეცხლოვანი ქევყანა. ეს ასხელი მეზღვაურებმა უწოდეს მას, როდესაც პირველად დაინახეს ამ ქვეყნის ნაპირებზე ადგილობრივ მცხოვრებთა მიერ გაჩაღებული კოცონები. "ნაუტილუსმა" ჩაყვინთა და ისე მიუახლოვდა მის ნაპირებს. გავცემოდი წყალქვეშა გრძელ ლიანებს, უზრმაზარ ფუკუსებს, რომლებიც ასორმოცდაათი საჟენის სიმაღლეზე უნდა აზიდულიყო. ეს წყლის მცნარე ისეთი მაგარია, რომ საბუქსირე გემის ჯამბარად გამოდგება. შევამჩნიე აგრეთვე სელის მცენარე, რომლის ფოთლებიც საჟენის სჭარბობდა. მთაში ბინადრობს უთვალავი კიბოსმაგვარი ცხოველი, ჰოლიპები, უფხო და უძვლო თონთლო ცხოველები, მათ შორის კარაკატიცები, რომლებიც განსაცდელის დროს შავ ლორწოს უშვებენ. სწორედ ამ ლორწოს ვხმარობდი "ნაუტილუსზე" მელნად. ამ მიდამოებში უხვად მოიპოვება სელაპების და ზღვის წავების საზრდო. ისინი თევზებთან ერთად ზღვის მწვანილეულითაც იგემრიელებენ პირს.

"ნაუტილუსმა" სწრაფად გაიარა ეს ნაყოფიერი წყალქვეშა ველუბი და სამხრეთ ამერიკის აღმოსავლეთ ნაპირს შეჰვევა.

3 აპრილს მდინარე ლაპლატას შესართავს გავცილდით. 7 აპრილს კი ტროპიკულ სარტყელში შევცურეთ. ცხადი იყო, რომ კაპიტან ნემოს ბრაზილიის დასახლებული სანაპიროები არ უყვარდა, რადგანაც რამდენიმე დღის განმავლობში დიდი სიჩქარით მიცურავდა მათ გასწრივ, მეტწილად წყალქვეშ.

11 აპრილს ზედაპირზე ამოვცურეთ, მდინარე ამაზონის შესართავის გასწვრივ. ეს მდინარე ისეთი წყალუხვია და ისეთი სისწრაფით ერთვის ოკეანეს, რომ ასეული ვერსის მანძილზე ზღვის წყალს სიმღაშეს უკარგავს.

უკვე გავცილდით ეკვატორს და საფრანგეთის გვინიას გვერდით გავიარეთ. აქ რომ გაქცევა მოგვეხერხებინა, თავშესაფარსაც ვიპოვიდით, მაგრამ თავად ნედ ლენდმა ვერ გაბედა ასეთი ნაბიჯის გადადგმა, რადგანაც ძლიერი და სუსხიანი ქარი ქროდა და ნავით ნაპირს ვერ მივადგებოდით. მე გაკვრითაც არ მიხსენებია გაპარვის შესაძლებლობა.

სამაგიეროდ, გულდასმით ვმუშაობდი და დაკვირვებას ვაწარმოედი. 11 და 12 აპრილს ჩვენს ბადეებს ზღვის მრავალფეროვანი ცხოველი ამოჰყვა: აქ იყო მედუზები, პოლიპები, თევზები. მოხვედრილიყო სკაროსიც, ძალზე ბრტყელი და მრგვალი, რომელიც ერთი ფუთი მაინც გამოვიდოდა. ქვემოდან თეთრი იყო, ზემოდან მოწითალო, ზურგზე დიდრონი მუქი ლურჯი ზოლები ჩასდევდა, შავზოლშემოვლებული. გემის ბაქანზე ამოვათრიეთ, მაგრამ ისეთი გაშმაგებით სხლტოდა და იბრძოდა, რომ კინაღამ ზღვაში გავისხლტა. კონსეის არ უნდოდა ასეთი იშვიათი ნადავლი ხელიდან წაგვსლოდა და მარჯვედ სტაცა ხელი. მაგრამ სანამ მივეშველებოდით, სკაროსმა ყირამალა შეატრიალა ჰერში და კონსეი ბაქანზე ზღართანით დაეცა.

- პროფესორო მიშველეთ! - დაიძახა მან.

ეს პირველი შემთხვევა იყო მის ცხოვრებაში, როდესაც შველას მთხოვდა.

მე და ნედმა წამოვაყენეთ და დავზილეთ. მალე მომჯობინდა და მაშინვე შეუდგა ამ თევზის მეცნიერულ გამოკვლევას:

- ხერხემლიანთ მოდგმის, ხერხემალწალდა, უმოძრაო ლაყუჩებით, სკაროსის ჯიშის, ელექტრონიან სკაროსი, - მტკიცედ დააბოლოვა მან.

- დიახ, მეგობარო, ელექტრონიანი! საქმეც ეგ არის!

ეს იყო ყველაზე საშიში ელექტრონიანი სკაროსი, სახელწოდებით "ყუმანა". მის სხეულში ისეთი მძლავრი ელექტრონული ორგანოა, რომ ამ თევზს რამდენიმე საჟენის მანძილზე შეუძლია სხვა თევზების მოკვლა.

მეორე დღეს მეტად იშვიათი და საგულისხმო ცხოველები ვნახეთ, მათ შორის, ზღვის ფური, ეს არის უწყინარი და მეტად უმწეო ცხოველი, სიგრძით სამი საჟენი, მისი წონა კი ორას ფუთამდე აღწევს. ზღვის ფურები მშვიდად ძოვენ ბალახს წყალქვეშა ველებზე და ბალახს ანადგურებენ. ეს ცხოველები რომ არ ანადგურებდნენ ამ ბალახებს, ისე გაიხლართებოდნენ, რომ ტროპიკული მდინარეების შესართავს ჩახერგავდნენ. ზღვის ფურის ხორცი ძალიან გემრიელია და ადამიანებიც უმოწყალოდ ჟლეტე ამ უწყინარ და სასარგებლო ცხოველებს, რის გამოც იშვიათად გხხვდებიან. კაპიტანმა ნემომ გადაწყვიტა მისი ხორცით გაემდიდრებინა "ნაუტილუსი" მარაგი.

იმავე დღეს, სხვა თევზებთან ერთად ბადემ რამდენიმე კოტოშა ამოათრია. ამ თევზებს თავზე მომრგვალო სიფრიფანა ხორცი აქვთ. მისი ბრტყელი ზედაპირი შედგება კაკატელა ზოლებისაგან, რომელსაც ეს თევზი თავისუფლად ამოძრავებს,

მოკუმშავდ და გაშლის. ამ ზოლებს შუა უპაერო სივრცეა, რის წყალობითაც მას შეუძლია კოტოშივით მაგრად მოეკიდოს რომელიმე საგანს.

კოტოშა თევზის ამ თვისებით ისარგებლეს "ნაუტილუსის" მეზღვაურებმა, როდესაც შორიახლოს წყალზე მოტივტივე ზღვის კუ შეამჩნიეს. ეს ცხოველი ძალზე ფრთხილია და მისი დაჭერა მეტად ძნელია. მეზღვაურებმა კოტაში თევზების თოვები მოაბეს და ზღვის კუსკენ გადაისროლეს. კოტოშა თევზები კუს მოეკიდნენ, რის შემდეგაც მეზღვაურებმა ისინი ბაქანზე ამოათრიეს.

"ნაუტილუსი" რამდენიმე დღის განმავლობაში ისე მიცურავდა, რომ ამერიკის ნაპირებს ახლოც არ გაჰკარებია. ალბათ კაპიტანს არ უნდოდა, მექსიკის ყურეში და ატლანტის ზღვებში ღრმად შესულიყო. 16 აპრილს ჩვენ 30 მიღლის მოშორებით ჩავუქროლეთ მარტინიკას და გვადალუპას. "ნაუტილუსი" თავბრუდამხვევი სიჩქარით მიქროდა.

თავი XVIII

რვაფეხა

20 აპრილს ლუკაის კუნძულებს შორის მივცურავდით. ეს კუნძულები ზღვის ზედაპირზე ისეა მოფენილი, თითქოს ქვიშა დაუყრიათო.

წყალქვეშიდან ფრიალო კლდის წვერები ჩანდა, რომლებიც ბალახით, უზარმაზარი ფუკუსებითდა ზღვის სხვა მცენარეულობით იყო შემოსილი. აქა-იქ ჩაბნელებული გამოქვაბული და ეხები მოჩანდა, რომლის ძირამდე "ნაუტილუსის" შუქი ვერ აღწევდა. გემი ნელი სვლით მიდიოდა.

უცებ ნედმა ყურადრება მიაქცია ზღვის მცენარეულობაში რაღაც არაჩვეულებრივ მოძრაობას.

- ალბათ, რვაფეხაა, სპრუტი! შეიძლება ამ მიდამოებში იყოს, სწორედ ასეთ მღვიმეებში უყვართ ბუდობა.

- ჩვეულებრივი სპრუტი ანუ რვაფეხა, რომელსაც ფეხები თავზე აქვთ გამობმული? - გაუკვირდა კონსეის, - რა სანახავია!

- არა, კონსეი, ჩვეულებრივი კი არა, უზარმაზარი რამ არის - ვუპასუხე, - მაგრამ მე ვერავითარ მოძრაობას ვერ ვამჩნევ. ალბათ, ნედს მოეჩვენა.

- გული მწყდბა, - თქვა კონსეი, - ძალიან მინდოდა მენახა ისეთი რვაფეხა, გემებს ფსკერისაკენ რომ ექაჩება ხოლმე!

- ისეთ გემებსაც კი, როგორიც "აბრაამ ლინკოლნია", თათებს სტაცებს და ფსკერზე დაანარცხებ! - დაცინვით წარმოთქვა ნედმა.

- ნედ ლენდს ვთხოვ, ნუ დამცინის, ჩემი თვალით მინახავს, - უპასუხა კონსეიმ.

- რა გინახავს?.. რვაფეხა გემებით რომ საუზმობს? - შეეკითხა კანადელი.

- მაგის მსგავსი!

- რას მიბრმანებთ! ეგ სად მოხდა?

- სან-მალოში.

- ნავსადგურსი?

- არა, მუზეუმში, - დინჯად უპასუხა კონსეიმ.

- როგორ თუ მუზეუმში?

- როგორ და ისე! სურათზე იყო დახატული, რომ უზარმაზარი რვაფეხა გემს მიათრევდა.

ნედმა გადაიხარხარა.

- მეც გამიგონია ეგ ამბავი, კონსეი, - ვუთხარი მე, - იმ სურათის შინაარსი ერთი ლეგენდიდან არის აღებული. ასეთი რამდენიმე ლეგენდა ვიცი, მაგრამ სამეცნიერო საკითხებში არ შეიძლება ლეგენდებს დავეყრდნოთ.

- ნეტავ, რა ლეგენდებია, პროფესორო? - დაინტერესდა ნედი.

- უძველესი მწერლები გადმოგვცემენ, რომ ერთი რვაფეხა თურმე ჰიბრალტარის სრუტეში გაჭედილა, რადგან ვერ გაეტია.

- აი, რვაფეხა ეგ ყოფილა! - წამოიძახა ნედმა.

- რა თქმა უნდა, ლეგენდებს ყველაფერი არ დაეჯერება, - ვუთხრი მე, - მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ არსებობს უზარმაზარი ცხოველი, რომელსაც ეწოდება სპრუტი ანუ რვაფეხა. მუზეუმებში ინახება ასეთი ცხოველის ჩონჩხი, სიგრძით ერთი საჟენი იქნება. ასეთი ცხოველის თათები კი მასზე უფრო გრძელი უნდა იყოს. აბა, წარმოიდგინეთ რა საშინელი რამ იქნება. ესეც არ იყოს, 1861 წელს კაპიტანმა ბუგერმა თავისი გემის ბაქნიდან უზარმაზარი რვაფეხა შეამჩნია და მისი დაჭერა სცადა. ამ ცხოველის მოქნილ ტანს ტყავი და ბარჯი არ მიეკარა. შემდეგ ქამანდა ესროლეს და კისერზე მოსდეს., მაგრამ დასხლტა და კუდთან გაეჭირა. სიმძიმის გამო ვერ აათრიეს, კუდში გადაწყდა და თავს უშველა. მაშინ უწოდეს ამ ცხოველს ბუგერის რვაფეხა.

- ერთი შეხედეთ! - წამოიძახა კონსეიმ და ფანჯრისაკენ მიგვითითა - ეს ხომ არ არის, ახლა რომ გვიამბობდით! თუ ის არა, მისი ბიძასვილი მაინც იქნება.

- რა საშინელი ქმნილებაა! - შესძახა კანადელმა და ფანჯარას ეცა.

მისი სხეული სიგრძით ოთხი საჟენი იქნებოდა. მომწვანო, გადმოკარკლული, უშველებელი თვალებით მოგვჩერებოდა, თან გრეხითა და კრუნჩხვით ასავსავებდა თავის რვავე ფეხს, ან უკეთესი იქნბა, თუ ვიტყვით - ხელებს, ე.ი. იმ უზარმაზარ თითებს, რომლებიც თავზე ჰქონდა გამობმული. მისი თათები ზედიზედ მიყრილი დიდრონი კოტოშებით იყო მოფენილი. ამ თითებს შუა თუთიყუშის ნისკარტის მოყვანილობის პირი მოუჩანდა, დაღრენილ პირში ბასრ კბილებს აჩენდა.

თითისტარის მოყვანილობის ტანი ალბათ ათას ხუთასი ფუტი მაინც გამოვიდოდა.

რვაფეხას ფერი არაჩვეულებრივად ცვალებადია. გაბრაზების დროს, ის მოთეთრო-ნაცრისფერი ერთბაშად მოწითალო-აგურისფერი ხდება. ამჟამად ის სწორედ ასეთი ფერის იყო.

ალბათ იმან გააბრაზა, "ნაუტილუსს" რომ ვერაფერი დააკლო.

- იქნებ, სწორედ ეს არის ბუგერის სპრუტი? - იკითხა კონსეიმ.

- არა, - უპასუხა ნედმა, - მას ხომ კუდი მოსწყვიტეს. ამას კი აქვს.

- ეგ არაფერია, ნედ, - განვუმარტე კანადელს, - სპრუტს, ანუ როგორც მას უწოდებენ - რვაფეხას, ის თვისება აქვს, რომ მოკვეთილი ნაწილი კვლავ ეზრდება. შვიდი წლის განმავლობაში ბუგერის რვაფეხასაც გაეზრდება კუდი.

- ერთი შეხედვით! აქ ბევრნი რიან! - შესძახა კონეიმ.

- რაღაცას წავაწყდით! - წამოვიძახე მე, - მაგრამ არა, ისევ მივცურავთ!

დარბაზში კაპიტანი შემოვიდა. რა ხანია, აღარ გვენახა. ძალიან დაღვრემილი ჩანდა. ფანჯარას მიუახლოვდა და თავის მხლებელ თანაშემწეს გამოელაპარა. დარბაზი განათდა.

- სინტერესო კოლექციაა არა, კაპიტანო? - შევნიშნე მე.

- დიახ, მაგრამ მომიწევს ხელჩართული ბრძოლა გავუმართო.

- რატომ?

- იმიტომ, რომ თოფებით ვერას დავაკლებთ.

- განა აუცილებელია შებრძოლება?

- როგორც ეტყობა, "ნაუტილუსის" ხრახნს შემოხვევია ერთ-ერთი და მოძრაობა შეაჩერა.

- მაშ, რა ვქნათ?
- აკი მოგახსენეთ. უნდა გავჭილიტოთ ეს საზიზღარი ცოველები!
- ეგ ხომ ძალიან ძნელი იქნება.
- მეტისმეტად ძნელია, პროფესორო, ცულებიტ უნდა შევიარალდეთ და ბაქანზე ავიდეთ.
- თუ ნებას მომცემთ, ბარჯით გეახლებით! - ჩაურთო ნედმა.
- როგორც გნებავთ, ნედ ლენდ!
- ჩვენ მზად ვართ! - ვუთხარი მე.
- მივდივართ!

ყველანი შუა კიბისკენ გავეშურეთ. ხელჩართული ბრძოლისათვის ეკიპაჟის თორმეტიოდე კაცი ცულებით იყო შეიარაღებული. კონსეიმ და მე ცულები ავიღეთ. ნედ ლენდმა ბარჯს სტაცა ხელი.

"ნაუტილუსი" ზედაპირზე ამოცურდა. კიბის ზემოთა საფეხურზე მდგომა მეზღვაურებმა ბაქნის კარი ასწიეს. რაწამს ქანჩი მოეშვა, კარი ერთბაშად ბოლომდე გაიღო, როგორც ჩანს, რვაფეხას ღონიერი თათებით.

ერთი მოგრძო თათი ღია კარსი გველივით ჩამოსრიალდა. მას მოჰყვა მეორე, მეათე, მეოცე... კაპიტან ნემომ ცული დაჰკრა და პირველი ჩამოსრიალებული თათი მოჰკვეთა. მოჭრილი თათი კიბეზე ჩამოგორდა.

ჩვენ ბაქანზე ავდიოდით ჯგუფად, როცა რვაფეხას ორი უზარმაზარი თათი ჰერში გაიკლავნა. მერე ერთი მეზღვაურს დასწვდა, გარს შემოეხვია და მძლავრად აიტცა ჰერში.

კაპიტანმა შეჰყვირა და საშველად გაექანა. საზარელი სანახაობა იყო. მძლავრ თათებში ჩაბლუჯულ საწყალ მეზღვაურს რვაფეხას კოტოშიანი თათი სხულში ჩაჭდობოდა და ძალუმად იქნევდა. საცოდავი ხრიალებდა, ბლაოდა: "მიშველეთ! მიშველეთ!" ეს იყო ფრანგულად ნათქვამი სიტყვები. გაოცებული დავრჩი. თურმე "ნაუტილუსიზე" ჩემი თანამემამულეც ყოფილა. იქნებ რამდენიმე სხვაც იყოს?!

ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება მისი ყვირილი.

კაპიტანი ნემო რვაფეხას ეცა და ერთი დარტყმით მეორე თათიც წააგდებინა. მისი თანაშემწე სხვ რვაფეხას ებრძოდა გამწარებული. მთელი ეკიპაჟი ცულებს ატრიალებდა. მე და კონსეიც ცულებით ვჩეხავდით ცხოველის აბურთულ სხეულს. გამაბრუებელი მუშვის სუნით გაიჟინთა ჰერი.

საშინელება იყო!

ერთი წუთით იმედი მომეცა, მეზღვაური დაუსხლტებოდა საშინელი ცხოველის კოტოშებს, რადგანაც რვაფეხას შვიდი თათი უკვე მოკვეთილი ჰქონდა, ერთი თათი კი ჰერში იკლაკნებოდა, თავის მსხვერპლს გარშემოხვეული. კაპიტანი ნემო და მისი თანაშემწე ცხოველს მისცვივდნენ, მაგრამ უკვე რვაფეხამ მოშავო ფერის სითხე ამოუშვა მუცლიდან, რამაც ყველას თვალები აგვიწვა. სითხე რომ გაიფანტა, რვაფეხა აღარსად ჩანდა. მას თან გაეტაცებინა ჩემი უბედური თანამემამულე.

გააფთრებით დავერიეთ ამ საზარელ ცხოველებს. ჩვენი თავი აღარ გვახსოვდა.

ათი თუ თორმეტი რვაფეხა "ნაუტილუსის" ბაქანზე ამოსულიყო. აურზაურით ვირეოდით მათი მოკვეთილი კლაკნია თათებს შუა, სისხლისა და შავიმელნის მორევში. ჩემი გამბედავი მეგობარი უცებ ერთმა რვაფეხამ პირქვე დასცა, უშველებელი პირი დააღო და ის იყო, ორად უნდა გაეფატრა, რომ კაპიტანი ნემო

გამოექანა, მე დამასწრო და ცული შიგ ღია ყბებში ჩაჰკრა. გადარჩენილი ნედი წამოიჭრა და რვაფეხას ბარჯით გაუგმირა გული.

- თქვენგან დავალებული ვიყავი! - უთხრა კაპიტანმა ნედ ლენდს.

ნედმა უსიტყვოდ დახარა თავი.

ბრძოლა კიდევ თხუთმეტი წუთი გრძელდებოდა. დამარცხებულმა, დასახიჩრებულმა და სასიკვდილოდ დაჭრილმა მხეცებმა ზღვის ტალღებს მიაშურეს.

მთლად სისხლში მოსვრილი კაპიტანი ნემო უძრავად იდგა შუქურასთან და მჭმუნვარედ მისჩერებოდა ზღვას, რომელმაც კიდევ ერთი მისი ამხანაგი შთანთქა.

თავი XIX

გოლფსტრემი

საზარელი სურათი, რომელიც 20 აპირლს ვნახეთ, არც ერთ ჩვენგანს არ დაავიწყდება. მე ის ცოცხალი შთაბეჭდილება აღვწერე, რამდენჯერმეც გადავიკითხე და კონეისა და ნედსაც წავუკითხე. მათი აზრით, ფაქტები სწორად კი მქონდა გადმოცემული, მაგრამ საკმაოდ არაეფუქტურად.

უკვე მეორე ამხანაგს კარგავდა კაპიტანი ნემო მას მერე, რაც ჩვენ მის გემზე ვიმყოფებოდით. მერე, როგორი სიკვდილით! იმ საზარელი ცხოველის ყბებში დალეწილი და გაგუდული, მისი რკინის ყბებით გაფატრული მეგობარი ვეღარ ეღირსებოდ ოკეანის წყნარ წყლებში მარჯნის სასაფლაოზე დაკრძალვას!

კაპიტანი ნემო თავის ოთახში შეიკეტა და რამდენიმე დღის მანძილზე აღარ მინახავს. მისი უნებისყოფობა "წაუტილუსის" მსვლელობას ემჩნეოდა. ის ხომ ამ გემის სულისჩამდგმელი იყო. ახლა "წაუტილუსი" უგეგმოდ და უგზოდ ცურავდა, თითქოს რაიმე ლეშიაო, ისე დააქანებდა აქოჩრილი ტალღები. ბორბლის მოქმედებას აღარაფერი აფერხებდა, მაგრამ მაინ უმოქმედოდ იყო. თითქოს ვერ მოსცილებოდა უკანასკნელ ბრძოლის ასპარეზს, სადაც "წაუტილუსმა" მეზღვაური დაკარგა.

ასე გაიარა ათმა დღემ. "წაუტილუსი" მხოლოდ პირველ მაისს გაემართა ჩრდილოეთისკენ და ბაჳამის სრუტის შესასვლელთან ლუკას კუნძულებს აუარა.

ერთ უდიდეს მდინარეში შევცურდით, რომელიც შიგ შუა ზღვაში მიედინებოდა. მას საკუთარი თევზებიც ჰყავდა, საკუთარი ტემპერატურაც ჰქონდა.

ეს იყო გოლფსტრემი.

გოლფსტრემი მართლაც მდინარეაა, რომელიც თავისუფლად მიედინება ატლანტის ოკეანეში. მისი წყალი ოკეანის წყალში როდი ერევა. ეს არის მლაშე მდინარე, იმაზე უფრო მლაშე, ვიდრე გარშემო მომდგარი ზღვებია. მისი საშუალო სიღრმე სამი ათას ფუტს აღწევს, სიგანე კი - სამოც მილს. მისი სიჩქარე საათში ოთხ კილომეტრს უდრის. საერთო მოცულობა ყველა მდინარის მოცულობას აღემატება დედამიწის ზურგზე.

"წაუტილუსი" სწორედ ამ ოკეანის მდინარეში მიცურავდა. გოლფსტრემი ბაჳამის სრუტიდან მოედინება, აქ მას თორმეტი მილი სიგანე აქვს, სამას ორმოცდაათი მეტრი სიღრმე და საათში რვა კილომეტრის სისწრაფით მიექანება. ჩრდილოეთს რომ უახლოვდება, მისი დინების სისწრაფე ნელ-ნელა იკლებს და სასურველიც არ იქნება, რომ ეს თანდათანობა შეიცვალოს, რადგანაც ზოგი მეცნიერის

დაკვირვებით, მისი სისწრაფე და მიმართულება რომ შეიცვალოს, ევროპის ჰავაზე ისეთი გავლენას მოახდენს, რომლის შედეგებიც ძნელი წრმოსადგენია.

შუადღისას მე და კონსერ ბაქანზე ვიდექით. მე ვუამბე მას გოლფსტრემის ზოგიერთი თავისებურებების შესახე და წინადადება მივეცი, ხელი ჩაეყო მდინარეში.

კონსერ ასეც მოიქცა და გაოცებული დარჩა, რომ ვერც სიცივე იგრძნო და ვერც სითბო.

- ეს იმიტომ ხდება, რომ გოლფსტრემი წყლის ტემპერატურა, მექსიკის ყურეს რომ გამოსცდება, სისხლის ტემპერატურისაგან არც განირჩევა.

ის ერთგვარი სითბოს გამტარი მილია, რომლის წყალობითაც ევროპის სანაპიროები მუდამ მწვანითაა შემოსილი. მორის თქმით, ამ მდინარეების სითბო რომ გამოვიყენოთ, საკმარისი იქნებოდა ისეთი დიდი რკინის მდინარის გასადნობად, როგორიც არის ამაზონი ან მისურიო.

გოლფსტრემის სიჩქარე წამში ორ-ნახევარ მეტრს უდრიდა. მის დინება მკაფიოდ განირჩეოდა ოკეანის ზედაპირზე. გოლფსტრემის ჩაკუპრულ და მარილით გაუღენთილ წყლებს ლურჯი, კამკამაფერი დაჰკრავდა და ოკეანის მწვანე წყლებისაგან აშკარად გამოარჩევდით. მისი კალაპოტი ისე ცხადად იკვეთებოდა, კაროლინის კუნძულების მახლობლად აშკარად დავინახე, რომ "ნაუტილუსის" ცხვირი ოკეანის ტალღებში შეიჭრა, ხოლო მისი მოსასმელი ხრახნი ისევ გოლფსტრემის წყლებში ბრუნავდა.

ამ მდინარებას თან სდევდა მთელი ცოცხალი ქვეყნიერება: ხმელთაშუა ზღვის მუდმივი სტუმარი -ურიცხვი არგონავტების ქარავანი. აქ მრავლად გვხვდებოდა სკაროსები, სიგრძით ოცდახუთ ფუტამდე, რომლის წვრილი კუდი სიგრძით განს ერთიორად აღემატებოდა. ვნახეთ ერთი მეტრის სიგრძის დიდთავა, პატარა ნათელთევზებიც, რომელთაც მოკლე და მრგვალ ყბაში რამდენიმე წყებად ჩასდევდა ბასრი კბილები, კანი კი დაფარული ჰქონდათ ჯავარით.

ძვლიანი თევზებიდან გვხვდებოდა ლაშებიანი თევზი, რომელიც ამ ზღვების განუყრელი შვილია; ცეცხლივით მოელვარე სპარები, ერთი მეტრის სიგრძის, წვრილი კბილებით მოკენჭილი, განიერლაყუჩა სციენები; მტრედისფერი კარიფენი. ესენი ოკეანის ნამდვილი ცისარტყელები არიან და სილამაზიტ მეტოქეობას უწევენ ტროპიკული ქვეყნების ულამაზეს ფრინველებს...

უნდა დავუმატო, რომ ღამდამობით გოლფსტრემის ფოსფორული შუქი ექიმპებოდა ჩვენი ელექტროშუქურის სხივოსნობას, განსაკუთრებით, ჭექა-ჭუხილის დროს, რაც აქ ხშირად იცის.

8 მაისს ჰატერასის კონცხის ჩრდილო კაროლინის განივს დავადექით. გოლფსტრემის სიგანე აქ სამოცდათხუთმეტ მილს უდრიდა, სიღრმე კი ორი ათასი მეტრი იყო. "ნაუტილუსი" ალალბედზე მიცურავდა. ბაქანზე არავინ ჩნდებოდა და არც რაიმე მეთვალყურეობა არსებობდა. ასეთ პირობებში მარჯვედ შეიძლებოდა გაპარვა. სანაპიროს მოსახლეობა ყველგან სანდოა. ზღვას განუწყვეტლივ სერავდა სწრაფმავალი გემები, რომლებიც ნიუ-იორკის, ბოსტონის და მექსიკის ყურის ნავსადგურებს შორის მიმოდიოდნენ. გარდა ამისა, დღისით თუ ღამით ამერიკის სანაპიროების გასწვრივ, ზღვისპირა ქალაქებს შორის, პატარა სავაჭრო გემები დასრიალებდნენ. შეიძლებოდა იმედი გვქონოდა, რომ ისინი შეგვიფარებდნენ. თითქოს ხელშემწყობი შემთხვევა გვეძლეოდა გასაქცევდ, იმისდა მიუხედავად, რომ "ნაუტილუსი" ამჟამად ოცდაათი მილით იყო დაშორებული ამერიკის ნაპირებიდან.

მაგრამ ერთი გარემოება აბრკოლებდა კანადელის გეგმებს: საძაგელი ამინდი იდგა. ჩვენი იმ ადგილებში ვიყავით, სადაც ხშირად იცოდა ქარტეხილი, ქარი, ციკლონი, რომლებსაც გოლფსტრემი იწვევდა. ფაფარაშლილ ზღვაში მსუბუქი ნავით გავარდნა აუცილებლად დაღუპვით დასრულდებოდა, თვითონ ნედ ლენდიც დამეთანხმა ამაზე. ცდილობდა, ბოლმა გულში ჩაეკლა, მაგრამ სამშობლო ქვეყნის მოგონება ისე მძლავრად ჰქონდა გამჯდარი, ისე ღრმად ანალვლიანებდა, რომ მხოლოდ გაქცევა თუ განკურნავდა.

- პროფესორო, - მომმართა ერთხელ, - ყველაფერს დასასრული უნდა ჰქონოდეს. მინდა ჩემი აზრი გამოვთქვა. თქვენი ნემო ხმელეთს გაურბის და ჩრილოეთისკენ მიეშურება. მაგრამ მე გიცხადებთ: სამხრეთის პოლუციც მეყოფა. არავითარი სურვილი არ მაქვს, ჩრდილოებზე პოლუსზე გავყვე.

- რა ვქნათ, ნედ, თოკი ამჟამად გაქცევა შეუძლებელი ხდება?

- ისევ ჩემს ადრინდელ აზრს ვუბრუნდები. საჭიროა, კაპიტანს მოგველაპარაკოთ. როდესაც თქვენი ქვეყნის ზღვებში ვიმყოფებოდით, მისთვის არა გითქვამთ რა. ახლა კი, როცა ჩემი ქვეყნის ზღვებში ვარტ, მე მოველაპარაკები. როდესაც გავიფიქრებ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ "ნაუტილუსი" ახალ შოტლანდიას გაუსწორდება, რომ იმ ახალი ქვეყნის პირდაპირ იწყება განიერი ყურე, ამ ყურეს კი ერთვის წმინდა ლავრენტის მდინარე და ეს წმინდა მდინარე ჩემი მდინარეა, კვებეკის მდინარე, ჩემი ქალაქის მდინარე, ამას რომ გავიხსენებ, თმა ყალყზე მიდგება. იცით, რა? მირჩევნია ზღვაში გადავვარდე. აქ დარჩენა კი აღარ შემიძლია, აღარ!...

ცხადი იყო, კანადელს მოთმინების ძაფი გაუწყდა. მისი ძლიერი ბუნება ვერ შეთვისებოდა ასეთ ხანგრძლივ პატიმრობას. სახე, დღითიდღე, სულ უფრო ეღლუშებოდა. კარგად ვგრძნობდი მის ტანჯვას, რადგანაც სამშობლო ქვეყნი ნოსტალგია მეც მანალვლებდა.

შვიდი თვე იყო, რაც ხმელეთისა არავერი ვიცოდით. გარდა ამისა, კაპიტან ნემოს ჩაკეტვა, მისი გუნების შეცვლა, განსაკუთრებით, სპრუტებთან ბრძოლის შემდეგ, მისი სიჩუმე- ყოველივე ეს მაიძულებდა აზრი შემეცვალა მასზე. კონსეისავით ფლამინდიელი უნდა ყოფილიყავი, რომ იმ გარემოს შეთვისებოდი, რომელიც ვეშაპსა და ზღვის სხვა ცხოველების ხვედრი იყო. მართლაც კონსეის ფილტვების მაგივრად ლაყუჩები რომ ჰქონოდა, დარწმუნებული ვარ, რიგიანი თევზი იქნებოდა.

- თქვენ რას იტყვით? - შემეკითხა ნედ ლენდი, პასუხს რომ ვერ ეღირსა.

- მაშ, გინდათ, რომ კაპიტან ნემოს მოველაპარაკო, რას ფიქრობს ჩვენს შესახებ?

- დიახ!

- მიუხედავად იმისა, რომ მან ერთხელ უკვე გამოთქვა თავისი აზრი?

- დიახ, მიუხედავად ამისა, მინდა მისი პირიდან უკანასკნელად მოვისმინო გადაჭრილი პასუხი. თუ გნებავთ, მარტო ჩემ შესახებ ელაპარაკეთ, მხოლოდ ჩემი სახელით.

- მაგრამ მას იშვიათად ვხვდები.. გამირბის, მერიდება.

- მით უმეტეს, მასთან შესვლის საბაბი გაქვთ.

- კარგი, ნედ, ვკითხავ.

- როდის? - ჩამაცივდა კანადელი.

- როცა შევხვდები.

- პროფესორო არონაკს, გნებავთ, მე თვითონ შევალ მოსალაპარაკებლად?

- არა, მე მოველაპარაკები... ხვალ...

- დღესვე! - უინიანობდა ნედ ლენდი.
- კარგი, ნედ, დღეს იყოს, დღეს ვნახავ, - მიუუგი კანადელს. თვითონ რომ შესულიყო, კაპიტანთან, საქმეს გააფუჭებდა.

მარტო დავრჩი. საკითხი გადაწყდა და უნდა დამებოლოებინა.

ჩემს კაიუტაში შევედი, კაპიტან ნემოს ოთახიდან ფეხის ხმა ისმოდა. შემთხვევა ხელიდან არ უნდა გამეშვა და უნდა მენახა. კარზე მივაკაკუნე. კიდევ მივუკაკუნე და ღილაკს თითი დავაჭირე. კარი გაიღო. შევედი. კაპიტანი ოთახში იყო, სამუშაო მაგიდასთან თავჩარგული იჯდა და მუშაობდა. ვერ შემამჩნია, გადავწყვიტე, არ გამოვბრუნებულიყავი, სანამარ მოველაპარაკებოდი. მივუახლოვდი. შუბლი შეიკრა და უკამაყოფილო კილოთი მომმართა:

- რა გნებავთ?
- მინდა მოგელაპარაკოთ, კაპიტანო.
- მაგრამ... არ მცალია, ვმუშაობ... თუკი თქვენ განმარტოების საშუალებას გაძლევთ, მგონი, მეც მაქვს ამის უფლება.
- კაპიტანო ნემო, - დავიწყე ცივად, - მე თქვენთან გადაუდებელ საქმეზე მოსალაპარაკებლად შემოვედი.
- რომელ საქმეზე? - კითხვა შემიბრუნა დამცინავი კილოთი, - იქნებ აღმოაჩინეთ რაიმე, რაც მე გამომრჩა? იქნებ ზღვამ გაგიზიარათ რაიმე ახალი საიდუმლოებანი?

სანამ პასუხს გავცემდი, ხელნაწერზე მიმითითა და უკვე სერიოზული კილოთი განაგრძო:

- აი, პროფესორო არონაკს, ხელნაწერი, რომელიც მრავალ ენაზეა დაწერილი. აქ მოთავსებულია ჩემი საზღვაო გამოკვლევის შედეგები და ეს ჩემთან ერთად არ დაიღუპება. ჩემ მიერ ხელმოწერილი ეს ხელნაწერი და ჩემი ცხოვრების ისტორია საგანგებო ყუთში ჩაიდება, რომელსაც არც სისველე გაუვლის და არც ჩაიძირება. უკანასკნელი ჩვენგანი, რომელიც "ნაუტილუსზე" დარჩება, ამ ყუთს ზღვაში გადააგდებს და იქით გაცურდება, საითაც ტალღა დაჰკრავს.

ამ ადამიანის სახელი! მისი ავტობიოგრაფია! მისი საიდუმლოებანი! ყოველივე ეს ერთ მშვენიერ დღეს გამუდავნდება!

მაგრამ ახლა ამ ცნობის გაზიარება საბაბად უნდა გამომეყენებინა იმ საქმეზე გადასასვლელად, რისთვისაც შემოვედი.

- კაპიტანო, - მიუგე მე, - მოხარული ვარ, რომ ასე გადაგიწყვეტიათ. თქვენი დაკვირვებისა და გამოკვლევის ნაყოფი არ უნდა დაიღუპოს. მაგრამ ჩემი აზრით, ზალზე პრიმიტიულ საშუალებას მიმართავთ - ვინ ცის, საით გააქანებს თქვენს ხელნაწერს ზღვის ტალღები, ვის ხელში ჩავარდება იგი? იქნებ უმჯობესი ყოფილიყო, რომ თქვენი ეკიპაჟიდან ვინმესთვის გადა...

- არასოდეს, პროფესორო! - სწრაფად გამაწყვეტინა კაპიტანმა ნემომ სიტყვა.
- მაგრამ... მე და ჩემი ამხანაგები მზად გახლავართ დავიცვათ ეს ხელნაწერი, თუ თქვენ თავისუფლებას მოგვანიჭებთ.
- თავისუფლებას! - წამოიძახა მან და ფეხზე წამოიჭრა.
- დიახ, კაპიტანო! სწორედ ამის თაობაზე მინდოდა თქვენთან მოლაპარაკება. აგერ, შვიდი თვეა, რაც თქვენს გემზე ვიმყოფებით და დღეს გეკითხებით, ჩემი ამახანაგებისა და ჩემი სახელითაც: სამუდამოდ გვიპირებთ აქ დატოვებას?
- პროფესორო, - შემომძახა კაპიტანმა ნემომ, - მე თქვენ დღესაც იმასვე გიპასუხებთ, რაც შვიდი თვის წინ მოისმინეთ: ვინც "ნაუტილუსზე" ფეხს შემოდგამს, ვეღარ დატოვებს მას!
- მონის უღელს გვადგამთ?

- რაც გნებავთ, ის უწოდეთ!
 - მაგრამ მონას ხომ აქვს უფლება დაიბრუნოს თავისუფლება?
 - მერე ვინ გართმევთ მაგ უფლებას? - მიპასუხა კაპიტანმა ნემომ.
- კაპიტანმა თვალი თვალში გამიყარა.

- კაპიტანო, არც მე, არც ჩემი ამხანაგები აღარ მოვისურვებთ, ამ საკთხს ოდესმე დავუბრუნდეთ. ამიტომ იგი ახლავე უნდა გადაიჭრას. გიმეორებთ, რომ საქმე მარტო მე არ მეხება. თქვენსავით მეც შემიძლია განმარტოებით, უჩინრად ვიცხოვრო იმ მცირე იმედით, რომ ოდესმე, მომავალში ქვეყნიერება გაეცნობა ჩემი შრომის ნაყოფს იმ საიდუმლო ხელსაწყოს მეშვეობით, რომელიც ზღვის ტალღებს და ნიავს ჩაბარდება. ერთი სიტყვით, აღტაცებული ვარ თქვენი პიროვნებით, მზად ვარ, თქვენს მაგალითს მივბაძო. მაგრამ არის კიდევ მეორე მხარე თქვენ ცხოვრებისა, რომელიც სრული საიდუმლოებით არის მოცული. არც მე, არც ჩემი ამხანაგები არავითარ მონაწილეობას აღარ ვიღებთ ამ საქმეში. იმის შეგნება, რომ ჩვენთვის უცხოა ყოველივე ის, რაც თქვენ გეხებათ, აუტანელ მდგომარეობაში გვაყენებს და მეტისმეტდ მძიმეა პირადად ჩემთვის, განსაკუთრებით კი აუტანელია ნედ ლენდისთვის. ყოველ ადამიანს აქვს უფლება, ერთგვარი ყურადღება მოითხოვოს. გიფიქრიათ ოდესმე თუ რა გეგმები შეიძლება დაბადოს თავისუფლების სიყვარულმა, მონოის სიძულვილმა ისეთი ბუნების ადამიანში, როგორიც კანადელია?... წარმოიდგინეთ მისი ფიქრები, ზრახვები, მისი ცდა...

გავჩუმდი. კაპიტანი ნემო კვლავ წამოდგა.

- ნედ ლენდს რა გეგმებიც ნებავს, ის შეადგინოს, რა განზრახვაც უნდა, ის ჰქონდეს... რა ჩემი საქმეა?! მე ხომ არ მიძებნია ის! ჩემი სიამოვნების გამო ხომ არ მყავს გემზე! თქვენ კი, პროფესორო, შეგიძლიათ, ყველაფერს მიხვდეთ, ყვლაფერი გაიგოთ, ჩემი სიჩუმეც კი. ამის მეტს ვერას გიპასუხებთ. ეს იყოს ჩვენი პირველი და უკანასკნელი საუბარი ამ საგანზე. მეორედ საჭიროდ არ ჩავთვლი მოსმენასაც კი.

გამოვედი. იმ დღის შემდეგ, ჩვენი მდგომარეობა მეტისმეტად დამძიმდა. ამხანაგებს გადავეცი ჩვენი საუბრის შინაარსი.

- ახლა კი ვიცი, რომ მაგ კაცისაგან არაფერს უნდა ველოდეთ, - თქვა ნედმა, - "ნაუტილუსი" ლონგ-აილანდს უახლოვდება. როგორი ამინდიც არ უნდა იყოს, უნდა გავიქცეთ!

ცა უფრო და უფრო იკრავდა პირს. გრიგალის ნიშნები მოჩანდა. ღრუბელი შავბნელად იკუმშებოდა და გაავდრებას აპირებდა. ძლიერი ღელვისაგან ზღვას ღმუილი გაჰქონდა. ფრინველები არ ჩანდნენ, გარდა გრიგალის თანამგზავრი ქარიშხალასი. ბარომეტრი ქვევით და ქვევით ეშვებოდა და აღნიშნავდა, რომ ჰაერში გროვდებოდა ორთქლი, რომელიც ელექტრონით იყო გაჟღენთილი. ბუნების ბრძოლა ახლოვდებოდა.

გრიგალი დღისით ამოვრდა, 18 მაისს, სწორედ იმ დროს, როცა "ნაუტილუსი" ლონგ-აილანდის გასწვრივ მიცურავდა, რამდენიმე მილის მოშორებით ნიუ-იორკის გასასვლელებთან.

კაპიტანმა ნემომ არ ინება გარიდება და "ნაუტილუსი" ფაფარაშლილი, გააფთრებულ ზღვის ტალღებს მიანება.

ძალიან სუსხიანი, სამხრეთ-დასავლეთის ქარი ქროდა, წამში თხუთმეტი მეტრის სისწრაფით, მაგრამ სამ საათზე მისმა სისწრაფემ ოცდაოთხ მეტრს მიღწია. სწორედ ეს სისწრაფე ბადებდა გრიგალს.

კაპიტანს არც გრიგალი აშინებდა და არც ქარი. ის ბაქანზე მოთავსდა და სარტყელის მსგავსად თოკით მიება, რომ ზღვის აგორებულ ტლღებს არ გაეტაცებინა.

მეც ბაქანზე ავედი და მეც მის მსგავსად მოვიქეცი. მაოცებდა როგორც ეს ზღვა და გრიგალი, ისე ეს მიუწვდომელი ადამიანი, რომელსაც სტიქიის წინაშე ამაყად ეჭირა თავი.

აგორებული ტალღები უშველებელ ღრუბლის ნაგლეჯებს შიგ იხვევდა. არსად ჩანდა პატარა ზვირთები, რომელბიც აგორებულ ტალღებს შუა ჩნდება ხოლმე. ეს იყო ჩაკუპრული, გრძლად აქოჩრილი ტალღები, რომლებიც სიმკირივსგან სულაც არ იშლებოდა. ტალღების სიმაღლე თანდათან მატულობდა, "ნაუტილუსი" ხან გვერდზე წვებოდა, ხან ცხვირით ჩაყირავდებოდა ტალღებში და აქეთ-იქით ეხეთქებოდა.

საღამოს ხუთ საათზე კოვისპირული წვიმა წამოვიდა, მაგრამ არც ქარის ქროლა შესუსტებულა და არც ზღვის ღელვა. ერთბაშად გრიგალმა თავი აიწყვიტა და წამში ორმოცდახუთ მეტრი სისწრაფით დაქროლა. ასეთი გრიგალი სახლებს პირქვე ამხობს, კრამიტის სახურავებს გლეჯს, რვინის ჩარჩოებს ამსხვრევს, ხეებს ძირფესვიანად თხრის.

"ნაუტილუსს" კი ნირიც არ შესცვლია. ადვილად უძლებდა ამ გრიგალს და მეცნიერი ინჟინრის ნათქვამს ამართლებდა, რომელიც ამბობს: "უნდა გქონდეს მკვიდრად აგებული გემი, რომ ზღვისა არ გეფიქრებოდეს". მეორეც, "ნაუტილუსი" ხომ უმოძრაო კლდე არ იყო, რომელსაც ტალღები ასკდება და იშლება, ეს იყო ფოლადის თითისტარი, მოძრავი, მორჩილი და მოქნილი. მან არ იცოდა, რა იყო ანძა თუ იალქანი და დაუზიანებლად ებრძოდა აბობოქრებული სტიქიას.

დაღამების წინ გრიგალი უფრო გამდვინვარდა. ბარომეტრი 710 მილიმეტრზე ჩამოვიდა, როგორც 1860 წლის ციკლონის დროს.

ბინდისას სივრცეში მოზრდილი გემი გამოჩნდა. ძლივს ებრძოდა ყალყზე შემდგარ ტალღებს. გემს იალქნები ისე მიემართა, რომ გრიგალი ვერ გაიტაცებდა. ორთქლი იმდენად განევითარებინა, რომ ტალღებისთვის წინააღმდეგობა გაეწია. სამგზავრო გემი იყო, ალბათ ექსპრესი, რომელიც ნიუ-იორკსა და ლივერპულს შორის ან ნიუ-იორკსა და ჰავას შორის დაცურავდა.

მალე ეს გემიც ბინდბუნდში თვალს მიეფარა.

ღამის ათ საათზე ცას თითქოს ცეცხლი გაუჩნდა, ძლიერი ელვა იკლაკნებოდა ჰაერში. ჩემი თვალები ვერ უძლებდა ამ ელვარებას, კაპიტანი ნემო კი თვალის დაუხამხამებლად უცერდა მას. საშინელი ღმუილი და ჭექა-ჭუხილი აყრუებდა მიდამოს. ქარიშხალი ყოველი მხრივ ბრუნავდა და ტრიალებდა. ციკლონი აღმოსავლეთიდან მოჰქროდა და სამხრეთის ნახევარსფეროს გრიგალს ზედ ეხეთქებოდა.

ოჳ, ეს გოლფსტრემი!... ის ბადებდა საშინელ ციკლონს თავისი დინებისდა და ზედაპირზე ჰაერის ფენებში არსებული ტემპერატურის განსხივების გამო.

შხაპუნა წვიმას ცეცხლის წარღვნა მოჰყვა, წვიმის წვეთები ცეცხლის ნაპერწკლებად იქცა. შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, კაპიტან ნემოს სიკვდილი მონატრებია და სწყურია, მეხმა გაანადგუროსო.

გემი ხან ცხვირით ჩაყირავდებოდა ჰაერი, ხან ბოლო ნაწილით, "ნაუტილუსი" უცებ წინა ნაწილით შეყირავდა და თავისი ფოლადის სარქენი ღრუბლებს მიაბჯინა. დავინახე, რომ ამ სარქენმა უამრავი ნაპერწკალი გაყარა.

მეტი ვეღარ შევძელი. მოთენთილი ძლივს მივფოფხდი ასაწევ კარამდე, რის ვაი-ვაგლახით ავხადე და დარბაზში ჩავედი. "ნაუტილუსის" შიგნით შეუძლებელი იყო ფეხზე გაჩერება.

კაპიტანი ნემო მხოლოდ შუაღამის შემდეგ ჩამოვიდა ბაქნიდან.

მალე გავიგე, რომ აუზები წყლით ივსებოდა და "ნაუტილუსი" მძიმედ ეშვებოდა ზღვის ჯურღმულებში.

დარბაზში დარაბები გაწეული იყო. ვხედავდი, დიდრონი თევზები დამფრთხალნი როგორ გარბოდნენ. ზოგი მათგანი ჩემ თვალწინ ელვამ მოკლა. "ნაუტილუსი" კი ისევ ფსკერისკენ ეშვებოდა. ვფიქრობდი, თხუთმეტი მეტრის სიღრმეზე მყუდროება დაგვხვდებოდა, მაგრამ ზედა ფენები მეტისმეტად იყო აღელვებული და მყუდროების მისაღწევად ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე დაგვჭრიდა ჩასვლა.

როგორი სიწყნარე და მყუდროება გამეფებულიყო ამ მიყუჩებულ გარემოში! ვინ იფიქრებდა, რომ ამ დროს ოკეანის ზედაპირზე ასეთი საშინელი გრიგალი მძვინვარებდა!

თავი XX

"შურისმგებელი"

გრიგალმა აღმოსავლეთისკენ გადაგვისროლა. ნიუ-იორკის ან წმინდა ლავრენტის მდინარის მახლობლად გაპარვის იმედები გაგვიცრუვდა. სასოწარკვეთილებაში ჩავარდნილი საბრალო ნედ ლენდი განმარტოვდა და კაპიტან ნემოსავით ჩაიკეტა. მე და კონსეი კი ერთმანეთს არ ვშორდებოდით.

რამდენიმე დღე დავძრწოდით ასე. ხან ზედაპირზე ვეხეთჭებოდით, ხან ისევ სიღრმეს მივაშურებდით. გარშემო ნისლი იყო ჩამოწოლილი, რაც ზღვაზე მოგზაურობისათვის სახიფათოა. ყინულის დნობა ნისლს აჩენდა და ჰერს ანოტივებდა. რამდენი გემი დაღუპულა ამ მიდამოებში, რამდენი გამი დასჯახებია ერთიმეორეს. მიუხედავად, სადარაჯო სინათლისა, მიუხედავად გემის საყვირების ღრიალისა და ზარების რეკვისა!

ამ ზღვების ფსკერი ნაომარ ასპარეზს ჰეგვადა: ყველგან ოკეანის მიერ დამარცხებული და შემუსრული გემები ეყარა. ძველად დაღუპულები შლამს დაეფარა. ახალდაძირულები კი ჩვენი ელექტრონის შუქურის სინათლის ანარეკლს გამოსცემდნენ თავიანთი სპილენძისა და რკინის ნაწილებით. რამდენი გემი, რამდენი ბარგი და ეკიპაჟი, რამდენი მგზავრი განისვენებდა აქ. დაღუპული მგზავრების რიცხვი ხომ ერთი პატარა ქალაქის მოსახლეობას უდრიდა?! შესაზარია ციკლონის მსხვერპლთა სტატისტიკა!

აქ ჩაიძირა "სოლვეი", "ზიდა", "პარომატი", "უნგრელი", "კანადელი" "ანგლოსაქსი"; აქ დაეჯახა ერთმანეთს და დაიმსხრა "ჰუმბოლდტი" და "შეერთებული შტატები", "არტიკი" და "ლიონელი"; გაურკვეველი მიზეზით ჩაიძირა "პრეზიდენტი", "წყნარი ოკეანე", "ქალაქი გლაზგო".

ერთდერთი "ნაუტილუსი" დაცურავდა ამ მწუხარე ნანგრევებში სრულიად მთელი და უვნებელი.

15 მაისს ნიუფანუდლენდის მეჩეჩის სამხრეთ კუდს მივაღწიეთ.

ახალი ქვეყნის ახლომახლო ზღვის სიღრმე ასიოდე საუენს არ აღემატებოდა. მხოლოდ სამხრეთისკენ ექანებოდა ნიადაგი ერთბაშად ძირს და ზღვის სიღრმეზე სამი ათას მეტრს აღწევდა. გოლფსტრემი აქ ფართოდ იშლებოდა. მისი წყლები აქ იფანტებოდა, დინება სუსტდება, ტემპერატურა კლებულობს და ნამდვილ ზღვად იქცევა.

"ნაუტილუსის" მიერ დამფრთხალ თევზებში შევნიშნე, ერთი მეტრი სიგრძის მინოვები - მოშავო ზურგი და მოყვითალო მუცელი რომ ჰქონდათ; უშველებელთავა და დიდრონთვალება ღოჯა, თავი ძალლს რომ მიუგავდა.

ჩვენს ბადეს მოხვდა ღონიერი, გამბედავი და მაგარკუნთა გრძელი თევზი, თავსა და ფრთებზე ეკალდასხმული. ეს იყო ნამდვილი ზღვის მორიელი, რომელიც დიდი მტერია ვირთევზასა და თართის. სიგრძით სამიოდე მეტრს აღწედა, ტანზე მოშავო მეჭეჭები ჰქონდა, ფარფლები წითელი. "ნაუტილუსის" მეზღვაურებმა დიდ წვალებით დაიმორჩილეს ეს თევზი. ყბების ხუფი ისე აქვს მოწყობილი, რომ სასუნთქ ორგანოებს გამოშრობისგან იფარავს. ამის გამო რამდენიმე ხანს შეუძლია გაძლება უწყლოდ.

დავასახელებ კიდევ კოლბენს: ამ წვრილი თევზის ქარავანი ქარავანს მისდევდს და გემებს ედევნება ხოლმე ჩრდილოეთის ზღვებში. ვნახე კიდევ ჭაპალა თევზი, რომელიც ატლანტის ოკეანეში ბინადრობს; ვირთევზა, რომელიც უმთავრესად ახალი ქვეყნის მეჩეჩებში გვხვდბა. ეს თევზი თითქმის მთანი ადგილების თევზია, რადგან ახალი ქვეყანა, არსებითად რომ ითქვას, წყალქვეშა მთას წარმოადგენს. როდესაც "ნაუტილუსი" თევზების ამ ქარავანს მიარღვევდა, კონსეიმ წამოიძახა:

- ეს ხომ ვირთევზა! მე კი მეგონა, რომ ეს ისეთივე ბრტყელი იყო, როგორც ტაბაკა თევზი.

- არა, ჩემო კარგო, ეს არის თართულა, თართის ჯიშისა, - გაბრტყელებული მეთევზის დუქანში ხოლმე, სადაც გართხმული წევს. წყალში კი ის თითისტარის მსგავსია და თავისი მოყვანილობის წყალობით სწრაფად ცუარვს.

- არ შემიძლია არ გერწმუნოთ, პროფესორს ყველაფერი მოეხსენება, - მიპასუხა კონსეიმ, - მაგრამ ეს თევზი რამდენია აქ!

- ჩემო მეგობარო, ამაზე მეტიც იქნებოდა, ბევრი მტერი რომ არ ჰყავდეს და ადამიანი რომ არ წყვეტდეს მათ. იცი, რამდენი კვერცია მოთავსებული თითო დედალ თათრულას ქვირითში?

- რამდენი? - კითხვა გაიმეორა კონსეიმ და დასძინა: მოგახსენებთ: ბევრი-ბევრი, ათას ხუთასი იყოს, გამიგონია, რომ თათრულა მეტისმეტად მრავლდებაო.

- ათას ხუთასი კი არა, თერთმეტი მილიონი, ჩემო მეგობარო...

- თერთმეტი მილიონი? - წამოიძახა განცვიფრებულმა ფლამნდიელმა, - მაგს კი ვერ დავიჯერდ, სანამ თვითონ არ დავთვლი.

- დათვალე, კონსეი, დათვალე! - გამეცინა მე, - ეგ დიდ ღვაწლად ჩაგეთვლება, მაგრამ გირჩევნია, ჩემს სიტყვას ერწმუნო. მხედველობაში იქონიე, რომ ფრანგები, ინგლისელები, ამერიკელები, დანიელები, ნორვეგიელები და ათასი სხვა ხალხი მილიონობით იჭერენ ამ თევზს. მს დიდი რაოდენობით ნთქავენ და ეს თევზი ასეთი ნაყოფიერი რომ არ იყოს, აქამდე მისი ნასახიც აღარ იქნებოდა, მარტო ინგლისსა და ამერიკაში ხუთი ათასი თევზმჭერი გემია და სამოცდათოთხმეტი ათასი მებადური, რომელიც მხოლოდ თართულაზე ნადირობენ. თითო გემი, საშუალოდ რომ ვთქვათ ორმოცი ათასს მაინც იჭერს, რაც საერთო ანგრიშით, ოცდახუთ მილიონს შეადგენს. ნორვეგიის სანაპიროზეც ამდენივეს იჭერენ.

- კეთილი, დაგეთანხმებით და გამოანგარიშებას აღარ შევუდგები, მაგრამ...

- რა მაგრამ, კონსეი?

- მაგრამ ერთს მოგახსენებთ..

- რას?

- იმას, რომ ყველა ქვირითიდან ლიფსიტა რომ გამოიჩეკოს, ოთხი თათრულა თავზე საყრელად ეყოფოდა ინგლისს, ამერიკასა და ნორვეგიას...

ამ სიტყვებზე შემომხედა და ორივემ გადავიხარხარეთ.

ახალი ქვეყნის თავთხელი ნაპირების გასწრივ რომ მივცურავდით, თვალი მოვკარი გრძლად გაჭიმულ წვრილ ბაგირებს, რომლებზეც რამდნეიმე ასეული ანკესი იყო ასხმული. ამ თოვებით მეთვეზეთა ნავები ზღვას ქსელავენ, თითო თოვს შუაზე მეორე თოვი აქვს შებმული, რომლის ბოლოებიზეც რაიმე სიმძიმეა გამობმული; მეორზე კი, ცხენის ძუით აქა-იქ ანკესებია მიმაგრებული.

"ნაუტილუსი" ცდილობდა, ისე მარჯვედ გაევლო ამ დაქსელილ თოვებს შუა, რომ არ შეხებოდა. თუმცა ამ მიდამოებში დიდხანს არ დარჩენილა.

იმის მაგიერ, რომ გზა ჩრდილოეთისაკენ განეგრძო, "ნაუტილუსმა" უცებ პირი აღმოსავლეთისაკენ იბრუნა, თითქოს ამ ზეგანის გამოკვლევას აპირებსო; ეს ზეგანი კი რახანია, ათასჯერ გამოკვლეული და შესწავლილია.

17 მაისს ორი ათას რვაასი მეტრის სიღრმეში ზღვის ფსკერზე თანამედროვე ნაგებობა დავინახეთ. ეს იყო ცნობილი ტრანსატლანტიის კაბელი. კონსეის თავდაპირველად უშველებელი გველი ეგონა, მაგრამ მაშინვე განვუმარტე ჩემს კეთილ მეგობარს ეს გარემოება და დასამშვიდებლად ამ კაბელის ისტორია ვუმჩე.

პირველად კაბელი 1857-1858 წლებში გაიყვანეს. მაგრამ ოთხასიოდე დეპეშის გადაცემის შემდეგ ერთბაშად შეაჩერა მოქმედება. 1863 წელს ახალი კაბელი გაიყვანეს. ოთხი ათასი ოთხასი კილომეტრი სიგრძის იყო და ოთხი ათას ხუთას ტონას იწონიდა. ამ კაბელით დატვირთეს შესანიშნავი გემი "გრეტ-ისტრენი", მაგრამ ვერც ამ კაბელმა გაძლო დიდხანს.

25 მაისს, როდესაც "ნაუტილუსი" სამი ათას რვაას ოცდათექვსმეტი მეტრის სიღრმეში ჩაეშვა, სწორედ იმ ადგილას გაიარა, სადაც ეს მეორე კაბელი გაწყვეტილიყო. ეს მოხდა ექვსას ოცდათვრამეტი მილის მანძილზე ირლანდიის ნაპირებიდან. ნაშუადღევის ორ საათზე შეამჩნიეს თურმე, რომ ევროპასთან კავშირი ერთბაშად შეწყდა. გემზე მყოფმა ინჟინერებმა დაზიანებული ადგილები მოჭრეს. ღამის თერთმეტ საათზე კაბელი შეაკეთეს და წყალში ჩაუშვეს. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ისევ გაწყდა. მაშინ კი მისი ამოთრევა ოკეანიდან ვეღარ მოახერხეს.

მაგრამ ამერიკელებს გული როდი გასტეხიათ. ამ საქმის მეთაურმა, ენერგიულმა საირუს ფილდმა, რომელმაც მთელი თავისი ქონება ამ საქმეში ჩადო, ხელის მოწერა გამართა. ნავარაუდევი თანხა მაშინვე შეივსო. მაშინ კაბელი უკეთეს პირობებში გაიყვანეს. ელექტრონის გამტარი მავთულის კონები ზამბარასავით დაგრიხე და ლითონის გარსში მოათავსეს.

"გრეტ-ისტრენი" ამ ბაგირებით დაიტვირთა და 1866 წლის 13 ივლისს ზღვაში გავიდა.

ეს უდიდესი წამოწყება მაშინ წარმატებით დასრულდა.

არ მეგონა, თუ ელექტრონულ ზამბარას პირვანდელი სახითვე ვნახავდი, როგორითაც სახელოსნოდან გამოვიდა. ამ უზარმაზარ გველს, ნიჟარების ნარჩენებით დაფარული ქვის ფხვნილი ჰქონდა გადაკრული, რომელიც ლორწოვანი ცხოველებისგან იფარავდა, რომლებსაც შეეძლოთ დაეჩვრიტათ იგი. წნევაც ისეთი იყო, როგორიც საჭიროა ამერიკიდან ევროპაში ელექტრონის ნაკადის გადასაცემად.

მისი გამძლეობა და სიმტკიცე ეჭვგარეშეა. საგულდაგულოდ დაკვირვებით არის მიჩნეული, რომ გუტაფისის გარსი თანდათან მკვრივდება და უმჯობესდება ზღვის წყალში.

გარდა ამისა, მარჯვედ შერჩეულ ზღვის ზეგანზე ეს ბაგირი თავის დღეში არ ჩადის ისეთ სიღრმეზე, რომ გაწყდეს. ჩვენ ვაკვირდებოდით მას უდიდეს სიღრმემდე,

ე.ი. ოთხი ათას ოთხას ოცდაათ მეტრზე და იქ სრულიად თავისუფლდ იდო. ის ადგილიც ვნახეთ, სადაც კაბელი გაწყვეტილიყო 1863 წელს.

აქ ზღვის ფსკერი უზარმაზარ ველს ემსგავსებოდა, სადაც თავისუფლად მოთავსდებოდა მონბლანი, მისი მწვერვალი კი ზღვის ზედაპირს მაინც ვერ მისწვდებოდა. ეს ველი აღმოსავლეთის მხრიდან ფრიალო კლდეებით არის გარშემორტყმული, რომელთა სიმაღლეც ორი ათას მეტრს აღწევს. "ნაუტიოლუსი" აქ 28 მაისს მიცურდა და ჩვენ ირლანდიიდან მხოლოდ ას ორმოცდათი კილომეტრით ვიყავით დაშორებული.

ჩვენდა განსაცვიფრებლად, "ნაუტიოლუსმა" გეზი იცვალა და სამხრეთისკენ, ევროპის ზღვებისკენ წავიდა. ზურმუხტის კუნძულის მოსახვევში გაკვრით დავინახე კლერის კონცხი. ფასტენეს შუქურა შუქს ჰავენდა გლაზგოდან და ლივერუპულიდან გამავალ, ათიათასობით მოძრავ გემს. ჩემთვის ვფიქრობდი, გაბედავდა თუ არა კაპიტანი, ლამანშის სუტესი შესვლას? ნედ ლენდი სწორედ იმ დროს მოიდა ჩემთან, როდესაც ხმელეთს ვუახლოვდებოდით და აცახცახებული ხმით შემეკითხა ამის შესახებ. მესმოდა კანადელის სულისკვეთება, მაგრამ რა პასუხის გაცემა შემეძლო? კაპიტანი ნემო არ გვეჩვენებოდა და შესაბამისად, ყოველი მისი ნაბიჯი გამოუცნობი იყო ჩვენთვის.

უნდა გამოგიტყდე, რომ ფიქრებმა გული ამიმღვრია.

"ნაუტიოლუსი" კი სამხრეთისაკენ მიქროდა. 30 მაისს მან გვერდით ჩაუქროლა ინგლისის უკანასკნელ ნაპირებს. ლამანშის სუტეში შესვლა რომ გადაეწყვიტა, პირდაპირ აღმოსავლეთისაკენ უნდა წასულიყო, მაგრამ ასე არ მოიქცა. 31 მაისს, მთელი დღის განმავლობაში, "ნაუტიოლუსი" წრიულად ცურავდა. ამან მეტისმეტად დამაინტერესა. იგი თითქოს ისეთ ადგილს დაეძებდა, რომელიც ძნელი მისაგნები იყო.

მეორე დღესაც "ნაუტიოლუსი" ასეთსავე მანევრებს აკეთებდა. აშკარა იყო, რომელიღაც ნიშანდობლივ ადგილს დაეძებდა ოკეანეში.

კაპიტანი ნემო დარბაზში გამოვიდა და გუშინდელივით გაარკვია მზის სიმაღლე.

ზღვა მშვენიერი იყო, ცა მოწმენდილი. რვა მილის მანძილზე აღმოსავლეთით დიდი გემი გამოჩნდა. ზედ არავითარი დროშა არ ფრიალებდა და არ ვიცი, რომელი ქვეყნისა იყო.

სანამ მზეს მერიდიანი უნდა გადაესერა, კაპიტანმა ნემომ სექსტანტი აიღო და არაჩვეულებრივი სიზუსტით მოახდინა დაკვირვება. დაკვირვებას ხელს უწყობდა წყნარი ზღვა.

ბაქანზე ვიდექი. დაკვირვებას რომ მორჩა, კაპიტანმა მხოლოდ ეს ჩაილაპარაკა:

- აქ არის!

შემდეგ ისევ ასაწევი კარით ჩავიდა.

დარბაზში დავბრუნდი. ასაწევი კარი დაიხშო. შემომესმა წყლის შეუილი. "ნაუტიოლუსის" აუზები აივსო და გემი სიღრმისკენ შევეულ ხაზად ჩაეშვა. ბორბალი უმოქმედოდ იყო გაჩერებული.

რამდენიმე წუთის შემდეგ გემი რვაას ოცდაცამეტი მეტრის სიღრმეზე გაჩერდა და ფსკერ გაეკრა.

ფანჯარაში ვიცქირებოდი. გემის მარცხენა მხარეს არაფერი ჩანდა, უსაზღვრო და მიწყნარებული წყლის მეტი.

მარჯვნივ კი, ფსკერზე, შესამჩნევი მაღლობები მოჩანდა, რომლებიც მოთეთრო ნიუარებით დაფარულ ნანგრევებს ჰქონდა. გულდასმით რომ დავაკვირდი, თანდათან

გავარჩიე გემის მოყვნილობა, რომელსაც ანძები მომტვრეული ჰქონდა და თავდაყირა ჩაძირულიყო. ეს გემი დიდხანს იყო ალბათ ოკეანის ფსკერზე, რადგანაც გარს ზღვის კირის ნალექი ედო.

ნეტავ, რა გემია? ან "ნაუტილუსი" რისთვის ესტუმრა მის სამარეს? ნუთუ ეს გემი უბედური შემთხვევით არ ჩაძირულა?

არ ვიცოდი, რა მეფიქრა, როდესაც მოულოდგნელად შემომესმა კაპიტან ნემოს ხმა.

- წინათ ამ გემს "მარსელი" ერქვა. მასზე 1762 წელს სამოცდათოთხმეტი ზარბაზანი იყო დადგმული. საფრანგეთის რესპუბლიკამ 1794 წელს სახელი შეუცვალა. იმავე წელს 16 აპრილს ეს გემი ბრესტში ესკადრას შეუერთდა, რომელსაც ამერიკიდან მიმავალი პურით დატვირთული ტრანსპორტი უნდა გაეცილებინა. 11 და 12 ივნისს ესკადრა ინგლისის გემებს წააწყდა. დღეს 13 პრელელია, პროფესორო, ე.ი. 1-ელი ივნისი 1868 წლისა. სწორედ სამოცდათოთხმეტი წლის წინათ ამ ადგილას, $47^{\circ}24'$ განედზე და $17^{\circ}28'$ გრძედზე ამ გემმა მამაცი ბრძოლის შემდეგ სამივე ანბა დაკარგა, წყლით გაეცსო კაიუტები, დაეღუპა ერთი მესამედი თავისი ეკიპაჟისა და როდესაც ბრძოლის საშუალება აღარ ჰქონდა, ამჯობინა თავის სამას ორმოცდაექვს მეზღვაურთან ერთად ჩაძირულიყო, მაგრამ მტერს არ დაწებდა. თავის დროშა გემის ცხვირზე დაამაგრა და ტალღებში ჩაიმალა ყიუინით: "გაუმარჯოს რესპუბლიკას!"

- "შურისმგებელი" - შევყვირე მე.

- დიახ, პროფესორო, "შურისმგებელი"! მშვენიერი სახელია - ჩაილაპარაკა გულხელდაკრეფილმა კაპიტანმა.

თავი XXI

ნემოს უკანასკნელი გამარჯვება

ეს მოულოდნელი სცენა, რევოლუციური გემის ამბავი, ამ უცნაური ადამიანის უკანასკნელი სიტყვები, ასეთი უღრმესი აღტაცებით წარმოთქმული სახელწოდება "შურისმგებელი", რომლის მნიშვნელობასაც მივჭვდი - ყოველივე ამან მეტისმეტად დამაინტერესა. ნემომ ზღვისკენ გაიშვირა ხელი, აღზნებული თვალებით გასცემოდა ამ სახელოვან ნაშთს... იქნებ ვერასოდეს შევიტყო ნემოს ვინაობა, სადაურია, სად უვლია, საით მიისწრაფვის, მაგრამ მე დავრწმუნდი, რომ მის არსებაში ადამიანიუფრო და უფრო მკაფიოდ სცილდება მეცნიერს.

"ნაუტილუსი" ამ დროს ზღვის ზედაპირისაკენ მიემართებოდა, "შურისმგებელის" მოხაზულობა კი ნელ-ნელა იფარებოდა უფსკრულში, გარდიგარდმო რყევაზე მივჭვდი, რომ უკვე ზედაპირზე მივცურავდით. ამ დროს ყრუ ჭახანი შემომესმა. კაპიტანს მივაჩერდი, იგი არ იძვროდა.

- კაპიტანო! - მივმართე მე.

პასუხი არ გამცა. მარტო დავტოვე და ბაქანზე ავედი. კონსეი და ნედ ლენდი იქ დამხვდნენ.

- რა მოხდა აქ? - შევეკითხე მათ.

- ზარბაზანი გვესროლეს.

- ზარბაზანი?! - გავიმეორე მე და ირგვლივ მოვავლე თვალი. სამი მილის მოშორებით გემი იდგა. ეტყობოდა, სამხედრო გემი იყო. რომელი ქვეყნისა ვერ

მივხვდი, რადგანაც დროშა ამართული არ ჰქონდა. გემი თანდათან გვიახლოვდებოდა. უცებ მის ბაქანზე თეთრი ბოლი ავარდა, დაიჭექცა და ჩვენი გემის მახლობლად რაღაცამ ტყულაშუნი მოიღო წყალში.

- როგორც ეტყობა, ჩვენ გვიშენენ. - წამოვიძახე მე.
- დიახ, პროფესორო! - გამეპასუხა ნედი, - ვისიც არ უნდა იყოს ეს გემი, მოგვიახლოვდება თუ არა, ცურვით გავექანები მისკენ. ეჭვი არ მეპარება, მიმიღებენ, თუკი მივაღწიე.
- პროფესორო, ჩვენც გავცუროთ. ხომ გახსოვთ, როგორი ცურვა ვიცით! - მითხრა კონსეიმ.
- ნეტავი იმ გემმა დაღუპოს კაპიტანი და მისი "ნაუტიოლუსიც"! - ჩაილაპარაკა ნედმა.

- ეჰ, ჩემო მეგობარო ნედ, ამას რას დააკლებენ. ზღვის ფსკერზე ხომ ვეღარ ჩაჰვებიან! - უპასუხა კონსეიმ.

კიდევ გაისმა გრუხუნი და ყუმბარა ისე სწრაფად დაეცა ჩვენთან, რომ შეეფები შემოგვაშხაპუნა.

- ალბათ, თვალი მოჰკრეს "ცალკბილას" და იმისთვის უშენენ ზარბაზანს, - თქვა ფლამინდიელმა.

- მერედა, ვერ გაამჩნევენ, რომ ვდგავარტ? - სიტყვა შევუბრუნე მე.

- სწორედ მაგისთვის დაგვცხეს, რომ ადამიანებს ხედავენ. მაშ, რა გგონიათ, კაპიტანი ფარაგუტი ვერ მიხვდა, ვისთან ჰქონდა მაშინ საქმე? - მიპასუხა ნედმა.

ყუმბარა ყუმბარაზე ცვიოდა ჩვენ ირგვლივ. ზოგი "ნაუტიოლუსის" სალტეებსაც ხვდებოდა, მაგრამ ვერაფერს აკლებდა.

- უნდა ვანიშნოთ როგორმე, რომ ჩვენ აქ არაფერ შუაში ვართ, - თქვა კანადელმა და ცხვირსახოცი ამოიღო, მაგრამ მისი აქნევა ვერც კი მოასწრო, რომ კაპიტაბნმა ნემომ მირს დასცა.

- ავე გაგაქრობ! - შეჰყვირა მას კაპიტანმა და ცხვირსახოცი ხელიდან წაჰვლიჯა. სხეზე მრისხანება ეწერა, ხმა უთროდა.

გემს, გულდასმით მიაშტერდა.

- აპა, მიცანი? მეც გიცანი! შენ დროშას მალავ, მე კი ჩემ დროშას არ დაგანახვებ! ამ სიტყვებზე ნემომ თავისი შავი დროშა ააფრიალა, რომელზეც გამოსახული იყო ასო ნ. ამ დროს ყუმბარამ ისე ახლო გაუზუზუნა, რომ კინაღამ ხელი მოწყვიტა.

კაპიტანი მომიბრუნდა და მკაცრი კილოთი მითხრა:

- დაბლა მიბრძანდით!
- რისთვის?
- მიბრძანდით და თქვენი ამხანაგებიც თან გაიყოლეთ!... ის გემი უნდა ჩავძირო.
- რას ბრძანებთ! არა, კაპიტანო, თქვენ ასე სასტიკად არ მოიქცევით.
- თავს მესხმიან და მეც თავს ვიცავ!
- რა გემია?
- მით უკეთესი, რომ ვერ იცანით!

დალაუნებურად დავმორჩილდი.

თხუთმეტიოდე მეზღვაური ბაქანზე ამოიშალა. მოაჯირი მოხსნეს, მესაჭის კაიუტა თავისი შუქურით შიგნით ჩაუშვეს. "ნაუტიოლუსი" რკინის სიგარას დაემსგავსა. ვცადე, უარი მეთქმევინებინა ამ საშინელ ნაბიჯზე, მაგრამ კაპიტანმა მკაცრად და პირქუშად მიპასუხა:

- მე ჩაგრული ვარ, ის კი მჩაგვრელი! მან წამგლიჯა ყველაფერი, რაც კი მიყვარდა, რასაც ვეთაყვანებოდი: სამშობლო, ცოლ-შვილი, დედ-ამა, დად-ძმა! გაჩუმდით, პროფესორო არონავს!

ჩემს კაიუტაში შევედი დასაძინებლად, მაგრამ ძილი არ მომკარებია. დილის სამ საათზე ბაქანზე ავედი. კაპიტანი უკვე იქ დამხვდა. გულხელდაკრეფილი იდგა შავი დროშის ქვეშ და იმ გემს გასცეროდა. გემს უკვე საორთქლე ქვაბები გაეჩაღებინა. საბოლე მიღებიდან ბლუჯა-ბლუჯა ნაპერწკლებს ისროდა. არ მინდოდა შეწუხება და ისევ დაბლა ჩავედი.

გარიურაჟისას გემმა ზარბაზანის სროლა აგვიტეხა. ბაქანზე მინდოდა ასვლა, მაგრამ მეზღვაურებმა დარაბები დაკეტეს. "ნაუტილუსი" სიღრმეში ჩაეშვა.

იქნებ კაპიტანმა გადაიფიქრა თავისი განზრახვა? იქნებ გადაწყვიტა გარიდებოდა?

უცებ დაჯახება ვიგრძენი. რკინის უღარუნი შემომესმა, შევყვირე და დარბაზში გამოვვარდი. დარაბები გაწეული იყო. კაპიტანი ფანჯარასთან იდგა. იმ გემს ფსკერით მივდგომოდით. დავინახე, რომ უშველებელი ნახვრეტიდან წყალი ხრიალით შედიოდა... რა ამბავი იქნებოდა ეხლა გემზე?! წივილ-კივილი, სასოწარკვეთა... ალბათ, მეზღვაურები ანძის ბაგირებზე მიფოფხავენ, წყალში ცვივდებიან, ფართხალებენ, იბრძვიან, იხრჩობიან.

კაპიტანს გემის ძირი იმ მხრიდან შეენგრია, სადაც ფოლადი არ ჰქონდა გადაკრული.

დაღუპული გემთან ერთად ჩვენი "ნაუტილუსიც" ფსკერზე ეშვებოდა. უცებ აფეთქებს ხმა მოისმა. ალბათ უნდოდათ, მათი ტანჯვა მალე გათავებულიყო და თვითონვე ააფეთქეს, გემი ელვის სისწრაფით ჩაექანა ფსკერისაკენ. ჩვენც მას მივყევით.

"ნაუტილუსი" როდესაც ფსკერს შეეხო, ფანჯრის დარაბები დახუეს და კაპიტანი დარბაზიდან გავიდა. თვალი გავაყოლე.

თავისი ოთახის კარი შეაღო, კარპის პირდაპირ კედელზე ახალგაზრდა ქალის და ორი ბავშვის სურათი ეკიდა. კაპიტანმა ერთხანს გაშტერებით უცქირა სურათს. მერე ხელებგაშვერილი მუხლებზე დაემხო და ქვითინი აუვარდა.

თავი XXII

გაპარვა

მას მერე, რაც დარაბები დახურეს, დარბაზი აღარ განათებულა. უკუნი წყვდიადი და სიჩუმე გამეფდა "ნაუტილუსში". ის საოცარი სისწრაფით სცილდებოდა ნგრევის ადგილს. მაგრამ საით მიდიოდა? სამხრეთისაკენ თუ ჩრდილოეთისაკენ?

ჩემს ოთახში შევედი. ნედ ლენდი და კონსეი მდუმარედ ისხდნენ. გაურკვეველ შიშის ზარს ვგრძნობდი კაპიტან ნემოს მხრიდან. მან მოწმე გამხადა თავისი შურისძიებისა. ეს ჩემთვის მეტისმეტი იყო.

თერთმეტ საათზე ელექტრონმა გაანათა. დარბაზს ვეცი. ცარიელი იყო. მოწყობილობას შევხედე. "ნაუტილუსი" ჩრდილოეთისკენ მიისწრაფოდა საათში ოცდახუთი მილი სიჩქარით, ხანაც ზედაპირზე, ხან წყალქვეშ, ოცდაათი ფუტის სიღრმეში.

რუკას დავხედე. შევიტყვე რომ ლამანშის სრუტეს გავდიოდით და ჩრდილოეთის ზღვებისკენ მივექანებოდით გასაოცარი სისწრაფით.

საღამომდე ორასი მიღი გავიარეთ ატლანტის ოკეანეში. დაღამდა. ზღვაზე წყვდიადი ჩამოწვა. ჩემს ოთახში შევედი, მაგრამ ძილი არ მეკარებოდა. დაღუპული გემის საზარელი სურათი სულ თვალწინ მედგა.

ვერავინ მიხვდებოდა, თუ საით მიგვაქანებდა "ნაუტილუსი" ატლანტიკის ოკეანის ჩრდილო აუზში.

საოცარი სისწრაფით მივქროდით ჩრდილოეთის დანისნულ მიდამოებში. ნეტავ, მიუახლოვდებოდით თუ არა შპიცბერგენს, ახალი მიწის ფრიალო ნაპირებს? გავივლიდით თუ არა ნაკლებად შესწავლილ კარის ზღვას, ობის ყურეს, ლიახოვის არქიპელაგს და აზიის უცნობ ჩრდილო-დასავლეთის ნაპირებს! ვერ ვიტყვი, რამდენი დრო გავიდა ამ ფიქრებში, ყურადღება არ მიმიქცევია. ისე მეჩვენებოდა, თითქოს დღე და ღამე ერთმანეთს აღარ ენაცვლებოდა, როგორც ეს პოლარულ ქვეყნებში იყო.

ვფიქრობ, რომ "ნაუტილუსის" ასეთმა ავანტიურისტულმა მოგზაურობამ ოციოდე დღეს გასტანა და არ ვიცი, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა კიდევ, რომ თავს არ დაგვტეხოდა საშინელი ხიფათი, რამაც საზღვარი დაუდო ჩვენს მოგზაურობას.

კაპიტანი ნემო აღარ გამოჩენილა, არც ეკიპაჟის რომელიმე წევრი გვინახავს.

"ნაუტილუსი" თითქმის გამუდმებით წყალქვეშ მიცურავდა. როდესაც ჰერის გამოსაცვლელად ზედაპირზე ამოიწევდა, ასაწევი კარი ავტომატურად იღებოდა და ავომატურად იკეტებოდა. აღარავინ აღნიშნავდა გემის ადგილმდებარეობას და არ ვიცი, სად ვიმყოფებოდით.

ისიც უნდა ვთქვა, რომ კანადელს მოთმინების ძაფი გაუწყდა. კაუტაში ჩაიკეტა და აღარ გვეჩვენებოდა. კონსეიმ სიტყვა ვერ დააძვრევინა, რის გამოც ძალზე შეფიქრიანდა, ბოლმისგან არ გადაირიოს, თავი არ მოიკლასო. ერთი წუთით არ შორდებოდა გვერდიდან.

ერთხელ - რიცხვი ვერ მომიგონებია - მწარე ფიქრებით გაწამებულმა თეთრად გავათენე ღამე და ქანცგაწყვეტილს გამთენისას ჩამძინებოდა. როდესაც გამომეღვიძა, ნედ ლენდი თავზე მადგა და ჩურჩულით მეუბნებოდა:

- უნდა გავიპაროთ!

წამოვიწიე, წელში გავიმართე და შევეკითხე:

- როდისღა?

- ამაღამ! "ნაუტილუსზე" ყოველგვარი მეთვალყურეობა ჩამკვდარია, თითქოს ყველას მისძინებია. მზად იქნებით?

- მზად ვიქნები, მაგრამ ახლა სად ვიმყოფებით?

- ხმელეთის ახლოს. დღეს დილით მიწას მოვკარი თვალი ჩამოწოლილი ნისლის იქით. აღმოსავლეთისკენ ოციდე მიღის მანძილზე.

- რა ხმელეთია?

- არ ვიცი, რომელია! ... რომელიც არ უნდა იყოს, თავს მაინც შევაფარებთ!

- ოჰ, ნედ, ამაღამ უსათუოდ უნდა გავშორდეთ აქაურობას, თუნდაც ზღვამ ჩაგნეას!

- ზღვა ღელავს, სუსხიანი ქარი უბერავს, მაგრამ "ნაუტილუსის" მსუბუქი ნავით ოციოდემილის გავლა საშიში არ არის. მე მოვასწარი ცოტაოდენი სურსათის ჩალაგება. ჩავაწყვე აგრეთვე რამდენიმე ბოთლი ღვინოც. ეკიპაჟის ხალხს არაფერი შეუმჩნევია.

- თქვენთან მიგულეთ!

- ესეც იცოდეთ, - დაუმატა კანადელმა, - თუ გაგვიგეს და წამოგვეწივნენ, უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ვიბრძოლებ.

- ჩვენ ერთად დავიხოცებით ნედ!

კანადელი ჩემი ოთახიდან გავიდა, ყველაფრისათვის მზად ვიყავი. ბაქანზე ავედი, მაგრამ ისეთი რისხვით ასკდებოდა ტალღები, რომ ფეხზე ძლივს ვიდექი. ცა პირქუშად იყურებოდა, მაგრამ თუკი ჩამობნელებული ნისლის იქით ხმელეთი იყო, უნდა გვესარგებლა... არც ერთი დღის, არც ერთი საათის დაკარგვა არ შეიძლებოდა!

დარბაზისაკენ გავემართე. მინდოდა კაპიტან ნემოს შევხვედროდი. თანაც მასთან შეხვედრა მაფიქრბდა კიდეც. დიახ, მინდოდა კიდეც მისი ნახვა და არც მინდოდა. რა უნდა მეთქვა მისთვის?

რა მძიმედ გადიოდა დრო, როგორ გაგრძელდა ეს საღამო, რომელიც "ნაუტილუსზე" უნდა გავატაროთ. მარტო დავრჩი. ნედ ლენდი და კონსეი ჩემთან საუბარს ერიდებოდნენ, რომ ეჭვი არ ეღოთ.

ექვს საათზე ვისადილე, თუმცა უმადოდ ვიყავი, ძალისძალით ვჭამდი, მხოლოდ იმისთვის, რომ დავნაყრებულიყავი.

შვიდის ნახევარზე ნედი შემოვიდა ჩემს ოთახში და მითხრა:

- წასვლამდე ერთმანეთს ვეღარ ვნახავთ. ათ საათზე მთვარე ჯერ ამოსული არ იქნება. სიბნელით ვისარგებლოთ. ნავთან მოდი. მე და კონსეი დაგელოდებით.

ისე მალე გატრიალდა, რომ პასუხის გაცემაც ვერ მოვასწარი.

მინდოდა გამეგო, საით მიემართებოდა "ნაუტილუსი". დარბაზში გავედი. საშინელი სისწრაფით მივქროდით სამხრეთ-აღმოსავლეთისკენ ორმოცდაათი მეტრის სიღრმეზე.

უკანასკნელად გადავხედე ამ მუზეუმში თავმოყრილ ბუნების საოცარ ნიმუშებს, განძეულობას, ამ უბადლო კოლექციებს და გავიფიქრე, რომ ყოველივე ამას მის შემკრებლებთან ერთად ზღვის უფსკრულებში ელოდა დაღუპვა.

მთელი ერთი საათი დავტრიალებდი ამ საუნჯეს, უამრავ კარადაში რომ ელვარებდა. მერე ჩემს ოთახს მივაშურე. მკვიდრ საზღვაო ტანსაცმელში გამოვეწყვე, ჩემი დღიური პალტოში მაგრად ჩავიმაგრე. გული სამინლად მიცემდა. კაპიტანი ნემო რომ შემხვედროდა, ჩემი მღელვარება და შეკრთომა გამამუღავნებდა.

ნეტავ, რას აკეთებს კაპიტანი ნემო?

მისი ოთახის კარს მვაყურადე. ფეხის ხმა ისმოდა, კაპიტანი ნემო იქ იყო. ყოველი მის მოძრაობაზე ისე მეჩვენებოდა, თითქოს ეს-ეს არის, კარს შემოაღებს მეთქი. შემოვა და მკითხავს, თუ რად ვაპირებ გაპარვას. ნერვიული, შიშის ჟრუანტელი მივლიდა და ჩემი ფანტაზია უფრო აძლიორებდა მას.

ბოლოს ჩემი მღელვარება ისეთი მწვავე და აუტანელი გახდა, რომ გულს დავეკითხე: არ ჯობია, პირდაპირ შევიდე მასთან, პირისპირ შევხვდე და ყველაფერში გამოვუტყდე-მეთქი?

ეს იყო უგუნური თვითშთაგონება. საბედნიეროდ, დროზე შევიკვე თავი და ლოგინზე მივწექი, ეგებ ჩემი მღელვარება დამეოკებინა. ნერვები ცოტათი დამეწყნარდა, მაგრამ აფორიაქებულ ტვინში ერთიმეორეს მისდევდა "ნაუტილუსზე" მიღებული შთაბეჭდილებანი, "აბრაამ ლინკოლნის" მერე განცდილი თავგადასავალი, წყალქვეშა ნადირობა, ტორესის სრუტე, პაპუასები, მარჯნის სასაფლაო, სუეცის გვირაბი, სანტორინოს კუნძული, კრეტელი მყვინთავი ნიკოლა, ატლანტის, მთლიანი ყინულეთი, სამხრეთ პოლუსი, ყინულეთში გამომწყდევა, სპრუტებთან ბრძოლა, გოლფსტრემის გრიგალი, "შურისმგებელი" და ბოლოს გემისა და მთელი მისი ეკიპაჟის ჩაძირვა.

ეს ყოველივე თვალწინ მეშლებოდა, როგორც მოძრავი დეკორაციები სცენის სიღრმეში. და ამ ჩვეულებრივ გარემოში კაპიტანი ნემო უზომოდ იზრდებოდა. მის სახეს ზეკაცის იერი ედებოდა. ის უკვე აღარ იყო ჩვეულებრივი ადამიანი - ეს იყო წყლების ბინადარი, ზღვათა გენია, შურისმგებელი რევოლუციონერი.

ათის ნახევარი იყო. თავზე ხელებს ვიჭრდი, რომ არ გამსკდომოდა. თვალებს ვხუჭავდი. არაფერზე ფიქრი არ მინდოდა.

კიდევ მთელი ნახევარი საათი ლოდინი!

უცებ ორღანის წყნარი ხმა შემომესმა. სევდიანი, მოწყენილი მელოდია. სუნთქვა შევიკავე და ისე ვუსმენდი. კაპიტანი ნემო გატაცებით უკრავდა. მეც სიამოვნებით ვუსმენდი. თითქოს ეს ჰანგები ამ ქვეყნის იქით მიმაქანებდა.

მაგრამ მუსიკა შეწყდა. კაპიტანი ნემო ოთახიდან დარბაზში გამოვიდა. იქ, სადაც მე უნდა გამევლო, რომ გავპარულიყავი. მაშ, იქ შევხვდები უკანასკნელად, რომ შემამჩნიოს და დამელაპარაკოს?! მისი ერთი ხელის გაქნევა გამანადგურებს, მისი ერთი სიტყვა სამუდამოდ მიმაბამს ამ გემზე.

ათი საათი გახდა. ჩემი ოთახიდან უნდა გამოვსულიყავი და ამხანაგებთან მივსულიყავი.

ყოყმანი აღარ შეიძლებოდა. თუმცა, შესაძლებელი იყო, კაპიტანს შევემჩნიე, წყნარად გამოვალე კარი, მაგრამ მომეჩვენა, თითქოს მისმა ანჯამებმა დიდი ხმაური გამოსცეს. ეს ხმაური მხოლოდ ჩემს ოცნებაში იყო. სიბნელეში მუცლით მივხოხავდი "ნაუტილუსის" ტალანში, მალიმალ ვჩერდებოდი სულის მოსათქმელად და გულისცემის შესაკავებლად.

დარბაზის კუთხის კარს მივაღწიე და ფრთხილად შევაღე. უკუნი სიბნელე იყო. ორგანის აკორდები სევდიან ხმას გამოსცემდა. კაპიტანი ნემო აქ იყო. ვერ მხედავდა. ვფიქრობ, დარბაზი გაკაშკაშებული რომც ყოფილიყო, მაინც ვერ შემამჩნევდა, ისეთი გატაცებით უკრავდა.

ხალიჩაზე მივცოცავდი, ვფრთხილობდი, არ მეხმაურა. ხუთ წუთი გავიდა, სანამ დარბაზის ბოლო კარს მივაღწიე. ბოლოს იმ კარამდე მივხოხდი, რომელიც ბიბლიოთეკაში შედიოდა.

ის იყო, კარი უნდა შემეღო, რომ კაპიტანმა ამოიოხრა. ადგილზე გავშეშდი, მივხვდი, რომ დგებოდა. თითქოს გავარჩიე კიდეც, რადგანაც ბიბლიოთეკიდან დარბაზში ოდნავი შუქი გამოკრთოდა. ჩემკენ წამოვიდა გულხელდაკრეფილი, ფეხებს უფრო მიაცურებდა, ვიდრე დგამდა. გვერდით ჩამიარა, მაგრამ ვერ შემამჩნია. სწრაფად ვეცი ბიბლიოთეკის კარს, შუა კიბეზე ავირბინე და ნავისკენ გავეშურე.

სწორედ იმ გზით გავიარე, საითაც ჩემს ამხანაგებს გაევლოთ.

- გავიქცეთ, გავიქცეთ! - შევძახე მათ.
- ახლავე! - მიპასუხა ნედმა.

რკინის სახურავი, რომლის ქვეშაც ნავი იყო მოთავსებული, კლიტით იყო დაკეტილი. ნედ ლენდმა ინგლისური გასაღებით კლიტე გააღო, ის ჭინჭიკები მოუშვა, რომლითაც "ნაუტილუსზე" იყო დამაგრებული.

უცებ გემის შიგნით ხმაური ატყდა. აჩქარებით ლაპარაკობდნენ.

ნეტავ, რა მოხდა?

ხომ არ შეიტყვეს ჩვენი გაპარვის ამბავი?!

ნედ ლენდა ხელში ხანჯალი მომაწოდა.

- დიახ! ... ზედ შევაკვდებით! - ჩავულაპარაკე მას.

კანადელმა მუშაობა შეწყვიტა. გემის შიგნიდან ერთი და იგივე სიტყვა ოცჯერ მაინც გაისმა და ამ სიტყვებმა გამაგებინა, თუ რამ შეაშფოთა "ნაუტილუსის" ეკიპაჟი.

- მალსტრემი! მალსტრემი! - გაყვიროდნენ ისინი.

მალსტრემი... განა ამაზე უფრო საშინელი სიტყვა შეიძლებოდა? ნუთუ ჩვენ ნორვეგიის ამ საშინელ ნაპირებთან ვიმყოფებოდით?! ნუთუ "ნაუტილუსი" სწორედ მაშინ შეითრია ამ საზარელმა მორევმა, როდესაც ჩვენი ნავი მას უნდა მოშორებოდა?

ზღვის მოქცევის დროს, ფერორისა და ლოფანდენის კუნძულებს შუა ვიწროდ მომწყვდეული წყალი საშინელი ძლიერებით მოექანება და ზღვაში აჩენს უშველებე მორევს, საიდანაც ჯერ არც ერთ გემს არ დაუღწევია თავი. ჰორიზონტს ყოველი მხრიდან აქეთკენ მოექანება მთებივით აგორებული ტალღები და ისეთ მორევს აჩნეს, რომლის ცენტრისკენ მოსწრაფებული ძალა თხუთმეტი კილომეტრის მანძილზე ყველაფერს შეინით ითრევს. ეს მორევი უფსკრულისკენ აქანებს არა მარტო გემებს, არამედ არქტიკულ ვეშაპებს და თეთრ დათვებსაც.

"ნაუტილუსი" შემთხვევით მოხვდა ამ სასინელ მორევში თუ კაპიტანმა განზრახ შემოტოპა? გემი ამ მორევში სპირალურ წრეს უვლიდა, რომლის რადიუსიც თანდათან ვიწროვდებოდა.

ჩვენი ნავი ჯერ კიდევ "ნაუტილუსზე" იყო მიმაგრებული და მასთან ერთად, საშინელი სისწრაფით ტრიალებდა.

ვგრძნობდი ამას და თავბრუ მესხმოდა ხანგრძლივი ტრიალის გამო. შეშინებული, დამფრთხალი, თავზარდაცემული ვიყავით: სისხლის მოძრაობა შეწყდა, ნერვების მუშაობა შეჩერდა, სიმწრისგან ცივ ოფლს გვასხამდა, როგორც სულთმობრძავებს. შემზარავი ხმაური იყო ჩვენი მსუბუქი ნავის ირგვლივ! ზღვის გრიალი ოცი მილის მანძილზე გაისმოდა. ხრიალი და შხუილი იდგა ირგვლივ, მძლავრი ტყლაშუნით ტალღები ზღვის უფსკრულში ამოზიდული ფრიალო კლდეების ბასრ წვერებს ასკდებოდა, იმ ფსკერზე, სადაც მაგარზე მაგარი რვალიც კი იმსხვრევა, დიდრონი ხეები ნაფოტ-ნაფოტად იქცევა.

ჩვენი მდგომარეობა საზარელი იყო! "ნაუტილუსი" ისე ებრძოდა სტიქიონს, თითქოს სულდგმული იყო. მისი ფოლადის კუნთები იძაგრებოდა, ჭახჭახი გაჰქონდა, ხან გველივით იკლავნებოდა და იზნიქებოდა, ზოგჯერ კი წელში იშლებოდა, ჩვენც თან მიგავარიალედა.

- მაგრად მოეჭიდეთ! - დაიძახა ნედმა, - ნავი ისევ "ნაუტილუსზე" უნდა დავამაგროთ თავისი ჭანჭიკვებით. იქნებ ამით გადავრჩეთ!...

ნედს სიტყვა არც კი დაესრულებინა, რომ საშინელი ჭახანი გაისმა, ჭანჭიკვები დაიმსხვრა და თავისი ბუდიდან ამოვარდნილი ჩვენი ნავი მორევის უფსკრულისაკენ ისე გასტყორცნა, როგორც შურდულით ნასროლი ქვა.

თავი რაღაცას წავაჯახე და გონება დავკარგე.

თავი XXIII

დასკვნა

ჩვენი არაჩვეულებრივი წყალქვეშა მოგზაურობის დასასრული ასეთი იყო. რა მოხდა იმ ღამეს, როდესაც ჩვენი ნავი მორევმა ჩაითრია და აყურყუმალავა, ან ნედ ლენდი, კონსეი და მე როგორ გადავურჩით ამ საზარელ მორევის უფსკრულს და როგორ დავაღწიეთ თავი, არ მახსოვს და ვერც გიამბობთ.

გონს რომ მოვეგე, მებადურის ქოხში ვიწექი, ლოფონდენის ერთ-ერთ კუნძულზე. ჩემი თანამგზავრები ორივე ჯანმრთელი და უვნებელი თავზე მედგნენ

და ხელს მართმევდნენ. აღტაცებით გადავხედე მათ. ეს ის დრო იყო, როდესაც აქედან ჩემი სამშობლოსკნე გამგზავრებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა. საერთოდ, ჩრდილო და სამხრეთ ნორვეგიას შორის ზღვით მიმოსვლა იშვიათია. ნორდკაპიდან გემის მოსვლამდე უნდა გველოდა. გემი კი აქ ორ თვეში ერთხელ მოდის.

დავრჩით ჩვენს გადამრჩენელებთან და შემხიზვნელებთან. აქ გადავიკითხე ჩემი დღიური. ვატყობ, რომ ზედმიწევნით სწორია. არც ერთი შემთხვევა არ გამომრჩენია, არც ერთი გარემოება არ დამვიწყებია, არც ერთი ფათერაკი არ გამიზვიადებია. ეს არის ზუსტად გადმოცემული ამბავი ჩვენი წარმოუდგენელი ექსპედიციისა იმ სფეროში, რომელიც ადამიანისათვის დღემდე მიუწვდომელია და სადაც ახლო მომავალში მეცნიერბა ალბათ თვისუფლად გაიკვლევს გზას.

დაიჯერებს კი ვინმე ჩემს ნაამბობს? შეიძლება დაუჯერებლადაც კი მიიჩნიონ! არ ვიცი, ან კი რა ჩემი საქმეა! ვამტკიცებ, რომ ამიერიდან უფლება მაქვს ვილაპარაკო ზღვებზე, რომელთა უფსკრულებშიც ოთხმოცი ათასი კილომეტრი გავიარე.

მე აღვწერე დედამიწის გარშემო წყალქვეშა მოგზაურობა, რომელმაც თვალწინ გადამიშალა ამდენი საოცრებანი წყნარი, ინდოეთის, ატლანტის ოკეანებისა, ხმელთაშუა ზღვისა, სამხრეთ და ჩრდილოეთის ზღვებისა. ერთი სიტყვით, მთელი დედამიწის ზურგზე არსებული წყლებისა!

ნეტავ, რა დაემართა "ნაუტილუსს"? - გაუძლო თუ ვერა მორევის საშინელ წნევას? გადარჩნენ თუ არა კაპიტანი ნემო და მისი ამხანაგები? განაგრძობს თუ არა ეს ახირებული ადამიანი ოკეანის უფსკრულებში შურისძიებას, თუ თვითონაც დაიღუპა მის სამსხვერპლოზე?

ნეტავი გამაგებინა, ზღვის ტალღები ოდესმე მაინც თუ გამორიყავს იმ ხელნაწერს, სადაც აღწერილია მთელი მისი არაჩვეულებრივი ცხოვრება და თავგადასავალი? ეღირსება თუ არა ოდესმე ქვეყნიერებას იმის გაგება, თუ რა ეროვნებისა იყო კაპიტანი ნემო?

მწამს, რომ მისმა გემმა სძლია ზღვის უსაშინლეს მორევს და უვნებელი გამოვიდა იმ ჯოჯოხეთური ადგილიდან, სადაც ამდენი გემი ჩაღუპულა!

ათი თვე გავატარეთ თვალუწვდენელი ზღვის უფსკრულებში და ახლა უწინდელ შეკითხვაზე - თუ "ვინ გაზომა სიღრმენი უფსკრულისანი?" - მთელი დედამიწის ზურგზე მხოლოდ ორ ადამიანს შეგვიძლია ვუპასუხოთ:

- ჩვენ გავზომეთ სიღრმენი უფსკრულისანი: კაპიტანმა ნემომ და მე!